ზურაბ გორგილაძე თავიდანვე თვითმყოფად პოეტად მოგვევლინა, რომლის შემოქმედებაში მთელი სისრულითა და მიმზიდველობით ცხადდებოდა მშობლიური კუთხის ხიბლი და მადლი. მისი ყოველი ახალი ლექსი დასტური იყო იმისა, რომ ამ პოეტის კვალი ღრმად და სამუდამოდ აღიბეჭდებოდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ პოეზიაში.

არავინ შემცდარა.

მის შემოქმედებაში გაზაფხულივით ერთბაშად იფეთქა სიცოცხლემ. იგი გასაოცარი გულწრფელობითა და უშუალობით გადმოსცემდა აჭარული ყოფის განუყოფელ სურათებს. ზურაბის ლექსებში მინდვრის ყვავილებივით უხედაა გაბნეული თამამი და ორიგინალური მეტაფორები, ხალხური პოეზიიდან წამოღებული ენერჯია კი სიმსუბუქესა და სისადავეს, სინათლესა და სილალეს შატებს სათქმელს.

ზურაბის პოეზია ხან უაღრესი ტკივილითაა სავსე, ხანაც უნაზესი ღირიზმითა და სათუთი სიფაქიზით გვხიბლავს. იგი ხან აღიდებულ ჭოროხს ჰგავს, რომელიც ხან მზადაა ყველაფერი დაღწეოს და წალეკოს, ხანაც მთის გამჟვირვალე ნისლივით ჰაეროვანია, სიოს შებერვაც რომ ჰყოფნის ცრემლად დაფრქვევისათვის.



მისი ცხოვრება არც არაკს ჰგავდა და არც ზღაპარს. ის იყო ქობულაძე ვიქტორე მომღერალი, აკაკის ცრემლებით გამთბარი ქვეყნისა.

აქარა, დაჯვარული ქვევით მოფენილი მისი მთა და ბარი, სვედიანი, ავბედითი წარსული, ტკივილებმოუშუშებელი დღევანდლობა, სათნოებით, ღირსებით შემკული, ზნეკეთილი ადამიანები იყო ზურაბის პოეზიის სუნთქვაც და მაჯისცემაც. ამიტომაც, „მალლიდან გროშივით გადმოყრილ ტაშათვის მას ერთი სტრიქონიც არ წამოსცდენია“.

სარფიდან დარიალამდე საქართველოთი შექრული, ქვეყანას ლეჩაქით ზომაგდა და მის დიდებას ხანჯლებით წერდა. სარფის გადაღმა დარჩენილი მამულები სტკიოდა, ჩვენებურის ბედზე დარდობდა და ავად მოქირქილებს ევედრებოდა: „შიგნით რას მერჩი, ჭართველო, გარეთ გყავს გადასარჩენიო“.

რაკი ხშირად ცრემლებით განბანილ თვალებს სიცილით იმშვენებდა, მის მეგობრებს ნაკლებად გვესმოდა „ხარხარში ჩაკლული ტკივილის დიდება“...

სხვებზე უკეთ იცოდა, რომ ძნელია საქართველოს შეილობა და კოლხეთივით სვედიანმა და კახეთივით ჭავრიანმა ნიღბები ააგლიჯა ფსევდორაინდებს და ერს სიყვარულისაკენ მოუწოდა.

სახელი და დიდება ყოველთვის ჰქონდა; არც მოშურნე ჰკლებია, მტრობის სიმწარეც განუცდია ბევრჯერ, მაგრამ სიძულელისთვის გულისგულში ადგილი არასოდეს მიუჩენია. ამიტომაც ჰქონდა კაი ყმისა და რაინდის სახელი.

ამიტომაც ასე უსაშველოდ ძნელი იყო მასთან განშორება.

დარწმუნებული ვარ, მალე, სულ მალე ზურაბის ქუჩაზე ვივლით პოეზიის თაყვანისმცემლები.

ზურაბი უკვდავია.

დავით თადეორაძე



ლექსებს ვკითხულობ

ღმერთო, მომშადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწვემსად, ანდა — ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, შე როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

იდგა დარი თუ გრიგალს მიქონდი,
სულ მწამდა, უცხო ნაპირს ვნახავდი,
ვერ დაუიურეე მაინც სტრიქონი,
ვერ მოვიხადე ლექსის სახადი.

სურვინ ჩამითვლის სურვილს აუკად,
მუდამ მლოცველი ვიყავ ამ მიწის,
რა ვქნა, თუ იის ვმხმა დამბუკა,
ბროწეულების ცეცხლში დაეწვი.

ქარი რომ ნისლის ბაირალს გაძლის,
გულო, დარდით ნუ დამეხურები,
შორს ვარსკვლავები ბრწინავე ცაში,
როგორც იესოს ნაფეხურები.

ღმერთო, მომშადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწვემსად, ანდა — ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, რომ როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

გამთენიისას

შორს ბუბუნი გააქვთ მუხებს,
ისმის ჩიტთა რია-რია,
ნაში ბრწინავს, აღბათ წუსელ
ანკვლოსებს უტირიათ.

ცა რომ ღრუბლის კარავს გაძლის,
სეუმი ჩაჭყენს ნისლის ფთილვებს,
იკალობებს შავი შაშვი,
დიღას ევლში გამოიფლებს.



ქართლის მთები ფერხულს კრავენ,
ათროღლებს ნამუს და ღვიას
და ჩანქერთა რძისფერ მკლავებს
შავ კლდეებს ჩამოშლიან.

ბგავს ნიაფი მინდვრის მგოსანს,
ტრფობით ბეურჯერ წვეს და ღბებს,
ჩაქვევა ვარდს და სოსანს,
ბბგებს გაღაბბაღბებს.

კვლავ ბუბუნი გააქვთ მუხებს,
მათრობს ჩიტთა რია-რია,
ნამი ბრწეინავს, ბაღში წუსულ
ანკელოზებს უტირიათ.

საღამო ჯჳრის მონასტერთან

ღამის უცნაურ სურნელით ვთერებით,
ვერცხლისფერდება თანდათან არე
და ისე უცებ გამოჩნდნენ მთები,
თითქოს ხელიდან დასცვივდა მთვარეს.

ვარსკვლავი კართის თუ ხმაღნი კვესავენ,
ცაბ თუ ქართლის დროშა ცისფერი,
გზისშირებიდან ვეულა კენანე
ნანა დედოფლის თვალით გვიცქერის.

ხსუნაირ ეტრფის მცხეთას ქართველი,
ძველი დიდება დრომ ვერ დაბინდა,
ისვე ელვარებს უცხო ნათელი
წარსულის მძიმე ხარკოფაგიდან.

მორს სვეტიცხოვლის ჩამოპკრეს ზარებს,
ჩუნც ვუსმენთ ამ ხმებს, ქარით მონატანს,
ჩამოვარდება არაკუში მთვარე
და ნინო ვაზის ჯვართი მონათლავს.

თქორი ყვავილი

უკონიდი წითელ უაუანოს,
უარდი მეფინა მე ზირად,
ზატარა თუთრი ვევაილი,
თუმც ბაღს ვინობდი ზეზირად,
არც როდის შემიმჩნევია,
არც როდის თვალი მეჭირა,
წამოხვლა რომ დავაპირე,
წინწინ ის გამომეტირა.

რა დაგამშვიდებს

ბატონ რამინ რამიშვილს

რა დაგამშვიდებს,
როცა ეამი ქარიმსლებს ვახლის,
თვისტომნი შენნი
სხვა ქვეუების გაპყენენ ქარავანს
და ქართლი,
როგორც უბატროხო, კარღია სანღი,
ათანმა უცხომ მოინაგრა,
გაიძარავა.

ქსნის ძველ ციხესე
ქარი ახალ ნაბზარებს დათვლის,
მოჩანს ღრუბული,
როგორც თუთრი დროშა დახრილი,
როდემდე დარჩეს
ულურჯესი თავანი ქართლის
ჩვენივე ხელით დამცრობილი,
ლანყარგაურილი.

გულზე შეიბი
ამ მინდვრების მწვანე მურდინი,
გამოიფხინსლო
მითულემილო გენო, ვგება,
თორემ უკედავი
და სასტიკი ჯალალ-უდინი
მტკვარს ჩვენი სისხლით და ცრემლებით
კვლავაც შეღებავენ.

ჩამომიარა სიკვდილმა

ჩამომიარა სიკვდილმა,
 არც ჰო ვუთხარი, არც — არა,
 ტიალმა წუთისოფელმა
 თოკივით მკრინა, დამცარა.

თუძმა, რაც მტეორცნა ისარი,
 მიზანს არც ერთი ამცდარა,
 ვერც სიმულელით ამაყსო,
 ვერც სიუვარულით დამცადა.



კზისპირას განა უბრალოდ ვჩივარ,
 შენ გელოდები,
 წუთისოფლის დაღლილო მგზავრო,
 შენერდი ერთხანს ჩემს სიასლოვეს,
 ჩამოყექი,
 ფიქრი დასვენე.

ა ნ ა ნ უ რ ი

შენთვის დროის სვლაც არის ბათილი,
 გამობრწყინდები მთებში მშენაჯით,
 ბრძენი და მშვიდი, ვით თინათინი,
 ულაძაზენი, როგორც ნესტანი.

მოვალ და ღვთიურ მადლით ვივსები,
 შორითაც ნათლით მავსებ ასევე,
 ბინდში თეთრ ჰერანკს ქსოვენ ნისლეები
 და დილით სპეტაკ ტანზე გადმევენ.

მადლობა უფალს, დამდგარა დარი,
 მომხდური მოყვრად შემოფიცულა
 და ვით ხვესურეთს ნაჭკედი ფარი,
 ღრუბლებში მთვარის დისკო მიცურავს.

არც მტვრადქცეული მტერნი ასლობენ,
 არც გაპყვიანი შორით სარანგნი
 და მსოფლოდ ღამით შენს სიასლოვეს
 ტარიელივით გმინავს არაგვი.

ნება იმ მიჯნურთ

„ერთადაც დავიხოცებით,
ერთაღამც დაგვმარტვიანო.“
„ეთერიანი“

ნეტა იმ მიჯნურთ, ვის თავთან
ვერცხლის წყარონი დიანო,
ვის გულზეც ია და ვარდი
სურვილით ჩახვევიანო.

ჩვენ რადღა გვიმტრო საწუთრომ,
სული მდულარებს, ხშიანობს –
შორიშორ დავიხოცებით,
შორიშორ დაგვმარტვიანო.

მე ვერ ვაპალ უსიმღეროდ

როგორ გადაურუვდა არე,
მდუღო გაღამოვა ხეატმა,
ღვინოდ ცრემლი მოვიხმარე,
პურად მოგონებებს ვატან.

ჩემს ბაღჩაში ვარდი გახმა,
შენთან სიო ძეწნებს არხეფს,
სიუვარული არ შინახავს,
სიუვარულზე დარდი ვნახე.

ვერცხლის შიბებს განგი ფარავს,
ვინ მიმეღლის დროის მძევალს,
სიუმაწვიდეჲ ჩაიარა,
ახლა ჩამავალი მზე ვარ.

ვეფერები შრომნის ღვროს,
სუმბულს ღვრუი რიდე ბურავს,
მე ვერ წავეალ უსიმღეროდ,
კარს ტირილით ვერ გავხურავ.

ბინდში ხვედით ვუმზერ მთვარეს,
ძველ ჭიშკარს და ღობის ღატანს,
ღვინოდ ცრემლი მოვიხმარე,
პურად მოგონებებს ვატან.

ვერცარა ვითხარ

მზე ვუინება ოქროსფერ თიხნარს,
ქართლის სერებს და მუსრანის დაბლობს,
ვერცარა ჩემი სიცილით გითხარ,
ვერცარას ჩემი ცრემლებით ვამბობ.

ვერ დამიამა საწუთრომ წელუდი,
კვლავ სინსლი მოსწვეთს ჭრილობას ღიას
და მასვილივით გამტეღარი სული
ცრემლით დაღლორთხილ ბაღასში გდია.

გულმა ამაოდ ბევრჯერ გინატრა,
ჩემს გზას შრომნებად არ აუუვაფდი,
რამდენმა ცაში დაიბინადრა,
ვინც მიუვარდა და ვინაც ვუუვარდი.

ინახავს ბაკე სუმბულის ამბორს,
შემინდე შემკრთალს ქარით და სეტყვით,
რომ ვერცრას ჩემი სიცოცხლით ვამბობ,
ვერცარას ჩემი სიკვდილით გეტყუი.



* * *

დაშქანცა წუთისოფელმა
წალმა-უკულმა მატარა,
რა იქნებოდა, უფალო,
ბუდი მოგეცა ჰატარა.

უკვე გავლილი ცხოვრება
ერთი მოზრდილი წიგნია,
ჭეშმარიტებას დავუძებ
ვეძებ და ვერ მიმიცნია.

ჭეშმარიტება შენა ხარ,
მე, ვინ მომიშვებს შენამდე,
მოკვდავთა ფარისველობა
ამოსულია უელამდე.

* * *

უკვე შევუდექი სიბერის აღმართს,
მე უხუსური ვერაფერს შევცვლი,
ჯერ არ მიგრძნია გრძელ გზასზე დაღლა,
მაგრამ ოცნების მწვერვალს ვერ შევწვდი.

მე შენ მივეარხარ მამულო ჩემო,
არ მეუარებია ოქრო და ვერცხლი,
და ის მიმეუბნა იმ ქვეყნად დამღად
თუ შენ წინაშე ოდესმე შევრცხვი.

გთხოვ, მომიტვეო, უფალო, მოკვდავს,
რადგან არ მეუო ჭკუა და ცოდნა,
წუთისოფლისგან ნაკვეშს და ნაცემს,
არ ჩამითვალო არცოდნა ცოდვად.



ცოლმა ქმარი დაიტირა

ამთხრობა

მაყვალ, მაყვალ, ალოო, ... ჰოო, ჰოო, მე ვაარ მე უბედური... გესმის... მე თვალ-დამდგარი... ნუ ქოთქოთებ, ქალო, და-შოშმინდი... მე უნდა დავიტირო ჩემი ქმარი, მეე... გულზე დაადე მობილური ვალიკოსა, მაყვალ, დაკრეფილ ხელებთანაა... ისმის კარგად... მთელ ოთახში ისმის?... ესლა ქალე-ბოო, ჭირისუფლებოო, ხმა გაკმინდეთ, ბანიც არ მომცეთ მანდღდანაა, ჩემ ვალიკოს ჩემი ვაიეში უნდა გაეაგონო... ვაიმე, ვაიმე, ეს რა გაუგონარი ვაიევე, ეს რა დღეში ჩამავდე, კაცოო, რა მეხი და მედგარი დამატეხე, შენ რო ეგეთი შეუბრალებელი არც როდის არა ჰყოფილხარ? შენ რო მოღალატე და ორგუ-ლი არა ჰყოფილხარ? მაშ, რად მადრიკე ზურგი, ვალიკო, რად მიეცი უპირატესობა შვე მიწასა, რადა, მე კიდევ რად ჩამავდე ცხელ ლადარში ვალიკო, დამწვარზე მდღუღარე რად დამასხი კაცო, რად მომეკიდე მტრად, რა დავიშავე, რაა!! ქალებო, ვარაავ, ეთეროო, მალუც, შემ-ობრალოთ მე ქერიოზურიი, შემობრალოთ თქვენ მანცა, ვალიკომ რომ არ შემობრალა. შაეი მიწა არჩა ჩვენთან ყოფნასა, ვიწვი, ქალებო, ხორცები მადნებაა... კაცოო, მე ხაზი გადა-მისვი-გადამისვი, შეილებს რა პასუხს აძლევ-ლი, შენ ანაბარად რო იყენე დატრეგებულები, უპირველესად ხო შენ უნდა მიგეხედნა, რომ მარწმუნებდი ცივ ნიავს არ მიგეკარებო, ეს იყოო შენი სიტყვა, ესაა... ხო იცოდე ვალითა და ვახშითა ვარ წამოსული და ჩემი დაბ-რუნება არ იქნებოდა, სუ რო სახლკარი თავზე დაგვექცოლა და ავეე, დაგვექცა კიდევ და ვერ მოვდივარ, ვერა, არა მაქვს უფლება, ვა-ლიკო, არა... ვიღამ გადაიხადოს ვალი, ვიღამ მოხდოს ჩემ ბალებსა, ჩემ ობლებსა... შეილე-ბოო, ჩემო შოთიკოო, ლელავ, გოგოო, მოგიკ-დეთ ღელათქვენი, მოგიკვდეთ და გაგიტავდეთ,

მანდ რო არა ვარ, თქვენთან რო არა ვარ და ვერ გიხუტებთ გულში და დიდხანსაც ვერ ვიქნები, მარტონი რო ჭირისუფლობით მამათქვენ-სა... დაიწვას ჩვენი ბედის შწერალი, დაიწვას და დაიდაგოს, ეგრე რო გავლატაკლით, სულს ძლივს ვიბრუნებდით, ცხრა მთას იქით რო წამოვედი ლუკმა-პურის საძებნელად... თორემ მე არ უნდა დამეკრიფნა ჩემი ვალიკოსათვის ხელები. მე არ უნდა გამესპეტაკებინა, მე არ უნდა გამეპატიოსნებინა... რათა კაცო, რად მოიქეცი ეგრე უგზურად, რად მიქციე მადლი მატლაად, მაშ, არ უნდა გაფრთხილებოდი თავსა, რა გეგონა კოკა წყალს სუ მოიტანდა, არ გატყდებოდა, არ დაიმხხერეოდა... ავე, ვაი ჩვენ მოსწრებას, დაიმხხურა კიდევ, დაიფშ-ენა კიდევცა, წევხარ მანდ გაუნძრევლად, დადუმებული და დამუხჯებული... ვინ შენა და ეგრე უნძრევლად წოლაა, ვინ შენა და ეგრე პირის დამუწვავა... ვაიმე რო ველარ გავიგონებ შენ ბუხუნა ხმასა, ველარ დავი-ნახავ გალიმბულსა, იგრე რო გშენოდა, შემოგხედავდი და ეიტყოდი ვიპ, რა გულმის-ავალია ჩემი ვალიკო მეთქი ... შენც რო დამ-ინახავდი და მაშინთვე სახე გაგეხსნებოდა, შემომცინებდი, შემომანათებდი შენს ფრიალა თვალბესა... მოგიკვდეს ჩემი თავი, რო მეხ-ვეწვობდი და მელმერთობდი ნუ წახვალ, ნუო, სადაც არ იყოს ცოტა კმარიყოსო, პურს გაჭ-მევთ, ბალახს ხო არ გამოვებთო... მარტო პურიია, ჩემო ვალიკო, მე ხო ჩემთვის არ წამოვსულვარ, მე ხო თქვენთვის წამოვედი, ოჯახისთვის გადავდე თავი, თორემ მანდაც ხო ვშოშობდი თავდადებითა და პატიოსნად, მაგრამ არც შენი მუშაობითა და არც ჩემი ეჭონობითა არაფერი გამოგვიოდა, სულს ძლივს ვანიანრობით ვიბრუნებდით, ჩვენში ხო შრომა არა ფასობს, ვალიკო, არა, არა, თორემ, გიფი



ვიყავი ჩემი შეილებსთვის თავი დამჩენებინა, სამი ათასი დოლარი გვესესხნა და პოლას მისაგულვლად დაფდგომოდი გზასა, აბუეტი და გონ-ნაკლი ხომ არ ვიყავი, კაცო, დოვლათში მინდოდა მყოლოდი, დოვლათში, ბაღლები რო ვეღურებად არ გაგვეზარდნა, შენ რო ტყეში მუშაობით ფერდები არ ჩაგვეწყვიტნა, სახლისათვის მიგვეხედნა... ვაიმე, შოთიკოს ხველა გავიგონე, მოუკვდეს მაგას დედა, მამის ამბავში გაცივდა, ალბათ, დედი, დედი, ამაღამვე მოუხარშე ძეძვი და ასვი, გესმის დედი, დაბლა ოთახში გამხმარი კონები მცენარეებისა... კარგი დედი, კარგი, რო მამუნათედი და სუ თითის ქწევით მაფრთხილებდი, ნუ ამოიკვეთე, გოგო, გულში იტალიაო. ჯან-ღონით სავსე კაცსა უშენოდ ნუ სტოვებო, ზოგი იგეთი ოხერია, კაცს რო დაიმართხვლებს, არამც და არამც უკან არ დაიხვეს, არ დაიხვალისო... არა, დედავ, არაა, მე და ვალიკოს ვერავინ გაგვყრიდა სიკვდილის მეტი... ნეტა როგორც ქალები მე მახეს ვერ დამგვებდნენ, იგრე თეთონ ვალიკოს არ დაგო მახე თავისი თავისთვისა და არ მისძალუბოდა სმასა, არ იწვებოდა ეხლა მაგრე გამოტლი, ვალიკო, არა, რო მეხვეწებოდი ვერ გავმლებ უშენოდო, მაშ, როგორღა უნდა გასძლო, ავე რა ქენი, ხელი რო მიჰყავი სმასა, მანქანაც დაამხვური და შენ თავსაც წირვა გამოუყვანე. განა არაა, ბოლო დროს რამდენი დაერევე, სუ არა-პოთი მპასუხობდა ჩემი შოთიკო, არ უნდოდა ეთქვა, არაა, რო იყდა მამა ბიჭებთან და სვამდა, დალილია და სძინავსო, დალილია და დაწვაო, პოდა, ავე როგორ დაწვა, სამუდამოდა და სამარადჟამოდა— ვე გინდოდა, ვალიკო, ვე გინდოდა, ჩემი ხვეწნა ძირს რად დაუშვი, ვალიკო, ერიდე სასძელს მეთქი, გულში ჩაიკენჭე ჩემი მუდარა მეთქი, ზოგი ხარივითა სვამს და არაფერი, შენ კიდევ ვერ იტან ღვინოსა და რას ეძალუბოდი, კაცო, დაივიწყე რო ფათურაი წყლის ფერია... რად გააქარწყლე შენი ფიცალი გულზე მკიდიხარ, გულზე მკიდიხარო, ეს არიი შენი სიყვარული, ვერე გეკიდე გულზე, ვერე? ეშმაკის წინ მალაყს ვინ იზამს, ვალიკო, ვინა! პოდა, ავე, საცა წერილი იყო, იქ გაწყდა! მესმის, მესმის, იგეთი გაუგებელი კი არა ვაარ, რო დარდიანი იყავი, ჯავრი-

ანი იყავი, გაიწეწე-გამოიწეწა ჩენი ოჯახილო, სნიოდი, წიო-წიოდ დაიარებიან ძაღლებით, დალულულები, ღელა კიდევ წარამარა ტირისო, მოუკვდეს მაგას დედა, მაგრამ ხო იცი, რო მეტი გზა ჩვენ არა გვექონდა, არაა არც ამოდენა ქალებსა ჰქონდათ მეტი გზაა, აქ რო არიან, ჩვენ ხო გამონაკლისები არა ვართ, ჩემო ვალიკო... დაიმმა ქვეყანა, დაიმმა, შემობრალეთ ქალებო, შემობრალეთ, ვარავე, ვენერავე, თინო, მაყვალავე, ყველაამ, ყველაამ, იმის მაგივრად ჩემი ვალიკოს კუბოს თავს ვახლიდე, ჩემ დაობლებულ შეილებს გულში ვიკრავდე, პოლას უნდა მივხედო, ყველაფერი გაუკეთო... განა ცული ქალია, პირიქით, ძალიან გაგებული ადამიანია, ვეცოდები, ძალიან ვეცოდები, სუ იმას მუხებნებაა ეს რა კაცები გყოლიათო, ავისო აქაურობა თქვენი ქალებითო, კაცები კიდევ სხედან და თქვენ გასამრჯელოს ელიანო... გული დამეტანჯება ხოლმე, ქალებო, გული, ვარწმუნებ არა მეთქი, არაა, სამუშაო რო ჰქონდეთ, აქ კი არა, თუნდ სადაც გინდა წაელენ მეთქი, თავით ნიორს დანაყვენ მეთქი, ვინ გაიგონა ჩენი კაცების უქნარობა მეთქი, ვინა... ვერ ვაჯერებ, ვერაა, ეს თქვენ ხართ კარგებიო, მეო არც მინახავს თქვენისთანა ქალებიო, ეგეთი თავდადებულები, ეგეთი მსახურებიო თავისი ოჯახისო, მეო ჩემ სიცოცხლეში ჩემი ქმრისათვის არც არაფერი გამირეცხავს, არც არაფერი მომიზადებიაო, მოსამსახურე და მზარეული კი არ ვიყავიო, საყვარელი და პატივსაცემი ცოლი ვიყავიო, შეილების დედაო, აი, ეგეთებს მეუბნება, სუ უცხო-უცხო სიტყვებს, მიდი და ელაპარაკე... ვინდა თუ არა, რამ გაგადარბათ ვერეო, სამხრეთის ქვეყანააო, ღვინის ქვეყანააო, თუ მართლა გამრჯე ხალხიაო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გიჭირდეთ ... აა, რა უნდა ეუთხრა? უკვირს, უკვირს, აი, რა ტბილად მიკეთებ ნემსსაო, თურმე ექთანნი ყოფილხარ, შენი ქმარაც ტყეწიკოსიო და ვერე რად უნდა გაგჭირვებოდაიო, გესმის ვალიკო, რატომაო, ამოდენა გზაზე წამოსულიყავი და ჩემთვის ნემსები გეკეთებინა და პამპერსები გეცვალაო... ჩვენებური საჭმელიც როგორ უყვარს... შენი ჭირიმი ვალიკო, შენ შემოგველე, შენც როგორ გიყვარდა ჩემი გაკეთებული ჩახოხბილი კვერცხით, პოლასაც გა-



ეუკეთე და სუ გადაირია, ყოველ დღე რო ეჭამო, არ მომწინდებო, მამ, ხნაღზე რალას იტყვიის, სუ გაგივდება... მაპატიე ვალიკო, ქალებო, თქვენც მაპატიეთ, სიტყვამ სად წამიყვანა, როცა ჩემი ვალიკო აღარა მყავს, როცა ჩემ ვალიკოს ველარც მოუხარშავ და ველარც მოუხრაკავ... მუხუნებოდი ვალიკო, რო დაბრუნდები, ცხვარი უნდა დაგვლო, ალავერდიის წმინდა გიორგის შეკუთქილო, ვაიმე, ვაი ჩემ თავს, თურმე შერთვის უნდა დაიკლას, ჩემო ვალიკო, ცხვარიცა და მოხვერიც... ქალებო, ჩემ ბიბაშვილ ანზორას უთხარით მსუქანი ჭვდილა და კარგი ერთი წლის მოხვერები დაუკლას ჩემ ვალიკოს, იყოდეთ, არაფერი არ უნდა დააკლოთ, არც მწარე და არც ტკბილი, ღვინოც კაპლივით უნდა იყოოს, საუცხოო და სანიმუშო. ერთი რაღაცა პიტლი და გაკეთებული ნარცხი არ დადგათ სუფრაზედა. ყველაფერი რიგითა და წესით უნდა აღუსრულოთ ჩემ ვალიკოსა. სალაპარაკოდ უნდა გახდეს ჩემი ვალიკოს ჭირის სუფრა... ცოცხალს არაფერი დაეკელი და მკვდრისთვის დაეიმურებ?... არც დამიმურებია და არც დაეიმურებ, აქაც გიხდი პანაშეიდას, ჩემო ვალიკო, ძვირფას ეკლესიაში, ნიკოლოზის ეკლესიაში, ვითომო წმინდა ნიკოლოზის ნაწილია აქო, რა დიდებული ეკლესიაა ვერ წარმოიდგენ. მერე კიდევ აქაურ კაფეში, ტრატორიას ებახან, ჩვენი ქალები შემოუხსნდები სუფრას, მე შენ გატყვი ცოტანი არიან, ბევრნი ვართ, ბევრნი, შემოუხსნდები და ვაი, ჩემს მოსწრებას, შენ შესანდობარს დაველევთ, აქ ლამარა არის ერთი, ქვემო სოფელში, ჩვენი ბელადია და ის იქნება თამადა... ივეთია, ივეთია, ხისა და ქვის დამნობი, სუ ეს ლამარა ვეამხნევეს, სუ ის შემოგვძახებს ხოლმე, კვირაობით რო შეეკრებებით, ასწით თავები, რას ჩაგეჭინდრავთ? იცით ჩვენ რამოდენას ვარგებთ ჩვენ ქვეყანასო, ჩვენი გაგზავნილი ფულითა? თვითონ უკვე ამ პამპერსების ცვლითაა თავის შევილებს სამი ბინა გაუხერხაა, სწორედაცაო თბილისში უნდა იცხოვრონ ჩემმა შევილებმა და ჩვენც სუ იმას დაგვძახის: ამოდენა ქონება რო შედის ჩვენ ქვეყანაში ჩვენგანო, აპაპაპაო, აქედან არავინ უნდა წახვიდეთ ისე, ბინა თუ არა, სამალაზე ფართი მანც დაიგუ-

ლოთიო... ჰოდა, მე ბენაეც მალაზის ფართზე ვოცნებობდი, ჩემი ვალიკო როგორ ვახსარებს მეთქი, რო დატრიალდება და ყველაფერს მარიფათიანად გააწვობს მეთქი... რათა, რათა, რათა, რათა, რათ წახვედი, კაცო, მერე უნურად, რას მერჩიოდი, რასა, ან მეე, ან ბაღლებსა, რასა ჰვიქრობდი, რასა აზრობდი? მალაზიაში ტრიალი არ გერჩინება, შავი მიწის ყურებასა, არ გერჩინება? სუ იმას რე სჩიოდი დაიცალა აქაურობაო, ვაიმე რა გვეშველება, აქაურობა ჩინელებითა და თურქებით გაივსო, თქვენ კიდე მიდიხართ და მიდიხართო... მამ, რა გვექნა, ვალიკო, უყველაფროდ გასძლებს ადამიანი და უპუროდ კი ვერა, ვერა, ვერა, ყველას ყველაფერი ეშველება და შენ კი ველარა! შენ პანაშეიდადი და ქალებები, აი რა! აზირ თუმე ბისა ვიქვაათ, ნეტავ ალენებში თუ კიდევ დარჩნენ თუშის ქალები, შეიდასნი ვართ წამოსულებიო, თუში თამარა ამბობს, აქო, საბერძნეთში და ამერიკაში... გარმონები აქვთ წამოდებული, წიკოწიკოები და გასწვევენ ხოლმე... ჰოდა, მინდა ვალიკო, რო დავსხდებით შენ მოსაგონებლად, ამ თამარას სამწუხარო დაგაკერვინო და ვამღერო თუმური, აი, ისაა, დართლოში მიმავალ ქალსა შევილები რო დახრზობოდა ალაზანში, დამედარიყო ბექსეე, გაეწივნა გარმონი და გულამოსკენით ებღერნა... ვიშ, რამოდენას ვიქვითქვითებით, ნაცრემლ დაგადევენებ ქალებიც... რაზე მიკვდება გული ვალიკო, რაზედა და რო ვერ დავითალხები, უნდა მაპატიო, შენ გენაცვალე, გაგებით უნდა მოეკიდო ამ ამბავს... ერთი რო შავი არაფერი მაქვს და გამოდის უნდა ვიყიდო და ზედმეტი ხარჯი გავწიო ჩემთვისა, მაგრამ ჯანაბას ეკრობი, ვიყიდი, ვიყიდი და დავითალხებოდი, რა ექნა, პაოლას არ უყვარს თალხები, მეო ცხოვრებაც ხანხანა მიყვარდა და ტანსაცმელიცო, და მწუქნის და მწუქნის სუ ნარნარებს... სწორედ პაოლამ მიმასწავლა სად უნდა მეყიდნა შერთვისა და ბაღლებისთვის ტანისამოსი... როგორ მიხაროდა მე საცოდავსაა, სურვილი და ნატვრა რო ავიხრულეე, ჩემო ვალიკო, სუ რო ის იბახე, მაშაო, ერთი ჯინსი ვერ უნდა ვიდირსოვო, რამდენი ვარჩიე, რო კარგიცა ყოფილიყო და იაფიც, რო შერთვის ყველაფერი კარგი და მოსაწონი მეყიდნა, ჩემი კოხტა



ვალეკო კარგად მოვრთო მეთქი, რასაცა ნა-
ტრობდი, ყველაფრის ღირსი ვაგხადე, ყვე-
ლაფრისაა, ვინისი შარვალ-კოსტუმისაცაა, ტყავის
კურტკისაცაა, საუკეთესო ფეხსამოსე-
ბისაცაა... თურმეე შავი მიწისთვისა გრთავდი
და გახზავდი... ტყეში მუშაობითა და ღორების
მოვლითა ყველაფერი რო შემოგეფლითა,
ალარაფერი გჭონდაა, დავინახავდი დაა გული
მომეწურებოდაა, ნუთუ ეს ჩემი პეწენიკი ვა-
ლიკოა მეთქი, ვაითუუ ალარაფრად მივაჩ-
ნივარ, ვერე ჩაწულიასავით რო დაიარება მეთ-
ქი... თან სუუ ის მიხაროდა მე თვალდამდ-
გარს, ექნება და ექნება მეთქი, და მართლა
ვერე კი გამოვიდაა... მე კი ყველაფერს ვის-
რულედი, რასაცა მთხოვდი, შენ კი, შე კარ-
გო ადამიანო, დაგვიწყდა ჩემი მუდარა ერთდ
სასმელსა მეთქი, აკი პირობაც ჩამოგართვი,
მუცელი შენს ქვევით არ არის მეთქი, ხო
გუუბნებოდი ამოიფხვენი გულიდან სმა მეთ-
ქი... შენ კიდევა, მამ რა ექნაო, იგრე ვაძ-
აღლდა ცხოვრება, ცოტა შეება არ მივცეე
ჩემ თავსაო... მამ, გული არ მოვიოხოვო...
აგეე როგორ მოიხე გული, შენ გულს ვენ-
აცვალე... ყვედრებით რო მავსებდი გაიჭერა
ხაარო, რასაც გულში ამოიკვთავ, ის უთუოდ
უნდა შეასრულოო, აბა, ეხლა მანდ რო ვიყო,
რის მაქნისი ვიქნებოდი, ჩემო ვალიკო, რა
უნდა მექნა ტირილისა და თავში ცემის მე-
ტი... რა გვეშველებოდაა... ვიფართხალებდით
თუ არა შიმშილით... მერე როგორ, რო იცოდეე,
დაგვეშეშოდნენ ბალები... დედა მოუკვდეთ
და დედა გაუთავდეთ მაგათაა... ჩიტის რძე
არ უნდა მოვაკლო და იგრე მოვრთა და
მოვკაზმო, სუ ის იძახონ ვისებე არიანო,
ვისებოლო... არა, არა ჩემო ობლებო, თქვენი
კვერი არც როდის ნაცრიანი არ იქნება, არა...
არაფერს მოგაკლებთ დედათქვენი, არაფერსა,
სადაც სხვა იქნება, თქვენც იმათში იქნებით,
ცოტა მოიცადეთ, თქვენ შემოგველეთ, მოუკა-
დეთ დედასა, ვინც მოითმენს, ის მოიგებს, ჩემო

შვილებო, და თუ ვერ მოითმენთ, წამოვიყ-
ვანთ აქა, გველის ტყავში ვაძვრები და წა-
მოვიყვანთ, ივითი სახლი აქვს პაოლას, სასახ-
ლე გვერნებაათ, ყველაფრით სავსეაა, ქვაცა
აქვს და კაკალიც და თანაც კეთილიაა, მეუბ-
ნება კიდევ ჩამოვიყვანე ბალებო, აქ სუ სხ-
ვანაირად გაიზრდებიანო, ცოლო ხარო, ცოლო-
ვო და სუ სიყვარულს მეფიცება... კარგად
ვუვლი და იმიტომა, ერთგულად და გული-
ანად, აბა, მამ, როგორ, ამაში ვიღებ ვეროებსა,
ამ ვეროებითა ვოცნებობდი სამალაზე ფარ-
თის შექმნასა. ეხლა კიდევ გუნებაში სუ
შენი საფლავი მიტრიალებს, სუ შენ საფლა-
ვზე ვფიქრობ, კარგი ქვა უნდა დაგადოონ...
ქალებო, ჩემო ქალებო, არაფერი არ უნდა
დაიშურონ ჩემი ვალიკოს საფლავისათვისა,
იმდენს გამოვწავნი რო თავს გადაუვა კარგ
მარმარილოსაა, და რასაც გადააყოლე შენი
სიცოცხლე, იცოდე, ვალიკო, ის სურათი უნდა
იყოს მარმარილოზედა, ფეხზე რო დგეხარ
ყანწით ხელში, სწორედ ისაა... ბიჭები რო
ქვიფობდით დაა ნოშრევანმა გადაგილოთ, ნეტა
იმ დროს ვაიმეე, როდის შეღირსება შენი
საფლავის ნახვაა, როდის დავეშხობი დაა შენს
მაგიერადაა საფლავის ლოდს ჩავეხუტები...
ვაიმეე... ვაიმეე... არ გაიხაროს გაუხარებელ-
მაო, ჩვენზეა ნათქვამი, მაგრამ ქვას დავკო-
დავ, ვალიკო, და ჩემ შვილებს კი ვავახ-
არებ... ჩვენი დარდით სულს ნუ დაიძძიებ,
შენი ჭირიმიე, ცოლშვილის დარდს ნუ გაიყ-
ოლებ, ნუ... რასა ვთხოვ ოღონდ, ვალიკო,
თუ მართლა არსებობს საიქიო და სულთა
კრებულები, გეხვეწები, ჩვენ მამა-პაპას არ
უთხრა, არ გაუშხილოო, რო ლამის დაცა-
ლოს ჩვენი ქვეყანა... ლამის გაუკაცრიელდეს
აქაურობაა... ქალებო, ჩემო ქალებო, მაყ-
ვალ, ვარავ, ეთერო, აბა თქვენ იცით, როგორ
ლაზათსაც დაადვენებთ ჩემ ვალიკოს... ეხლა
გამითავდა ბარათი და ყოველდღე დავრეკავ
და ვერე მაინც ვიტირებ ჩემ ვალიკოსა.



ახრიზამანი

მომხროვა

წინათ სხვანაირად იყო, წინათ ყვენი მართლა ჯარით მოდიოდა, განა როგორც ეხლა, რო ვირზე უკუღმა ზის, ხელში იმისი ხმელი კუდი უჭირავს და უკან კიდევ მთელი ქალაქის სამშულები მოსდევნ. მაშინ რო ომი იყო, ნამდვილი ომი გეგონებოდა.

თორმეტი წლისას მამაჩემმა მარცხენა მხარზედ საფრად ნაბადი დამაკრა, ხელში ზის ხმალი მომცა და სოლოლაკის ხეში წამოყვანა. დედაჩემი ტიროდა, თავს იკლავდა — ჯერ პატარაო, მაგრამ არ გაუგონა.

ყველიერის პირველი კვირა იყო, მთელი ტყილისი ყვენობის სათამაშოდ ეშხადებოდა. ქალაქი გაყოფილი იყო ორ უბნად — ერთი იყო ისანი და მეორე ნარიყალი. ღამით ყვენი ისნელებიდან გამოსულიყო და ქალაქს შემოსეოდა. დილით გზებზე თავისი ჯარი ჩაეყვნენა, რომ გამეღელ-გამომღელისთვის ხარკი გამოერთმიათ, თვითონ კი ტახტი სეიდაბადზე დაეღვა და იქ დაბრძანებულიყო. იმისი მოხელენი ხალხს იჭერდნენ და მიჰყავდათ ყვენთან თავყვანის საცემად.

იმ დროს ჩვენ საიდუმლოდ ვაშხადებდით ჩვენს ჯარებს სოლოლაკში. შუადღისას ყვენი შევეუთვალეთ — იცოდე, უსისხლოდ არ დაგნებდებით, სჯობს თავი დაგვანებო და მშვიდობით წახვიდეო, მაგრამ მოგვივიდა ამაჟვი, რო ყვენი ბრძოლისთვის ეშხადებაო. რაღას ვიზამდით, ავიყარენით და სეიდაბადისკენ გავეწიეთ.

მტერი შუაბაზრის თავში შემოგვეკვება. დუქნები დაკეტილი იყო. ხალხი ბანებზე იდგა, იქიდან გვიყურებდნენ და შეძახილებით გვაშხენებდნენ.

ბრძოლა დაიწყო ჩვენ, ზემო უბნის ბავშვებმა. მე გადავხტი წინ და დაიწყო შურდულით ქვის სროლა, მერე კი, როცა ახლო მივედი, ზის ხმლები ვიშმშვლეთ და დავერიეთ ერთმანეთს. უფროსები ყვრილით გვაქეზებდნენ. ისმოდა ზურნის ჭიჭყინი და საყვირე-

ბის ღრიალი. ხმლის ქნევაში ისე გავერთე, რომ ვერც კი გავიგე, წარბი როგორ გამიტეხეს. მამაჩემმა თავი შუქანე ბაღდადით შემოხვია, ერთ ბანზე შემსვა და დაიწყო ნამდვილი ფლავენების კრივი.

მამაჩემი და იმისი ამხანაგი მედროვე კოლა მკერდალეილები, ჩოხის კალთებაკეცილები კრივობდნენ. კოლამ წულებიც კი დაიხადა და ბანზე შემომიყვარა.

მტერი დოგა-დოგა მოდიოდა. ჩვენებს გაუჭირდათ, ზოგი უკვე დაჩოქილი იჭნედა მუშტებს და სწორედ ამ დროს დაიძახეს — „პარიქა, ქომაგიო!“ — ატყდა ჩოჩქოლი და ჩვენის მხრიდან ჩაგარდა გიგი ოპანეზა, რომელიც ისნელებს მუშტის ქნევით დაერია და თან ყვიროდა; „პა! განი! მაგრა დადექ!“ ოპანეზას ჩარევამ ჩვენებს პარაქათი მისცა, მიანვენენ და მტერი ცემა-ტყვით სიონის საყდრისკენ გარეკეს.

ახლა იმათში შეიქნა ყვირილი და „ქომაგი, ქომაგის“ ძახილი. უცებ, გადმოხტა იმათი მხრიდან ქაჩალ-სტეფანე — მაშინვე უკვე მელოტი, კარგად ჩასხმული ბიჭი და ატყდა მუშტის სასტიკი, დაუნდობელი ბავაბუგი.

ჩვენები ჯერ კი გამაგრდნენ, მაგრამ, ბოლოს მაინც უკან დაიხიეს, ზემოთ ამოინაცვლეს და ისევ შუა ბაზრის თავში ამოვიდნენ. ამ დროს ბანებზე გადამომდგარმა ხალხმა ძახილი მორთო: „ბიჭები მააშველეთ, ბიჭებიო“ და ეხლა ჩვენი უბნის თათრები ჩავიდნენ. იმათი გაპარსული თავების დანახვაზე ხალხმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ისნელები არა ტყვებობდნენ, გმირულად იბრძოდნენ და ერთი ნაბიჯითაც უკან არ იხევდნენ.

თურმე, წინა ღამით, ჩვენებს ერთი რაზმი ოხერახვეში დაემალო. იმათ ნაბრძანები ჰქონდათ, საჭირო დროს მტრისთვის ზურგიდან დაეკლათ. მართლაც, სულ მალე, ზემო უბნელების სამარქაფო რაზმი ისნელებს უკნიდან მოადგა და დაუწყო იქიდან შურდულებით



ქვის სროლა. ქვა ზუზუნით მოდიოდა, ყვენი ხალხი თავს ნაბღებით იფარავდა, მაგრამ მაინც ძალიან ბევრი დაიჭრა. იჭაურობა სისხლით მიირწყო.

მტერი დაიძალა და უკუიქცა.

ჩვენებმა სეიდბადი აიღეს, ყვენი და იმისი ცოლი დაატყვევეს, ვეღღმა ბიჭებმა ხელში აიტაცეს, მტკვარზე ჩაარბენინეს და ორთავენი წყალში გადაყარეს.

მეორე წელიწადს კი ტფილისში ნამდვილი ყვენი მოვიდა.

იმას ჩვენი ბატონისთვის ადრევე შემოეთვალა: ურუსის თავი დაანებე, ყვენი შენ დოსტეხად არ გამოგადგებიანო, მაგრამ ერეკლემ არ გაუგონა.

თამაშობა როდიდა იყო — მოვიდა დიდძალი ჯარით და ქალაქი ცეცხლს მისცა. მამაჩემი თავისი სამქრით კრწანისში ჩაწვა. ამბობდნენ, ერეკლე ხვესურეთში გადაიხვეწაო.

იმ დროს მთელი ეს ჩვენი საქართველო სტროლიდა.

დღეგრემმა მე და ჩემი უმცროსი და, თალიკო, ერწოში, თავის ძმასთან გაგვიზინა. თერთმეტი წელიწადი იქ ვიცხოვრეთ და რომ ჩამოვედით, ტფილისის ისევ ცოცხალი დაგვხვდა: კლდის უბანში და ხარფუხში ხალხი ახალ სახლებს აშენებდა. შეიდანში ყაფანი იდგა. აქ სხვადასხვა მხრიდან მოდიოდა ყველანაირი საქონელი. სამქარი პამქრობდა და ქალაქსაც ისევ ქალაქი ერქვა, მაგრამ ტფილისი უკვე რუსს ეკვირა.

მე მთაში ტყვილად არა ვყოფილვარ, ბიძაჩემ ბოიგარს ვედექ მწვემსად და სამწვემსურისა, სამოცი სული ცხვარი შევგო. ჩამოვრეკე ეს ცხვარი ქალაქში, ძალიან კარგ ფასად გავყიდე, ერთი ერკემალიდა დაეინარჩუნე, რომელსაც „ყაზარას“ ვეძახდი. აღებული ფულით, ჩვენს გადაძვეარ ნაბინავარზე, ავაშენე პატარა, ოროთახიანი, თავისი აივნით, სახლი; შევიძინე, დგამი, ოჯახისთვის საჭირო სხვა რამე-რუმე და დაეინყეთ ისევ ძველებური ცხოვრება. მარტო ვე იყო, მამაჩემი აღარა გვყავდა.

იმ დროს ქალაქში კრივი და ყვენობა აღარ იმართებოდა — ძველი ხალხი ხოჯასთან ომში ჩახოცილიყო, ახლები კი ხოშს მამლებისა და ყოჩების ჭიდაობით იკლავდნენ. მამლებს შუაბაზარსა და შეიდანში, დუქნების წინ აჩხუბებდნენ, ყოჩებს კი გარეთუბანში — გაშლილ

ალაგას. პატრონებს თავთავიანთი ყოჩები იქ დროშეებით მიჰყავდათ, თან აუარტებელი მაცურებელი ხალხი მისდევდა. ვერ სანამდლოს ჩამოდიოდნენ და შემდეგ აჭიდავებდნენ. ხშირად ხდებოდა ჩხუბი და ხანჯლების ტრიალიც, მაგრამ არც არავინ კრივობდა და არც აღარავინ ყვენად იდგა.

ეს ჩემი „ყაზარა“ რო კარგად მოყონდა, ყელზე ფერადი მძივებით მოქარგული ტყავის საყლო შევადი, ქოჩორი ენდროთი შევეღებე, ქერის სალუდე ფორით დავათვრე და საჭიდაოდ წავიყვანე.

ძალიან ჩასპანდი რამე გამოდგა — ნიძლავს ნიძლავზე მაგებიანება, მაგრამ როცა ოლრამ მისაკას სახელგანთქმული ყოჩიც გაიბურთავა, იმ ლირფმა ერკემლის საბჭური ჯაჭვი სახეში მიარტყა და ყოჩი გამიფუჭა. იცოცხლებო, მე მისაკას ოხტში მოვედი, მაგრამ „ყაზარას“ აღარაფერი ეშველა — გაბრუტიანდა, თავს იწევედა და ცხვირიდან ცინგლი გასდიოდა.

რალას ვიზამდი, სამშობოდ დავკალი, მაგრამ ოჯახში ერთი ჩიჩქვიც არ შემიძინია, ხელზე გვყავდა გაზრდილი და ვერ შევჭამდით — მთელი ხორცი ღარიბ მეზობლებს დავურვივე.

მე ბიჭობაში დერციკის შევირდი ვიყავ, ჩოხა-ახალუხის კერვას ვსწავლობდი, მაგრამ მწვემობაში ხელობა დამავიწყდა, ეხლა კი უკვე გვიან იყო, ამხელა კაცი შევირდად ხომ აღარავის დაუღვებოდი და რაღვან ცხვარის ავან-ჩავანი უფრო გამეგებოდა, დალალობა დავიწყე: თუმებსა და ყარაბადელ სომხებს ლოჭინის ხეში ვზვდებოდი, იმათან ცხვარს ვყიდულობდი და შემდეგ ყაფანზე ვყიდი.

ასე იყო თუ ისე, ორიოდ გროში მოვიწავრე — ჩვენი თალიკო ერთ კარგ, კოდელ ბიჭზე გავათხოვე და დღეგრემს მოჯამაგარე აუყვანე, რომ მოხუც ქალს სახლის საქმით დიდი ჯაფა არ დასდგომოდა.

ის დრო იყო, რომ ყველიერი ახლოვდებოდა, მაგრამ ქალაქში ჩამი-ჩემი არსად ისმოდა. წინათ, ყველიერის დადგომამდე, სეიდბადის ხელოსნებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული, ისინი ამზადებდნენ შურდულებს, საცერე რგოლებსა და სალდასტებს — ცალკე ყვენისა და ცალკე კოდე ქალაქის ჯარისთვის.

ეხლა ტფილისის ჩუმად იყო და მე ეს სიწუმე ჭკუიდან მშლიდა.



ერთ საღამოს ხმელი ხილი ვიყიდე, მდროვე კოლას ბიჭი წავიყვანე და გიჟ-ოჰან-ეხასთან მივედი. ოჰანეზა გიჟი აღარ იყო — ბებური იყო, თანაც ბრმა. ჩვენ რო მივედით, ხმაზე გვიცნო: შენაო, — მუუბნება, — მჭედელ იაგორას ბიჭი არა ხარო? მეთქი — ხო და ესა? ვა, ხმა ამაილოს და გეტყვიო! და ხმა რო ამოიღო, — ეგ კიდევ მდროვე კოლასიაო! გავიციინეთ და ხმელი ხილი წინ დავეულავეთ.

ოჰანეზას კბილები არა ჰქონდა, მაგრამ მაინც ერთი აღჯანაბადი აიღო და ლოლნა დაუწყო, თანაც გვეკითხება: აბა, რახედ შესწუხებულხართო?

მე ვუთხარი — ყვენობა უნდა გავმართოთ, შენ გამოცდილი კაცი ხარ და გვიჩიე, როგორ მოვიტყეთ-მეთქი.

გაიხარა, პირზე ღიმილი მოერია — ბარაქა-ლა, ბიჭებსაო! და ყვენი ვინა გვაეთო?

— მეთქი, ყვენი მე ვარ!

კარგო, — ამბობს, — მაშინ ისანში გადადით, ქაჩალ-სტყუანე ნახეთ და უთხარით, გიჟ-ოჰანეზამ შემოგითვალა, შავ ორშაფათს ყვენობა იქნება და სალდასტის კრივი გამოაწყო-თქო.

ქაჩალ-სტყუანე იმ დროს უკვე ასნაუი იყო, დაბლების ამქრის უსტაბაში, ცალი ყურიდან მარტო ბიბილოლა დარჩნოდა და ლოყაზეც, ნიკაამდე, წითელი ნახმლევი ჩამოსდევდა; ეცკა შავი შალის ორჩაქიანი ჩოხა და ატლასის წერილნაოჭიანი ახალუხი, განიერი შარვლის ტოტები ყაფადიან წაღებში ჰქონდა ჩატანებული, წელზე კი ვერცხლის გობაკებიანი ქამარი ეკეთა.

ჩვენ რო მივედით, დუქანში ვიღაც თათარს ნარდს ეთამაშებოდა. გიჟ-ოჰანეზას სახელი რო გაიგონა, სტყუანემ თათართან ბოდში მოითხოვა, ნარდი არია და ცალკე ოთახში გავვიყვანა: აბა, რა არიო?

ჩვენ ვუთხარით, როგორც იყო.

ჯერ მე გადამპროშტნა, მერე კოლას ბიჭი და მდუქნეს დაუძახა — რამე მოგიტყაო!

გაიშალა უბრალო სუფრა; ყველი, პური, მწვანილი და ბოლოს — მწვადი. ორ-ორი ჯამი რო დავლიეთ, ქაჩალ-სტყუანე გვეუბნება: ხოლოთ, ყვენი ჩვენი იქნება, ათადან-ბაბადან ვერე ყოფილა, ყვენი ისწულებიდან გამოდილიაო.

კოლას ბიჭმა მე შემომხედა, მე — ქაჩალ-სტყუანეს.

ბა, რა არიო?

მეთქი — ყვენი მე ვიქნები! რატომ არა, იყავიო და თითქმის კიდევ დავლიეთ.

მას მერე, აი, ორმოცდახუთი წელიწადი გავიდა და მაინც სულ მუდამ ყვენი მე ვარ.

ესლა რა იყო ეს ყვენობა? ყვენობა იყო ჩვენი საქართველოს წარსული ისტორიის ცოცხალი სურათი: ხშირათ მოსულან ძველ დროში სხვადასხვა ქვეყნის ყვენები, მაგრამ მათი ბატონობა არასდროს დღევრძელი არა ყოფილა, ჩვენი ხალხი ვერც ერთ უცხო რჯულის დამპყრობელს დიდი ხნით ვერა ჰკუობდა — ბოლოს მაინც ადგებოდა, მტრის აპურებს დაწვევტამდა და უღელს კისრიდან გადაიგდებდა.

მე რო ჩემი ნახირ-ვეზირებთა და ეტიკუბით სეიდაბადზე დავედებოდი, ერთ ნახვად ღირდა. ვეზირებად ქალაქის ლაზღანდარა ბიჭები მყავდა. იმათ მუნასიბად ისეთი სიტყვა უნდა ეთქვათ, ხალხი სულ სიცილით დახოცილიყო. თავზედ მუხურა ყიზილბაშური პიოზა ჰქუდი, ცალ ხელში ქაფქირი მჭვირა, მეორეში — შამგური, რომლის წვერზედაც ხახვი იყო წამოგებული; ყელზე მკიდა შუშის მძივი, ტანთ ცხერის გადმობურნებული ტყაპუჭი მცეკა და ზედაც თივისაგან დაგრეხილი ულო მქინდა შემოჭერილი; ჩემი ფარეში გრძელი ცოცხით მინიაგებდა, ვითომცდა მოტყუებულ ბუზს მიქმევდა, გვერდით კი ფერუმარილით სახეგათხუნული, ქალურად გადაცმული ბიჭი მეცდა — ყვენის ცოლი.

ქალაქში დაჭერილ კაცს რომ მოიყვანდნენ, უფროსი ეტიკი არგანს წინ დაურჭობდა, ზან-ზალიაკებს დაუელარუნებდა, ყვენის საღამს მიათმევდა და ხარკს მოსთხოვდა. ერთ წელიწადს სეიდაბადზე სარჩობელა ავაგე და ვინც ხარკს არ იხდიდა, იმითი ვამინებდი. ბევრი ურჩი ჩამომიკიდა ყასიდად იმ სარჩობელაზედ.

მომდიოდნენ ქართველების ელჩები და შებრალებას მოსოვდნენ, მაგრამ ყვენისაგან შებრალება წესი არ იყო.

ნაშუადღევს მომასწინებდნენ: ქვეყანა აჯანყდა, ხალხი აღარ გემორჩილება და ქართველების ჯარი სოლოლაკის მაღლობზე გადმოდგაო. მე მაშევე ლოინზე შევედებოდი და საომრად გავწვედი, მაგრამ უკვე გვიან იყო — ქართველები სულ მუდამ გვეკობნდნენ, ერთხელაც არა თქმულა ჩვენი გამარჯვება.



ფიცხელ ომში ცოტა ხალხი როდი ზარალდებოდა, შურდულის ქვისგან ზოგს ორსამჯერაც ჰქონდა თავი გატეხილი, მაგრამ შარშან, შუაბაზარში, ისეთი კრივი ჩამოვარდა, რომ სამასზე მეტი კაცი დაგვეჭრა და ხუთიც მოგვიკვდა.

მეფის ნაცვალმა ეს ამბავი რუსთ ხენწიფეს შეატყობინა, იმან კი ბრძანება გამოსცა, რომელიც ვეღვიერის წინა კვირას ტფილისის ქუჩებში გამოაკრეს. აი, ის ბრძანებაც: „კრივის ნება გეძლევათ ქალაქგარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტის გარდა სხვა რამ იარაღი არაიან იხმაროს, კრივს თვალყური უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ნება ეძლევა შეაჩეროს კრივი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი ძალიან გახურდებიან“.

ეს ამბავი ელდად გვეცა — ყვენობა რო მახათაზე, ან დიღმის ველზე გამართულიყო, რაღა ყვენობა იქნებოდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მთავრობა თავისი ზაკონის კანონს არ გადავიდებოდა და ჩვენი ეს ძველი ჩვეულება მოკლებოდა. რუსმა განჯაფა გადაავლო და ყვენობას რაღას უზამდა.

შავ ორშაფათს უღვაში გავიპარსე, თმა ინით შევიღებე, ერთი ლოთი რუსის კაპიტნისაგან ნაყიდ მუნდირში გამოვეწყე, თავზე კაკარდიანი ქუდი დავიხურე, გაქუცულ ვირზე შევეცქე და ჩემი ნაზირ-ვეზირებითა და ეტკიებით სიონის ქუჩაზე ჩავიარე. წინ რუსული დოლი და ღოროტოტო მაგივდივოდა, უკან კი კამეჩებშემული ურემი მოგვდევდა, რომელზედაც ძველი ზარბაზნის ღულა იყო.

მთელი ქალაქის ბიჭბუჭობა დუნგოდ დაგველო — იცინიან, მუცლები სულ ხელით უჭირავთ. მეც, რაც შემბილიან ვინბაზობ, ხალხს „ჩესტს“ ვაძლევ და პიანიცა რუსიეთი მწვანე შტოფიდან არაყს ვეღურწავ.

ერთიც ვნახოთ, მოაჭენა ცხენი ვიდაც რუსის აფიცრმა, დაგვხედა, დაგვათვალვირა და მერმე ისევ უკან გაკურცხლა, გულმა მაშინვე რჩეზი მიყო, მაგრამ ჩემსას არ ვიშლი — ემასხარაობ და ხალხს ვაცინებ. გავიხედოთ გარადავოიც გამოჩნდა, ჩემი მუნდირის დანახვაზე ჭარხალივით გაწითლდა და დამიწყო რუსულად ლანძღვა-გინება.

მე ერთხანს ეუთმინე, მაგრამ რო აღარ ქნა, ფილჩევიან მიხაკას მიუბრუნდი: ვერა ხედაი, ეგ მუდრევი დიდებულს ყენს რეებს უბედავს, მძლი ერთი შენებური თავური აჭამე-მეუქი!

მიხაკამაც, „ბატონი ბრძანდებოი“, ქუდი მოიშვლიპა და რო არა გლანჯაქუცხედ საყდრის წინ გაავორა.

სეირის მაყურებლები ამან ძალიან გაამხიარულა, გულაღმა გამოტიღლ გარადავოის მიესიენენ და ზოგი წყალს ასხამს, ზოგიც ყურებს უსრესავს, მაგრამ მოცვიდნენ საიდანდაც ცხენოსანი ყაზახ-რუსები და ხალხს მათარხებით დაერივნენ.

შეიქნა საშინელი წივილ-კივილი და მიხლა-მოხლა, ვინ საით გარბოდა, ვერ გაიგებდი. ვიცოდი, რო ესენი უსათუოდ დამიჭერდნენ, ამიტომ ვირიდან ჩამოვხტი და პირი მტკერისკენ ვქენ. მართლაც, „სტოი, სტოის!“ ძახილით დამედევნენ.

მე ხიდზე შევევარი, ერთი განიერი პირვევარი გადავიწერე და ბარემ ყვენობის საბოლოო წესიც შევასრულე — მოაჯირს გადავევლე და წყალში გადავხტე.

მორვემა ჩიკორიეთი დამატრიალა, მაგრამ პირველი ხო არ იყო, მკლავი მოუესვი, გავეკურე და გულაღმა რო ამოვტრიალდი, დავინახე, ერთი ვილაც სალდათი ხიდიდან გაკვირვებული სახით მიყურებდა.

წყალმა წამილო და მქეთის წინ გამატარა — იქ ჩემი მეზობელი, თათარი შიხოლდი და იმათი მოლა იღვანე, ხელებს მიქნედნენ და იცინოდნენ. სულელები. რა დროს სიცილი იყო, ეს ოხერი მაუდი წყლისაგან ისე გააჟღინთა, ისე დამბიდა, მე კი სიცივისაგან ისე გავიფიქნე, რომ სავატობა აღარა მქონდა.

წყალმა მარცხნივ გამაქანა, კლდეზე მიმაგლო, მაგრამ ისევ მოუესვი და დინებას ქვემოთ გავყვევი. ის იყო, ნაპირზე უნდა გამოშეცურა, რომ ერთიც ვნახოთ, აბანობის მხრიდან ყაზახ-რუსები არ გამოცვიდნენ?! შემეშინდა, მკლავური მოუესვი, ქვემოთ გავქანდი და სალდათები უკან ჩამოვიტოვე. ისინი რო თვალს მიეფარნენ, ისევ ზურგზე ამოვტრიალდი, ყისმათს მივინებდი და ჩემი ცოდევილი სული მტკვარს მივაბარე.

მტკვარი კი ქვემოთ მიმაქანებდა, ტივის გალოპრილი მორიეთი მიმაკურებდა და, ალბათ, სადმე ჩამახრჩობდა კიდევ, რადგან მარცხნივ ფრიალო კლდე იყო, მარჯვნივ — რუსები და ეს სამოცდარვა წლის ბებერი კაცი, ყინულივით წყალში როდემდე გაუძლებდი? მაგრამ, ბედზე, გამოქვაბული არ დავინახე?! — კლდეში, ზედ წყლის პირზედ იყო გამოჭ-



რილი, ჩემს ჯეელობაში, ზაფხულობით, როცა ძალიან დაცხებოდა, საქვიფოდ აქ მოვდიოდით, ცეცხლს ვანთებდით, მტკვარში დაჭერილ თევზს ვხარშავდით და შწავდსაც ვწვამდით.

მივცურდი, კლდეს მოვეჭვიდე, უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიფე და შიგ ვადებობდით. ტანისამოსიდან წყალი წურწურით გამდიოდა და სიცივე კბილს კბილზე მაცემინებდა.

ახ, ჩემი ტფილისის აბანოები, რატო მანდ არა ვარ, რო გოგირდიანი წყლით სავსე, ორთქლიან აუზში ჩავედე და იქიდან აღარ ამოვიდე!

ნაცეცხლორზე დიდი, გაშავებული მუგუ-ზლები ელაგა, კლდის თახჩაში ტალკეხიც ვიპოვე და რის ვაინარობით ცეცხლი და-ვანთე. კარგად რომ დაგუზგუზდა და შემამ ტკაცატკევი დაიწყო, კაპიტნის მუნდირი გა-ვიხადე და ცეცხლს მივუფიცხე.

ეე, დავბერდი, მორჩა ჩემი ყვერა! ესხა სხვამ იყინოს და სხვამ იბაირამოს...

მტკვარგალმა, პირდაპირ, კრწანისი მონანს, ზემოთ - ხარფუხი, სეიდაბადი და ნარყალი. იქიდან შემწვარი ხორცის სუნი მოდის, ჩაიხ-ანასთან თათრები ცხერის შწავდს თუ აშიშხ-ინებენ. თვალწინ დამიდგა, როგორ ატრიალებს ის ყურუშალი შიხიოლი მაყალზე შამფურებს, მაგრამ სანამ კარგად არ დალამდება, იქ ჩემი გამოჩენა არ ივარგებს - დამიჭერენ და ნაობახტში გამომაშწყდევენ.

ტანისამოსი რო გაშრა, ჩავიციე, ცეცხლს მუგუზლები მივუწიე, მეც გვერდით მივუწიე და დალამებას დაველოდე.

მალე გამოქვამულში ისეთი სითბო და-ტრიალდა, ლამის დაცხა კიდევ...

უეტრად, თვალეები ვჭყიტე და მივიხედ-მოვიხედე - ჩამბინებოდა. ცეცხლი გამჭრალიყო

და თვალწინ აღარა ჩანდა რა, ვერც ვა-ვიხედე - ცაზე ვარსკვლავები მივხედავდნენ. ტფილისი ბნელში იყო. მარტო ერთგან ბუტა-და სანთელი, იქაც ალბათ ვინმე საწყალი კაცი კედებოდა და ღმერთის სულის აბარებდა.

გამახსენდა, რო ძილში დიდი ხნის მკე-დარი აშული ისმაილა დამესიზმრა - ხალხ-ში იდგა, თავზე ბოხოხი ეხურა, სახზე უკრავდა და თან მღეროდა:

*„დროება გამოიცვალა,
დამიდა ახრიზამანი,
ახალი დღია თენდება,
ტფილისში ყვის მამალი“.*

მე არ ვიცოდი, რა იყო ეს „ახრიზამანი“ და მამანქმს ვეძებდი, რო მეკითხა. მთელი ტფილისის მიცვალებულები იქ შეკრებილიყვნენ: მდროვე კოლა, გიფი ოპანეზა, ქაჩალ-სტე-ფანე, ოღრამ-მისაკა, ჩვენი თათრები, მაგრამ მამანქმი კი არსად ჩანდა. დავდიოდი იმდენ ხალხში, ვეძებდი და რო ვერა ვპოულობდი, ვტიროდი, თვალეებიდან ცრემლი მდიოდა.

ესხა ბნელში ვიჯექე, ყურში ისევ აშულ ისმაილას სიმღერა ჩამესმოდა და ის სიტყვა მანვალებდა - „ახრიზამანი, ახრიზამანი“... - ეწურულელები და უეტრად, მართლაც არ იყი-ლა მამალმა?! ჯერ კლდის უბანში დაიყოლა, მემზე - სეიდაბადზე, ბოლოს - ხარფუხში და მალე იმთ მთელი ტფილისის მამლები აჰყვნენ-

უკვე დრო იყო, რომ ვალმა გავსულიყავი. ტანისამოსი დაეიხადე, ბოხნად შევეკარი და ყინულივით წყალში შევეტოპე.

კრწანისის ჭალაში რო გავედი, მაშინდა გამახსენდა - „ახრიზამანს“ ძველი ქალაქელები აღსასრულის დღეს ეახდნენ და, მახლას, ვერც იყო.



სულ ერთი ნუთი მადროვი, ჯალათო!

ფანტაზია ვილიოტინის თემაზე, ნარსულისა და
დღევანდელთვის გათვალისწინებით

პიესაში გამოყენებულია ციტატები შექსპირის,
ცვეტაევის, ჭოსის, ელიოტის, სიგეძის
ნაწარმოებებიდან.

მოქმედი პირები:

სანდრო

მეზობარი — იმედლოვლად პროდიუსერი ან პირიქით, პროდიუსერი და
იმედლოვლად მეგობარი

შუხანბი — ამჯერად მენეჯერი, ადრე რეჟისორის თანაშემწე

I დურბალი

II დურბალი

კონსულტანტი

ბიზი, აზი, ბანი, ზაზა, ნუზხატი, ოსუსიანი, ჯუშუბი — მსახიობები, რომლებიც
ღრუადარო სექტაკლის პერსონაჟებად გვევლინებიან.

მარი — ესეც მსახიობი, სექტაკლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი.

ბახა — მსახიობი, რომელიც სულ გიტარით დადის.

ბობონა და ბიზი — სანდროს წარმოსახვაში არსებული პერსონაჟები.

ბერმანი — მხოლოდ პერსონაჟი.

რომა — რადისტო.

ბაბიბი და კახიბი — მასობრივ სცენებში მონაწილე მსახიობები.

ცარიელი სცენის შუაგულში, ოდნავ შემღვლებულ,
ეშფოთის მსგავს ფიცარნაგზე დგას თითქმის დამთავრე-
ბული, ნამდვილი ვილიოტინის ასლი. მუშაობით დაღ-
ლილი I დურბალი, ეშფოტის კბეზე ჩამომჯდარი სიგ-
არტს ეწევა. II დურბალი, შალაშინით რანდავს ვილი-
ოტინის კარკასის ერთ-ერთ ბელს. კახა, მსახიობი, რომელიც
ჩაცმულობით კლოუნს გვაგონებს, ვიტარას აღდარუნებს
და რაღაც გაუგებარ სიტყვებს წარმოთქვამს. ნელ-
ნელა გიტარის უაზრო ფლარუნდთან იკვებება მულოდია
და ტექსტუ გარკვევით იხმის, რომელიც სიმღერას წააგავს,
მაგრამ უფრო რეჩიტატივია.

კახა: ფეთქდება მანქანები
მატარებლები
თვითმფრინავები

კათამბეჯენები...
ქრისტიანები
მუსულმანები
იუდეველები
არაბები
ევროპელები
ამერიკელები
აზიელები
პროტესტანტები
კათოლიკები
შიიტები
სუნიტები

ერთმანეთს ზოცავენ...
ერთმანეთს ზოცავენ...
ყანა ღიუბარი კი,
სანსონს ევედრებოდა,
— სულ ერთი წუთი,
მარუექ, ჯალათო!...
სულ ერთი წუთიო...

კახა სიმღერას წვევებს, მცირე ხნით ღურგლებს მაჩერდება და შეუმწველად გადის სცენიდან.

II ღურგალი: კიდევ ერთხელ გაუხეხამს შალაშინს გილიოტინის ერთ-ერთ ძელს, შალაშინს სახელდახველიად შეკოწიწებულ ხის მაგიდაზე დადებს, მერე, ღიდი, გაკვეთილი პორტფელიდან, პურს, ყველს, არყის ბოთლს და პლასტმასის ჭიქებს ამოიღებს. **I ღურგალი** სივარეტს აქრობს, დგება და მაგიდას უახლოვდება.

I ღურგალი: ჩამოვა?

II ღურგალი: (არაფს ჭიქებში ასხამს) „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი...“

I ღურგალი: ან იქნებ არ ჩამოვა?!

II ღურგალი: „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი...“

I ღურგალი: თუ არ ჩამოვა...

II ღურგალი: „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი...“

I ღურგალი: თუ არ ჩამოვა, თავს ვილა მოკვეთს?!

II ღურგალი: „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი, არა გრიადით, არამედ სლუკუნით!“

I ღურგალი: თუ არ ჩამოვა, მაშინ ხომ შეიძლება მე დამავალონ!..

II ღურგალი: „ამოდი, კინჩ, ამოდი, შე, საბრალო იეზუიტო!“ (ჭიქას მიაწვდის) ამოდი და დალოი!

I ღურგალი: ან იქნებ შენ?! (სულმოუჭვლად გადაკრავს არაყს)

II ღურგალი: „თიხად გარდიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი!“

I ღურგალი: ათი წელი გავიდა მას შემდეგ და თითქოს არაფერი შეცვლილა...

II ღურგალი: აბა... შენ წარმოიდგინე, მართლა ათი წელი გავიდა...

I ღურგალი: რას ვთამაშობდით მაშინ?...

II ღურგალი: „მე ჭკუიდან შემოიღი მხოლოდ მაშინა ვარ, როცა ქარი ჩრდილო-დასავლეთით უბერავს...“

I ღურგალი: არა, რას ამბობ, ჰამლეტს არას... საიდან მოიტანე...

II ღურგალი: „სამხრეთის ქარში კი ბაყაყიყლაპის და ქორს ერთმანეთში კარგად გავარჩევ...“

I ღურგალი: მესაფლავებს ხომ არა?..

II ღურგალი: „სხვა რაღა დარჩა? საუკუნო მშვიდობა მხოლოდ...“

I ღურგალი: (ფიქრობს) ან იქნებ, გილიტნა სტერნსა და როზენგრანცს?

II ღურგალი: საბრალო, საბრალო ჰამლეტი... გაგვიმარჯოს! (სვამს) მაშინ ჩვენ ვთამაშობდით ღურგლებს...

I ღურგალი: ღურგლებს?..

II ღურგალი: ჰო, ღურგლებს... დაგავიწყდა?

I ღურგალი: მგონი გამახსენდა... ჰო, ჰო, გამახსენდა, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ გავიგე... ახლა რა უნდა ვითამაშოთ?.. ჩვენ ნამდვილი ღურგლები ვართ თუ ღურგლებს ვითამაშობთ?

II ღურგალი: თუ არ გაგვაგვდეს, ყველაფერს ავციხსინან — ტაში როდის უნდა დავეუკრათ, როდის უნდა ვიციროთ, როდის ვიტვიროთ და როდის უნდა შევიკურტროშოთ... და, რაც მთავარია, როდის უნდა მოვკვდეთ... (იორიოვლად) „დროთა კაცშირი დაიროღვა...“ (არაფს ასხამს) ერთიც დავლიოთ და ორი იქნება... კიდევ ერთხელ გაგვიმარჯოს!.. (სვამს)

I ღურგალი: გაგვიმარჯოს! (სვამს)

II ღურგალი: (ჩურჩულით) სინნელიდან სინნელეში გადადიოდა, მერე ისევ ახალ სინნელეში... სინნელეში დახეუტებოდა...

I ღურგალი: ვინ?.. ვერაფერი გავიგე...

II ღურგალი: (პათეტიურად) „წუხანდელ ღამეს როცა საათმა დაკრა ერთი...“ (იმანჭვება) აზრდელი დადის, აზრდელი კომუნიზმისა, ბრძანა კარლ მარქსმა...

I ღურგალი: კარგი რა, გეყოფა, თავს ნუ იგვიანებ... გიგები ისედაც არ გვაკლია, ვერავის გააკვირვებს.

II ღურგალი: „ჰამლეტ, მე ვარ სული მამიშენისა...“ (ციინის) ცხრა სიცოცხლე შეეწირა მამამისის ერთ სიცოცხლეს...

I ღურგალი: (თითებზე ითვლის) პოლონიუსი, გილდესტერნი, როზენგრანცი, ოფელია, ლაერტი, გერტრუდა, კლავდიუსი, ჰამლეტი... ცხრა თუ რვა?

II ღურგალი: იყოს რვა, მერე რა... „მოსმენამდის კი მოეშხადე შურისძიებად“... ოჰ, ეს შურისძიება, სამართლიანობით შენიღბული შურისძიება... სისხლიანი სასაკლავო მეხუთე მოქმედებაში სხვა არა არის რა... მიდი, დასხი... ერთიც დავლიოთ და მოვრჩით, თორემ დავეთერებოთ და ბასტა! ამ სამუშაოსაც დავეკარგეთ.

I ღურგალი: (ღანაზით) მეტი აღარც არის... (ასხამს არაყს) მართლა დღესვე გადაგვიხდიან?

II ღურგალი: (სვამს) გადაგვიხდიან, თუ არ გადაგვიხდიან... საკითხავი აი ეს არის...

I ღურგალი: სამი სახარება შეგვეწიოს!..



(სემა) არაღივს არ ედარდება, შიშნითი ამოგვხედება სული თუ არა!..

II დურგალი: (უახლოვდება გილიოტინას, შეკურებს) მომწონს, მართლა კარგად გვიმუშავია. ბატონ გილიოტინას ჩვენი მხედრული საღამო!

II დურგალი სმენაზე დგება და მღერის „მარსელიონას“, სიმღერას I დურგალიც უერთდება. ორივენი აღფრთოვანებულნი შეკურებენ გილიოტინას. მოულოდნელად I დურგალი ხიშტივს შეწყვეტს.

I დურგალი: (შეშოთებული) თუ არ ჩამოვა, თავს ვილა მოკვების?!

II დურგალი: (დაინახავს მთქნ მომავალ, ჰალარა, უსინთლო კაცს. ეს კონსულტანტია) ჩჩჩ!..

I დურგალი: თუ არ ჩამოვა, მაშინ ხომ შეიძლება მე დამავალონ!..

II დურგალი: (ტუზზე თითს მიიღებს) ჩჩჩ!

I დურგალი: ან იქნებ... (ისიც შეამჩნევს მთქნ მომავალ კონსულტანტს)

II დურგალი: „საბრალო იორიკ!“

კონსულტანტი, ფრთხილად, ჯოხის კაკნით მიიკვლევს ვახს გილიოტინისკენ, მაგრამ მაინც წამოსდებს წიხს რაღაცას და დიდი გაჭირვებით ახერხებს წრას-წერობის შენარჩუნებას. I დურგალი ფიცარნაგიდან ჩამოხტება და ხელს შეაშველებს.

I დურგალი: ფრთხილად, ბატონო!.. აქ, ისეთი არეულობაა, რომ...

კონსულტანტი: რომ თვალხილულსაც აერევა ვა-კვალი, არა?

I დურგალი: დიას!

კონსულტანტი: თანაგრძნობა, ადამიანის ყველაზე საუკეთესო თვისებაა... ვგრძნობ, რომ საქმე კარგად მიდის!

I დურგალი: თითქმის დაეამთავრეთ... ზედა ძელსაც მივაჭვებთ და მზად იქნება, ნამდვილისაგან ვერ გაარჩევთ.

კონსულტანტი: კეთილი, კეთილი... აბა, ვნახოთ!

I დურგალი კონსულტანტს ეხმარება ემაოტრზე ამოსვლაში.

I დურგალი: მარცხნივ წამოდით... კარგად მოიკიდეთ ხელი... აქ საფეხურებია, შეიძლება საფეხურია.

კონსულტანტი: ვიცი, ვიცი, გეთაყვა... (I დურგალის დახმარებით უახლოვდება ვერტკალურად აღმართულ ძელებს და ისე აღერხიანად უსვამს ხელს, გვერება საფეხურ ქალს ეფერება) ყოჩაღ, მშვენიერად გვიმუშავიათ!.. ოღონდ... (ძელებს შუა დგება და ხელს გამლის) ოღონდ, ძელები ოდნავ გადახრილია... (ხელს ასწევს და სწრაფად დაიჭვებს) ასე არ იფარებს, დანა ვარდნის დროს სისწრაფეს დაკარგავს, თანაც შეიძლება კისერს ასცდეს.

I დურგალი: (ძელებს უყურებს) მერწმუნეთ, რომ სწორია!

კონსულტანტი: მოდი, გეთაყვა, ნუ ვიღაცებთ! როცა უნდა დამეჯერებინა, ხომ დაეჯერეთ?... ხომ წამოვედი მარცხნივ?... წამოვედი, იმიტომ რომ, მაშინ ვერაფერს ვხედავდი, ამგერად კი ვხედავ, და თქვენ, ვალდებული ხართ, დამეჯეროთ! ძელები გადახრილია და უნდა გაასწოროთ!

I დურგალი: მაგრამ, თქვენ ხომ...

კონსულტანტი: ნუ გერიღებათ, მითხართ რომ ბრმა ვარ.

I დურგალი: დიას!

კონსულტანტი: დიას, ბრმა ვარ, ასპროცენტანი ბრმა!

I დურგალი: მაშინ, მაპატიეთ და...

კონსულტანტი: ბრმა ვარ, მაგრამ ახლა ვხედავ! არა გვერათ, არა?

I დურგალი: (დახმული) გვეკერა, როგორ არა, ოღონდ...

კონსულტანტი: ყური მიგდეთ, ბუთოპოვენი გაეგონიათ?

I დურგალი: როგორ არა, დურგლები რომ ვართ, განა იმიტომ... ჩვენ ხომ ადრე...

კონსულტანტი: მაპატიეთ, გეთაყვა!.. მაშინ ისიც გვეკვიდნებათ, რომ დაყრუვდა. ხომ ასეა?

I დურგალი: დიას!

კონსულტანტი: დაყრუვდა და მაინც ესმოდა!.. არაფერი არ ესმოდა, მაგრამ მაინც ესმოდა! (ლიღინებს მულოდიას ბუთოპოვენის მეცხრე სიმფონიდან) უღიადეს ბუთოპოვენს ესმოდა უღიადესი მეცხრე სიმფონია!.. ვერაფერს მიხვდით?

I დურგალი: ვერა.

კონსულტანტი: რაა აქ მისახვედრი... მე, ჩემო მეგობრებო, ჩემს საქმეში ბუთოპოვენი ვიყავი! ბუთოპოვენივით დიდი!.. ამიტომაც დამეჯერეთ!.. აბა, თქვენი იმედი მაქვს, ბატონებო, დარწმუნებული ვარ, ჩემს შინიშენას გაითხოვთ სწინებთ! და კიდევ ერთი რამ დაიმახსოვრეთ, „ჭუმშარიტი სიცარიელე ელის ყველას, ვინც ქარს მოქოხეს!“

კონსულტანტი ღიღინებს მულოდიას მეცხრე სიმფონიდან, დაუხმარებლად ჩამოდის ფიცარნაგიდან და ჯოხის კაკნით ვაღის გაკვირებული დურგლები ერთმანეთს შეაშურებს.

I დურგალი: რა ვქნათ?

II დურგალი: ერთ გამოცანას გეტყვი და აბა, თუ გამოიწინებ?

I დურგალი: მიდი.

II დურგალი: თხამ შეჭამა ვენახი, წვერსა და უღაშს იპარსავს ქალი...

I დურგალი: რა და... რა და...

II დურგალი: ტყუილა წვალობ, ვერ გამოიწინებ... მეც არ ვიცი, ისე ენაზე მომადგა.

I დურგალი: გაეახსოროთ?

II დურგალი: ყველაფერი საწყის წერტილს უბრუნდება და მეორდება, მეორდება... ეკ, ჩემო



კარგო, რას იხამ, ასე ყოფილა დასაბამიდან დასაბამამდე... გაიძვერები თამამობენ პატიოსნებს, ლარები მამაკებს, ჭიადლებს თავი გოლიათებად წარმოუდგენიათ... ენაბლები, ქონდრისკაცები, ღრანჭმოქცეულები ვითომ ჭეშმარიტებას დალადებენ... სინამდვილეში კი ჭევესკელიდან ამომძვრალი ბოროტი აწრდილები არიან... გვარცხლებები კი ცარიელია, ცარიელი!.. „დაჭრილ ირემს ცრემლები სდის, ნუკრი ცქრიალებს, რა უეფოთ, რომ ეს ქვეყანა ასე ტრიალებს...“

I დურგალი: დაანებე რა თავი ამ საბრალო ჰამლეტს, რას ჩააცვიდი?!

II დურგალი: ჰო, კარგი, კარგი! (თვისთვის ბურტყუნებს) დაენებოთ თავი ჰამლეტს... გადახრილია... გადახრილი... იყოს გადახრილი! (მთელი ძალი ურტყამს ჩაქუნს ერთ-ერთ ძულს) ეპ, რაც იყოს, იყოს, მოდი გავასწოროთ!

I დურგალი: ბატონი ბრძანდები, ნება თქვენია! დურგლები მუშაობას განაგრძობენ. სცენაზე ნელ-ნელა შემოიან მსახიობები. იწყება ჩვეულებრივი წინასარეპტიციო კაზი - ვილაცა ტექსტს იმეორებს, ვილაცა ხმას ავარჯიშებს, ზოგი ტანსაცმელს ირგებს, ერთ-ერთი ტორეადორის მოძრაობის იმიტაციას აკეთებს, სიცილი, შეხაზილები: „ტორო! ტორო!“. მსახიობებს შორისაა კახაც, თავისი ვარყველი ვიტარით. უშანგი სცენას ათვალერებს, მერე დურგლებისკენ მიემართება.

უშანგი: ჩქარა დაამთავრებთ?

II დურგალი: ჰა და ჰა...

უშანგი: თქვენი ჭირიმე, დროზე მორჩით, თორემ, ან მე მომკლავენ, და ან, თქვენ!

II დურგალი: არის, კაპიტანო!

მსახიობთა ერთი ჯგუფი იწყებს სიმღერას.

უშანგი: კარვით რა, რა დროს სიმღერა! მოემზადეთ!

გივი: (უშანგის უახლოვებას) ტორო!.. ტორო!.. უშანგის ჭირიმე!.. ტორო!.. ტორო!.. უშანგი ბატონო, როგორ ფიქრობ, ძნელია ერთი დარტყმით ხარის მოკვლა?

უშანგი: თუ კაცი ხარ, გივი, მოემზადე რა.

გივი: დღეს რეპეტიციას ვერ გავივლი, გუნებ-განწყობილებზე არა ვარ!.. დღეს ხარის მოკვლის ხასიათზე ვარ... ხარის ან შენი იყავი რა ხარო!.. ტორო, უშანგი, ტორო!

უშანგი: შეშეშევი რა, თუ ძმა ხარ!

გივი: რაშია იცი საქმე, ჯერ თვალი თვალში უნდა გაუყარო ხარს, მერე, უნდა გაუღიძო, უნდა დააჯერო, უნდა აფიქრებინო, დამინდობსო და როცა დაგენდობა, ე, სწორედ მაშინ უნდა შეღიპო! (ხარხარებს)

კახა: (გივის გასაგონად) ბოკასა აღამიანებს ჭამდა!

გივი: არ გამაგიფო! (წაშთი შეწვეტილ ხარხარს განაგრძობს)

კახა: (რაც შეიძლება ხმამაღლა, ცილილს იქმენოთა ურადლების მიქცევას)

ველაფერი არეულ-დარეულია სოლოში

სეპარატიზმი

ომი

სისხლი

სიძულვილი

სიძულვილი!..

პროლეტკულტელები

ფალანგისტები

წითელ ქმერები

წითელი რაზმელები

წითელი ბრიგადები

ხუნვეიბინები

ხუნვეიბინები

ხუნვეიბინები

ლუ ში კუნს

პიანისტო იყო ასეთი

დიდი პიანისტო

ხუნვეიბინებმა

თითები მოამტკრიეს

მძიმე უროთი

დაუჩქქვეს

ველა ფალანგა!..

სიძულვილი

მხოლოდ სიძულვილი

სხვა არაფერი!..

იყო დრო...

იყო დრო...

კახას ურადლებას არაფერ არ აქცევს. ველა თავის საქმითა დაკავებული. სავარძლიდან ზმორებ-ზმორებით დგებიან ანი და ბანი. ისინი ერთი ასაკისანი არიან და გარეგნობითაც გვანან ერთმანეთს. მათ გილდენსტერნისა და როზენკრანცის კოსტუმები აკეთათ.

გივი: (მათ დანახვაზე სიცილს ძლივს იკავებს) აჩის და ბანის გაუ... მარ... გაუმარ... ჯოს!.. თუმცა... ბოლიში, გილდენსტერნსა და როზენკრანცს, ჩვენი ხალაში... (იცილის)

ანი და ბანი გილიოტინას მაჩერდებიან და ცნობის-მიყვარების დასაკმაყოფილებლად დურგლებისკენ მიემართებიან.

ანი: რას აკეთებთ, ძმებო?

II დურგალი: ვერ ხედავთ?

ბანი: ბრძენი კი არა ვართ, ვხედავთ, მაგრამ ვერ ვხედავთ.

I დურგალი: (ცალყაბად) გილიოტინას!

ანი: გილიოტინა რად გენინდა?

I დურგალი: ახალი დაკვეთაა.

ბანი: არ გადაშრიო!

I დურგალი: დღევანდელი რეპეტიციისთვის მზად უნდა იყოსო!.. მთელი ღამე ემუშაობთ.



აჩი: აღარაფერი აღარ მესმის... (ცდილობს საუბარში ღურგლების ჩაორევას) ასეთი ფორმალ-იზმი, გავიგია? რა შუაშია, გილიოტინა?!. თვითმ-ფრინავის გამტაცებლები ხომ დახვრიტეს, ასე არაა?

ბაჩი: დახვრიტეს, აბა რა! (აღშოთებული) ძაღ-ლი პატრონს ვეღარა სცნობს!.. გამაგებინეთ, რომელ საუკუნეში ხდება მოქმედება?!

ღურგლები მთ ყურადღებს არ აქცევენ და შუშობას განაგრძობენ.

აჩი: ასეა, ჩემო კარგო, ყველაფრის უფლებას რომ მისცემ ხალხს!..

ბაჩი: არა, აქ სხვაგანაა დამარხული ძაღლის თავი!..

აჩი და ბაჩი შორდებიან გილიოტინას და ავანსცენი-სკენ მოეპარებიან.

უშანგი: (შეაშინეებს მათ შურსაბამო ჩაცმულობას) გამაგიჟებთ, ხალხო, ეს რა გაცვიათ?

აჩი: რაც გვეცვა, ის გვაცვია!

ბაჩი: ამას ჩვენ გვეკითხები?

უშანგი: აბა, ვის ვკითხო?

აჩი: (აღშოთებული) ხელავ, ჩვენ გვეკითხება!

უშანგი: გამაგებინეთ, რა ხდება?

ბაჩი: (აჩიზე მეტად აღშოთებული) ასეა, ბა-ტრონი, წესრიგი რომ მოიშლება, ადრე, ვინ გაბე-დავდა ამას!

უშანგი: რას?

ბაჩი: რასა და იმას!

აჩი: წუხანდელი ღამე აქ გაეატარეთ!

ბაჩი: სავარძელში გვეძინა!

უშანგი: რატომ?

აჩი: აბა, შინ ასე ხომ არ წაივლიდით?

ბაჩი: გიყვები ვეგონებოლი!

უშანგი: თქვენ რა, მართლა ვაგვიფიქრებ?

აჩი: გიყვ მოგცემ შენ!.. უფრე ერთი!

ბაჩი: (შეუპარით) ოპ, ერთი ძველი ღრო იყოს!

ზაზა: (ხმას ავარჯიშებს) ააა... ააა... ლ... ლ... ლომი... ლომი... ლ... (აჩის და ბაჩის) კარგად ვლერს?

აჩი: შეგვეშვი, თუ ძმა ხარ!

ზაზა: ვერ იპოვეთ?

ბაჩი: ამ საიეთში რამეს იპოვინა?!

უშანგი: გამაგებინეთ, რა ხდება?

აჩი: ტანსაცმელი მოგვპარეს.

უშანგი: როდის?

ბაჩი: წუხელ, სექტაკლის დროს.

უშანგი: ალბათ ვინმემ იხუმრა, ვის სჭირდე-ბა თქვენი ტანსაცმელი!

ბაჩი: იხუმრა არა ის!.. უპ, მაგათი!

უშანგი: კარგად მოძებნეთ?

აჩი: არსად არ არის!

ბაჩი: წაივლით, აჩი!.. ამ ამბის ასე დატოვება

არ შეიძლება! ხომ წამოხვალ?

აჩი: აბა რა, ბაჩი!.. გასარკვევს... გაარკვევენ სადაც ჯერ არს!

ბაჩი: წაივლით, ძაღლის თავი სხვაგანაა დამ-არხული!

აჩი: წაველით!

აჩი და ბაჩი გადიან.

ზაზა: (უშანგის) მაგათ წუხელ ისე შეუბერეს, ტანსაცმელი კი არა, თავი რომ არ დაკარგეს, ისაა გასაკვირი. ვილდენსტერნისა და როზენკრანცის ნაცვლად, ერთმანეთს ჰამლეტსა და ოფელიას ეძახდნენ. (ზაზა კვლავ ხმის სავარჯიშობს უარუნ-დება.) ლ... ლ... ლომი... სამშობლო... სამშობლო... ხომ კარგად ვლერს?

უშანგი: ჰო, მშენიერია! სამშობლო ლომზე უკეთესად გამოვლის! (ღვებს მკროფონს) მოემზა-დეთ რეპეტიციისათვის!

სცენის მუშები გილიოტინას სიღრმეში გააგორებენ.

უშანგი: (მკროფონში) ჩართეთ მარცხენა პრო-ექტორები! მესამე და მეოთხე გამორთეთ! იცვლება განათება. ახლა მხოლოდ გილიოტინის კონტურები მოჩანს. მსახიობები ტოვებენ სცენას. ნუ-ზარი რუსუდანს შეაჩერებს.

ნუგზარი: რუსიკო, მოდი ტექსტი გავიძეო-როთ...

რუსუდანი: შეიძლება დღეს ისევე ახალი ტექსტი მოიტანოს!

ნუგზარი: მაგრად აუშვა რა მაგ ხანდრომ, ვაგიცია, ყოველდღე ახალი ტექსტი მოაქვს... უკვე არ ვიცი, რას ვთამაშობ, ყველაფერი ამერია.

რუსუდანი: ცოტა უნდა დალო.

ნუგზარი: რა შუაშია დაღვეა?!

რუსუდანი: არ იცი, რა შუაშია?

ნუგზარი: ჰო, შენც მართალი ხარ!.. არადა, როგორ გინდა გაუძლო ცთუნებას... გუშინ ისეთ პურმარდოზე ვიყავი... რა გინდა, სულო და გულო, რომ არ იყო. ახერხებს ხალხი ცხოვრებას! აბა, ჩვენსავით ამ იდიოტურ ტექსტებს კი არ უკირ-კიტებენ.

რუსუდანი: (ტექსტში იხელება. ინდიფერენტუ-ლად) არ დაიწყებ?

ნუგზარი: კარგი დაიწყეთ. (ტექსტს კითხუ-ლობს) მეგონა ჩემს წასაცვანად მოვიდნენ.

რუსუდანი: ნუ გეშინია, ისინი არ მოვლენ.

ნუგზარი: (კითხულობს) მეშინია!.. არა!.. არა!.. არ მინდა!..

რუსუდანი: ნუ გეშინია, ისინი არ მოვლენ, ისინი მხოლოდ გაშინებენ... (ტექსტში იხელება) შე მეგონა, რომ შევიწყალებენ.

ნუგზარი: რა შუაშია შეწყალება? შენც ახ-ალი ტექსტი გაქვს?

რუსუდანი: ვერ ხელავ?



ნუგზარი: არა, ძმაო, თავი დამანებეთ! მე, ამის მთამაშებელი არა ვარ... სულ სხვა რამით დავიწყეთ და სად მივდივართ?! არა, აუტკივარ თავს ვერ ავიტყეპ!.. (განაგრძობს კოხტვას. აშკარად იგრძნობა, რომ ამ ტექსტს პირველად კოხტულობს) არ ვარგა, როდესაც სიკვდილის წინ დანამაშულს გრძნობ... მთელი ჩემი ცხოვრება, თავს დანამაშეულ ვგრძნობ, დანამაშულია რომ ვცოცხლობდი, რომ ვსუნთქავდი, რომ დავიბადე!.. ღმერთო ჩემო, არადა არაფერი დამიშველია... დამესიზმრა, თითქოს, მე და შენ, თეთრი გემის საცეკვაო დარბაზში ვცეკვავდით... არაფერი მესმის... ცეკვა ხომ არ ამოუღია?

რუსუდანი: მე მგონი, არა...

ნუგზარი: მაშინ ვიცეკვით... რომა, თუ ძმა ხარ, ცეკვა ჩავვირთე!

რომა: (რადისტის ჯიხურიდან) ახლავე!

ნუგზარი: (ხელს კიდებს რუსუდანს) ისე, ხუმრობა იქით იყოს და, ბოლო დროს ძალიან გალამაზდი... მგონი მომწონხარ!.. არა, ადრეც ლამაზი იყავი, მაგრამ, მე ვიყავი ბრმა!

რუსუდანი: (ხელს ვააშუბინებს) დაავიანე, ჩემო კარგო, დაავიანე.

ნუგზარი: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს... შეიწყალეთ ბრმა, რომელსაც თვალები აეხილა... (კვლავ კიდებს ხელს) რომა, რაღას უცდი!

რომა: (რადისტის ჯიხურიდან) ეა, ფირი ხომ უნდა გადავახვიო!

დინამიტებიდან ისმის ღოღ-გარშონის ხმა.

ნუგზარი: ფუი, შერი! ეგ არა!.. ტანგო!

რომა: (თავს გამოყოფს რადისტის ჯიხურიდან) მე ბალადური მეგონა... ტანგო ჯერ არ არის მზად!

ნუგზარი: მაინც ვიცეკვით მტრის ჯინაზე! ნუგზარი წელზე მოხვევს ხელს რუსუდანს და ღლინებს ტანგოს მელიოდას, რუსუდანი აღარ ეწინააღმდეგება, აქვება სიმღერაში და ასე ჩახუტებულები, საკუთარი აკომპანიმენტის თანხლებით ცეკავენ. მათ იდვილას არღვევს სცენაზე შემოვარდნილი უშანგი.

უშანგი: ბატონი სანდრო მოდიხ!.. მოვეშხადლოთ!.. მოვეშხადლოთ! (იღებს მაკაროფონს) უკრადლება, ვიწყებთ რეპეტაციას! ვიწყებთ რეპეტაციას!

შემოდის სანდრო, მას მოჰყვება მეგობარი. ის რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ სანდრო არ აცდის.

სანდრო: უშანგი!

უშანგი: გისმენთ, ბატონო სანდრო!

სანდრო: ზაზა და გივი მომიყვანე!

უშანგი: ახლავე, ბატონო სანდრო! (გადის) მეგობარს კვლავ უნდა რაღაცის თქმა, მაგრამ უშანგის გასვლისთანავე შემოდის მარი და ჯუშუბერი. მარი სანდროსკენ მიდის. ჯუშუბერი შორიახლოს ჩერდება.

მარი: სანდრო!

სანდრო: (ამოიხრებს) გისმენ

მარი: სულ ერთი წუთი დამითმე.

სანდრო: (ჩანს, რომ ეს საუბარი არ ხამოუნებს) გისმენ!

მარი: (უპირს ლაპარაკი) შენ ხომ იცი, რას ნიშნავს ჩემთვის ეს როლი... მთელი ჩემი ცხოვრება, ასეთ როლზე ვოცნებობდი...

სანდრო: მერე?..

მარი: ბევრი ვიწვალე... მგონი გამოვასწორე გამოთქმა...

სანდრო: დაიწყე.

მარი: (ოდნავი პათოსით) „შუადამეს ქრება სათელი და მე მოკვდები გათენებამდე, ო, ღმერთო...“

სანდრო: (აწყვეტინებს) აბა, გულზე ხელი მიდე! დახეული მარი გულზე უხერხულად იღებს ხელს.

მარი: ასე?

ანდრო: არა, ასე არა... აბა, გაშალე! ახლა ისევ გულთან მიიტანე!..

მარი ხელს გაშლის, მერე ისევ გულთან მიიტანს. ფიქრებში წაასული სანდრო მას არ უყურებს.

მარი: დამცინე?

სანდრო: (ფიქრებიდან გამოურკვევა) გისმენ, განაგრძე!.. (მკაცრად) გისმენ!

მარი: (აღუღებული, ტირილნარევი ხმით) რატომ დამცინი, რატომ?

სანდრო: (შერბილებული ტონით) მაპატიე, მარი, გენაცვალე, არ დავცინი... მაგრამ მართო გამოთქმაში არ არის საქმე... დაწინარდი და დაიწყე!

მარი: არ შემიძლია... აღარ შემიძლია!..

სანდრო: (კვლავ მკაცრად) კარგი, გვეოფა!.. დაიწყე!

მარი: თუ შეიძლება მთელ ეპიზოდს გაჩვენებთ.

სანდრო: კარგი, ბატონო.

მარი: ჯუშუბერ, ხომ მომეხმარები?

ჯუშუბერი: მზად ვარ, გეშხაზურით!

მარი: მუსიკით!

სანდრო: იყოს მუსიკით... რომა, მარის ეპიზოდის მუსიკა მოაშხადე!

რომა: (ჯიხურიდან) ახლავე.

ჯუშუბერი: დავიწყეთ?..

სანდრო: რომა!

რომა: (ჯიხურიდან) ფირი მზადაა.

სანდრო: დაიწყეთ!

ჯუშუბერი: (პერს ჩახსუნთქავს) დავიწყეთ!

ამ დროს შემოდის გივი.

გივი: მეძახდით, ბატონო სანდრო?

სანდრო: ძო, მანდ იდექი, არ წახვიდე!

ჯუშუბერი: დავიწყეთ! (მთელი სერიოზულობით უშხადება, მაგრამ მოქმედების დაწყებამდე, გივი მოულოდნელად ახარხარდება. ნირწამზდარი ჯუშუბერი გივის

მუხრანდება) შენ რატომ იცინი?! აქ მე უნდა გავიცინო!

გოგი: (ძლივს აღწევს თავს სიცილის შემოტევას) ბოდიში, მაპატიეთ, ბატონო, მაპატიეთ...

ჯუმბერი: დაეწყეთ! (სარკასტულად იცინის) მარი: (სიცილის ფრხვ, შემდეგ მუსიკა) „შუღამებს ქრება სანიული და მე მოვეკლები გაითენებამდე, ო, ღმერთო, მხოლოდ ამას გვევდრები, იქნებ როგორმე გამაძლებინო მზის ამოსვლამდე!“

ჯუმბერი კვლავ იცინის. „ვერაინ ვერ ამჩნევს, რომ უკვე წელიწადია, რაც მე, სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან დაეძებუ კაუჭს“.

ღინამიკებიდან ისმის ლურსმნის მიჭვლევის ხმა.

ჯუმბერი: (სერიოზულად, შთაგონებით) მე არ მიმიჭვლებია ლურსმანი!.. არა!.. თავი დამანებე, რა გინდა ჩემგან, რა?! გოგი ხარ, გოგი! აბა, რუსეთში რა მინდოდა?! მაშინ აქ ემსახურობდი! მოწმეები მყავს! გეფიცები, არც ვალაქტიონისთვის მიკრია ხელი, ყველამ იცის, რომ თვითონ გადმოხტა, თვითონ! ცოცხალი პოეტი თვლითაც არ მი-ნახავს!.. შენ რა შარზე ხარ! ვინ? ლორკა?! არც კი გამოგონია... მე უბრალო კაცი ვიყავი, უბრალო! ჭანჭიკი!.. მერე რა, რომ იქ ვმუშაობ-დი... კარგი რა, ნუ ჩამაცხედი... პო, ერთხელ! მხოლოდ ერთხელ!.. ახლა, რა გინდათ ჩემგან? რატომ დამიბარეთ?! რატომ?! მე შეილიშვილე-ბი მყავს, შეილიშვილები! იმათაც გინდათ ვააგე-ბინოთ?! ესა თქვენი ადამიანობა, ესა თქვენი ჰუმანიზმი?! მაინც არ დაგეჯერებენ, არა! იმიტ-ომ რომ, ახლა, მე, კეთილი პაპა ვარ! კეთილი პაპა!.. (იცინის) ბაბუ!

პაუზა.

სანდრო: (თავისთვის) „სადაც არ უნდა გაიხე-ლო - ეველი აღმართულა, ხათიაც არ უნდა გაიხელო - ლულა მოგჩერებია...“

მეგობარი: რა?

სანდრო: არაფერი.

რომა: (ჯიხურიდან თავს გამოჰყოფს) ბატონო სანდრო, გილიოტინის დანის ვარდნის ხმა გავა-კეთე, ნამდვილი კანფეტია, მოისმენ?

სანდრო: მერე, რომა... რეპეტაციის შემდეგ, ფიჭვბუში წასული სანდრო გილიოტინის სილუეტს მაჩვენებს. მარი რაღაცის თქმას აძიებს, მაგრამ მე-გობარი ამის საშუალებას არ აძლევს და თვითონ ცდი-ლობს სანდროს ყურადღების მიქცევას.

მეგობარი: სანდრო, ყური დამიძველ!.. მე ხომ ვარ შენი მეგობარი?... (სანდრო არ პასუხობს) მითხ-არი, ეჭვი ხომ არ გეპარება?... (მაუხედავად იმისა, რომ სანდრო კვლავ არ პასუხობს, მაინც განაგრძობს. მისი ტონი უფრო და უფრო მენტორული ხდება) ყო-ველ შემთხვევაში, მე არ მეპარება ეჭვი, რომ შენი

მეგობარი ვარ, თანაც არ დაგვიწყდეს, რომ პროლი-უსერიც ვარ და ამიტომაც ორმაგად გაღიზიებული ვარ ვითხრა - ასე არაფერი გამოგვა: ყველაფერი აირია, ყველაფერს ართულებს!.. ბოლოს და ბო-ლოს, ვისთვის მუშაობ, ვილადაც ხომ უნდა გაი-ვლოს... რად გინდა ასეთი რთული სიმბოლოები... ბრმა, რომელიც გილიოტინის გარდა ვერაფერს ხედავს!.. მერე, ჩემი აზრით, მკრეხელობაა ბე-თპოვენთან მისი შედარება! აქ კიდევ, ცვეტაევა... რაღა ღროს ცვეტაევა! მართალია, ეს თემა ძალიან ტყეაღია, სიკვდილი, სიცოცხლე... მარადიული თემებია, მაგრამ ზომიერებაა საჭირო, ზომიერება! ეკლექტიზმში ვარდები, ჩემო კარგო... არა, რა თქმა უნდა, პაროდია ახასიათებს ეკლექტიზმში, მაგრამ რასაც შენ აკეთებ, უკვე პაროდია არ არის! აუტყვიარ თავს იტყობს!.. ეს ტრაგიკო-მიკურ ფანტასმაგორიას მიაგავს... თუმცა პი-რადად მე, ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ... ასე რომ, თუ შენს მეგობრად მთელი, დამჯერე, არავის სჭირდება ზედმეტი გართულებები, ამ ჩვენს ისე-დაც გართულებულ ცხოვრებაში!

ფიჭვბუში ჩამირული სანდრო მეგობრის ამ მონო-ლოგს არავითარ ფრაგმენტს არ აქცევს. მისი მზერა კვლავ გილიოტინისკენა მიპყრობილი. შორიდან ისმის როსინის „ქურდი კაქკაქის“ უკრტურა. მუსიკის აღ-მოცენებისთანავე გილიოტინა ბურუსით იფარება. მის აფილზე, მოლანდუბასავით გამოჩნდება თეთრებით შე-მოსილი გოგონას სილუეტი. როსინის მუსიკა თანდათან მიუღ სიერცეს ავსებს და ამავდროულად გოგონას სი-ლუეტს ხორციელ სახეს იღებს.

გოგონა: მიაპობს გემი ზღვის ტალღებს... ღვინისფერი ზღვის ტალღებს...

ნეტა სად მიდის?... სად მივდივართ?!

ოცნების გემი!.. თავისუფლების გემი!..

ჩვენი თეთრაფრიანი ზომადლი!.. სანდროს გოგონა ავანსცენისკენ მოჰყავს.

სანდრო: (თავისთვის) თავისუფლების გემი!.. თავისუფლების გემი!.. თეთრაფრიანი ზომადლი!

ღინამიკებიდან ისმის საქნის კარის დაკეტვის ხმები - ერთი, ორი, სამი... მრავალი.

გოგონა: უმიელობისა და სიმარტოვისაგან გა-თანგულ ჩვენს სულში ნელა ღვივდებოდა სულ მცირე, პაწაწინა სიხარულის მომცემი თესლი. ახლა უკვე აღარ ვეამინებდა ქარი, აღარ წარ-მოგვედგინა თავი ბუმბულივით მუსუბუნ არსებად, პირიქით, სურვილი გავიწინდა, დავთანხმებოდით ქარს, შეგვესრულებინა მისი თხონა, წაფყოლოდით სამოგზაუროდ და მასთან ერთად შეგვეგრძნო თავისუფალი ნავარდით გამოწვეული სიხარუ-ლი. ეს რაა, იმდენად გათავებელა ჩვენი მიძნედილი გონება, რომ იქ, კიდევ ერთი, ახლა უკვე უახრო,



მაგრამ მამინ იმედის მომცემი აზრი ჩაისხა: იქნებ როდისმე მაინც ახლენილიყო ჩვენი ურჩი ოცნება... ურჩი ოცნება... ის, ხშირად გვჭულდა, გვჭულდა, რადგან გვაფორიაქებდა, მოხვენებას გვიკარგავდა, არ გვაძლევდა საშუალებას დაემტკბარიყოთ იმით, რაც გვეკონდა, რაც გავაწინდა, რასაც გვაძლევდნენ გვჭულდა, მაგრამ ვერ ვიცილებდით, მაინც ეუფრთხილდებოდით, რადგან მისი არსებობა ისევე იყო საჭირო ჩვენთვის, როგორც თევზისთვის წყალი და თუ არ მოეუფრთხილდებოდით, უწყლო თევზებად გადაქცეოდით, შემდეგ ვიღაცა მზეზე გამოგვავსობდა, მარილს წაგვაფარდა და კასრში ჩაგვტენიდა...

სიღრმედ გოგონასკენ მომართება ბიჭი. სანამ ის გოგონას მიახლოვდება, ზემოდან ჩამოშვება გი-სოსებანი ჩარჩო და მათ შორის როგორც დაუზღვეველი ზღუდე ისე აღმართება.

გოგონა: ჩვენი ურჩი ოცნება... ჩვენი გემი... თეთრი გემი... ჩვენი თეთრაფრიანი ზომადლი... და ახლაც, როდესაც უკვე გაიბზარა ღმერთისაგან ბოძებული ჩვენი ხარი, ახლაც მტყვრა, რომ მოვა თეთრი გემი და წაგვიყვანს შორს... შორს... ღვინისფერ ზღვაში... მე და შენ!.. შენ და მე!..

ბიჭი: გემი დამეხიზმრა, თეთრაფრიანი გემი... ღმერთო, რა ღამაში იყო! რა ღამაში!.. ისეთი ღამაში, რომ ვიტყვი... მაგრამ უცრად ქარმა დაუბერა, აზვიროდნენ ტალღები და გემი, ჩემი გემი ჩაიკარგა ამღვრულად, აქაფებულ, ქუქუციან ტალღებში... სიზმრიდან დამეკარგა... რაღა ვქნა ახლა?! „სადაც არ უნდა გაიხედო — კედელი აღმართულა, საითაც არ უნდა გაიხედო — ღულა მოგჩერება!“

გოგონა: ნუ გეშინია... მოვა, აუცილებლად მოვა თეთრი გემი!.. ისინი შეგიწყალებენ, აუცილებლად შეგიწყალებენ!..

ბიჭი: მეშინია!.. მეშინია!..

გოგონა: მე შესძოდა მისი ხმა, მისი ფიქრები დაუბრკოლებლად აღწევდა ჩემამდე! ო, როგორ ეშინოდა! ღმერთო, როგორ ეშინოდა!

ბიჭი: მე, ჰამლეტი უნდა მეთამაშა... მე, ვოცნებობდი ჰამლეტზე!.. დანია საპყრობილეა... არა, არა, დანია არა! ჩემი ქვეყანაა საპყრობილე!.. ღმერთო, არ მეგონა თუ სიკვდილს მომიხვდნენ... ხომ გესმის ჩემი... ერთი საათია გათუნებამდე! ერთი საათი! ისინი ჩქარა მოვლენ! მე ვგრძნობ! ვგრძნობ!

გოგონა: მეც ვგრძნობდი, უკვე ვიცოდი, მაგრამ რა შექნა?! ყველაფერი იმათზე იყო დამოკიდებული. მინდოდა დამეხერებინა, რომ ისინი ბოლოს მაინც დაინდობდნენ, შეიწყალებდნენ, მათაც ხომ ჰყავდათ შვილები, შვილიშვილები, შინ დაბრუნებულები, ხანდახან ხომ ეფერებოდნენ, ეთა-

მაშობდნენ მათ, ნუთუ, ასეთ ფრესკაშიც არ ფიქრობდნენ იმაზე, ვისი სიკვდილით დასჯას, ასე მორჩილად და უსიტყვოდ დაეთანხმნენ, ნუთუ სინდისი სულ არ აწუხებდათ?! ნუთუ მართლა თვლიდნენ, რომ სიკვდილის ღირსი იყო?!

ბიჭი: არ ვარგა, როდესაც სიკვდილის წინ დანაშაულს გრძნობ... მიუღი ჩემი ცხოვრება თავს დანაშაუვად ვგრძნობ... დანაშაულია, რომ ვცოცხლობდი, რომ ვსუნთქავდი, რომ დავიბადე, რომ ვოცნებობდი... ღმერთო ჩემო, არადა, რა დავაშავე? რა?! (წინარი, საცეკვაო მელიოდა) მე მტრეცნება, რომ მე და შენ, თეთრი გემის საცეკვაო დარბაზში ვცეკვავთ... იცი, ხეს მოწვევტილი ფოთოლი, ისე ღამაზად, ფარფატ-ფარფატით ეშვება დედამიწაზე, ისეთი სიმსუბუქით ღებულობს გარდაუვალს, რომ ტკივილს არა გრძნობს... (შუსიკ წყება) მოდიან!.. (ნაბიჯები) ტკივილს არ იგრძნობო!.. ფოთოლივით... ფარფატ-ფარფატით... ღმერთო ჩემო! (ნაბიჯები ახლოვდება) არ მინდა!.. არ მინდა!.. (საქნის კარის გაღების ხმა) არ მინდა, გესმით, არ მინდა! მიშველეთ, მიშველეთ! მამა, მიშველეთ! სადა ხარ, მამა! მამა!!!

სცენა კამკამა, დამარბაველი შუქთ ნათება. მილი ხმით ფლან რომანსი შარლ აზნაურის შესრულებით. კამკამა შუქ აღრმდელი განათებით იცვლება. სიღრმეში კვლავ გამოჩნდება ვილიოტინის კონტურები.

მეგობარი: ახლა უკვე აღარაფერი მესმის... აზნაური რა შუაშია!

ზაზა: ბატონო სანდრო, რა გენბათ? სანდრო: აი, ეს ტექსტი გამოშართვი! გივი სადა?

უშანგი: არ ვიცი, ამ წუთში აქ იყო! (ესხის) გივი! ღმერთო ჩემო, გამაგიყვებს ეს ხალხი! ნეტა სად გაქარა!

სანდრო: (უშანგის ტექსტს აძლევს) არა უშავს, შენ წაიკითხე მის მაგივრად.

მეგობარი: (აღშფოთებული) კიდევ ახალი ტექსტი!.. როდისღა მოასწრებ? ძველი დრო კი არ არის, ყველაფერი რომ მუქთი იყო! იცი, ერთი დღე, ამ დარბაზის დაქირავება რა ღირს?.. არ იცი და არც გაინტერესებს!.. მე, ყველაფერი კი არ შეიმძღვა... ან დროზე მორჩი, ან არა და, ბასტა!.. არა, აზნაური რა შუაშია, ამიხსენი თუ მამა ხარ.

რომა: (რადისტის ჯიხურიდან) მოისმინე რა, ვილიოტინის ხმა!

სანდრო: შენი ჭირიმე, რომა, ერთი წუთით მადროე... აბა, ზაზა, დაიწყე!.. ვისმენ!

ზაზა: (კითხულობს) ნუ კანკალებ... ნუ გეშინია, შენ არაფერს გერჩით.

უშანგი: შურიკას ტექსტი მე წაიკითხო? სანდრო: ჰო!





უშანგი: (კითხულობს) არა, მე არ შეშინია... უბრალოდ, ის საშინელი ღამე მახსენდება.

ზაზა: ჩვენ დეტალები გვანტერესებს... გვითხარი ყველაფერი, რაც იცი.

უშანგი: გივი, მოდი რა, შე კაცო!

გივი: ბოდიში, ბოდიში...

სანდრო: ტექსტი გამოართვი!.. დაიწყე, ზაზა!

გივი: (უშანგის ტექსტს გამოართმევს) ასე პირდაპირ?

სანდრო: პო! დაიწყეთ! მერე ავიხსნით ყველაფერს!

ზაზა: ნუ კანკალებ!.. ნუ გეშინია, შენ არაფერს გერჩით.

გივი: (კითხულობს) არა, მე არ შეშინია... უბრალოდ ის საშინელი ღამე მახსენდება.

ზაზა: ჩვენ, დეტალები გვანტერესებს... გვითხარი ყველაფერი, რაც იცი!

ნელ-ნელა შვიან როდში და ტექსტში მხოლოდ დროდადრო იხელება.

გივი: დღლით შეფმა გამომიძახა და მითხრა, შალვა ავად გახდა და მის მაგივრად შენ უნდა იმორიგეო.

ზაზა: შალვა ვინაა?

გივი: პროკურორი.

ზაზა: ნამდვილად გახდა ავად?

გივი: არ ვიცი... (პაუზის შემდეგ) მე მგონი თავი მოაივადმყოფა...

ზაზა: რატომ?

გივი: იმიტომ რომ... ასე მგონია... იცოდა.

ზაზა: რა იცოდა?

გივი: რომ... (უკვირს ლაპარაკი) რომ იმ ღამეზე უნდა მოეყვანათ განაჩენი სისრულეში.

ზაზა: შენ?

გივი: მე, არ ვიცი... მე, მეგონა...

ზაზა: როდის გაიგე?

გივი: მაშინ, როცა განაჩენის აღსრულების ბრძანება მოიტანეს.

ზაზა: რომელი საათი იყო?

გივი: ალბათ ორი საათი იქნებოდა.

ზაზა: რა დღე იყო?

გივი: არ მახსოვს...

ზაზა: გაიხსენე!

გივი: მგონი შაბათი... პო, შაბათი...

ზაზა: რატომ ჩქარობდნენ ასე?

გივი: არ ვიცი...

ზაზა: ადრე თუ დასწრებიხარ განაჩენის სისრულეში მოყვანას?

გივი: არა.

ზაზა: განაგრძე! (უყვირს) ნუ კანკალებ!

გივი: ბრძანება მივიღე და რა უნდა შექნა...

ზაზა: შენ რა გველეუბოდა?

გივი: თქვენ ზომ იცით...

ზაზა: მე კი ვიცი, მაგრამ კომისიის წევრებმა არ იციან... ამით ვააგებინე!

გივი: განაჩენს უუკითხავ, ვუბნები, რომ შეწყალებაზე უარი უთხრეს... შემდეგ ვუკითხები გვარს... სახელს, მამის სახელს... ფოტოსთან ვაღარებ...

ზაზა: მერე?!

გივი: ახლაც ტანში მზარავს, რომ მახსენდება... მთელი ორი ღამე არ მძინებია...

ზაზა: შენ თვითონ თუ უყურე?

გივი: არა, არა!.. იქ რა მინდოდა... რას ლაპარაკობთ... თქვენ ზომ იცით, რომ მერე ბუნკერში გაყავით... და იქ... იქ რა მინდოდა?!

ზაზა: ბუნკერი როგორია?

გივი: ცემენტის იატაკი და თეთრი კაფელის კედლები... საბაზარო გვეგონებოდა... მე მხოლოდ გასროლის ხმა გავიგე... თითქოს ახლაც მესმის... საშინელი ხმა!

ზაზა: რამდენი გასროლა იყო?

გივი: ოთხი...

ზაზა: ოთხზე ერთად დახვრიტეს?

გივი: არა, ცალ-ცალკე...

ზაზა: გვაში გაჰქონდათ?.. (ხმას უწევს) გაჰქონდათ?!. (უფრო ხმამაღლა, მკაცრად) შენ გეკითხები, მიპასუხე!

გივი: მთელი ღამე არ მძინებია... ორი ღამე არ მძინებია!.. მე... მე...

სანდრო: შურიკ ფაიზულინი კინტოურს ცეკვაუს... მიდი, აბა, გივი!

გივი: (გამოერკვევა) კარგი რა, ბატონო სანდრო, ზომ იცით, ცეკვა ჩემი საქმე არ არის.

სანდრო: კარგი... მე ასე მგონია... ყველაფერს რომ მორჩნენ, გათენდა კიდეც და რესტორანში წავიდნენ... იქნებ სახაშეში... ჯალათი დაპატიყცეს, ჩამოსული კაცი იყო და ზომ უნდა უცათ პატივი! პოდა, შურიკამაც შეუბერა!.. აი, ასე, აბა, ტაში! (თან მღერის და თან ცეკვავს)

მარი: „შეიძლება ის შინსახკომიდანაა?! აბა, რატომ შექცევა ასე კარგად?! შეიძლება მოგზაენილიცა! მე მისი შეშინია!“

გივი: მაგარი ხარ, მარი! მაგარი! (ხარხარებს)

სანდრო: (მოულოდნელად შეწყვეტს ცეკვა-სიმღერას და გივის მიმართავს, ოღონდ არა როგორც მახსიობს, არამედ როგორც პროკურორს, რომელიც სიკვდილთ დასჯას დაესწრო) მათი უკანასკნელი სიტყვები რა იყო?.. რა?!

გივი: (გარდაისახება პროკურორად. შეშინებული) იცით... არ ვიცი... მე მთელი ღამე... ორი ღამე არ მძინებია...

სანდრო: (მკაცრად) რა თქვეს?!

გივი: მე მხოლოდ გასროლის ხმა გავიგე...



თითქოს ახლაც მესმის... საშინელი ხმა...

სანდრო: (უფერის) რა თქვეს?!

გივი: (ლულულუებს) მღვდელი ლოცულობდა... ძმები... ძმები ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ... მეოთხე კი...

სანდრო: (საველოში ხელს ჩააქვებს. აჯანჯლარებს) პო, პო, იმან რა თქვა?! რა თქვა?! თქვი!.. თქვი!..

გივი: სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო!

სანდრო: (ხელს გაუშვებს გივის) ძმა ძმას ეხვეოდა... ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ... მღვდელი კი, ბუტბუტებდა თავისთვის, მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

ინტერმედია.

კახა ავანსცენაზე გამოდის და მიმართავს უშუალოდ მღვდელს. ერთმანეთს ენაცვლება რეჩიტატივი და სიმღერა, ვიტარს აკომპონიმენტო. სასურველი ემოციური ფონის შესაქმნელად, შეიძლება სხვა ინსტრუმენტის გამოყენებაც.

კახა: სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო!.. სულ ერთი წუთი, ბატონო ჯალათო!.. ერთი წუთით!.. ასე ევედრებოდა, ფრანგ ქალთა შორის ერთ დროს ულამაზესი, ჯალათთა შორის უპირველესს, — ფანა დიუბარი, მეფის საყვარელი, სანსონს ევედრებოდა!..

ბრბო კი, გაკვივროდა:

— სიკვდილი მეფის კახას! სიკვდილი მეფის კახას!

— სანსონ, ჩქარა, რაღას უყურებს!

— სანსონ, ამდენ ლოდინში დანა დაწლუნგდა გილიოტინის!

— სანსონ, ბავშვი მყავს სახლში დატოვებულნი, ალბათ ტირის, ბუტუს მოწოვის დრო უდგას უკვე!

— სანსონ, გვაჩუქე თავი, სისხლის მწოველი წურებლას თავი!

და თვით სანსონმა, დაუნდობელმა, თავისი საქმის დიდმა ოსტატმა, ყურად არ იღო ბრბოს მოთხოვნა და აჩუქა წუთი, ერთი წუთი სიცოცხლისა, იქნებ ორიც, ან უფრო მეტიც, არავენ უწყის!.. ქალმა კი, მხოლოდ წუთი სთხოვა, სულ ერთი წუთი!.. ერთი წუთი!.. და გაახსენდა სანსონს ის დრო, როდესაც გრაფინია დიუბარმა, რომელიც მამინ უბრალოდ ფანა იყო, ის კი შარლო, სხვა მრავლის მსგავსად, მასაც, გაუზიარა თავისი სარეცელი. დაშვიდობებისას კი, მადლობის ნიშნად შარლიმ უთხრა, — ოდესმე, შეიძლება მეც დაგვირდეთ, ფანა! — და აჰა, დასჭირდა კიდევ და მოქანა თოკს!.. და შხუილით დაემუცა დანა გილიოტინის!.. და ჩაგვარდა მოჭრილი თავი კალათში!..

ერთი და იგივე

ერთი და იგივე...

ფეთქდება მანქანები

მატარებლები

თვითმფრინავები

ცათამბავრები...

ქრისტიანები

მუსულმანები

იუდეველები

არაბები

ევროპელები

ამერიკელები

აზიელები

პროტესტანტები

კათოლიკები

შიიტები

სუნიტები

ერთმანეთს ხოცავენ...

ერთმანეთს ხოცავენ...

სულ ერთი წუთი

მადროვე ჯალათო...

სულ ერთი წუთი

გრაფინია დიუბარი

სანსონს ევედრებოდა...

მარატი

დანტონი

რობესპიერი

ერთი და იგივე

ერთი და იგივე...

სულ ერთი წუთი

მადროვე ჯალათო...

თითები დაუნჯქვეს

ურთი პიანისტს...

ერთი და იგივე

ერთი და იგივე...

კვლავ გამოათვლება გილიოტინა. I დურგალი გილიოტინას შეყურებს. ემფოტის კიბეზე ჩამოხდარი II დურგალი კი სივარტეს ეწვეა.

I დურგალი: ჩამოვა?!

II დურგალი: „ასე მთავრდება ეს წუთი-სოფელი... არა ვრიალით, არამედ სლუკუნით!..“

როგორც პირველ სცენაში, ისევე ახლაც, სცენის სიღრმედან, ჯოხის კაკუნით მათკენ მოემართება უსინათლო კონსულტანტი, ოღონდ ამგამად ის უფრო ენერგიულად მიიკვლევს გზას ემფოტისაკენ.

I დურგალი: თუ არ ჩამოვა, თავს ვიღა მოკვეთს?!

კონსულტანტი: (ჯოხს გაიშვრს I დურგლისკენ) შენ!

I დურგალი: (ოღანე შემტბარი) რას ბრძანებთ, ბატონო... მე მხოლოდ და მხოლოდ დურგალი ვარ!



კონსულტანტი: მერე რა... და შენ გგონია რომ ჯალათი არა ხარ?

I დურგალი: (უფრო მეტად შემხარბი) სადაური ჯალათი ვარ მე, ბატონო.

კონსულტანტი: ნუ გეშინია... სიკვდილი მხოლოდ შემეცნების ფუნქციაა - მათი შემეცნებისა ვინც დანაკარგს განიცდის.

I დურგალი: (II დურგალს) შენ მაინც უთხარი რამე!

II დურგალი: (თავისთვის) „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი...“

კონსულტანტი: თვალბში თუ არ შეხედავ, უკეთესია... მთელი მისი მიმავალი ცხოვრება თვალბშიდან იღვრება.

I დურგალი: ხუმრობთ, არა?!

კონსულტანტი: შეშინებასაც ვერ ასწრებს... მანამდე ეშინია, მერე, იმ წამში, არა!

I დურგალი: (წახვლას აპირებს) თავი დამანებეთ, გვესმით?!

კონსულტანტი: (ჯობით შეაწერებს) შენთან რომ მოიყვანენ, ის ცოცხალი არ იქნება, ოღონდ არ ეცოდინება, რომ მკვდარია.

I დურგალი: სულ დავანგრევ ამ ოხერს!

კონსულტანტი: დააგვიანე, რადგან ააშენე, ვეღარ დანგრევ!

I დურგალი: მართლა ვერ დავანგრევ?

II დურგალი: (სიგარეტს აქრობს) „მთელი ღამე ბორკავდა, შავი ავაზა ელანდებოდა.“

კონსულტანტი: შენ გგონია, უცოდველი ხარ?

I დურგალი: გივია, ვე ჩემი ცოდვით საესე!

II დურგალი: (ღება. მიღის I დურგალთან) „ეს ოხერი, რა იქნებოდა დაგეოქა, კინი!“

კონსულტანტი: პო.პო, რატომ არ დაიჩოქე, როცა მომაკვდავი დედა გებეწეწებოდა... მღვდელი რატომ არ მიუყვანე?

I დურგალი: მაშინ არ შეიძლებოდა...

II დურგალი: „აირს ნუ იბრუნებ და ნუღარ ნაღვლობ...“

I დურგალი: მოკვლავ!

კონსულტანტი: (ირონიულად) სიკვდილი რაღაა, შენი ან თუნდაც ჩემი... ჩამადლებაა, სხვა არაფერი... შენ ხომ ყოველდღე უყურებ, თუ როგორ ფუმიკვენ ფეხებს... თანაც ხომ შეიძლება, ზეღა მიწა იძრეს, შეიძლება შიღისიც შეგეფაროს, შეიძლება კაცი, ქუჩაში ვიღაცის გასროლილი ტყვიითაც მოკვდეს... შენ კი, გასამრჯელოს მიიღებ!

II დურგალი: დედის თხოვნა რატომ არ შეასრულე და მღვდელი რატომ არ მიუყვანე?

კონსულტანტი: არ ვინდა გასამრჯელო?... კბილებს ჩაისვამ.

II დურგალი: „ფული დააგროვე ქისაში.“

კონსულტანტი: სამი და თორმეტი...

II დურგალი: თხამ შევკამა ვენახი... წვეროსა და უღვასს იპარსავს ქალი...

კონსულტანტი: გამოვიცნო?... ვიცი, მაგრამ არ გეტყვით. ეპ, ჩემო კარგებო, რომ ვენახეთ, რა ვიყავი ახალგაზრდობაში, რა კონტა ბიჭი - ყველა კონტას მემახდა, სარკესავით პრიალა ჩექმებს ვატარებდი, შემოტკეცილს!... საყვლოზე რომმგებსაც სულ კრიალი ვაპკონდა! ჩემი საქმის ნამდვილი ბეთქოვენი ვიყავი!

კონსულტანტი დღინებს მელოდისა ბეთქოვენის მეცხრე სიმფონიდან. შორიდან ისმის აჩისა და ბანის შესახლება: „ბატონო სანდრო!... ბატონო სანდრო!“. სცენის მუშები გილოტინას სიღუმში გააგორებენ და კვლავ მხოლოდ მისი კონტურები მონანს. შემობრბან აქმოზნებული აჩი და ბანი. მათ ისევ ვილდესტერნისა და როზენკრანის კონტურები აცვიათ. სცენაზე არიან სანდრო, გივი, ზაზა, უშანგი, მარი. სანდრო მათ რაღაცას უხსნის.

აჩი: ბატონო სანდრო!

ბანი: სანდრო ბატონო!

სანდრო: (ვლინება მათ ჩაცმულობაზე) „რა უყავით, მგეობრებო, ბელს ისეთი, რომ აქ, ამ საპრობილეში გამოვისტუმრათ?“

ბანი: საპრობილეში?

სანდრო: „ღანია საპრობილეა!“

აჩი: (პროლოკიულად) „მამს ქვეყანაც საპრობილე ყოფილა...“. ჩვენ ტანსაცმელი მოგვკარეს!

სანდრო: ვიცი, უკვე მითხრეს, სანაცვლოს მოგვეკმენ... უშანგი!

უშანგი: გისმენთ, ბატონო სანდრო!

სანდრო: შეურჩიე ამათ კარგი შარვალ-კოსტუმი.

უშანგი: უკვე შეურჩიეთ, აიღეთ და ჩაიცვით.

აჩი: ვერ ჩავიცვამ!

უშანგი: რატომ?

სანდრო: ჩაიცვით, რეპეტიციას ვილდესტერნისა და როზენკრანის კონტურებში ხომ ვერ გაივლით?

ბანი: (კატეგორიულად) ვერ ჩავიცვამ!

უშანგი: გამაგებინეთ, რატომ?

აჩი: ჩვენი გვინდა!

სანდრო: თქვენი იყოს... მიიღეთ როგორც კომპენსაცია.

ბანი: ვერა!

უშანგი: თქვე დალოცვლებო, მუქთა ბლუზა-შარვალზე ოცნებობდით და ახლა ამას იწუნებთ?!

აჩი: ასე გვირჩევნია.

უშანგი: თითქმის ახალია.

ბანი: საგალალო ის არის რომ თითქმის... შარვალი ხომ ყოველთვის ბარამყამონაცვალა... ღმერთმა უწყის, ვინ ლოთმა სიფილიტიკმა



ატარა... ასე არ არის, ანი?

ანი: ასეა, ბაჩი!.. და ახლა მოგახსენებთ... შენ ეტყვი, თუ მე ვუთხრა?

ბაჩი: შენ უთხარი, არა, მე ვეტყვი... საქმე იმაშია... ახლა შენ განაგრძე...

ანი: საქმე ისაა, რომ... ვიბარებენ.

ბაჩი: ახლავე, ამ წუთში!

სანდრო: უშანგი, დარეკე, რომ რეპეტიციის შემდეგ მივაღ.

ანი: ამ წუთში უნდა წამოხვიდეთ...

ბაჩი: თქვენ წამოიყვანეთ!

ანი: თუ არ წამოვყვით, ძალითო!.. რა კარგია, ეკოსტრუქციები რომ გაცვითოთ... თუ არ დავემორჩილებათ, დაშნა იხმართო! აბა, ბაჩი, დააძერე დაშნა!

ბაჩი: აბა, შენც ანი!..

დაშნებს გაამიშვებენ.

ანი: ახლა ჩემსას შემოკარი, ხომ უნდა დავარწმუნოთ რომ ნამდვილია!

დაშნებს ერთმანეთს შემოკრავენ.

ბაჩი: ასე!.. ერთი, ორი!.. ერთი, ორი!..

ანი: (ნიშნისმოვებით) მამ, ჩვენი ქვეყანა საყრობილეა, არა?!

სანდრო: „სწორედ საყრობილეა, რომელშიც ბევრი შენობაა, ბევრი ზერული, ბევრი ჯუღმული...“

ქრება შეკი. სიხნელუმი ისმის ქალებისა და კაცების ფიფი-ხიფილი, ქნებიანი შეკრებები, სიცილი, ღოღარმონის ხმა. აუღიო ეფექტებისა და განათების დახმარებით იქნება შთაბეჭდილება, რომ მოქმედება მიმდინარეობს აბანოში. დროდადრო, იგვე ეფექტების საშუალებით იცვლება სცენური გარემო - ხან ისევ სცენაა, სადაც თითქოს რაღაც უახრო წარმოადგენა მიმდინარეობს, ხან ფანტაზიზმად მისული ზღვის თაჯროლობის ადგილია, ხან ხაზგასმულად ციტირებული ფელინის ფილმის „რეკანხევის“ ფრაგმენტი, ხან ცირკია და ა.შ. ყველაფერი რეჟისორის და მხატვრის ფანტაზიაზე და შემოქმედებით გააზრებაზე დამოკიდებული, ოღონდ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ყველაფერი უნდა გვაგონებდეს ჩვენს უახლოეს წარსულს და იქნებ, დღევანდელ დღესაც კი.

ზურჭები გახვეული, ნახევრად მიშვლი ქალები და კაცები ჯგუფგუგუოდ დადიან. ანი და ბაჩი, გერმანეს ბანენ და დროდადრო ზურჭზე ცოცხს უტყაპუნებენ.

კატები: (ერთხმად) თეთრია თუ შავია, ყველა დანაშავეა!

ქალები: (ერთხმად) და-შნა-შა-ვე-ააა!

კატები: (ერთხმად) კრია თუ ბერია, ყველა დასაჭერია!

ქალები: (ერთხმად) და-სა-ჭერი-ააა!

გერმანე: აბა, ბიტებო, გეთავყეთ, ერთი კიდეც დაშხილეთ.

ანი: „მფარველო ჩვენი, თქვენ შეგებლოთ

გერმანებთან, ჩვენ რა ღირსნი ვართ, რომ მუფეთი თხოვნა მოგვმართონ.“

ბაჩი: „ჩვენ მზად ვახლავართ მორჩილებად შეძლებისამებრ და სამსახური თქვენს ფერხთქვეშე მოგვერთმევია.“

გერმანე: კარგია, კარგი!.. ოფოფ, გამაცოცხლეთ პირდაპირ!

ანი და ბაჩი, გერმანეს ტოვასათი მოახვევენ ზეწარს და ის, როგორც რომის იმპერატორი უფრუბა გლადიატორთა ორთაბრძოლებს, ისე შეაყურებს მის წინ გათამაშებულ სცენას.

ნუგზარი: (ბაძებს გუმის სავერის ხმას) გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ! აბა, ერთად!

ხმები: გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ-გუ!

ნუგზარი: (მალაფარდოვნად, დაცინვით) შიპობს გემი ზღვის ტალღებს! (ცინის) თეთრი გემი, თავისუფლების გემი!

სათო ხარხარი.

I დურგალი: (სიცილით) თუ არ ჩამოვა, თავს ვილა მოკვეთს!

II დურგალი: (ისიც ცინის) „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი!“

კონსულტანტი: უდადეს ბეთობვენს ესმოდა უდადეხი მეცხრე სიმფონია!

ამ სიტუაციით აღფრთოვანებული უსინათლო კონსულტანტი არტისტულად შემართავს ზელებს და იწყებს დირიჟორობას. ყველა ერთად მღერის მელიდიას მეცხრე სიმფონიდან.

I ქალი: (აღზნებული) თეთრია თუ შავია, ყველა დანაშავეა!

II ქალი: (უფრო მეტად აღზნებული) კრია თუ ბერია, ყველა დასაჭერია!

ხმები: დანაშავეა!.. დასაჭერია!

ნუგზარი: არ ვარგა, როდესაც სიკვდილის წინ დანაშაულს გრძობ... (სიცილს ძლივს იკავებს. იმანება.) მთელი ჩემი ცხოვრება თავს დანაშავედ ვგრძობ, დანაშაულია, რომ ცოცხლობდი, რომ ესუნთქავდი, რომ დავიბადე!.. ღმერთო ჩემო, არადა არაფერი დამიშავებია!

ქალები: (ერთად) თეთრია თუ შავია, ყველა დანაშავეა.

ნუგზარი: (ზეწარს მოაბრობს რუსუდანს) თეთრი და შავი არ ვიცი, მაგრამ ღმერთო, ეს რა ლამაზი ყოფილხარ! ვაიმე, თურმე რა სხეულს მალავდი, ქალი რუსუნა!.. ეს რა თეთრი მუშუბები გქონია!.. (ენებთან) დამესხზმრა, თითქოს მე და შენ, თეთრი გემის საცეკვაო დარბაზში ეცეკვავდი.

ნუგზარი და რუსუდანი ეცეკვენ. ქნებიანი ტანგო. მათ სხეები მიბაძვენ და იწყებენ ეცავს. შემობრბის უშანგი.

უშანგი: მოვიდა! მოვიდა! მოვიდა, ბატონებო! საიდანაც გამოჩნდება წითელმოსასხამიანი ჯუღბერი. ჩამოვარდება სამარისებული სიწუმე.



ჯუმბერი: აბა, მითხარით, ვინაა პირველი! პირველად ვის უნდა მოვკვეთო თავი! რაო, შვე- ემინდათ? აი, ეს მესმის! ყველას უნდა ემინოდეს, შინით უნდა ძრწოდნენ, აბა, წესრიგის დამყარება თქვენ ადვილი გვინათა?!

I ქალი: (შეშინებული) თუთრია თუ შავია...

II ქალი: (უფრო შეშინებული) ყველა დამნა- შავია...

I კაცი: (კიდევ უფრო შეშინებული) კრია თუ ბერია...

II კაცი: (კიდევ უფრო შეშინებულზე შეშინებუ- ლა) ყველა დასაჭურია...

შამოსპოგერელი სიწუმე ყველა გერმანეს უფერებს.

გერმანე: (ცერს დაბლა დახრის) ყველა დასახ- ვრეცია!

სიწუმეში, მოულოდნელად მთელი ხმით შემოიჭრება პიზეს ოპერა "კარმენის" უფრტორვა და იწამსვე მუსიკას ხალხის საერთო აღტკინება უერთდება.

გივი: ტორო! ტორო!

გივის ხელში დანა უჭირავს, ერთ-ერთი მსახიობი კი ხარს ანასხიერებს. ისინი ერთმანეთის პირისპირ ღვანან.

გივი: ტორო!.. ტორო!.. თვალი თვაღში უნდა გაუყარო ხარს, მერე უნდა გაუღიზო, უნდა დააჯე- რო, უნდა აფიქრებინო, დამინდობსო და როცა დაგუნდობა, ე, სწორედ მაშინ უნდა შვლიაო!

მსახიობი, რომელიც ხარს ანასხიერებს, გივის მახ- ელით განგმირული ეფექტურად ეცემა და საერთო აღტკინებას იწყებს. გივი გამარჯვების ნიშნად დანას მალა შემართავს, ვიღაცა დანაზე თავის ქალას წამო- აგებს. ტაში, ერთხელეოვანი „კაშა!“, შემოდის სანდრო, მაგრამ ამ აღტკინებულ აურხაურში მის შემოსვლას ვერაინ აწინებს.

სანდრო: გამაგებინეთ, ეს რა ხდება, მართლად საგიყეთი ხომ არ არის!.. უშანგი!

როგორც იქნა შეამჩნევნ სანდროს.

შემახილები: ვაშა! ვინც მოვიდა, გაუმარ- ჯოს! ეშაშა!

სანდრო: უშანგი!

უშანგი: (დაფუფხული) მოვიდა... მოვიდა...

სანდრო: ამიხსენი, რა ხდება!

უშანგი: მოვიდა, ბატონო სანდრო, მოვიდა!

სანდრო: ვინ მოვიდა?

უშანგი: (იმორებს მქეპნიკურად) ის... მოვიდა... მოვიდა... ის მოვიდა...

სანდრო: არა, საგიყეთია, ნამდვილი საგიყე- თი!

გერმანე: საგიყეთისა რა მოვახსენოთ, მა- გრამ... ერთი ეს მითხარით, ბატონო სანდრო, რა უყავით ბედს ისეთი, რომ აქ, ამ საპყრობილეში გამოგისტუმრათ...

სანდრო: საპყრობილეში?

გერმანე: დანია საპყრობილეა!..

სანდრო: მაშ ქვეყანაც საპყრობილე ყოფი- ლა!..

გერმანე: სწორედ რომ საპყრობილეა, რომელ- შიც ბევრი შენობაა, ბევრი ხვერილი, ბევრი უჯრ- დიშული!.. (თავის თავით აშკარად ქაშაყილი გერმანე იცინის, შუშლევ კი, აჩის და ბაჩის მიმართავს) რას გავს ეს, მეგობრებო!.. გახადეთ ბატონ სანდროს! ხომ არ დაგაიწყვდათ, რომ ორთქლის აბანო ჯანმ- რითულობისთვის სასარგებლოა!

აჩი: გაიხადეთ, ბატონო სანდრო!

ბაჩი: ნუ გერიღებთ, ჩვენ ყველანი შიშვლები ვართ და მარტო თქვენ რომ იყოთ ჩაცმული, უფრო უხერხული არ იქნება?... აბა, ჯერ პიჯაკი გაიხადეთ...

აჩი და ბაჩი, სანდროს პიჯაკს გახდიან. სცენა ორთქ- ლის ბურუსით იფარება.

აჩი: აი, ასე... კარგია!..

ბაჩი: ნუ გვიძალიანდებით, ბატონო სანდრო!

აჩი: ახლა შარვალიც!.. მიეხმარე, ბაჩი!.. ასე...

ასე...

ბაჩი: ნუ გრცხვენიათ, ნუ... ყოჩაღ! აი, ეს სულ სხვაა...

აჩი: აბა, ახლა აბახანაში ჩავსვით!

აღმოსავლური მუსიკა. აჩი და ბაჩი სანდროს აბახა- ნაში სვამენ. მის გარშემო რამდენიმე ქალი ფუსფუსებს. უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომელიც ფელინის ფილმის „კვანახევარის“, პარამხანის ეპიზოდს მოგვაგონებს.

I ქალი: (აღმოსავლური მუსიკის ფონზე) ასე, ჩემო ბიჭიკო, კარგია, აბა, თვალები დახუჭე. საბო- ნი არ ჩაგივლდეს... კარგი ბიჭი ხარ, ჭკვიანი... დათვი მჭლე და შენ მსუქანი... დათვი მჭლე და შენ მსუქანი!

იცვლება მუსიკა. ბრამსის მეორე საფორტეპიანო კონცერტის ფრაგმენტი.

II ქალი: მიცანი, სანდრო?... შენ ხომ ჩემი გულისთვის დადიოდი კონცერტებზე, გახსოვს?... სულ აქეთ-იქით იფრებოდი... მე მეტებდი... მეც გეპებდი ხოლმე... როცა დავინახავდი, ვიმალებო- დი, ხან ამხანაგებს ვეფარებოდი, ხან ქანდარაზე ჩავიმალებოდი და იქიდან გიყურებდი... შე, სულე- ლო... იცი, ერთი საიდუმლო უნდა გავიშხილო... მეც ძალიან მიყვარდი!.. ახლაც მიყვარხარ... მა- გრამ ახლა უკვე... მაშინ, მაშინ რატომ არ მითხ- არი, რომ გიყვარდი! რატომ გეშინოდა ჩემი?! ა, სანდროკო?!

კვლევ იცვლება მუსიკა. რუმბა

III ქალი: გეყოფა, მოგეშორდი! თავი დაგე- ანებე!.. (აგდებს II ქალს) არ გააწყვალა გული ამ რომანტიზმმა!.. (ქალების შემახილები: „ყოჩაღ, სარაგ- ინა! რუმბა სარაგინა!“) მე ხომ მიცანი?... (თავდავი- წყებით ცეკავს რუმბას) მე არახოლეს დამივიწყებს, მე ხომ მისი პირველი ქალი ვიყავი!

IV ქალი: მე მისი ცლილი ვარ!.. ასე რომ, ტყვილად ირჯებით!



V ქალი: თქვე სულელებო, მე ვარ აქ მთავარი! მე, ცოლიანი ხანდროს პირველი საყვარელი ვიყავი! საყვარელი ხომ უფრო ტკბილია... ამას ყველა დაადასტურებს.

მარი: ხანდრო, მეც აქ ვარ! კი მრცხენია, მაგრამ რა ვქნა, ჩემო ძვირფასო...

ხანდრო: მარი?!

ფუხარეფით შემოიპარება მეგობარი და აბაზანაში ჩაწოლულ ხანდროს შლასას დაახურავს. კამათი გარეუღლი ქალები მას ვერ აშინებენ.

მეგობარი: ხანდრო, გენაცვალე, შენ ნამეტანი მოვლის, შენი შემოქმედება, ახლა, აღმავლობას უნდა განიცდიდეს... შენ კი, დეკლანსში ვარდები... მაგრამ თუ პრობლემას ფილოსოფიურ ასპექტში განვიხილავთ, მაშინ, მე როგორც მეგობარი და არა პროდუსერი...

ქალები ახალა შეამჩნვევ მეგობარს, არ აციდან ლასარკს და ხელის კრითა და შეჯღუგუნებით ცდილობენ მის გაგებას, ერთ-ერთი მოძიენიერების მოღტსაც კი მოუქვცს.

ქალები:

- ამას აქ რა უნდა!..

- აქ, როგორ შემოაღწია?!

- მოშორდი აქედან! უსიტხვილო!

თავზეხლავარებული მეგობარი ქალებისაგან თავის დაღწევას ცდილობს.

მეგობარი: (ვივის) ვაი, მიშველეთ! ვაი!.. მივლივარ, მივლივარ! ნულა მირტყამთ!..

ქალები: წადი, მოშორდი აქედან! გაჭირი!

მეგობარი: გაქციეთ შევლის თავს. ქალები მისდევენ. აბაზანიდან ამომხვარული ხანდრო, მათთან მყოფ მარის შეაჩერებს.

ხანდრო: მარი, შენ აქეთ გამოდი, თავი დაანებე მავათ, მოდი ჩემთან!.. „მე შენ ერთხელ მიყვარდი.“

მარი: „მეც მეჯეროდა თქვენი სიყვარული.“

ხანდრო: „არ უნდა დაგვეჯერებინა... მე შენ არ შეყვარებინარა...“

მარი: „მით უფრო შემცდარი ვყოფილვარ.“

ხანდრო: „მონასტერში წადი, მონასტერში...“

მარი: „თოვლივით თეთრ სუღარაში,

ჩვენ იგი გამოვახვიეთ,

ლამაზ ვეავილებით მოვრთვით

და უხვად ცრემლი ვაფრქვივით...“

ხანდრო: წადი, წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია...
მარი: „ფსკერზე, სხადე შლამია და წყალმცენარეები, ჩაწევა ის დასასვენებლად, მაგრამ იქაც კი ვერ ნახა სიმშვიდე...“

ხანდრო: მარი, ძვირფასო, შენ ხომ ამ როლზე ოცნებობდი, პოდა, მოდი, მომეხმარე... შენ, მინც გააკეთე ვასაკეთებელი... მოდი მარი, ნუ გეშინია!

მარი: რატომ დამცინე...

ხანდრო: არა, მარი, გენაცვალე, არ დამცინია... უბრალოდ, მე თვითონ არ ვაქცინებ...
ჩემს თვებში ვერ გავრკვეულვარ!

მარი: „პრინციო კამპლექტი! თქვენი გონების საქმე არ არის, აღამანთა უნებების განსჯა...“

კვლავ საერთო კრიამული. საცირკო მარმის ფონზე, თავყანისმცემლების გუნდთან ერთად შემოდის უკვე ცივილურ კოსტუმში გამოწვობილი გერმანე.

გერმანე: ეპ, ჩემო კარგებო, რომ იცოდეთ რა მძიმეა ხელმწიფის გვირგვინი, არასოდეს არ ისურვებდით მას, არასოდეს!.. მეც არ ვიტყვირთავდი ამ მძიმე ტვირთს, მაგრამ ანარქიისა მეშინია! ამიტომაც ვარ ამ დღეში! მე, ჩემი ვალი უნდა მოვიხადო, უნდა გიშველოთ, უნდა გადაგარჩინოთ! გახსოვდეთ, მტერიც ბევრი გყავს და მეგობარიც... არც მტრები შეგვეშვებიან და არც მეგობრები მიგატოვებენ!

ტამი:

ხანდრო: მიდი, მარი, მიდი!

მარი: (გერმანეს) „გთხოვთ, მიმიღოთ ჭურჭლის მრეცხავად, ლიტონონდის ახლადგახსნილ სასადილოში.“

გერმანე: აი, ხედავთ, რა დღეში ვარ!.. როგორ მოვიქცე?.. ყველამ მშვენივრად იცის რა მღვობარობაცაია!.. ახლა, ჩვენ უნდა გააღორძავოთ სიფიზილეს!.. ის ახლახან დაბრუნდა, თანაც მისი ქმარი ხომ... თანაც დაჭერილია, იცით რის გამოც!.. თქვენ წარმოიდგინეთ, ქალიშვილიც... ესეც მშვენივრად მოგესხენებათ... მერე რა, რომ ჭურჭლის მრეცხაობას ითხოვს... ახლა მიიხარით, თქვენ, ჩემს ადვილზე როგორ მოიტყეოდით?

ხალხი: - სწორედ მოიტყეოთ! მაშინ ღრო იყო ასეთი! ღრო!

- არავის ნდობა არ შეიძლებოდა!

- არც ახლა შეიძლება!

- წყალს წამლავდნენ!

- ჯამუშობდნენ!

- ახლაც ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ დავიღუპებით!

- დავიღუპებით, ხალხო!

მარი: (ცდილობს ხალხის ყურადღების მიპყრობას, ხამალა) „ღროა, მოვიხსნათ სამკაულები, ღროა, სხვაგვარად ვილაპარაკოთ, ღროა, ჩაუჭიროთ, გზის მანათობელი ყველა საწითელი!“

გერმანე: კარგით რა, მომაცილეთ ეს ქალი!.. უთხარით, რომ განვიხილავთ მის განცხადებას!..

ჯუმბერი: (ხელს კიდებს მარის) მე, თქვენი პოეზიის თავყანისმცემელი ვარ... ნუ ღელავთ... წადით ახლა, წადით! ყველაფერი რიგზე იქნება, გარწმუნებთ.

მარი: (შეშინებული მარი ჯუმბერს მოცილდება და კონსულტანტს შეეფეთება) „შეიძლება ის შინახსკო...“



მიდანა?! აბა, რატომ შექცევა ასე კარგად?! შეიძლება მოგზავნილიყავა! მე მისი შეშინია!"

კონსულტანტი: მე , თქვენ ერთ საიდუმლოს გაგანდობთ. გილიოტინის დანა და კისერი, ორივე ერთ სიბრტყეზე უნდა იყოს განთავსებული, ვერტიკალურად, რაღა თქმა უნდა... „ტეტეით“ სხვაა - აქ უკვე პორიზონტალურ სიბრტყესთან გვაქვს საქმე, ლულა უნდა გაუსწორო კეფას, დაახლოებით, სამი სანტიმეტრით კისრის ზემოთ!..

მარი: (თავს დააღწევს კონსულტანტსაც და კვლავ გერმანეს მიმართავს) „თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი უშწყო ვარ! ადრე ლექსებს მაინც ვწერდი, ახლა კი, მაგასაც ვუღარ ვაზერხებ!“

გერმანე: მომაცილებთ რა, ეს ქალი! ბიჭუბო, რამე მიმღერეთ!.. აი, ის იმღერეთ... ის... მე რომ მივფარს!

აჩი და ბაჩი: (იწყებენ სიმღერას) ფანჯარაში-ი მტრდია-ა-ა, ნეტა ვისი ბეღია-ა, არ მოძიკლა გენაცვა-ა-ა...

მარი: (სასოწარკვეთილი) „ვერავინ ვერ ამინებს, რომ უკვე წელიწადია, რაც მე, სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან დავივებთ კაუჭს!“

გერმანე: პოლა, მიუჭუვეთ ეს ობერი კაუჭი და თოკიც გამოუბით, მარყუებიანი!

სანდრო: ყოჩაღ, მარი! ყოჩაღ!.. ბრავო!
გერმანე: (სანდროს გამოაჯერებს) ყოჩაღ, მარი! ყოჩაღ!.. ბრავო!.. შენ გგონია რომ ამით რამეს მიადღწი?

სანდრო: მომისმინეთ...

გერმანე: არ მოვისმენ! ვიცი, რასაც შეტყვი - რა დროზე დარდობთ, ვის შენატრიოთ! ეს დახვრიტეს, ის დახვრიტეს, იმას, სადაც ტრამპლში გაუხვრიტეს თავიო! იმან, სანადირო თოფით თვითონ გაიხვრიტაო, ერთი, მეოთხე სართულდიან გადმოხტა, მეორემ თავი ჩამოიდრჩო!

სანდრო: მერე, სიმართლე არ არის?!

ხალხი: - სამაგიეროდ წესრიგი იყო!

- საქმელი იყო!

- ყოველ წელიწადს ფასებს აკლებდნენ!

- რატომ იმაზე არ ლაპარაკობს, რამდენი გახდა ლაურეატი, რამდენი დააჯილდოვეს ორდენებით, რამდენს აუშქენს აჯარაკი, რამდენს მისცეს ბინა, მანქანა!..

- პატვი... დიდება... აღიარება!

გერმანე: (იხე ლაპარაკობს, რომ ძნელი გასარკვევია, ვინ არის - მსახიობი თუ თავის თავში დარწმუნებული, დაუნდობელი პოლიტიკური დემაგოგი. ხანდახან კი შეიძლება ცირკის უამბაზეც მოგვაგონოს) ასე რომ, ჩემო კარგო, ყველაფერი ისე არ არის, როგორც შენ წარმოგიადგენია... მთავარი მაინც საბოლოო მიზანია!.. შენ რა, გგონია, რომ მე, ადამიანი არა

ვარ, ვერძობა არ გამაჩნია, გგონია, მსიაძმოვნებს თქვენი მწყემსვა?! არ მსიაძმოვნებს... მაგრამ თუ ესაა ჩემი მისია, მაშინ რა ვქნა?! ეს მისია დამაკისრა ღმერთმა და სანამ ვიარსებებ, სანამ სული მიდგას, არავის დავინდობ, ვინც კი, საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე, წინ გადამიდგება! არ დავინდობ!! არ შევიწყალებ!! არც არავის მივცემ შეწყალების უფლებას! არავის!! რა თქმა უნდა, დანაშაულებს ვუღლისხმობ, თორემ თქვენთან, ბატონო სანდრო, რა ხელი მაქვს... თეთრი გემი... თეთრი გემი!.. არ გინდა, დამიჯერე, არ გინდა!.. არ შემიკამათო, მე ყველაფერი ვიცი!.. სანამ ვაფიქრებას მოასწრებ, უკვე ვიცი!.. უშიშროება გენაცვალე, უშიშროება! თანაც მოხალისეები... (ჩურჩულით) მოხალისე დამხმენები, მოსვენება არა მაქვს ამ მოხალისეებისაგან! ყველაფერი ვიცი და აი, გვეითხები შენ, მჭონდა კი უფლება, ვიდაც გაქსუებული ლაწირაკების გამო, ეჭვგაქვეს დამეყენებინა ჩემი ამღერი ნაწვალ-ნაჯაფი?! შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ადგილზე, როგორ მოიტყვილი? გაუშვებდი თეთრი გემით?.. მერე, სხვებსაც რომ მიენდობებინათ?! თუ სხვებსაც არ ეკუთვნოდათ თავისუფალი ნაგარდით გამოწვეული სისარული?! მხოლოდ გვენი იყენენ გამორჩეულები?! თეთრი გემის გარეშეც მშვენიერად ცხოვრობდნენ... მშვენიერად!.. ძმა ძმას ეხვეოდა, ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, მღვდელი კი, ბუბუბუბებდა თავისთვის „მამაო ჩვენსო...“ ჰო, ჰო, ყველაფერი ასე იყო!.. მე მომატყუებ შენ? არაფერი შეგეშალოს! გადაიტანა მოქმედება წარსულში, პოტი თავს ჩამოიხრჩობს, თანაც ქალი... მერე გემიო... თეთრაფრიანიო... სამლეტიდანაც რომ აპირებდი ნაწყვეტის ჩასმას. (იცინის) „ვამეგონია, რომ როდესაც ცოდვიანები, თავიანთ ცოდვის მსგავსსა რასმე თეატრში ნახვენ, გულდაკოდილი მყის ამ ცოდვას თვითვე ამხევენ.“ (უფრო გულიანად იცინის) ისე გიმეუღლოს ღმერთმა, ასე არ იყოს ჩვენს დროში!.. ხომ დარწმუნდი, რომ ყველანაირი ინფორმაცია მოდის ჩემამდე... ახლა, გინდა გითხრა სინამდვილეში რა მოხდა?.. ხომ გაინტერესებს? მერედა, შე დალოცვილო, მოსულიყავი ჩემთან, გვეითხა, რა გინდოდა სხვებთან, რას ჩააცივდი იმ საწყალ შურიკას!.. აბა, ახლა კი, ყური მომამყარ! ვიწყებ... ბალაა იმათზე ვინც ჩვენს რჩევა-დარიგებას არ ასრულებს!.. დასაწყისი ვთქვი უკვე, ძმა ძმას ეხვეოდა და რაღაც-რაღაცეები, მაშ ასე!.. ჩქარა, ჩქარა გვესროლე ჯალათიო, რაღას უყურებ, ერთად გვესროლე, ორივეს ერთად! ოპ, შენი დედა, რაღას უყურებ! - ყვიროდნენ ძმები. მღვდელი კი, ბუბუბუბებდა „მამაო ჩვენსო“ და აუღლებულად ელოდა თავის რიგს. და აი, გასროლა, დაეცა



ერთი, წესით და რიგით, ვერ კეთაშეღწეული უნდა გაეტანათ და მხოლოდ მერე უნდა შეეყვანათ იქ მეორე... მაგრამ ჯალათი კაცი არ არის? განა წერებები მას არა აქვს?! ქართველი კაცი, დედის გინებას ვის შეარჩუნს?! და ამის გამო, მხოლოდ ამისთვის დაარღვია მან ინსტრუქცია და შეათრია იქ მეორე ძმა, ხელ-ფეხ შეკრული, თავის თვალით დაანახვა უსულო გვამი და ცხვირ-პირი, სისხლში ახელილ ტვინში ჩააყოფინა! მღვდელი კი, კვლავ ბუტბუტებდა „მამაო ჩვენო“ და ისევ ისე, აუღელვებლად ელოდა თავის რიგს... და კვლავ გასროლა, და სინუშეში ბუტბუტი მღვდლისა, და ისევ სროლა!.. ამ გასროლამ ჩააჩუმა ბუტბუტი მღვდლისა!.. დარჩა მკოთხე, მუხლმოკვეთილი ხელით ეჭირათ, ხმას ვერ იღებდა, ბოჩოლასავით დიდი თვალებით შესცივინებდა, კიდევ, კიდევ ჰქონდა იმედი! და როს ხელი ჰკრეს და სასაკლავო სკენ წათრია, მამინ იყვია, იღრიალა, მხოლოდ წუთი მადროვე, ჯალათო!.. სულ ერთი წუთი!.. ერთი წუთი!.. (მოულოდნელად გერმანე იწყებს სიმღერას, თანკ ისეთი ადგნებით, ხანდახან, მეტად მზარულ, თავაწვევით ქვიფს რომ ახლავს ხოლმე, აჩი და ბანი სიმღერას დოღ-გარმონის ააყოლებენ. ეშხში შესული გერმანე ხელს გამოსი და იწყებს „კონტორის“ ცეკვას. აჩი და ბანი, უფრო მეტი გატაცებით უკრავენ. ცეკვა-სიმღერა კულმინაციას აღწევს, მაგრამ გერმანე უცერად შეწყვეტს სიმღერას და ხელის აწევით აჩერებს დამკრულს) მოიცა!.. (სინუშე) თუშეცა ერთი რამ არ ვიცო... ადროვა ჯალათმა ის ერთი წუთი?.. თქვენ გეკითხებით, ადროვა?!

სინუშე.

გივი: (ძლივს ამოდერდავს) არა, არ ადროვა!.. წამიც კი არ ადროვა!

გერმანე: ოპ, თქვენი დედა!.. მერე, იქ არ იყავით? ეს როგორ ჩაადენინეთ, როგორ მიეცით ამის უფლება?! ესა თქვენი ადამიანობა?! როგორ, როგორ არ ადროვით!.. სულ ერთი წუთი!

აღტაცებული ქალები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიან.

- ქალები: — ხედავთ, რა ჰუმანურია!
 — ეს რა კაცია!
 — რა მომხიბლავი!
 — კულტურული!
 — განათლებული!
 — რა ღიმილი აქვს!
 — როიალზე უკრავს დიდებულად, მაგრამ მანც დოლი ამჯობინა!
 — ინგლისურადაც ლაპარაკობს!
 — ფრანგულადაც!
 — ღიმილი მანც საოცარი აქვს!

ღინამიკებიდან მოვლი ხბით ისმის გილიოტინის დანის ვარდნის მკვერი ხმა. ცველა აფილზე შემუშავდა.

რომა: (ვიხურვიდან თავს გამოკოფს) რეგორია, ხომ არის ნამდვილი კანფექტი! **ერქცხულო**
 უშანგი: დავიწყეთ, ბატონო! **სანდრო**
 სანდრო: „ბოროტი კაცი დანიამიც ბოროტი არის!..“

უშანგი: რა ბრძანეთ?
 სანდრო: „რომ ბოროტ კაცსა ღიმილი არ გაუჭირდება!“
 უშანგი: დავიწყეთ?

სანდრო: (უხალისოდ) დავიწყეთ.
 გამანათლება გილიოტინა, დურგლები თავიანთ ადგილს იკავებენ: I დურგალი ემფოტის კიბეზე ჩამოედება და სიგარეტს მოუკიდებს, II დურგალი კი, შალაშინს აიღებს და ვილიოტინის კარკასის ერთ-ერთი ძელის გარანდავს შეუდგება. კახა კვლავ ვიტარაზე უკრავს, მაგრამ ამჯერად მელიოია სველიანია და დასაწყისისგან განსხვავებით, ტექსტი თავიდანვე გარკვევით ისმის.

კახა: სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო! — გრაფინია დიუბარი, სანსონს ევედრებოდა, — სულ ერთი წუთი!.. თითები დაუჩქქვეს უროთი პიანისტს!.. ერთი და იგივე, ერთი და იგივე... ახალი ზუნებიინები, წესრიგს ამყარებენ, წივიან, კივიან... გრაფინია დიუბარი კი, სანსონს ევედრებოდა, — სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო...

კახა სიმღერას წვეტებს და დურგლებს მაჩერდება. როგორც დასაწყისში, ისევე ახლა II დურგალი, შალაშინს სახელდახვლოდ შეკონსერვულ ხის მაგიდაზე დავებს, მერე, დიდი, გაკვეთილი პორტფელდან, პურს, ცველს, არყის ბოთლს და პლასტმასის ჭიქებს ამოიღებს. I დურგალი სიგარეტს აქრობს, დგება და მაგიდას უახლოვდება.

I დურგალი: ჩამოვა?
 II დურგალი: (არაყს ჭიქებში ასხამს) „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი...“

I დურგალი: თუ არ ჩამოვა?!.
 II დურგალი: „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი...“
 სანდრო: არა! არა!.. არ ვარცა!
 დიდი პაუზა.

I დურგალი: (ემფოტოდან ჩამოხტება) გისმენთ, ბატონო სანდრო!

სანდრო: მეგობრებო, მოდით აქ... ცველაფერი თავიდან უნდა დავიწყეთ!
 სცენაზე შემოსული მსახიობები გაკვირვებულნი შესყურებენ სანდროს.



II დურგალი: რა?! როგორ თუ თავიდან?!

სანდრო: დიას, თავიდან... (ლაპარაკობს ღუნდ, უხალისოდ, ხან თითქოს თავისთვის, ხან მსახიობებს მიმართავს) სიმართლე რომ გითხრათ... არც კი ვიცი, რა გითხრათ... მეტი სიცხადეა საჭირო... სიმართლეც... გამბედაობაც! თეთრი გემი აუცილებლად უნდა გამოჩნდეს... ის, თქვენ უნდა დაინახოთ... გილიოტინაც უნდა დაინგრეს... თეთრი... თავისუფლების გემი... ვინმეს სჭირდება კი?! (მსახიობებს) მე, თქვენ გეკითხებით, სჭირდება?!

გაოცებული მსახიობები მხრებს იჩნევენ.

I ქალი: (II ქალს გადაულაპარაკებს) რა დაე-მართა?... მთვრალი ხომ არ არის?..

II ქალი: არა, რას ამბობ, ძალიან გადიდებ-ლა...

სანდრო: (კვლავ თავის თავში იძიება) „ასე მთავრდება ეს წუთისოფელი...“ სადაც არ უნდა გაიხედო, კედელი აღმართულა... კედელი! თეთრი გემი! თეთრი გემი!..

ველა გარინდებულა. ამ დროს შემოდის ზაზა, რომელიც კვლავ, თავისი ხმის საყარჯიშობითა დაკავებულია.

ზაზა: ააა... ააა... ლ... ლ... ლომი... ლომი... ლ... ლომი... სამშობლო... სამშობლო...

ზაზას გამოჩნა, თავისი განუყრელი ხმის საყარჯიშობით საოველთაო სიცილს გამოიწვევს. სცილი თავის თავში ჩაღრმავებულ სანდროს კვლავ რეალურ გარემოში აბრუნებს, მსახიობებს თვალს შეაღებს, გაკვირვებული ზაზას დანახვაზე ვეღაფერს ხელება და თითონაც ეცინება. მერე ზაზას ხელში ჩაჭიდებს ხელს და წინ გამოიყვანს.

სანდრო: მოდი, ჩემო კარგებო, წრე შეეკრათ, ჩაჭიდეთ ხელი ერთმანეთს, ჩაჭიდეთ, აბა, შეეკრათ წრე! (ნელ-ნელა ეწვრება და დამაჯერებლობა ემატება) თქვენც მოდი, ჩემო გილდენსტერნ და როზენკრანც, მოდი, რა მოხდა, ვეღაფერი ხდე-ბა, ნუ გერიდებათ! ასე! მოდი, მარნი შენც, რუსუდან, გვი, ნუე ზარ, ჯუშბერ, მოდი!..

სანდროს ხმა მკაცრი და მომთხვენი ქვეყნის მკვი-ერთი მსახიობი ხალისით დგება წრეში, ზოგიერთი უხალისოდ, მოკლეობის გამო, ზოგიერთი მხრებს იჩნავს, ზოგიერთს პროტესტის გამოხატვა უნდა, მაგრამ ინტერესის თუ რაღაც სხვა მიზეზის გამო ისინიც დგებიან წრეში. ერთი სიტყვით თეატრისათვის დამახასიათებელი სიტუაციაა. მხოლოდ გერმანეს როლის შემსრულებელი მსახიობი დგას განზე ეტყობა, როლიდან ვერ გამოსულა და თავი კვლავ ჰეფენის პატრონი ჯგონა.

ასე, კარგია! მაგრამ ჩაჭიდეთ ხელი ერთმანეთს, იგრძნეთ ერთმანეთი! ახლა, ყური დაუგდე-დეთ ზღვის ხმას... რომა, ზღვა! (ზღვის ხმა) ხომ გესმით ზღვის ხმა? გემიც გამოჩნდება, ჯერ შორს არის, მაგრამ მოდის, ჩვენსკენ მიემართება... თეთრი გემი, ოცნების გემი!.. ქარი! (ქარის ხმა) აბა, ვავევეთ ქარს სამოგზაუროდ, ნუ გეშინიათ, ნუ! თქვენ უნდა შეიგერძნეთ თავისუფალი ნავარდით გამოწვეული სიხარულს... აბა, წავედით! მუსიკა! (მუსიკა) წრეზე, წრეზე!..

ხელიხელაკადებული მსახიობები ცეკვა-ცეკვით უშლიან გარშემო გილიოტინას. დურგლები გილიოტინას თეთრ ნაჭერს გადააფარებენ და თითონაც უროდებიან საერთო სიხარულს.

პატრონი გერმანე, თქვენც მოდი, მოდი, ნუ გერიდებათ!.. ვითომ ბავშვები ხართ, პატრონი გერმანე წრეში ჩააყენეთ, აბა, ვიმღეროთ! ეს გერმანე რა ყოფილა, აი, ამ სიმაღლე, აი, ამ სიგანე... (გერმანეს წრის შუაგულში ჩააფენენ) ასე, კარგია! გაუღიმეთ ერთმანეთს! გიყვარდეთ ერთმანეთი! გიყვარდეთ ერთმანეთი!.. გამოჩნ-და!.. გემი გამოჩნდა! შეხედეთ!.. დაინახეთ! არა, არ მეჯერა! კარგად შეხედეთ!.. ის გამოჩნდა!.. ის გადავარჩენთ!.. ის! (ცოცხალი ჯაჭვი წდება. ხელიხელაკადებული მსახიობები ერთმანეთის მიყოლებით სტოვებენ სცენას) ის გადავარჩენს... თეთრი გემი... თეთრი გემი...

სცენაზე სიმნელა, მხოლოდ ერთი სხვი ანათებს სანდროს. წველიადმი კვლავ გამოჩნდება გილიოტინა.

სანდრო: (მუდართი) სულ ერთი წუთი გეადროვებ, ჯალათო!

თეიმურაზ პატრიარქილი

კრწანისი

11 სექტემბერს დილის 7 საათიდან ალა-მაჰმად-ხანი იწყებს თბილისზე შეტევას და თავად სარდლობს ჯარს.

თუ ჩავთვლით, რომ ორი დღის ბრძოლის შემდეგ მას 32 ათასამდე ჯარისკაცი მაინც დარჩა, მისი ჯარი სულ ცოტა შვიდეჯერ თუ არა ექვსჯერ მაინც მეტი იყო თბილისის დამცველებზე. ამასთან „ზარბაზანნი და ზამბურაკნი საკმარ აქვს“ – აღნიშნავდა თეიმურაზ ბატონიშვილი და, ალბათ, არ არის სწორი ის მოსაზრება, თითქოს სპარსელებს ზარბაზნები მცირე რაოდენობით ჰქონოდათ.

თეიმურაზ ბატონიშვილი გვამცნობს, რომ ალა-მაჰმად-ხანს თავისი ჯარი 14 ნაწილად დაუყვია და ისე მებრძოლთა რაოდენობებს თუ შევადარებთ, მისი ერთი თუ არა, ორი ნაწილი ჯარისა მაინც უფრო მეტი იყო, ვიდრე ქართველთა მთელი ჯარი. ძალები რაოდენობრივად მეტად უთანასწორო იყო, თუმცა შეიარაღებითა და ბრძოლაში გამოცდილებით ქართველები მტერზე მაღლა იდგნენ. მაღალი იყო ქართველთა სულიერი განწყობაც.

ალა-მაჰმად-ხანი ითვალისწინებდა რა ბრძოლაში ერეკლეს დიდ გამოცდილებას, ქართველთა მამაცობას, რაც საყოველთაოდ იყო აღიარებული და ამაში თავადაც დარწმუნდა თბილისის მისადგომებთან ორი დღის ბრძოლისას, ფრთხილად მოქმედებდა და თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, „საკვირველი ღონე გამოიგონა“.

მას თავის არმიამი ექვსიათასამდე ერთგული თურქმენი მებრძოლი ჰყავდა, თავადაც ხომ წარმოშობით თურქმენული ტომიდან იყო. თურქმენები კი „არა მოყვარე არიან სპარსთა და არცა სპარსნი არიან მოყვარენი, არამედ სძულთ მათ ფრიად ერთმანეთი“. მიუხედავად მაჰმადიანობისა, მათ შორის სექტობრივი განსხვავებაა, თურქმენები სუნიტები არიან, სპარსელები შიიტები და ეს უფრო

აძლიერებს მათ ურთიერთდაპირისპირებას. ამიტომ თურქმენები უკან დაუყენა სპარსელების მებრძოლ რაზმებს ალა-მაჰმად-ხანმა და უბრძანა, თუკი რომელიმე სპარსელი მებრძოლი უკან დაიხევდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, თუნდაც მხედართმთავარი, „მყისვე მოეკლათ იგი“. თურქმენებსაც ერთგულად შეუსრულებიათ ეს დავალება და „რომელიცა ილტვოდნენ ბრძოლისაგან სპარსნი, მყისვე უწყალოდ მოიკვლიდნენ მათ მიერ“.

ალა-მაჰმად-ხანი, გარდა იმისა, რომ სპარსელების მთელ ჯარს სარდლობდა, თავად ჩაუდგა სათავეში ჯარის იმ კორპუსს, რომელიც, სოღანლულის მხრიდან, მტრისათვის თითქმის მიუვალი და ქართველებისაგან კარგად დაცული გზით უნდა წამოსულიყო თბილისისაკენ, რაც მიუთითებს, რომ მიუხედავად სირთულისა, ეს გზა მაინც თბილისისაკენ მიმავალ ძირითად სალაშქრო გზად მიიჩნია შაჰმა.

ჯარი, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი ჰყავდა და მათი რაოდენობა ყველა მიმართულებით საკმარისი იყო. მარცხნივ, თელეთიდან ტაბახმელა-შინდისში მიმავალ ჯარის ნაწილებს თავისი ერთგული სარდლები ჩაუყენა სათავეში.

სოღანლულის ვიწროებიდან შესული და შინდის-ტაბახმელადან დაშვებული ჯარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრწანისის ველზე უნდა შეერთებულიყო და ძირითადი შეტევა აქედან უნდა განხორციელებულიყო, გარდა იმისა, რომ მტრის ჯარის ნაწილი, შემოვლითი გზებითაც მოადგებოდა თბილისს.

ავტორთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ძირითად ბრძოლა კრწანისის ველზე წარიმართა, ხოლო, თუ რომელიმე ავტორი ბრძოლის ადგილად „შავნაბადას“ მიიჩნევს, არც ესაა დიდი შეცდომა, რადგან თელეთის ქედს, თუ შავნაბადას ქედსაც ვუნოდებთ, ხოლო მის ჩრდილო ფერდობებს – შავნაბა-



დას ფერდობებს, მაშინ ბრძოლის ადგილის აღნიშვნაში სხვადასხვა ავტორთა მიერ, თითქმის არ არის განსხვავება. ბრძოლა იყო თაბორის ქედის მიდამოებშიც, „სადაც იყრებთან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისანი“.

ქართველთა ჯარს 11 სექტემბერს თავად ერეკლე სარდლობდა.

ერეკლემ ქვათახევიდან წმინდა ესტატეს მუმიფიცირებული ნაწილები ჩამოატანინა და წმინდა ხატებთან ერთად ქალაქში გამოატანინა.

ერეკლეს ერთგული გვერდითმყოფნი ურჩევდნენ არ მიეღო უშუალო მონაწილეობა შუაგულ ომში და ეუბნებოდნენ: „თუ სადმე გენიოს შენ ძვირი ანუ ბოროტი რაიმე, უშეტვს განლადენ მტერნი და უყოფენ ძვირსა და ქვეყანასა ჩვენსა“, მაგრამ ერეკლე დღის ბოლომდე შუაგულ ბრძოლაში დარჩა თავისი მებრძოლების გვერდით, ახალგაზრდული ძალით და შემართებით, თავგანწირული ბრძოლის მაგალითს აძლევდა მოხუცი მეფე ქართველთა ჯარს, რომლის რაოდენობაც ხუთი ათას მებრძოლს არ აღემატებოდა.

დაცვის მარჯვენა მხარეს სარდლობდა დავით ბატონიშვილი, რომელსაც უნდა დაეცვა გზები, „ რომელიცა ზემოთ გზით ტფილისად შევალს და გზას მას შეეყრებიან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისანი და აგრეთვე სეიდაბათსა სამეფალსა გარდმოვიდის ყორჩიყალის კერძო მუნით გზაი იწრო და შეეყრების იგიცა ქვემოსა გზასა ტფილისისასა. ხოლო ყოველთა ამათა გზათა და ადგილთა მიდამონი ყოველივე კლდეურნი, მთიურნი და ვინრონი არიან“. ე.ი. დავითი იცავს შინდის-ტაბახმელადან და თაბორის ქედიდან, კრწანისისაკენ, ასევე სოლოლაკის გავლით თბილისისაკენ მიმავალ გზებს.

მენინავე რაზმს, რომელიც კრწანისის ველზე პირველი უნდა შეგებებოდა მტერს, იოანე ბატონიშვილი ჩაუდგდა სათავეში. ამ რაზმში ერეკლემ „განანესა მხედრობანი რჩეულნი“.

იოანე თავისი რაზმით, პირველი გავიდა ბრძოლის ველზე და სოლანლულიდან შემოსასვლელი ვინრო გზებისაკენ დაიძრა.

მარცხენა ფრთის (იგულისხმება დაცვის მარცხენა პოზიციის მარცხენა ფრთა) რაზმი ჩააბარა იოანე მუხრანბატონს. ამ რაზმს, სავარაუდოდ, მტკვრის მარჯვენა ნაპირის

გასწვრივ ორთაჭალასთან ახლოს სოლანლულის ვინრო ადგილებიდან კრწანისამდე მოყოლებულ მიდამოში უნდა ებრძოლა.

„განვიდა თვით მეფე ყოვლითა მხედრობითა თვისითა ბრძოლად სპარსთა და დაადგინა მხედრობანი თვისნი დეასარულსა სეიდაბათის ბალთასა“. ე.ი. თვით ერეკლე, გარდა ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობისა, იცავდა სეიდაბადისაკენ მიმავალ ცენტრალურ გზას, რომელიც, სავარაუდოდ, იმ ადგილზე გადიოდა, სადაც ახლა თაბორის მთის ფერდობის ბოლოს, ნადიკვარის ქუჩის აღმართსა და ორთაჭალაქვის შორის მდებარე ტერიტორიაა. ამ ადგილზე, გაერთიანებული მტრის რაზმების შეკავება თბილისის დამცველთა ბოლო იმედი იყო.

როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, ერეკლე თავისი რაზმით ამ ადგილებში, ქედზე, შემალლებულ ტერიტორიაზე ავიდა და აქედან აკონტროლებდა ბრძოლის ველს.

თავისი ვაჟის, ვახტანგის (იგივე აღმახსანი) და ოთარ ამილახვრის რაზმები, როგორც სარეზერვო, თავისთან ახლოს იახლა, „რათა რომელსაცა კერძოსა საჭირო იყოს ბრძოლასა შინა, მოაშველოს მუნ იგი“.

ვახტანგ ბატონიშვილის რაზმში ძირითადად იყვნენ ქიზიყელნი, არაგველნი და ფშავეზეზურნი, მათთან იყო თბილისის მოქალაქეთა რაზმიც.

ათასი იმერელი, ზურაბ წერეთლის მეთაურობით, იცავდა თბილისის დაცვის მარცხენა პოზიციის მარჯვენა ფრთას: „იმერთა მხედრობანი იყვნეს მძღვანელობისა ქვეშე ზურაბ წერეთლისა და სდგეს იგინი მარჯვნივ კერძო მეფისა“.

იმერელთა ხუთას კაციანი რაზმი და თავად სოლომონ II კი თბილისის გალავანთან, აბანოს კარის მიდამოებში დააყენა ერეკლემ, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მეზარბაზნეებს დახმარებოდნენ.

ამინდი მთელი კვირა წვიმიანი და ღრუბლიანი იყო. წვიმას მიწაც აეტალახებინა.

სოლანლულიდან დაძრული ალა-მაჰმადხანის ჯარის ნაწილები, რომელთაც შეტევა მარჯვენა ფრთიდან უნდა ეწარმოებინათ, თელეთის ქედთან, ვინრო, კლდოვანი გზის მიდამოს მოადგნენ. ამ რაზმებს თავად ალა-მაჰმად-ხანი მეთაურობდა.



ერთ მხარეს ადგილები მტკვარი იყო, ხოლო მეორე მხარეს მიუვალი მთის ფერდობებზე ქართველთა მენინავე რაზმები ჩასაფრებულიყვნენ, სანგარში გამაგრებულმა ქართველებმა თოფები დაუშინეს მოახლოებულ მტერს და ნინსელის საშუალება არ მისცეს.

თავის მხრივ, სპარსელებმაც განახორციელეს შეტევა, მაგრამ თბილისის დამცველ მენინავე რაზმს ფეხი ვერ მოაცვლევინეს ადგილიდან. ალა-მაჰმად-ხანმა რამდენიმე ზარბაზანი წამოაწვინა წინ და ქართველთა სანგარს ცეცხლი გაუხსნა.

მაშინ, ქართველები გამაგრებული ადგილებიდან გამოვიდნენ და მთების ფერდობებს მალე აპყვნენ. მათ მეორე სანგრისკენ დაიწყეს გადაადგილება, ახლა აქედან მიიტანეს იერიში სპარსელებზე.

თითქმის ერთი საათი იგერიებდნენ მტერს ქართველები და არა მარტო შეაფერხეს მათი მოძრაობა, დიდი ზიანიც მიყენეს, რამდენიმე ასეული სპარსელი დაიხოცა ამ ადგილებში, დაახლოებით იქ, სადაც დღეს მარნეულისა და რუსთავის საავტომობილო გზები იყოფა.

შეშფოთდა ალა-მაჰმად-ხანი, მიხედა, რომ გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო, მაგრამ საჭურის, თუმცა ბრძოლაში გამოცდილ და მამაც ალა-მაჰმად-ხანს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ უკან აღარ დაეხია და აუცილებლად ამ გზით წასულიყო თბილისისკენ. ამისათვის მან ძნელად გასავლელი ადგილის გადალახვის ახალი, თავისი სიცოცხლისათვის საშიში ხერხიც კი მოიფიქრა და განახორციელა.

შაჰმა ცხენი მოულოდნელად მტკვრისაკენ შემოატრიალა და თავის მეომრებს შესძახა: "ვისაც თავისი შაჰი უყვარს და ვაჟყავს, ეცადეთ, ჩემი გვამი გამოიტანოთ ნყლიდან და მინაში დამფლათო".

ამის მერე ცხენს მათრახი ჰკრა და მტკვარში შეაგდო. სამი ათასი ცხენოსანი მიჰყვა უკან, მაგრამ ყველამ ვერ შესძლო ადიდებული მტკვრის გადალახვა.

სამასამდის ცხენოსანი დაახლოებით მტკვარშია.

როგორც ვნახეთ, სამხედრო მანევრის შესასრულებლად, მტკვრის გადაცურვისას, სამასი მეგრძოლი თითქმის დაუფიქრებლად გასწირა ალა-მაჰმად-ხანმა. ეს რაოდენობა, მისი მრავალრიცხოვანი ჯარისათვის დიდ

დანაკლისს არ წარმოადგენდა, მაშინ, როცა მცირერიცხოვან ქართველებსაც კი საკმაოდ დიდი ძალა იყო და სამას მეგრძოლს ხშირად გადაუწყვეტია ქართველთა სასარგებლოდ ომის ბედი.

მდინარის მეორე მხარეს, ნავთლულისაკენ, სწორ ადგილებზე გასულმა შაჰმა ცოტა შეისვენა, მერე ქართველთა პოზიციების გასინჯვა და ჩხრეკა დაიწყო, უშინოდა, ქართველთა დიდი რაზმები ხომ არ იყო ჩასაფრებული ამ ადგილებში. და როცა დარწმუნდა ქართველთა ჯარის სიმცირეში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე დარჩენილ თავის მხედართმთავარს ანიშნა, რომ მთელი ძალით გადასულიყო შეტევაზე, თავადაც ზემოთ აუყვა მდინარის მარცხენა ნაპირს.

თელეთის ქედის ფერდობებზე შეფენილმა ქართველთა მცირერიცხოვანმა რაზმებმა ჩათვალეს, რომ ალა-მაჰმად-ხანს გზის გადაჭრა და მათი ალყაში მოქცევა უნდოდა, ამიტომ უკან, თბილისისაკენ დაიხიეს და თბილისისკენ მიმავალ ვიწრო ადგილებში არსებული ორი სანგარი მიატოვეს.

შაჰმა, რომ დაინახა მათი უკან დახევა, ისევ უკან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა მოინდომა.

აქ მას რამდენიმე "სარწმუნოებაგამოცვლილი" მოღალატე ქართველი დაეხმარა და ორთაქალაში არსებული ფონი აჩვენეს. სპარსელთა რაზმები ახლა კი უდანაპარგოდ გადავიდნენ მტკვრის მეორე მხარეს, კრწანისის ველისაკენ და ვიწრო გზით მომავალ რაზმებთან დაიწყეს შეერთება.

ასე რომ, ამ მანევრით ალა-მაჰმად-ხანმა შეძლო ქალაქისაკენ მიმავალი ვიწრო, დაახლოებით სამკილომეტრიანი გზის იოლად და უშინრად გადალახვა. ამასთან, შორიდან კარგად დაათვალიერა თელეთის მთის ფერდობები და კიდევ ერთხელ დარწმუნდა ქართველთა ჯარის სიმცირეში.

კრწანისის ველზე, მესამე სანგრის მიდამოებთან სპარსელებმა თოფის ცეცხლი დააყარეს ქართველებს, რომლებმაც უკან დაიხიეს. ახლა მთიდან (ალბათ, თაბორის ქედის ბოლო ფერდობებიდან) ერეკლე დაემკობა თავის რაზმით და სპარსელთა იმ ნაწილებს შეუტია, სადაც თავად შაჰი იმყოფებოდა. სპარსელთა ოფიცერი, იაკობ ბებუთოვი ერეკლეს ამ ნაბიჯს შეცდომად თვლის, თუმცა ი. შაიშველაშვილს, კრწანისის



ომის ერთ-ერთ მკვლევარს, მიაჩნია, რომ ქართველებმა განგებ დაიხიეს უკან, რათა სეიდაბადის ვინრებში შეეცყუებინათ სპარსელები, ხოლო ერეკლე კი მთიდან იმიტომ დაეშვა, რომ უნდოდა შუაზე გაენყვიტა მტრის ჯარი და მისი წინა ნაწილი, რომელსაც შაჰი მიუძღოდა, ალყაში მოექციათ. ამ აზრს სარგის კაკაბაძეც ეზიარებს, მაგრამ თბილისის დამცველებს, სიმციროს გამო, ყველა, თუნდაც ძალზე გონივრული ჩანაფიქრის განხორციელებაც კი გაუჭირდებოდათ.

როგორც ჩანს, თბილისის მხარეს დაძრული ერეკლე, თავის რაზმით მესამე სანგრისაკენ მიიწევდა, რათა სეიდაბადის შესასვლელთან, დაახლოებით ახლანდელი ორთაჭალკისის მოპირდაპირე ტერიტორიაზე, წინ დახვედროდა სპარსელებს და თბილისისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტა.

მესამე სანგართან შედგარად შეუტიეს მტერს ქართველებმა, ზარბაზნების გრიალი აყრუებდა არემარეს, ზარბაზნის ტყვიამ ცხენი მოუკლა ალა-მამამდ-ხანს და ატალახებულ, სისხლიან მინაზე გაგორდა მისი სხეული. ფეხზე ნამომდგარმა, შეშინებულმა, მაგრამ გააფთრებულმა ალა-მამამდ-ხანმა კიდევ ერთხელ ბრძანა მთელი ძალით შეტევა ქართველებზე, თბილისის დამცველებმა უკან დაიხიეს და სანგარს შეეფარნენ.

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ბრძოლის მიმდინარეობა, რომ ქართული ზარბაზნის ტყვია ცხენს კი არა, მის მხედარს მოხვედროდა, მაგრამ, ალბათ ესეც ქართველთა ბედი.

ამ დროს წვიმაც განახლდა. ალა-მამამდ-ხანმა ჯარი დაადევნა ქართველებს თოფის სრაოლით.

„არც ქართველები დარჩნენ ხელცარიელები იმათზე, თუმცა დაღალულ-დანყვეტილები იყვნენ“. ყიზილბაშებს ეგონათ, ქართველებს შევაშინებთო, „გადავსრესთო, მაგრამ მაშინდელი ქართველების გულსა რა შეაშინებდა, ნამეტნავად იმისთანა, კაცთან, როგორც მუფე ირაკლი! შემდეგ იმისთანა გამოჩენილი ვაჟაკი თავად-აზნაურნი გამოს ეხვივნენ და რამდენ ომებში გამოცდილი!“.

სანამ უშუალოდ კრწანისის ველზე მიმდინარე ძირითადი ბრძოლის აღწერას გავ-

აგრძელებდეთ, ვნახოთ, რა ხდებოდა მტრის შეტევის მიმართულების მარცხენა, ე.ი. თბილისის დაცვის მარჯვენა ფლანგზე.

„ალმოვიდეს მალალთა ზედა გორათა სოლანლულისა, ყაენაბადისა, თელეთისა, კრწანისისა და გარემოთა მისთისა მხედრობანი სპარსთანი და მიმართეს მხედრობათა ქართველთასა“, გვიამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი.

ამ ნაამბობიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ვარაუდის მსგავსად, მტრის ჯარის ნაწილები თელეთის გავლით ამოდიოდა შინდის-ტაბახმელისაკენ და თბილისის გარშემო შემალლებული ადგილების დაკავება უნდოდა, რათა შემდეგ მათი უმრავლესობა – ტაბახმელა-შინდისის შორის მდებარე თელეთის ქედის ფერდობებიდან, ასევე თაბორის ქედზე თბილისისკენ გადმომავალი გზით, კრწანისის ველზე დაშვებულიყო და აქ სოლანლულიდან შემოსულ ჯართან გაერთიანებულნი სეიდაბადის გავლით დაძრულიყვნენ თბილისისაკენ.

ნაწილი, თაბორის ქედის ფერდობებით, პირდაპირ ცდილობდა დაშვებას ხარფუხ-სეიდაბადსა და აბანოთუბანში, ნაწილი კი, სოლოლაკის მხრიდან აპირებდა თბილისის კედლებთან მოდგომას.

ამ ადგილების დაცვა, ერეკლეს ბრძანებით, დავით ბატონიშვილს ევალებოდა. დავითი, ბევრად უფრო მცირერიცხოვანი რაზმით, სულ 400 მეგრძოლით და 6 ზარბაზნით ცდილობდა, შეეკრა და დაეცვა ტაბახმელადან და შინდისიდან თბილისისაკენ მომავალი გზები.

სოლოლაკის გზის დასაცავად თბილისის განაპირა ადგილებში მდგარა ბრძოლაში გაუნერთნელი რაზმი.

ამ მიდამოებში არსებული რამდენიმე გზის დაცვა ხუთიათას მეგრძოლიანი მტრის ჯარისაგან, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ ჰყავდა დასვენებული მამულე ძალა, 400 (თუნდაც ათასი) კაცით და 6 ზარბაზნით გასაგებია, რომ ძელი კი არა, შურბლებული იყო, მაგრამ ქართველები ქედს არ იხრდნენ, უკან არ იხევდნენ და ელოდნენ მტრის შემოტევას.

მალე გამოჩნდნენ კიდევ ტაბახმელას მხრიდან სპარსელთა რაზმები.

დავითმა, წინა დღის მსგავსად, ჯერ აცადა მტერს მთის ფერდობზე გადმოსვლა, მერე კი ერთბაშად დააყარა ზარბაზნის ყუმბარები.



როდესაც კრწანისის ველზე მდგარმა ერეკლემ შინდისის მხრიდან ზარბაზნების სროლის ხმა გაიგონა, შემფოთდა მეფე, შემფოთდნენ ქართველი მებრძოლებიც და თბილისის მოსახლეობაც.

მიხედნენ, რომ ტაბახმელა-შინდისიდან მტრის დიდი ძალა ვადმოდიოდა თბილისისაკენ. თბილისის დაცვა ფაქტობრივად ალყაში ექცეოდა. ზარბაზნების გრძელი იმის მაუნყებელი სასიგნალო ნიშანიც იყო ერეკლესა და დავითს შორის, რომ დაცვის მარჯვენა ფლანგზე მტრის ძლიერი შეტევა იწყებოდა.

მტკვრის ნაპირთან მყოფი ალა-მაჰმადხანიც მიხვდა, რომ მისი ჯარის მარცხენა ფრთის ნაწილები უკვე მთებიდან უტყვედნენ დავით ბატონიშვილის რაზმებს.

კრწანისის ველზე მდგომარეობა უფრო დაიძაბა. მეტი გახელებით შუტყის ერთმანეთს მონინაღმდეგეებმა.

ქართველთა ზარბაზნები, თბილისისაკენ მიმავალი გზების დასაცავად, მოხერხებულად ყოფილა განლაგებული დაცვის როგორც ცენტრის, ასევე მარჯვენა და მარცხენა პოზიციებზე, ძირითადად მთების ფერდობებზე.

ბუტკოვის მონაცემებით, თბილისის დამცველებს 35 ზარბაზანი ჰქონიათ. ზოგიერთი ავტორის ცნობა, რომ ქართველთა ზარბაზნების ნაწილი გამართული არ იყო, არ უნდა იყოს სწორი, რადგან ერეკლე არტილერიას დიდ ყურადღებას აქცევდა და არტილერიის ტებიც საკმაოდ გამოცდილი ჰყავდა. „ომი ზარბაზნებს დააცადეთო“; – ხშირად უთქვამს თურმე ერეკლეს.

სარგის კაკაბაძეს მოჰყავს სეროზის ცნობა, რომლის მიხედვითაც კრწანისის ველზე, შემალლებულ ადგილებზე იდგა თერთმეტი რუსული და რვა ევროპული ზარბაზანი, რომელსაც, „ინგლისური ნესით“, საუკეთესოდ განვრთნილი არტილერიის ტები ემსახურებოდნენ. ცნობა, რომ თბილისის ციხეს 18 ზარბაზანი იცავდა, უნდა გულისხმობდეს არა მარტო ნარიყალას ბურჯებზე მდგარ ზარბაზნებს, არამედ თაბორის ქედზე, თაბორის ციხის მიდამოში თბილისის გალავნისაკენ მიმავალი გზის დასაცავად, შემალლებულ ადგილებზე განლაგებულ ზარბაზნებსაც. „ხოლო მარცხნით კერძო ხევისა მის პირსა სადიოცა მისნადუებოდა ტყვია ზარბაზნისა მტრთა დაადგინა მუნ არტილერია და მსუბუქნი ზარბაზანნი

იყვნენ ყოველთა შორის მწყობრ“. თეიმურაზ ბატონიშვილის ეს ცნობა მიგვიჩივებს, რომ ზარბაზნები გალაგებული იყო კრწანისის ხევის მარცხენა ნაპირისაკენ არსებულ შემალლებულ ადგილებზეც, რათა მტერი კრწანისის ველზე არ გამოეტარებინათ.

ტაბახმელა-შინდისის და სოლოლაკის გზის შეერთების ადგილზე კი, როგორც აღვნიშნეთ, დავითს ექვსი ზარბაზანი ჰქონდა.

თაბორის ციხის მიდამოებში მოხერხებულად, იმისათვის, რომ ყუმბარებით დაეცვათ თბილისისაკენ სეიდაბადით მიმავალი გზა და თაბორის ქედზე არსებული გზების მონაკვეთები, იდგა მეზარბაზნეთა ჯგუფი.

მეზარბაზნეთა რაზმების დასაცავად და დავით ბატონიშვილის პოციზიების გასამაგრებლად საჭირო იყო სარეზერვო მასველი ძალა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამ მიზნისათვის, ერეკლეს იმერელთა 500 კაციანი რაზმი სოლომონ II-ის მეთაურობით თბილისის გალავანთან, აბანოს კარის მიდამოებში ჰყავდა დატოვებული.

ერეკლემ, როდესაც შეიტყო, რომ მტერი მალე მოადგებოდა თაბორის ქედზე განლაგებულ თბილისის დამცველ არტილერიის ტებს, სასწრაფოდ შიკრიკი გააგზავნა სოლომონთან და უბრძანა დაძრულყო არტილერიის მისახმარებლად, მაგრამ შიკრიკს გზად სპარსელები ნამოენიენ და ხმლით აჩხეს. ასე რომ, სოლომონის ჯარი ადგილიდან არ დაძრულა, რადგან ერეკლეს ბრძანება არ ჰქონდა მიღებული.

ზარბაზნის ცეცხლით განადგურებულ სპარსელთა რაზმებს, მთებზე ახალ-ახალი, დასვენებული ჯარის ნაწილები ცვალიდა. ისინი, მიუხედავად ქართველთა ცვაფორებული ბრძოლისა, ზურგში ჩამდგარი თურქმენთა ტყვიის შიშით, უკანმოუხედავად მიინეედნენ წინ და თანდათან უახლოვდებოდნენ დავით ბატონიშვილის რაზმის პოზიციებს.

ახლა თოფების სროლით და ხმლებით მიეტანენ ქართველები ბევრად მეტ მტერს და ისევე თელეთის მთის მეორე ფერდობზე გადარეკეს.

„ძლია მათ მეფის ძემან დავით და აიტანა იგინი ვიდრე მხედრობამდე სპარსთა“.

მაგრამ მცირე რაოდენობით იყვნენ ქართველები და ვეღარ აკაეუბდნენ შემობრუნებულ მტერს. მათი რაზმები უკვე კრწანისის ველისაკენ თავისუფლად ეშვე-



ბოდნენ, ნაწილმა თაბორის ქედის მიმართულებით გაარღვია ქართველთა დაცვა და თაბორის ციხის (ყორჩი-ყალის) მიმართულებით დაიძრა.

სწორედ მაშინ შენელდა ძლიერი წვიმა და ქუჩა-ქუხილი, ძლიერი წიხლიც გაიფანტა და მთებთან სპარსელებს ხელისგულზე გადაეშალათ თბილისის დამცველთა მდებარეობა, თუნდაც ქართველ მეზარბაზნეთა რაზმები.

თაბორის მთის ძირში, აბანოთუბანში, ქალაქის გლავანთან ახლოს (სავარაუდოდ, სადაც ახლა ბალნეოლოგიური კურორტია) გამაგრებული იმურლები დაიბნენ, როდესაც სპარსელები იქ დაინახეს, საიდანაც მათ შეტევას არ ელოდნენ. ტერიტორიის უცოდინრობის გამო მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ მტერი აქედანაც დაადგებოდათ თავს, ეს მათთვის მოულოდნელი იყო, „უფიქრიათ შეფე ერეკლე თავის ჯარით ნაუზღენიათ, თორემ ყიზილბაშების ჯარსა ამ მზარეს რა უნდაო“.

ბრძოლის ველიდანაც სასიკეთო არაფერი ისმოდა, ერეკლეს ბრძანებამაც არ მიაღწია მათთან. ამიტომ ჩათვალეს, რომ ქართველების ჯარი კრწანისის ველზე, ალბათ, უკვე გაენადგურებინათ, მიიჩნიეს, რომ წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა და უკან, აბანოს კართან მდებარე ხიდისაკენ დაიხიეს. არტილერიის უფროსი, გიორგი გურამიშვილი, თხოვდა მათ, არ დაეტოვებინათ პოზიცია და მიხმარებოდნენ მეზარბაზნეებს. ეუბნებოდათ, „რასაც ფიქრობთ ტყუილიაო“.

დავით ბატონიშვილი, თავის მეომრებით ისევ შედგრად იცავდა ტაბახმელა-შინდისისა და თაბორის ქედის მიმართულებით კრწანისისკენ მიმავალ გზებს. სწორედ ამ ადგილებში დაამარცხეს 10 სექტემბერს ქართველებმა სპარსელთა მენიხავე ჯარის ნაწილები. დავითს მეომართა მხოლოდ მცირე რაზმი დარჩა, მაგრამ არ ტოვებდა თავის ადგილს. რამდენჯერმე დაახვეინა უკან მტრის რაზმებს. „ჭამამდე მწუხრისასა, და რამდენჯერაც მოვიდნენ სპარსელები სძლია მათ“, გვიამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, მაგრამ მალე იძულებული გახდა უკან დაეხია, „მაშინ იძულებული იქმნა იგიცა მიქცევად თაბორისა, კერძ მათათა მათ და კლდერთა და ინროთა განსავალთა გორათა“. ზარბაზნებს მინდვრის დიდ გზე-

ბზე ან საურმე გზაზე ვერ გაიტანდა, რადგან „გარშემო გზანი და მინდორნი მოცულ იყვნეს სპარსთა მხედრობისაგან“, ამიტომ ზარბაზნები, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ხევში, წაგვისისწყლის საგუბარის მიმართულებით გადააყრევინა, თავად კი, ბოლმისაგან აკანკალებული, ვინრო გზებით წყნეთისაკენ წავიდა და იქედან კი მთიულეთს მიაშურა.

ახლა სპარსელები თაბორის ქედზე არსებულ ტერასებზე განლაგებულ, თბილისის გზის დამცველ მაიორ გურამიშვილის მეზარბაზნეების რაზმს მიადგნენ, „თავადი გურამიშვილი გიორგი, ქუმელად სახელდებული და ესე იყო უპირველესი მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერიცა არტილერიის ხელოვნებისა“, წერს მასზე თეიმურაზ ბაგრატიონი.

ქართველ მეზარბაზნეებს დამცველი ჯარი აღარ ჰყავდათ და ამის გამო ზარბაზნის გადატანის ველარ ასწრებდნენ, რაათა განმეორებით მიეყარათ ზარბაზნის ცეცხლი მოახლოებული მტრისთვის, ამიტომ თვითონ უწევდათ მტერთან ხმლით ხელში პირისპირ შებრძოლება.

გიორგი გურამიშვილი და მისი მეზარბაზნეები, მათ შორის გაბრიელა მაიორი წინ გადაუდგნენ სპარსელებს, მაგრამ ბევრი იყო მტერი. სხვა მამაც მებრძოლებთან ერთად დაილუპნენ გაბრიელა მაიორი და მისი ძმა.

აი, რას გვიყვება ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი. „ზარბაზნების უფროსმა მაიორმა, თავადმა გიორგი გურამიშვილმა (მეტახსენელად ქუმელამ), რომელიც ერეკლეს ნათლული ყოფილა, „ამისთანა გაჭირვება ნახა, რომ იგრძნო სიკვდილი გარდაუვალი იყო, თავის მებრძოლებს მიმართა: „ქართველებო, ძმებო! ცხადათ ვხედავთ აუცილებელი სიკვდილია მოსული ჩვენზე, მაგრამ, ესეც შეგვიძლია უნამუსოდ დავენებდეთ ყიზილბაშებს (სპარსელები ცდილობდნენ, ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში არტილერისტები, დაეტყველებინათ და მათი ცოდნა შემდგომ თავად გამოეყენებინათ. ავტ.). აბა, რომელი გინდათ, სახელით სიკვდილი მამულისათვის და კარგის მეფისათვის, თუ უნამუსო სიცოცხლე?“

ყველამ ერთხმად მიუგო:

„ჩვენ მამა პაპასა უნამუსობა არ უქნიათ და ჩვენც იმათი შეილები ვართ, სიკვდილი გვირჩევნია უნამუსო სიცოცხლესო“.



„წმინდა საიდუმლოს მაგიერი ეს იყოსო“ და ყველა მებრძოლმა სამი თითით მიწა აილო, ღვთის ხსენებით შეჭამა. ამით შეჭფიცეს ერთმანეთს, რომ საიქიოს სახელოვნად წარდგებოდნენ.

„ღმერთო შეგვიწყალო“, ერთხმად შესძახეს და გარშემო შემოსეულ მტერს ზარბაზნები დაუშინეს, მერე „ქართველებმა ხმლებს ხელი გაიკრეს და თითო ყიზილბაში მაინც ჩამოაგდეს, მაგრამ ბოლოს ისინიც ამონყვიტეს და თუ დარჩა ვინმე დიახ, ცოტა“. „ის მაიორი გურამიშვილი კი გმირსავით დადგა და ხმლით სამი ყიზილბაში ჩამოაგდო“, მეოთხესაც ხმალი შემოჰკრა გამეტებით, აქ კი უმტყუნა თავისმა ხმალმა, სასიკვდილოდ გაჩეხილ სპარსელს ზედ გადაატყდა გმირის მახვილი. შემოტრიალდა ქუმელა და ერთ ზარბაზანს გადაეხვია ამ სიტყვებით:

– „ღმერთო! ოღონდ მეფე ირაკლი მშვიდობით გაიყვანე ამ საშინელებიდან და მე მამულის ჭირის სანაცვლო ვიყო...“. გამგელებული ყიზილბაშები მისცივიდნენ და ზედ ზარბაზანზე დაკაფეს, ის სიკვდილს შეუშინები, მამულის მოყვარული, მეფის ერთგული, თავისი ვალის აღმსრულებელი, რიგის დამცველი, სრული პატიოსანი და სულით დიდი კეთილშობილი!“

დადუმდნენ ქართული ზარბაზნები, რომელთა ხმა მთებიდან გარემოს აყრუებდა. კრწანისის ველის მიდამოებში განლაგებულ არტილერიასაც არ დაადაგა კარგი დღე.



ამ დროს ხელჩართული ომი იყო კრწანისის ველზე.

სოღანლულიდან შემოსული და შინდისტაბახმელადან დაშვებული მტრის რაზმები კრწანისის ველზე ერთიანდებოდნენ და წინ, სეიდაბადის გავლით ცდილობდნენ თბილისისაკენ წამოსვლას.

ზარბაზნების ხმა რომ ველარ გაიგონეს დავითის პოზიციებიდან, მიხედნენ ქართველები და მათი მეფე, რომ უბედურება კარს იყო მომდგარი, მიხედნენ, რომ მტრებმა „ზარბაზნები წაახდინეს, თორემ ამათი ხმა არ განყდებოდაო“. მაგრამ იმის მაგივრად, სიკვდილის მოლოდინში სულით დაცემულიყვნენ, პირიქით, „სულ ერთიან გაიცვიცნენ: ან ნამუსიანად თავი გავიტანოთ, ან ნამუსიანად დავიხოცნეთო“.

თანდათან გამოიკვეთა სპარსელთა უპირატესობა.

მათ მიერ ძირითადი წინააღმდეგობა დაძლეული იყო. ქართული არტილერია დუმდა. მრავალი ქართველი ეცემოდა ბრძოლის ველზე, ცოცხლად დარჩენილები კი უკანასკნელ ღონეს არ ზოგავდნენ.

ახლა სპარსელები ყველა მხრიდან, თავისუფლად მოძრაობდნენ, მტრის უამრავ ჯარს მოეყარა თავი კრწანისის ველზე, თაბორის მთის ფერდობებით აბანოების უბნისკენაც ეშვებოდნენ. ათასი ყიზილბაში მოგვიანებით, თითქმის ბრძოლის დასასრულს სოლოლაკისკენაც წამოვიდა. მათ იოლად გადალახეს ქართველთა მცირე, გამოუცდელი რაზმის წინააღმდეგობა და კოჯრის კართან მოადგნენ ქალაქს.

ამინდი, როგორც ვთქვით, ნეიმიანი იყო, ბუნება დასტიროდა თბილისის და საქართველოს მომავალს. ატალახებულ მიწაზე ძნელად იკიდებდა ფეხს ცხენიც და ქვეითი მებრძოლიც.

სპარსელებმა ზარბაზნები და ზამბურაკები უკვე თაბორის ქედის ფერდობებზე ქვემოდანაც აიტანეს და იქიდან ესროდნენ ყუმბარებს ქართველთა სანგრებს. ფიცხელი ბრძოლა მიდიოდა მესამე სანგრის მიდამოებში.

გმირულად იბრძოდა ერეკლე, „თუმცაღა იყო ფრიად მოხუცებული, გარნა ბრძოლისა მას შინა, ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ“, – აღნიშნავდა მისი ვაჟი, ბრძოლის მონაწილე ვახტანგ ბატონიშვილი.

ამ დროისათვის თბილისის დამცველთა რიგებში 2000 მეომარიც აღარ იქნებოდა დარჩენილი, როცა კრწანისის ველზე სულ ცოტა 20000 სპარსელი მებრძოლი გრძელ ურჩხულად მოინედა თბილისისაკენ. დანარჩენები კი მთებიდან უტყვედნენ ქალაქს.

„და იბრძოდეს მენინავენი მხედრობანი მეფისა საკვირველად“. მენინავე რაზმის უფროსი, იოანე ბატონიშვილი ლომოვლ გმირად იყო ქცეული და სიმამაცის სასწაულებრივ მაგალითებს აჩვენებდა.

მაგრამ თანდათან სუსტდებოდა მენინავე რაზმი და გმირი მებრძოლები, მომხდურების ტყვიით დაცხრილულნი და ერთი, ათის ხმლით აჩეხილი გმირულად ტოვებდნენ სიცოცხლეს.

ფიცხელ ბრძოლაშია ჩაბმული ერეკლეს ვაჟი – ვახტანგ ბატონიშვილი (მეტსახელად



ალმასხანი). მისი რაზმი 11 სექტემბერს შემოვიდა თბილისში და მაშინვე ბრძოლის ველს მიაშურა, მასთან ერთად უმაჰაცესი, რჩეული მეომრები იყვნენ, ქიზიყელნი, არაგველნი, ფშავ-ხევსურნი, რომლებმაც ერეკლეს ერთგულება შეჰფიცეს.

მათ თბილისელთა მებრძოლი რაზმიც შეუერთდა. ამ რაზმს წინამძღოლობდა თბილისის თეატრის ხელმძღვანელი მაჩაბელად წოდებული. მსახიობთა მთელი დასიც გვერდით ახლდა.

მაჩაბელა „იყო ერთი წარჩინებული მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკოსი და კომედიანტი...“

ის იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითა ქართველი“.

მაჩაბელას ხელთ „ბარბათი, ე. ი. დაირა“ ეყრა და სიმღერით მოუძღოდა თბილისელ მებრძოლებს.

შეერთდნენ მაჩაბელას, ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთა რაზმები სულ, ალბათ, 1500 მეომრამდე და შეუტარეს მტერს.

ალა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვანმა მხედრობამ გზა გადაუჭრა და ყოველმხრივ ალყაში მოაქცია იოანე ბატონიშვილის უკვე ძალზე მცირერიცხოვანი რაზმი. ვახტანგის რჩეული რაზმიც ალყაში მოექცა. რაც მთავარია, ახლა ერეკლესაკენ ნაინიეს სპარსელებმა, რომელიც არა და არ ტოვებდა ბრძოლის ველს, გარშემო ერთგული მებრძოლები ჰყავდა შემოკრებილი და ახალგაზრდულად კაფავდა მტერს.

კრწანისის ველზე იყო ალა-მაჰმად-ხანიც.

ხედავდნენ იოანეს და ვახტანგის მებრძოლები, რომ საქმე ცუდად იყო, შეიძლება დაღუპულიყვნენ კიდევ, მაგრამ უკან არ იხევდნენ.

თავს არ იზოგავდნენ იოანე და ვახტანგ ბატონიშვილები, ოთარ ამილახვარი, თამაზ ჯორჯაძე, სვიმონ ჯანდიერი, საქობოს ქეცხა (მამასახლისი) ქიზიყელი სინჯია, ივანე მუხრანბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, დავით მაჩაბელი, ივანე აბაშიძე და მათი რაზმელები.

მათ ირგვლივ დახოცილთა გორები და სისხლის გუბეები დგებოდა თურმე.

ახლა უფრო ძლიერად შემოკრა დაირას მაჩაბელამ და ხმამალალი სიმღერაც მიაყოლა: „უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაც ლხინსა შინა დაუკრნენ, ფამსა შინა უმეტეს სიხარულისასა,

ვინათგან ხმა ესე განამზიარულედეს მსმენელთა, ხოლო მებრძოლნი ესე იყვნეს მკვირცხლნი“. ქართველები ნიშნურით ხედებოდნენ სიკვდილს.

ვახტანგის გმირთა რაზმი უკან დახევის მაგივრად იქეთ მიეტანა მტერს, იოანემ თავისი თანამებრძოლებით ალყა გაარღვია და ვახტანგის რაზმს შეუერთდა.

გმირულად იხოცებოდნენ თბილისელები, ქიზიყელები, ფშავ-ხევსურნი, სამასი არაგველიდანაც არც ერთს არ შეუხრია ნარბი და უკან არ დაუხევია, მათი სისხლით ირწყვოდა გარემო, მაგრამ ბევრად უფრო მეტი მტრის სისხლი დაღვრილი ამ ადგილებში. 13 ათასი სპარსული მებრძოლი დაეცა თბილისის მისადგომებთან.

მაჩაბელას შადიანის ხმამ გააათქეცა ქართველთა შემართება და არაგველებმაც პირდაპირ იქით მიაშურეს, სადაც თავად ალა-მაჰმად-ხანი ეგულეზოდათ, გაარღვიეს დაცვა და იმ ჯგუფს მიეტანენ, რომელიც გარს ერტყა შაჰს.

ქართველებმა უამრავი ერთგული მებრძოლი დაუბოცეს თვალწინ ალა-მაჰმად-ხანს.

„ქიზიყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევსურნი შეუხდეს სპარსთა მხედრობასა მალალთა მათ კლდერთა გორათა და მთათა ზედა და ბრძოლეს მათ ესრეთათა სიმხნითა, რომელ კინლა მოსდრიკნეს მხედრობანი სპარსთანი სივლტოლად“.

შვიდი ერთმანეთს ძმად-გაფიცული ფშავ-ხევსური მტრის რაზმში შევარდა, მიშველი ხელებით ეცნენ მტრის დროშებს, ტარები მუხლზე გადაიმტვრიეს და კბილებით დაუწყეს დროშებს ზხრენა.

უშიშრად ცნობილი, გამძვინვარებული ალა-მაჰმად-ხანი, ახლა, ალბათ, შეშინებულიც იყო. ცოტა ხნის წინ ხომ ის ტალახში ამოსვრილი და სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი, მინაზე ეგდო.

„სიყრმითგან ჩემითა ვიდრე აქამომდე სულ ბრძოლაში ვარ და არსადა მიხილავს მენინააღმდეგნი ვითარ ესე კაცნი ჩემდა მიმართ ჰყოფდნენ ბრძოლასა“.

„ეს რა თავზეხელაღებული ხალხი ყოფილაო“, – წარმოთქვა ბრძოლაში ქართველთა შეუპოვრობითა და გმირობით განცვიფრებულმა.

თითქმის ერთი საათი ხოცავდნენ, აკაევდნენ და თვითონაც უტევდნენ მესამე სანგართან მტერს ქართველები...

„ერეკლე უკან იხევადა, მაგრამ ის იქ მაინც არ დამარცხებულა, რიცხვმრავალი სპარსელების შემოტევამ ვერ გატეხა ქართველთა წინააღმდეგობა, რასაც მათი არტილერიის ბრწყინვალე მოქმედებაც ეხმარებოდა“, – ბრძანებს სარგის კაკაბაძე.

„სპარსელებმა, როცა წინ ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი დაინახეს, თავიანთი რიცხვობრივი უპირატესობით გათამამებულნი იმ იმედით მიეტანენ მათ, რომ უცებ შეძლებდნენ ერთი მუჭა ქართველების გასარქვას. მაგრამ ერეკლე არ შეშინდა, მეფის პირადი მაგალითით გამხმევებული და მაჩაბელას საბრძოლო სიმღერით აღფრთოვანებული ქართველთა ჯარი კი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდა. იოანე ბატონიშვილი და თავადი ჯანდიერი სიმამაცის სასწაულებს ახდენდნენ.“

სპარსელებმა თითქოს მერყეობაც დაიწყეს, მაგრამ ამ დროს მთებზე მეფუნნი და მისი რაზმიც გამოჩნდა. ერეკლეს თავისი უმნიშვნელო რაზმით აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო, მის წინააღმდეგ სპარსელთა უამრავი ჯარი მოდიოდა და ერეკლე დაითრგუნა მათი მრავალრიცხოვნებით, მაგრამ მაინც არ გატყდა და შუადღისას სეიდაბადისაკენ დაიხია“, – აღნიშნავს ს. ქიშიშვილი.

„ალა-მაჰმად-ხანის კორპუსი თბილისში შემოსასვლელ გზაზე იბრძვის, ამ გზას (პირადი სარდლობით) იცავს ქართველი მეფე, ეს უკანასკნელი მთელი დღის განმავლობაში ბრძოლის ველზე იმყოფება და მოხერხებულად იყენებს თბილისის მოსადგომებთან არსებულ ხევებსა და ბორცვებს“, – წერს ისე ცინცაძე.

შეერთდნენ იოანეს მენინავე და ვახტანგის სარეზერვო რაზმები, მტერს არ უშვებდნენ თბილისისაკენ, „მაშინ განწირეს თავნი თვისნი და შეიწირენ მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვისასა, წინაშე მეფისა თვისისა სახელოვნად დასთხიეს სისხლნი თვისნი“, – გვიამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი.

ბრძოლამ თბილისის გალავნის სიახლოვეს (დაახლოებით იქ, სადაც ახლა სამასი არაგველის ბაღი, მემორიალი და „განჯისკარის“ არქეოლოგიური ძეგლია) გადამოინაცვლა.

შინდის-ტაბახმელიდან ჩამომავალი გზების, კონანისის ველის, მტკვრის მარჯვენა

ნაპირებიდან თაბორის ქედის ფერდობებს შორის მოქცეული მიდამოს წვიმიწაგან და სისხლისაგან ატალახებული და განითრებული მინა თბილისის დამცველთა და მომხდური მტრის გვამებით იყო მოფენილი. დაჭრილ მებრძოლთა შემზარავი კენესა ისმოდა ყოველი მხრიდან. უპატრონოდ დარჩენილი ცხენების ჭიხვიანი იკლებდა არემარეს.

ახლა ყველაზე ცუდ დღეში მეფე ერეკლე იყო ჩავარდნილი. თითქმის სრულდებოდა ალა-მაჰმად-ხანის ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც. მას ხომ ყველაზე მეტად ერეკლეს ცოცხლად შეპყრობა უნდოდა. ერეკლეს კი ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ერჩია. სპარსელები თანდათან ავიწროებდნენ ქართველებს და იმ ადგილს არტყამდნენ წრეს, სადაც ერეკლე ეგულებოდათ.

ერეკლე კი, მიუხედავად თავისიანების მრავალი თხოვნისა, მაინც არ გადაიოდა ბრძოლის ველიდან, თუმცა კი ხედავდა, რომ სხვა გზა აღარ იყო.

კიდევ ერთხელ სცადა „თავის გამოჩენილ თავად-აზნაურებთან“ ერთად სეიდაბადის ორლობებში არ შემოეშვა მტერი და ერთხელაც კიდევ მირეკა ისინი უკან, მაგრამ დამხმარე ძალა და სხვა რაიმე იმედი არსაიდან იყო. იგრძნო რომ, სამასამდე მებრძოლთან ერთად თანდათან მჭიდრო ალყაში ექცეოდა. მისი ერთგული მებრძოლების უმეტესობა დახოცილი ან დაჭრილი იყო. თავის მეფისთვის ნასროლ ტყვიას მკერდს უშვერდნენ ქართველი გმირი მებრძოლები, თბილისელი მოქალაქეები, ერეკლეს ერთგული თათრების რაზმის მებრძოლებზე კი განსაკუთრებული სისასტიკით ნადირობდნენ სპარსელები, თითქმის ყველა დაიხოცა მეფის გვერდით.

იოანე ბატონიშვილი და ბიძა მისი ვახტანგი, ახლა უკვე საკუთარ თავზე აღარ ფიქრობდნენ. მოსეული მტრის ალყის გარღვევა ახლა სიცოცხლის გადასარჩენად კი არა, ერეკლეს მისაშველებლად უფრო უნდოდათ. მათი მებრძოლების უმეტესობა დახოცილი იყო. სამასი არაგველი, მაჩაბელას რაზმი და სხვა მრავალი გმირი სიმღერით შეხვდა სიკვდილს.

„იოანემ და ვახტანგმა დაშთობილთა მითთა მათ მხედრობით სიმხნათა თვისითი განაპეს მათ მხედრობანი მტერთა“, იმ ადგილისაკენ მიიწვედნენ ხმლის ქნევით და გარსშემოსული მტრის უმოწყალო ჩხვიით,



სადაც ერეკლესა და მის მცირე რაზმს, მგლის ხროვასავით მისეოდა მტერი. ბატონიშვილებმა და მათმა მეზრძოლებმა „მრავალი სპარსთაგანი მოწყვიდეს და თვით მეფის ძენიცა განბასრული იყვნენ სრულიად სისხლსა შინა“.

განსაკუთრებული სიმხნევით იბრძვის იოანე ბატონიშვილი. მისმა შემართებამ და ხმლის სიმარჯვემ გასჭრა კიდევ.

„მიეხალნეს სპარსნი სადა იგი იმყოფებოდა მეფე და მოუხდეს აღმატებულითა ძლიერებითა და კინილა და მოჰკვლიდეს მეფესა, ანუ შეიპყრობდეს“.

ქართველთათვის უმძიმესი წუთები დგება ბრძოლის ველზე.

მაგრამ, მიაგდო ცხენი იოანემ იმ ადგილას, სადაც ის-ისაა ან უნდა შეეპყროთ, ან მოეკლათ ერეკლე და „აღმატებულითა და საკვირველითა გულოვნებითა და სიმხნევითა“ ცოცხლად დარჩენილ მეზრძოლებთან ერთად „ეკვეთა მეფის ძე იოვანე მახლობელი პაპისამისის მოსრულთა სპარსთა და უკუნ აქცივნა და განარინა ხელთაგან მათთა მეფე“.

„მეფის გიორგის ძე ბატონიშვილი ივანე, განუყრელად თავის პაპას ახლდა და ყოველს ომში იბრძოდა, როგორც უშიშარი გმირი, ბევრჯერ მეფეს ირაკლიზედ სეტყუასავით ტყვია რომ წამოვიდოდა, ბატონიშვილი ივანე გადაუდგებოდა წინა და თავის გულსა მიუშვერდა“, – გვიამბობს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

„დღესა ამას იყო მხნედ მეფის ძეი იოანე ესრეთ, უკეთუ იგი არა იპოებოდა მუნ, შეიპყრესმცა მეფე ირაკლი“. ეს თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვებია.

იხსნა ერეკლე იოანე ბატონიშვილმა, შეიძლება ეს, მთელი საქართველოს ხსნაც იყო. ერთგული მეზრძოლები წრედ შემოერთნენ ერეკლეს და თანდათან უკან დახევა დაიწყეს. თითქმის ძალით აიძულეს, ნასულიყო ერეკლე მეოთხე სანგრის მიდამოებშიდა ქალაქში შესასვლელი კარისაკენ. ბრძოლები სეიდაბადის ბალებში გრძელდებოდა. სპარსელები დაქვეითდნენ, სეიდაბადის ბალებში ხეებს ამოეფარენ და თოფები დაუშინეს ქართველებს.

ძალაგამოცლილი ქართველები ერთხელ კიდევ შეეცადნენ, შეეკავებინათ მტერი და თბილისის გალავანთან, აბანოს კარის წინ, წაეკისისწყალზე გადაეხდნენ ხიდთან გააფთრებთი შეუტყის მომხდურთ.

სალამოს ბინდი ედებოდა თბილისს.

ახლა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანს მოვუსმინოთ:

– „ოცი დაქვეითებული ყიზილბაში ერთ ქართველს ესროდა თოფს და თუმცა ქართველებიც უტევდნენ, მაგრამ, უნამეტნავესი ქართველები დაიხოცნენ და აქ დაიფანეს თავი, იმ ვაცეცხლებულს ომში.“

აბანოს კართან სამასი კაცი ძლივს ჩამოჰყვა მეფეს: ჭირი მართალთაო. ქართველებო, მართალი იყავით და ჭირიც გენიათ. ეგ თქვენი სისხლი ღმერთთან ღალატდება...“

ერეკლე თბილისში შემოვიდა. სამასამდე სისხლში ამოსვრილი მეზრძოლი შემოჰყვა ქალაქში. დანარჩენ მეზრძოლთა დიდი უმეტესობა ცოცხალი აღარ იყო.

მტერიც ფეხდაფეხ მიჰყვა, თუმცა კი სეიდაბადის ბალების ორღობებში სწრაფი გადაადგილების შეეშინდათ და დაახლოებთ ნახევარი საათის დაყოვნების შემდეგ მიადგნენ თბილისის გალავანს.

ახლა კი, დაჭრილთა კვნესისა და სასიკვდილო ხრიალის ხმა ისევ ზარბაზნების გრგვინვამ გადაფარა. ისევე აგრიალდა ზარბაზნები. ეს ქალაქის ციხის არტილერია იყო. ციხისთავი აღალუა თავის მეზარბაზნეთან ერთად ახლა ნარიყალას ბურჯებზე მდგომი ზარბაზნებთან აყრიდა ყუმბარებს თბილისის კართან მოსულ მტერს.

„ტფილისის ციხით სეიდაბადის გადმოსასვლელთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილისს და მრავალნი მტერნი მოსწყვიტეს მით“.

მცირე დროით მაინც შეაჩერეს მტერი თბილისის დამცველმა მეზარბაზნებმა. მრავალი სპარსელი გაიჟლიტა ნარიყალას ძირში, აბანოს კართან, მაგრამ ეს მეზარბაზნეებს სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

სოლოლაკის ქედზე გადმოსულმა და ნარიყალას შესუულმა სპარსელებმა გაანადგურეს ქართული არტილერია.

უინ იცის, რას ფიქრობდა ამ დროს თბილისში შემოსული 75 წლის მეფე.

აზიაში სახელგანთქმულ და ევროპაში ცნობილ „აშვებულ ლომს“ „აღმოსავლეთის დიდ გმირს“, უძლეველ ღერკულესს, რომელზედაც პრუსიის ძლევაში ილია და ამაყი მეფე ფრიდრიხ II ამბობდა, – „ევროპაში იმ ვარ და აზიაში ერეკლე“, თბილისი მტრისმთავის უნდა დაეტოვებინა.



სოლომონი და ერეკლე ქალაქში შეხვედნენ ერთმანეთს. მერე კი ბაბუა და შვილიშვილი, დამწებებულნი, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ორმა ქართველმა მეფემ, ქართლ-კახეთისამ და იმერეთისამ დატოვა დედაქალაქი.

სოლომონი დიღმის კარით გავიდა და თავისი ცოცხლად გადარჩენილი ჯარით, ქართლის გავლით, იმერეთს მიაშურა.

ერეკლე და მისიანები ავლაბრის ხიდისკენ წავიდნენ.

მეფის სასახლის დაცვის უფროსი, „ქეშიკჩიბაში“ თამაზ ჯორჯაძე მეფის სასახლისაკენ გავარდა, მეფისათვის საჭირო ნივთებით სავსე ხურჯინი გამოიტანს, ხმლის ქნევით გამოაჭენა ცხენი და ისევ მეფეს ეახლა.

თავაჭანდრულ ერეკლეს თითქოს სიზმარში ესმოდა თავისი ხალხის გოდება და ტირილი.

სასონარკვეთილი თბილისელები მუხლზე დაჩოქილი ევედრებოდნენ ერეკლეს, არ მიეტოვებინა მათ პატრონს ისინი. დაჭროვებიც იხმოდა ქალაქში, აქა-იქ ცეცხლის ალიც ავარდა და თანდათან კვამლში ეხვეოდა ქალაქი, რომელშიც ბოლო 50 წლის განმავლობაში ერეკლემ მტერს ფეხი არ შემოადგმევინა, გაამაგრა და აღაშენა, რომლის მოსახლეობაც ოცდაათიათას მცხოვრებზე მეტი იყო და იმდროინდელი „ამიერკავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად ითვლებოდა“.

150 საუკეთესო მებრძოლი, სისხლში ამოსვრილი და მათ შორის ბევრი დაჭრილი, სიკვდილს სასწაულებრივ გადარჩენილნი, გვერდიდან არ მოშორებიან მეფეს. ერეკლეს მცირე რაზმი მახათას მიმართულებით წავიდა და იალნოს ქედზე გადავლით კახეთში აპირებდა გადასვლას, მაგრამ, აღ. ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობით, ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა ხანმა თავისი კაცი დაანია მახათასთან მისულ ერეკლეს და ამ გზით წასვლის საშიშროება აუნყა, თანაც გააფრთხილა, — დიდი ჯარი აპირებს შენს დადევნებას და საჩქაროდ წაიდი უფრო საიმედო ადგილზეო.

მაშინ საგურამოსაკენ დაიძრა ერეკლე, ღამე იქ შეისვენეს, მეორე ღამე დუშეთში გაათიეს, ხოლო მესამე დღეს ანანურში ავიდნენ.

ერეკლეს ერთგულმა, თბილისელმა მაჰმადიანმა, ალავერდბეგ ედიგარაშვილმა,

რომლის ცოლიც — ნაბათ ხანუმი, დარეჯან დედოფალს ახლდა ანანურში, აღ. ჯამბაკურ-ორბელიანის მონათხრობით, გზა აუბნია ერეკლეს დადევნებულ სპარსელების რაზმს.

სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილს და თავგადაპარსულს, თათრის კიკინები ჰქონდა და სპარსელისაგან ვერ გაარჩევდა კაცი.

ის წინ დახვდა მდევრებს და სუფთა სპარსულით გაესაუბრა მათ. მოატყუა, რომ თავადაც ალა-მაჰმად-ხანის მებრძოლი იყო და სულ სხვა მიმართულებით გაუშვა, თვითონ კი ავლაბრის ხიდზე გაარბენინა ცხენი და მახათასთან მიენია მეფეს.

აღ. ჯამბაკურ-ორბელიანის ნაამბობიდან ჩანს, რომ მახათას ძირში მისულმა ერეკლემ კიდევ ერთხელ მიმართა თავისიანებს.

„ოჲ ღმერთო, რასა ვხედავ და ან რა ხმა მესმის? ჩემო საყვარელო შვილებო, მე თქვენს ამაღლებას ვცდილობდი, მე თქვენის ბედნიერებისათვის ვზრუნავდი, თქვენი მცირე მწუხარება ჩემთვის სასიკვდილო იყო და სიხარული ბედნიერება!... ნაცვლად თქვენის დღესასწაულისა დღეს საშინელეება ტრიალებს თქვენზე...“

— ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო მეგობრებო, ჩემო ამხანაგებო, ჩემო საყვარელო და ჩემო სასურველებო! მე თქვენთვის უნდა მოემკვდარიყავ და თქვენ ჩემთვის იხოცებით. აბა, რალას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ?“ „რატომ ღმერთმა გუშინვე ჩემი თავი ომში არ მოაკვლევინა და ეს საშინელი უბედურება მაჩვენა“.

„რა კარგი ბედნიერი სიკვდილი იქნებოდა ჩემთვის!“

ყველა იქ მყოფ, სამშობლოსათვის ბრძოლებში გამონრთობილ და წარბმეუხრელ ვაჟკაცს ცრემლი მოადგა თვალზე.

წავისისწყლის ხეზე გადაბულ, თბილისის გალავანში აბანოს კარით შემოსასვლელ პატარა ხიდთან მომდგარ ალა-მაჰმად-ხანს ასამდე თბილისელი წარჩინებული მაჰმადიანი მიეგება. წინ მოღეზი მოდიოდნენ ყურანით ხელში. შაჰის ცხენის ფეხქვეშ ცხურები დაკლეს და მორჩილებით თხოვეს დაენდო თბილისი.

მაგრამ დაუნდობელი იყო ალა-მაჰმად-ხანი, ერთხელ, გამძვინვარებულმა თავისი ლვილი ძმაც კი მოაკვლევინა მზლებლებს.



ერთ-ერთი სპარსული ქალაქის, ქერმანის აღების შემდეგ კი, რადგან ქალაქის მცხოვრებნი არ დაემორჩილნენ, ბრძანა თვალეზი დაეთხარათ ყველა მამაკაცისათვის. 20 ათასი წყვილი თვალი მიურთმევიათ მაშინ მის ჯარისკაცებს ალა-მაჰმად-ხანისათვის.

გულქვა შაჰმა განაცხადა, რომ თბილისი ურჩობისათვის სასტიკად დაისჯებოდა.

სპარსელთა ჯარი ღრიალით არბევდა თბილისს, მათ ქალაქის ძარცვა ნებადართული ჰქონდათ.

შაჰს გამარჯვებას ულოცავდნენ მისიანები.

„მე ვიდრე ორმოცდაათამდის გამიმარჯვნია, მაგრამ ყოველზედ დიდი ეს არისო“, — უთქვამს შაჰს.

განჯელმა „ჯავათ-ხანმა ოცი ქალი და თორმეტი ყმანვილი ვაჟი, ათისა და თორმეტი წლისანი მოართვა შაჰსა, რომელთა ტირილი და გლეჯა კაცისა გულსა სცევთდა და სწოდა მათი საცოდაობა“.

თბილისის ცეცხლის ალი ედებოდა. ს.ქიშიშვილის მონათხრობით, პირველ რიგში ეკლესიებს მიეტანენ სპარსელები. ეკლესიებში შეჩიზნული ხალხი მთლიანად გაყლიტეს, არ ინდობდნენ ბავშვებსაც. დიდძალი ოქრო წაიღეს სომხური ეკლესიების საძალაგებიდან. დაანგრეს კათოლიკური ეკლესია.

შიიტების სალოცავი მეჩეთიც არ დაინდეს და იქ შეფარებულები დახოცეს. მხოლოდ 12-15 წლის ბავშვები არ მოკლეს და დატყვევებულნი საჩუქრად მიჰგვარეს შაჰს.

ამბობენ, — თბილისში შესულმა ალა-მაჰმად-ხანმა პირველად გოგირდის აბანოებს მიაკითხა და იბანავაო. უნდოდა თავისი სენი მოეშორებინა, მაგრამ ამაოდ. საჭურისმა შაჰმა მეორე დღეს აბანოების დანგრევა ბრძანა.

„ასეთი სასახლე მეც კი არა მაქვსო“, — უთქვამს ალა-მაჰმად-ხანს, როცა ერეკლეს ულამაზესი, სამსართულიანი სასახლე უნახავს. ეზოში მარმარილოს ლომები „თელემდნენ“, შადრევნები ამშვენებდნენ გარემოს, მარტო მესამე სართულზე 32 ოთახი ყოფილა.

ალა-მაჰმად-ხანმა ბრძანა, სასახლის ნანგრევებიდან პატარა გორა აეგოთ, მასზე ასულს, უნდოდა დამტკბარიყო აკლებული და დამწვარი თბილისის ცქერით.

სასახლიდან დიდი სიმდიდრე იქნა გატაცებული, გაიტაცეს სამეფო ხაზინა, მერე კი აუსრულეს სურვილი ალა-მაჰმად-ხანს და

მართლაც დადგეს პატარა გორა სასახლის ნანგრევებიდან.

მტერი ძირითადად კარგ შენობებს ეტანებოდა. განადგურდა ამილახვრების, აბაშიძეების, თუმანიშვილების, მელიქიშვილების, ხერხეულიძეების, თაქთაქიშვილების, ფალავანიშვილების, სუმბათაშვილების კუთვნილი ლამაზი სახლები. მივიღიდან დაინვა სიონიც. დაანგრეს სიონის სამრეკლო.

დაინგრა თოფხანა, სადაც ზარბაზნებს ასხამდნენ, სტამბა, აბანოები, ზარაფხანა, განადგურდა წიგნთსაცავები, ჩაინგრა ავლაბრის ხიდი.

ქართველი და სომეხი მღვდლები შეიპყრეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და მეტეხის კლდიდან მტკვარში გადაყარეს.

ავლაბრის ხიდთან მიყარეს ტყვეები და უბრძანეს, ფეხით გაეთელათ ქვათახვეიდან ჩამოტანილი წმინდა ესტატეს სასწაულმოქმედი წმინდა ნაწილები.

არც ერთმა დატყვევებულმა არ იკადრა ამის გაკეთება, რაც მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ქალაქის ბაზრებზე ტყვეებით გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა. იყიდებოდნენ ახალგაზრდა ქართველი ქალები, გოგონები და ბიჭები. ჩვილ ბავშვიანი დედები ნაკლებად ფასობდნენ. მათი პატრონი სპარსელები იმით იოლებდნენ საქმეს, რომ დედების თვალწინ ხმლით კაფავდნენ პატარებს.

ქალაქში თავმოჭრილი ადამიანების გვამები ეყარა, ცოცხალთაგან მხოლოდ ღონე-მიზიდილ მოხუცებს თუ ნახავდით.

„ავდარი, წვიმა და ტალახი იყო, რადგან შვიდეულსა უშეტესცა ჭამსა იყო წვიმა გადაულებელი“.

თბილისისა და მისი გარემოს მცხოვრებნი გრძელ მწკრივად მიჰყვებოდნენ სასიცოცხლო გზას მთიულეთისაკენ. „უამრავი ხალხი იყო დუმილით და სწრაფად მიმავალი, ანანურიდან მუხრანამდე ვერსად იხილავდი გზასა ცარიელსა“, იგონებდა თვითმხილველი იოანე ქართველიშვილი. ამის წამკითხველს უნებურად გაგახსენდება თოვლსა და ყინვაში კოდორისაკენ გრძელ მწკრივად მიმავალი ხალხი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ისჯებოდნენ, რომ ქართველები იყვნენ.

გზაში ყაჩაღების ჯგუფები არბევდნენ დევნილებს, არავის ინდობდნენ, თვით ვახ-



ტანგ ბატონიშვილის და ზაქარია ანდრონიკაშვილის ტვირთიც კი გაიტაცეს. ბევრი ავაზაკი დაატყვრინა და სასტიკად დასაჯა ერეკლემ ამ დღეებში.

სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს სიონის დეკანოზი იოანე ოსეშვილი-მიქაძე, 1786 წელს ლეკების მიერ მოკლული იესე ბარათაშვილის ძმა. თავისი ქადაგებებით ცნობილი იოანე, განათლებული სასულიერო მოღვაწე იყო, მან თავი გადადო და სიონიდან ჩუმად გამოიტანა ლეთისმშობლის უწმინდესი ხატი, ურემში დამალა და შემდეგ მთიულეთისაკენ, კაიშაურში წაიღო.

თბილისელები წინააღმდეგობას არ წყვეტდნენ და ქალაქშიც ებრძოდნენ მტერს. თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა, — „ხოლო ტფილისსა შინა მცხოვრებთაგან მრავალსა, ადგილსა განამაგრეს სახლნი და ქუჩანი და მრავალნი სპარსნი მოსწყვიტნენ“.

თავად ალა-მაჰმად-ხანი, თავდასხმის შიშით, თბილისში დიდხანს არ რჩებოდა. ის სოღანლულის ბანაკში ათევდა ღამეს.

ალა-მაჰმად-ხანმა ვერა და ვერ მოიოხა გული.

ჯერ კიდევ ვერ შეისრულა თავისი დიდი ხნის ნატვრა. ერეკლე ჯერ არ ჰყავდა შეპყრობილი. ამ მიზნით თავისი ერთ-ერთი სარდალი, ნახტევნის ხანი — ქანქარა ქალბალი-ხანი მოიხმო და მ ათასკაცნიან დამსჯელ რაზმს ჩაუყენა სათავეში. თან დატყვევებული, მეფის საზანდარი, ალაჯან ყულამანის შვილი გაატანა გზის მაჩვენებლად და მეფის შეპყრობა უბრძანა.

ქალბალი-ხანი დამარცხებული დაბრუნდა ალა-მაჰმად-ხანთან. ამან საგონებელში ჩააგდო შაჰი. დატყვევებული ერეკლეს ნაცვლად მას ნახევრად განადგურებული ჯარი დაუბრუნდა უკან.

ერეკლემ ანანურში ასვლიდან მეორე დღესვე დაიბარა ერთგული თავად-აზნაურები და ჯარის შეკრება დაიწყო.

ალა-მაჰმად-ხანი შეეცადა, ერეკლესთან საზავო მოლაპარაკება ეწარმოებინა, მაგრამ ეს მცდელობა ჩაიშალა. შაჰმა იფიქრა, „ერეკლემ რაიმე ხრიკი არ ამიტეხოსო“. მას უნდოდა გამარჯვებულის სახელით დაეცხოვებინა საქართველო. ამავე დროს არც სპარსეთიდან მოდიოდა მისთვის საიმედო ამბები — ცნობა მიიღო, რომ ხორასანში მის

წინააღმდეგ აჯანყება იწყებოდა, ამიტომ გადაწყვიტა დროზე შეეპყრობინათ თბილისიდან.

ათასობით ტყვე წაიყვანეს სპარსელებმა. ნაძარცვით დატვირთული მტრის ჯარი სოღანლულიდან 20 სექტემბერს დაიძრა და განჯის გავლით სპარსეთისაკენ გაუდგა გზას.

მართალია, ქართველები სასტიკად დამარცხდნენ, მაგრამ ერეკლე და მისი ქვეყანა არ იყვნენ საბოლოოდ წელში გატეხილები და ქართლ-კახეთსაც ვერ კიდევ შერჩენოდა სიცოცხლის უნარი.

არც ალა-მაჰმად-ხანი გამოიყურებოდა გამარჯვებული, რადგან საქართველო ვერ დააჩოქა. ქართველი მეფე ვერ შეიპყრო და ვერ შეისრულა თავისი სურვილი.

14 სექტემბერს ერეკლემ კავკასიაში რუსების ჯარის სარდალს, გუდოვიჩს ასეთი წერილი მისწერა — „ჩვენ რომ ყოვლად მოწყალე დედოფლის (ეკატერინე II. ავტ.) მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით, და, დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწვეული ჯარებით ალა-მაჰმად-ხანს წინ აღვუდგებოდით, ანდა სხვა ხერხით დავიცავდით ჩვენს სამეფოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში“.

თავად ერეკლე, რომელსაც ცნობილია, არ ჩვეოდა თავისი შეცდომების დაფარვა, აღიარებდა, რომ რუსეთის დახმარების იმედით, სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა მტრის შემოსევას.

უამრავი ტყუილი თუ მართალი ამბავი გავრცელებული საქართველოში კრწანისის ბრძოლის რევოლუციურ სამუხაროდ, დღესაც არის არასწორი და დამამცირებელი მტკიცებები ქართველთა დამარცხების მიზეზების შესახებ. ამ მიზეზებში ჩამოითვლება სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრის ღალატი ერეკლესადმი; რომ ერეკლეს 30-ზე მეტი შვილიდან და შვილიშვილიდან მხოლოდ ერთი თუ ორი დაუდგა გვერდით, დანარჩენი კი ერეკლეს მიერ მათთვის დარიცხულ მამულებში დროს ატარებდნენო, რომ სხვადასხვა ეროვნების ჯაშუსთა და მოღალატეთა მთელი დასი ეხვია ერეკლეს გარშემო და მოხუცი მეფე მათ ვერ უშკლავ



ვდებოდაო, ქართველებმა კრწანისის ველი უბრძოლველად მიატოვეს და გაიქცნენო, არც იმერელი მოლაშქრეების საქციელს განიხილავენ დადებითი მხრიდან და სხვა. ეს აზრები თავიდანვე იმათი გავრცელებული იყო, ვისაც ხელს აძლევდა და უხაროდა საქართველოს დამცირება, დაკნინება, მეფის დაცინვა. ასეთი აზრები იმ ადამიანებიდან მოდის, ვინც „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის“ მონაწილე და ამ მოვლენის მოხარულნი იყვნენ. ასეთი ამბების ერთ-ერთი გამავრცელებელი არტემ არარატსკია, იგივეს იმეორებენ რუსი ისტორიკოსი ბუტკოვი და გენერალი გუდოვიჩი, თუმცა მათ ნაშრომებსა და წერილებში ბევრი საინტერესო მასალაც მოიპოვება, მაგრამ მათაც ედოთ გარკვეული ნული საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში და ამიტომ ცდილობდნენ, დაეფარათ თავისი და თავიანთი სახელმწიფოს დანაშაული. მათ უნდოდათ რუსეთი საქართველოს უანგარო მფარველად გამოეცხადებინათ, თანაც დაემტკიცებინათ, რომ ქართველებს, რუსების გარეშე ბრძოლა და თავის დაცვა არ შეეძლოთ. ბუტკოვი წერდა, რომ „ერეკლემ თავი ვერ მოაბა ჯარის შეგროვებას“, „მას სძლია მისტიციზმმა და ეგონა ქრისტიან წმინდანთა მფარველობა უშველიდაო“. ამიტომაც ჩამოატანინა ქვათახევიდან წმინდა ესტატის მუმიფიცირებული ნაწილები და ბრძოლის წინ, წმინდა ხატებთან ერთად, ქალაქში გამოატანინა. ამასთან აღნიშნავდა, რომ, თურმე, საკუთარ ცოლს, დარეჯანსაც ნდომებია ერეკლეს დამარცხებაო.

უფრო გვიან, 1939 წელს ვინმე არაქელიანი, არ ვიცი, რა წყაროებზე დაყრდნობით, თავის ნაშრომებში ერეკლეს მხედლსაც კი უწოდებდა. მის არცერთ მტერსაც კი არ შეუფასებია ასე ქართველი მეფე.

კავკასიაში რუსების ჯარის სარდალს, გენერალ გუდოვიჩს, მართლაც სჭირდებოდა თავის მართლება. ის ყველაფრის საქმის კურსში იყო, იმასაც ამბობდნენ, თავისი საიდუმლო კავშირები ჰქონდა ალა-მაჰმად-ხანთან და ერთმანეთს საჭურჭრებსაც კი უგზავნიდნენო. გუდოვიჩმა არამც თუ ჯარი არ მიაშველა ერეკლეს, რისი ვალდებულებაც რუსეთს ჰქონდა, არამედ, მთავრობის დადგენილებით, ერეკლეს თავის გამოყოფილი ზარბაზნებიც კი არ მიანოდა ქართველებს, როდესაც კარგად იცოდა, თუ რას

აპირებდა ალა-მაჰმად-ხანი. მისთვის ხელსაყრელია წერილებში მოყვანილი ის მოუხარებები, რომ ქართველებმა ორასზე მეტ მეთომარს ვერ მოუყარეს თავი, რომ ერეკლე პირველმა იმერეთის მეფე სოლომონმა მიატოვა და მთებისაკენ გაიქცა. რომ ქართველებმა უბრძოლველად დათმეს ქალაქი, ერთმანეთს უღალატეს და თავიანთი თავი თავადვე დაიღუპეს. თუმცა კი გუდოვიჩი ერთგვან აღნიშნავს, რომ მას ეკატერინე II-ის ბრძანება არ ჰქონდა და ამიტომ არ მიახმარა ჯარი ქართველებს. თუ ეს ასეა, ეს კიდევ უფრო სერიოზული და დამაფიქრებელი ამბავია.

საბოლოოდ კი მართლაც ასე გამოვიდა, „რომ გუდოვიჩმა საქართველოზე ამხედრებულ მტერს მისთვის აუცილებელი ცნობის მიღებაში, ნებსით თუ უნებლიედ ხელი შეუწყო, არსებულ მასალებში გუდოვიჩი ზოგჯერ „ანგარებიანისა“ და „გაუმძღვრის“ ეპითეტებით იხსენიება“ – ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“.

ან როგორ შეიძლება არტემ არარატსკის მოსაზრება მივიჩნიოთ სიმართლედ, რასაც, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი დღესაც გულუბრყვილოდ იმეორებს. 1813 წელს პეტერბურგში რუსულად დაბეჭდილ წიგნში იგი წერს, რომ „ანანურში, პატარა მონასტრის გალავნის შიგნით, ერთ ნახევრად დანგრეულ ოთახში ნახა უბრალო ცხვრის ტყაპუჭში გამოხვეული მოხუცი კაცი, რომელიც ოთახის კუთხეში, პირისახით კედლისკენ შებრუნებული მჯდარა. აქვე მახლობლად მდგომი მეორე მოხუცი, რომელიც ერეკლეს მსახური ყოფილა, სომხურად მოუყვა არტემ არარატელს, „რომ ის კაცი, რომელიც მის წინ ასე დამცირებული იჯდა და დადარდინებული დღეების განმავლობაში მზის სინათლის შეხედვასაც კი ერიდებოდა, ერთ დროს დიდებით მოსილი პიროვნება იყო და მისი სახელი მთელს აზიაში ჰქუხდა. მას ყველა პატივს სცემდა და ყველას ეშინოდა მისი. თავისი ხალხის საუკეთესო მმართველმა და მამასავით მოყვარულმა 40 წლის განმავლობაში შეინახა თავისი სამეფო. ახლა ის დამარცხებულია და დაამარცხა ვინ? ნადირ-შაჰის კარის საქურისმა, პიროვნებამ, რომელიც არაფერს წარმოადგენდა მაშინ, როცა ერეკლე სპარსეთის ჯარის მთავარსარდალი იყო.

ერეკლე ყველამ მიატოვა, საკუთარმა შეილებმაც უარი უთხრეს დახმარებაზე, მი-





ატოვა იმერეთის მეფემაც. უკვე ჩაესვენა მისი დიდების მზე. მისი ქალაქი აოხრებულია. სამეფო კარის წარმომადგენელი და მასთან დაახლოებული პირები, რომლებიც მან გაზარდა და ადრე მისი წყალობით სარგებლობდნენ, ახლა სადღაც გაიქცნენ და მიატოვეს ის. არ მიატოვეს მხოლოდ მე, ერთმა სანყალმა, მოხუცმა სომეხმა, რომელიც მის კარზე, მისი ნარჩენი ნამცეცხვებით ვიკვებობდი, მხოლოდ მე არ დავევიწყე მისი სიკეთე და ახლა თავად მათხოვრობით ნაშოენი პურით სამონყალოდ ვინახავ მასო". მართლაც არა აქვს საზღვარი ავტორის ფანტაზიას.

ამ მონათხრობს შემდგომში ბევრი იმეორებს, მათ შორის ს.ქიშიშივეიც, რომელიც გულის აჩუქების მიზნით ერთ ლათინურ ანდაზასაც გვთავაზობს „Sic transit gloria mundi“ („ასე გადის ამქვეყნიური დიდება“) და თან აღწერს, როგორ გაიქცა ანანურისკენ დამარცხებული მეფე, მხოლოდ ერთი სომეხი მსახურის თანხლებით. კიდევ კარგი, მთელს თავის სამეფოში ერთი კაცი მაინც გამომდგარა ერეკლეს ერთგული. იგივე მასალა მოჰყავს თავის წიგნში ინგლისელ ისტორიკოს დ. ლენგსაც, თუმცა ცნობილი და დასაბუთებულია, რომ ერეკლე არ მიატოვა თუნდაც ბრძოლაში ცოცხლად გადარჩენილმა ასორმოცდაათმა მხედარმა. მითუღეთში ასვლის დღიდან კი ერეკლეს მთელი თავისი ახლო გარემოცვა გვერდიდან არ მოშორებია. ის თავის ოჯახის წევრების და ახლობლების წრეში იყო და მაშინვე შეუდგა ჯარის შეკრებას და ქვეყნის მართვას.

მართალია, სომეხმა ეპისკოპოსმა სედრაკიანმა არტემ არარატსკის მონათხრობს სიყალბე უწოდა, მაგრამ, გასაგებია, რატომ იმეორებენ მის მონათხრობს დღემდე. არტემ არარატსკის წიგნი ხომ გერმანულ, ინგლისურ, სომხურ და ქართულ ენებზე ითარგმნა და გავრცელდა.

იასე ცინცაძე აღნიშნავს, რომ არტემ არარატსკის „ჯილდოც მიუღია საქართველოს სახელმწიფოს აბუჩად ასაგდებად შეთხზული ფაქტების შეგროვებაში თვითმწყობილისაგან“.

სამწუხაროდ, დღესაც, ბევრი ასეთი ჭორი ვრცელდება საქართველოსა და ქართველებზე. ქართველ ისტორიკოსებს და მკვლევარებს ხშირად უძინელდებთ გააგე-

ბინონ ქვეყანას, რა არის სინამდვილე და რა არა.

სამწუხაროდ, მრავალი ჭორი სიმართლე ჰგონია ბევრ ქართველსაც!

თუკი ქართველი მეფე, რომლის სახელი მთელს აზიასა და ევროპაშიც იყო ცნობილი, ახლა ისე იყო დაკნინებული, რომ ოჯახსაც ველარ იმორჩილებდა, მემკვიდრეები ყველა განუდგნენ, სახელმწიფოებრიობაც მოიშალა, მაშინ მართლაც რაღა იყო ქართველთა დამოუკიდებლობის ფასი!

მაგრამ, არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლებზე დაყრდნობითაც ქართველთა დაკნინების და დამცირების ცდა გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს.

„ქართველმა თავდახანაურობამ რომ შინა კინკლაობით სამშობლოს თავისუფლების დაკარგვას შეუწყო ხელი და ქვეყნის ტრაგედიაში თავადების ერთ ნაწილს მნიშვნელოვანი „დამსახურება“ მიუძღვის, ამის მტკიცება ახლა არავის სჭირდება, მაგრამ იმ გარემოებას უნდა გაუფსვთ ხაზი, რომ ფეოდალებს შორის კინკლაობა მართლ ქართველების ერთგული სენი არ იყო. ქართველობა გამონაკლისი არ იყო და არც ყოფილა“.

„ჩვენ სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, სანამ მეფე ცოცხალი იყო, არც ერთ მის შვილს სამშობლოსათვის არ უღალატია. მრავალრიცხოვან ბრძოლებში ბატონიშვილებს ყოველთვის თავგანწირვით უბრძოლიათ და მამის თუ პაპის ბრძანების ურჩი ამ საქმეში არ ყოფილან. ისტორიულ ძეგლებში საამისო მასალის პოვნა მკვლევარს არ გაუჭირდება“, აცხადებს კატეგორიულად იასე ცინცაძე.

ერეკლეს ვაჟებიდან 1795 წლისათვის ორი უკვე გარდაცვლილი იყო.

ერეკლეს უფროსი ვაჟი ვახტანგი (ვახტანგ კარგი), რომელიც ერეკლეს პირველი ცოლისგან ჰყავდა 1760 წელს, 18 წლის ასაკში გარდაიცვალა ყვავილისაგან.

„მეფე ირაკლი მიეცა დიდსა მწუხარებასა“, თეიმურაზ II-მ კი თურმე ისე განიცადა შვილიშვილის დაღუპვა, რომ დადარდიანებულმა „დაჰკრა თავი კუბოსა და გაიტეხა“, – გვიამბობს პლატონ იოსელიანი.

აღარ იყო ცოცხალი ლევან (ლევან) ბატონიშვილი, ერეკლესა და დარეჯან დადიანის პირველი ვაჟი, რომელიც 1756 წელს იყო დაბადებული. ლევან ბატონიშვილი მორიგე ჯარს ხელმძღვანელობდა. გონებითა და ვა-



ყვაცობით მას ერეკლეს ადარებდნენ. ლევანი 1781 წელს კახეთში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

რაც შეეხება დანარჩენ ბატონიშვილებს; სამეფო ტახტის მემკვიდრე, 1746 წელს დაბადებული, გიორგი ბატონიშვილი, ერეკლესა და ანა აბაშიძის ვაჟი, რომელიც ახმაგაზრდობაში ბრძოლაში შემართული და გარეგნობით სასიამოვნო აღნაგობისა იყო, სამწუხაროდ, ადრე დაავადმყოფდა, საკმაოზე მეტად მოურია სიმსუქნე და შედარებით ნაკლებბრძოლისუნარიანი გახდა. მაგრამ მამისადმი სიყვარული არ განელებია.

კრწანისის ომის პერიოდში გიორგი სილნალში მდგარი ჯარით. კახეთში მტრის შემოჭრის დიდი საშიშროება არსებობდა. ალა-მაჰმად-ხანი გასამრჯელოს ჰპირდებოდა ლეკებს, რათა ისინი თავს დასხმოდნენ კახეთს. ხუნძახის ბატონმა, ავარიელმა ომარ-ხანმა, მართალია, მხარი არ დაუჭირა ალა-მაჰმად-ხანს და არ წამოჰყვა ერეკლეს წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ, ერეკლემ ხელში ჩაგდებული წერილიდან იცოდა, რომ ომარ-ხანს დიდი ჯარი ჰყავდა გამზადებული კახეთზე თავდასასხმელად. ამიტომ მეფეს „კახეთს ჰყავდა პირმშო და მემკვიდრე თავისი გიორგი სახლელულობითა თვისითა, რომელიც განამზადებდა მხედრობასა ბრძანებითა მეფისათა“, - წერს თეიმურაზ ბატონიშვილი.

პლატონ იოსელიანიც აღნიშნავს, რომ გიორგი ბატონიშვილს არ ჰქონდა ერეკლეს ბრძანება იმისა, რომ კახეთი დაუცველად მიეტოვებინა. ამიტომ ვალდებული იყო კახეთში დარჩენილიყო და მამის ბრძანება შეესრულებინა, ხოლო ის, რომ გიორგი ბატონიშვილი სილნალსა და თელავში დროს უქმად, ქეიფში ატარებდა არტემ არარატცკის გამოგონილი ამბავია. ერეკლეს შვილიშვილის, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ კი ამ აზრის გულუბრყვილო განვითარებას იასე ცინცაძე მეფის მემკვიდრეებსა და შთამომავლებს შორის დაპირისპირების და „პოლიტიკური მარცხის ერთმანეთზე გადაბრალების ცდად“ მიიჩნევს, რაც განსაკუთრებით ერეკლეს გარდაცვალების და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გამოიხატა და გამწვავდა.

იასე ცინცაძეს თავის ნივთში სრულად მოჰყავს 1795 წლის 17 და 20 სექტემბერს ანანურიდან ერეკლეს მიერ კახეთში გიორგისადმი გაგზავნილი ორი წერილი. ორივე

მათგანი იწყება წამძღვარებული მიმართებით:

„ქ. ჩვენო ღვთის წყალობაჲ შეიღო ბატონო გიორგი“... წერილები საქმიანია და მოკითხვის შემდეგ არის მცირე, ალბათ მართებული საყვედურის ტონიც ამა თუ იმ საკითხთან დაკავრებით, საიდანაც მართლაც ჩანს გიორგის უნიათობა და ნაკლები აქტიურობა ქვეყნისათვის მძიმე პერიოდში, მაგრამ საყვედური იმაზე, თუ რატომ არ მიეშველა ერეკლეს გიორგი კახელთა ჯარით კრწანისის ველზე, არსად სჩანს და ამ თემაზე ლაპარაკიც არ არის დამარცხებიდან სულ ერთი კვირის შემდეგ ერეკლეს მიერ დაწერილი წერილებში.

ერეკლეს მტკიცე და ძალაუფლების მოყვარული ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ ესაყვედურა ტახტის მემკვიდრისათვის ქვეყნისათვის დამღუპველი მოქმედების ჩადენა.

1760 წელს დაბადებული იულონი 1795 წლის ივნისში ძმასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად ყარაბაღისაკენ იყო წასული ალა-მაჰმად-ხანის ჯარის ნაწილებს წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო შემდგომ კი უნებართვოდ არსად წასულა, ქართლში იყო და ერეკლეს დაავლებს ასრულებდა. ამ დროს ქართლში ოსმალთა შემოსევა იყო მოსალოდნელი, „ხოლო ქართლს ჰყავდა სხვა ძე თვისი იულონი და იგი განამზადებდა მხედრობასა ქართლისასა“, აღნიშნავს ერეკლეს შვილიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც მაშინ ცამეტი წლისა იყო. გასაგებია, რომ ომში არ მონაწილეობდა, მაგრამ ნიჭიერ ყმაწვილს, რომელიც იმ დროს ოჯახს არ მოშორებია, ის მაინც ემახსოვრებოდა ოჯახის წევრებიდან, თანაც მისი მამის მონაწილეობაზე ბიძიდან, ვინ უღალატა პაპას და ვინ არა.

1761 წელს დაბადებული ვახტანგ ბატონიშვილი (მეტსახელად ალმასხანი) კრწანისის ველზე, თავისი რაზმით, თავდაუზოგავად იბრძოდა ერეკლეს გვერდით და ერთი წუთითაც არ მოსვლია აზრად მიეტოვებინა მეფე.

1764 წელს დაბადებული თეიმურაზი, რომელიც სასულიერო პირი იყო, 1788 წლიდან, ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ალმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი ანტონ-II გახლდათ. მისი ომში მონაწილეობა მიუღებელი იყო, ამიტომ, სამეფო კართან ერთად მ სექტემბერს მთიულეთისაკენ



ნავიდა. მანამდე, აგვისტოში კი ქვეყნის სამხრეთის საზღვრებისაკენ დაძრულ ერეკლესა და სოლომონს თან ახლდა და სულიერად განამტკიცებდა ჯარს.

1766 წელს დაბადებული მირიან ბატონიშვილი, ერეკლეს მონდომებით, რუსეთში იყო გაგზავნილი და იქ ცხოვრობდა. მას გენერლის ჩინი და სენატორობა ჰქონდა მიღებული. ერეკლეს მირიანთან ხშირი, საქმიანი მიწერ-მონერა ჰქონდა და, თუ არა მირიანისაგან, სხვისგან ვისგან შეიტყობდა უფრო მართებულად რუსეთისა თუ ევროპის დიდი ქვეყნების სხვადასხვა საინტერესო ამბებს. როდესაც ერეკლეს მძიმე ავადმყოფობა გაუტია, მირიანი მამის სანახავად წამოსულა და თან ექიმი, გვარად გორთციური წამოუყვანია, მაგრამ ერეკლეს ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრო, — ვკითხულობთ ბუტკოვის მონათხრობს „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში“.

1770 წელს დაბადებული ალექსანდრე ბატონიშვილი 1795 წლის ივნისის თვეში ერეკლემ ყარაბაღისაკენ გაგზავნილ მავშელ ჯარს ჩაუყენა სათავეში და ქართველებმა ყარაბაღის ჯართან ერთად სასტიკად დაამარცხეს და უკან განდევნეს ყარაბაღისა და ერევნის სახანოების ასახორებლად წამოსული ალა-მამად-ხანის რვა ათასიანი ლაშქარი, შემდეგ განჯასაც მიადგნენ და იქაც ერეკლეს დავალება შეასრულეს.

სანამ ერეკლე ცოცხალი იყო, ალექსანდრეს არასდროს გამოუჩენია მამისა და მისი სახელმწიფოსადმი სანაინაღმდეგო ან ლალატური საქციელი. კრწანისის ომის დროს ის ავად იყო. როდესაც სამეფო კარის წარმომადგენლები მსექტემბერს მთიულეთისაკენ გახიზნულან „ერთ ტახტრევანდში დარეჯან დედოფალი მუდარა“, ხოლო მეორე „ტახტრევანდში საოფლით ავადმყოფი ბატონიშვილი ალექსანდრე ჩაუნეწენიათ, და მთიულეთისაკენ წაუყვანიათ“, გვიყვება ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი. ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი, ერეკლეს დავალებით და ხელმძღვანელობით, ისევ ჩაება ბრძოლებში.

ფარნაოზ ბატონიშვილი 1775 წელს იყო დაბადებული და 20 წლის ახალგაზრდა, ალბათ, ერეკლემ თავად აარიდა ხელჩართულ და საბედისწერო ბრძოლას.

უფროსი შვილიშვილები, გიორგის ვაჟები დავით და იოანე ბატონიშვილები, როგორც ვიცით, შუაგულ ბრძოლაში იყვნენ

კრწანისის ველზე და მანამდეც არაერთხელ უომიათ თავგამოდებით თანამებრძოლის დასაცავად.

10 სექტემბერს დავითი მთელ ფრონტს სარდლობდა, ხოლო 11 სექტემბერს კი თბილისის დაცვის მარჯვენა ფრთა და იქ განლაგებული არტილერია ებარა.

იოანე ბატონიშვილი კრწანისის ბრძოლაში „творил чудеса храбрости“, — აღნიშნავს ს.ქიშიშვილი და მ. ბროსესაც იმონებებს. მის გმირულ ბრძოლას ყველა აღნიშნავს, ვისაც კი უცდია კრწანისის ბრძოლის აღწერა და თუ დამარცხებული ჯარის მხარეს ვინმე ცოცხლად დარჩენილი შეიძლება გმირად წარმოვსახოთ, ეს იოანე ბატონიშვილია — კრწანისის ერეკლეს ვადამრჩენი.

ერეკლეს კიდევ ერთი შვილიშვილის, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მონაწილეობაზე კრწანისის ომში საკმაოდ ვისაუბრეთ და, როგორც ვნახეთ, გუდოვიჩის ნაამბობი, სოლომონი პირველი გაიქცა ბრძოლის ველიდან და მთებს შეაფარა თავი, მართალი არ არის.

თუ დავაკვირდებით, ერეკლე კრწანისის ბრძოლისას თითქოს ზოგავდა სოლომონ II-ს და 11 სექტემბერს ის შუა ბრძოლაში არ ჩააბა, ვინც იცის, იქნებ მომავალში საქართველოს გამაერთიანებლადაც მოიახრებდა ერეკლე თავის შვილიშვილს, იმერეთის მეფეს.

დარეჯან დედოფალსაც არასდროს არ მოსვლია თავში ერეკლეს ლალატი, თუმცა კი, ბოლო წლებში, ცდილობდა ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩარევას. ერეკლე დედოფალთან ერთად ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას დათმობაზეც მიდიოდა, რაც ქვეყნის მომავლისათვის ზოგჯერ ხელსაყრელი არ იყო. თავად დარეჯანი აგვისტოს თვეში წერდა წერილს გუდოვიჩს და თხოვდა, ჯარი მოგვაშველეთო.

შეიძლება მართლაც სწორი იყოს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის საყვედური, ქიზიყის ყოფილი მოურავის, რევაზ ანდრონიკაშვილის მიმართ, შესაძლოა, მას მართლაც, რაღაც გაუშარბლებელი შეცდომა მოუვიდა და არ გამოიჩინა სათანადო ინიციატივა თბილისის დასაცავად, მაგრამ ის უკვე აღარ იყო ქიზიყის მოურავი. იმჟამინდელი ქიზიყის მოურავის, ზაქარია ანდრონიკაშვილისათვის კი შეგნებულად ლალატის დაბრალება მიუტევებელია, რადგან ასეთი საქციელი მისთვის თვითმკვლევრობის



ტოლფასი იქნებოდა. ის ხომ, ქიზიყიდან ჩამოსული, 10 და 11 სექტემბერს გვერდიდან არ მოშორებია თავის სიამარსა და მეფეს, ვაჟყაცურად, თავდაუზოგავად იბრძოდა მის გვერდით. ბრძოლებში გამოხერხილი „მინის მგელი“ ომის შემდეგაც, სისხლში ამოსვრილი, მთიულეთში გაჰყავა ერეკლეს. ასე, რომ, ჩანს, მართალია იასე ცინცაძე, როდესაც ბრძანებს: „ერეკლეს ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ საკუთარი ვაჟიშვილები მისი მორჩილებიდან გამოსვლას ვერ გაბედავდნენ“.

„ქართველი მეფის ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებს შორის წინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, არსებობდა, ჩვენ საამისო ცნობებიც გვაქვს, მაგრამ შეიძლება დავასახელოთ მე-18 საუკუნის ისეთი სახელმწიფო, სადაც სასახლის წევრებს შორის წინააღმდეგობა არ ყოფილიყო?“

„ვერაინ დაგვიმტკიცებს, რომ ერეკლე მეფემ შვილებს რამე დაავალა და რომელიმე მათგანმა შესრულებაზე უარის თქმა გაბედა“.

იმერლების მიერ ბრძოლის ველის მიტოვება და მათთვის თბილისის მოსახლეობის ძარცვის დაბრალებაც ქართველთა დამცირების ცდაა. შეიძლება ომიდან ადრე გამოსულ იმერელთა ერთი ჯგუფი მართლაც ავაზაკობდა და ყაჩაღობაში ტოლს არ უდებდა ამ დროს მობოგინე ავაზაკთა სხვა ჯგუფებს, რასაც გამართლება არც მაშინ ჰქონდა და არც სხვა დროს ექნება, მაგრამ ომის წაგების სხვისთვის გადაბრალება, ისტორიის წინაშე თავის გამართლების ხერხია მათგან, ვისაც მართლაც მიუძღვის ბრალი საქართველოს დაღუპვაში, მით უმეტეს, რომ იმერელთა ბრძოლაში შემართებას ბევრი აღნიშნავს. ათასამდე იმერელი დაიღუპა თბილისის მისადგომებთან. „იმერთაცა მხედრობანი ბრძოდეს მამაცაჲდ“, წერს თეიმურაზ ბატონიშვილი.

არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ყაჩაღებმა არ დაინდეს ქიზიყის მოურავის, ზაქარია ანდრონიკაშვილის ტვირთიც, რომელიც შედიოდა ზაქარიას ცოლის, ერეკლეს ქალიშვილის ელენეს (სოლომონ II-ის დედის) და მისი დის, ასევე ერეკლეს ქალიშვილის „მარიამის საქონელი-ბარგი-ბარხანა და ის ყინვალის მახლობლად გზაში აიკლეს“. შემდგომში ზაქარიამ იპოვა ქურდები, რომლებიც სომხები ყოფილან და ჩამოართვა სათანადო ხელწერილი, რომე-

ლსაც თვით მეფე ერეკლე ამონებდა. ზოგიერთი სომხის აღაშენებლის გვერდზე დგომამ და მისთვის მხარდაჭერამ, ისევე, როგორც ზოგიერთი ქართველის უგვანო და ლალატურმა საქციელმა, მართალია, ხელი შეუწყო დამარცხებას, მაგრამ ამით მათ ასევე ხელი შეუწყვეს თბილისსა და მის შემოგარენში მცხოვრები, ქართველი მეფისა და ქართველთა ხმლის ქანკის იმედით მშვიდობამოპოვებული და მშრომელი ათასობით სომეხის დაღუპვას და დატყვევებას, ამასთან ბევრი სომეხი მოქალაქე, თბილისის დაცვისას ბრძოლაში შეაკვდა სპარსელებს. ასე რომ, მომხრესა და ერთგულზე ბევრად ნაკლები მოლაღალტის არსებობაც არ შეიძლება ყოფილიყო საქართველოს დამარცხების ერთადერთი მიზეზი.

ქართველთა ჯარის სიმცირე, რასაც თვით მეფეც ძალზე განიცდიდა, რა თქმა უნდა, ქვეყნის სისუსტეზე მიუთითებდა. ქვეყნის აღმშენებლობის პერიოდში, თუ საქართველო რამდენიმე მილიონ მცხოვრებელს ითვლიდა, ახლა ამიერ და იმიერ საქართველოში ნახევარი მილიონიც აღარ იყო დარჩენილი. ქართლ-კახეთის მცხოვრებთა რაოდენობა კი ორას ათასსაც არ აღემატებოდა. ეს საავალალო დემოგრაფიული მაჩვენებელი მტრის განუწყვეტელი თავდასხმების და ომების შედეგი გახლდათ.

მაშინდელი კომუნიკაციის პირობებში შეუძლებელი იყო სწრაფად დიდძალი ჯარის თავის მოყრა. არ დაგვაინწყდეს, რომ სამასი ფშაბ-ხევსური, კრწანისის ომიდან სამი თუ ოთხი დღის მერე წამოვიდა თბილისის დასაცავად, ხოლო აუსმთა რაზმებს, რომლებმაც შეტყობინება ასევე გვიან მიიღეს, ალბათ თბილისის დაცემის შემდეგ მოუხდათ მტერთან ბრძოლა.

სიმართლეს ბრძანებს ბ-ნი იასე ცინცაძე, როცა ამბობს: „ერეკლე ბრძოლებს იგებდა, მაგრამ არასდროს მტერთან შედარებით ჭარბი ძალა არ ჰყოლია. მას ლაშქრის დიდხანს შენახვის საშუალებაც არ ჰქონდა“. იმდროინდელ ეკონომიკურ პირობებში 2-3 კვირითაც კი ძნელი იყო ჯარის შენახვა და მისი საკვებით უზრუნველყოფა.

„როდის ყოფილა, რომ რამდენიმე ათეულ ათასიანი კორპუსი ჰყავდა ერეკლეს II-ს, ანდა რომელ ბატონიშვილს ჰქონდა ისეთი ხალხმრავალი სამფლობელო, რომ 10000 შე-

იარაღებული მეომრის გამოყვანა შესძლე-
ბოდა“, წერს იმათ პასუხად იასე ცინცაძე,
ვინც საყვედურობს ერეკლეს, რატომ 60 და
80 ათასიანი ჯარი ვერ შეკრიბა თბილისის
დასაცავადო.

საუფლისწულოებად ქართლ-კახეთის
დაყოფაც არ ყოფილა ომში დამარცხების
გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან ქვეყნის
მმართველობა და ჯარის შეყრა მაინც ერეკ-
ლეს ხელში იყო, თუმცა კი ქვეყნის სისუსტის
ერთ-ერთ მიზეზს ესეც წარმოადგენდა.

თითქმის იგივეს იმეორებს სარგის კაკა-
ბაძე, მაგრამ ის უფრო კრიტიკულია და თე-
ლის, „რომ ახლა შემკვიდრე ფეოდალების
ნაცვლად ცალკეული პიროვნების მმართვე-
ლობა იმყოფებოდა ბატონიშვილების ხელ-
ში: რომლებიც თავის მდგომარეობით
უფრო მეტად უპასუხისმგებლოები იყვნენ“.
თუმცა ასკვნის, რომ „კატასტროფა არ
ყოფილა გამონეული მოჩვენებითი გულ-
გრილობით ბატონიშვილებისა, რომლებსაც
არც სურდათ და არც შეეძლოთ ყოფილ-
იყვნენ საკუთარი მოხუცებული მამის მოლ-
ალატეები.“

ისე კი, თუ დავაკვირდებით, ალბათ, დავ-
ინახავთ, რომ პატარა საქართველოს, არა-
მარტო შუაზე გაყოფილს, ერთიანსაც კი
გაუჭირდებოდა და უჭირდა კიდევ
გამკლავება ისეთ დიდ ქვეყნებთან,
როგორც იყო ირანი და თურქეთი, თუკი
ისინი მთელი თავიანთი ძალით დაიძრებოდ-
ნენ ქართველებთან საომრად.

ამას იოანე ბატონიშვილიც აღნიშნავს
თავის „სჯულდებაში“ – „დიდთა ხელმწიფე-
თა ომი ყოველთვის საფათერაკო არის,
უნდა ყოველთვის გაფრთხილებული ვიყუ-
ნეთ, რომ იგინი არაზედ განვარისხოთ“.

გარდა ირანისა და თურქეთისა, აღმო-
სავლეთით და ჩრდილოეთით საქართველოს
გარს ერტყე თხუთმეტამდე სახანო, თი-
თოეული მათგანი საქართველოს თვით-
დამკვიდრებაში ექიშებოდა.

არ დაგვაინყდეს, რომ, როცა თეიმურაზ
II ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო ერეკლეც
ახალგაზრდა და მას „აშვებული ლომის“ სახ-
ელიც ჰქონდა, პირდაპირ ვერ შეეძა ყვარლ-
ის ციხეს გარსემორტყმული ლეკების და
მათი მომხრეების 20 ათასიანზე მეტ
ლაშქარს და მათ დასამარცხებლად ეშ-
მაკური ხერხი გამოიხატა, ომარ-ხანს კი 1785

წლიდან მოყოლებული, ათი წლის განმავ-
ლობაში ყოველწლიურად 5000 მხანკეთს
აძლევდა, რომ თავიდან აეცილებინა სისხ-
ლისმღვრელი ომები და ლეკთა თარეში.

საქართველოს გადამრჩენი ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი გარემოება ისიც იყო, რომ
მეზობელ ქვეყნებს შუღლი და სიძულვილი
ერთმანეთის მიმართ ბევრად უფრო მეტი
ჰქონდათ, ვიდრე ქართველების მიმართ და
განუწყვეტილ უპირისპირდებოდნენ ერთ-
მანეთს, რაც ხშირად ომებში გადაიზრდებო-
და. ასეთი ურთიერთდაპირისპირების
დროს კი არც ერთს არ აძლევდა ხელს
საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭე-
ბა, თითოეული მათგანი ანგარიშს უწევდა
საქართველოს და ცდილობდნენ მიემხროთ,
ქართველები. ბედად, ისინი ბოლო საუკუ-
ნეების მანძილზე არასდროს გაერთიანებ-
ულან ქართველების წინააღმდეგ სა-
ბრძოლველად.

მეზობელ დიდ სახელმწიფოთა შორის
ურთიერთშუღლს, ხშირად, თავიანთ
სასარგებლოდ კარგად იყენებდნენ
ქართველები. მათმა დიპლომატიამაც დიდი
როლი შეასრულა ქვეყნის გადარჩენაში.
წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა პირის-
აგან მიზნის აღგვილიყო საქართველო, ისე,
როგორც ეს არაერთ დიდ ერსა და ქვეყანას
მოუვიდა.

მაგრამ ეს არ იყო მშობარა და დამონებუ-
ლი სულის მქონე ხალხის დიპლომატია. ეს
იყო მრავალი გაჭირვების გადამტანი, მუამ-
ბოხე, შეუპოვარი, ნიჭიერი და მშრომელი
ხალხის დიპლომატია, რამაც თავის რწმე-
ნის სიძლიერესთან და ხმლის ქნევის სიმარ-
ჯვესთან ერთად ქართველებს შეანარჩუნე-
ბინა ენა, მამული და სარწმუნოება და, ლე-
თის განგებით, თითქმის წარმოუდგენელი
სირთულის ისტორიულ მოვლენათა
ქარცეცხლში გადარჩინა ერი.

გულდასაწყვეტია, რომ ხანდახან, ზოგი-
ერთი დამამდივრებლად უყურებს ძველ
ქართველთა დიპლომატიურ თუ საბრძოლო
ნაბიჯებს და თვლის, რომ ქართველები მხ-
ოლოდ მტერთან მშვიდობიანი თანარსებო-
ბის უნარმა გადაარჩინა, ეს კი მგონია, რომ
საკუთარი ქვეყნის ისტორიაში ღრმად ჩაუ-
წვდომლობის შედეგია.

XVIII საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიაში
ტერიტორიების გადანაწილების პროცესში
აქტიურად ჩაება რუსეთი. ეს აშკარად გამ-
ოიხატებოდა სპარსეთთან, ოსმალეთთან და



ჩრდილო კავკასიის ხალხებთან სამხედრო დაპირისპირებით.

უძველესი დროიდან მოყოლებული, უამრავ შემოსევასა და სხვადასხვა ჯურის მრავალრიცხოვან დამპყრობთა გამანადგურებელ თავდასხმებს სასწაულებრივად გადარჩენილი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობის მქონე საქართველო, თითქმის მთელი მაშინდელი სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა. საქართველომ თავის მფარველად და პარტნიორად ერთმორწმუნე რუსეთი აირჩია, ეს კი რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრების წინაპირობა იყო, რამაც ძალზე გააღვივანა როგორც მეზობელი, ისე ევროპის ქვეყნებიც. ყველა მათგანი სასტიკი წინააღმდეგი იყო რუსეთის ამიერკავკასიაში ბატონობისა.

თურქეთი, რომელსაც ერეკლემ ფარულად დახმარება სთხოვა, ნეიტრალურ მდგომარეობას ინარჩუნებდა, მაგრამ შინაგანად მაინც, თავისი ძველი მტრის, ირანის გამარჯვებას უჭერდა მხარს, რადგან ამას რუსეთის საწინააღმდეგო პოზიციად მიიჩნევდა.

ამიერკავკასიით და საქართველოთი დაინტერესებული იყო საფრანგეთი, ავსტრია, ინგლისი, პოლანდია და ევროპის სხვა ქვეყნები.

ზოგი მათგანი აქეზებდა კიდევ ირანს, რათა თავს დასხმოდა საქართველოს. ისინი საქართველოს დამარცხებაში რუსეთის მარცხს ხედავდნენ.

„თბილისის დაქვევაში არანაკლები ბრალი ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიასაც ედება“. „თვითმპყრობელური რუსეთის ამიერკავკასიიდან ფეხის ამოსაკვეთად ჩატარებული ცდის დროს ალა-მაჰმად-ხანის მხეცური ბუნება მხოლოდ ხელსაყრელი პირობა იყო“ — აღნიშნავდა იასე ცინცაძე.

როგორც ერეკლე და მისი წინამორბედი მეფეები, ისე დასავლეთ საქართველოს მესვეურთა უმეტესობა ევროპისკენ მიმავალ, გადამრჩენ გზას რუსეთში ხედავდნენ, ერთმორწმუნე რუსეთთან დადებულ ფიცს ერეკლე არ ლალატობდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფიცით შეზორკილ ქართველები ბევრჯერ ჩავარდნენ მძიმე მდგომარეობაში.

მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერეკლეს თავისი ქვეყნის რუსეთის ბატონობაში მოქცევა უნდოდა, ეს კავშირი ერეკლესათვის ევროპისკენ გასასვლელი, ერთი დიპლომატიური ნაბიჯი იყო.

სწორედ ამისათვის ათეულობის წინააღმდეგ განირა იმდროინდელმა გულგრილმა სამყარომ აღმოსავლეთ საქართველო. ბედის მწარე დაცინვა კი ის იყო, რომ რუსეთი, რომლის ერთგულებისა და დახმარების იმედიც საქართველოს მქონდა, არამცთუ არაფერს აკეთებდა მის საკეთილდღეოდ, არამედ, თავისი ცბიერი პოლიტიკიდან გამომდინარე მოქმედებითა თუ უმოქმედობით ხელს უწყობდა საქართველოს ძლიერებისა და თვითმყოფადობის უნარის დაკარგვას, რათა შემდგომში, მისი დაპატრონება არ გაჭირვებოდა.

ქართლ-კახეთის მოხუც მეფეს, ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, რუსეთის აშკარა ლალატის გამო შეიძლება კიდევ გაეზრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად, მაგრამ ერეკლეს მეტი ძალა აღარ ჰქონდა.

თუმცა, მის სიცოცხლეში საქართველო რუსეთს არ შეერთებია. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ კი რუსეთმა ისეთი ძალით შემოუჭია ამიერკავკასიასა და მთელს საქართველოს, რომ ერეკლეს მემკვიდრეს, ერეკლეზე ბევრად უფრო ნაკლები შესაძლებლობების მქონე პიროვნებას, წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა, მით უმეტეს, თვითონაც არ იყო რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავების წინააღმდეგი, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის სრული დაკარგვა მისთვისაც წარმოუდგენელი იყო.

მიუხედავად დამარცხებისა, აღმოსავლეთ საქართველო მაინც ფეხზე იდგა. ქართველებს ჯერ კიდევ ჰქონდათ უნარი მტერთან ბრძოლისა.

დიდად საინტერესოა ამ პერიოდის, კერძოდ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორიული ბედი, თუნდაც სოლომონ I-ის უდიდესი როლი და შემართება ერისა და ქრისტიანობის გადასარჩენად. ამჯერად, თითქოს ეს სხვა თემაა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველთათვის და ერთიანობაში უნდა იყოს განხილული ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიასთან.

ახლა კი ისევ ქართლ-კახეთს დავუბრუნდეთ, სადაც სპარსელთა შემოსევის შემდეგ, ლეკების თავდასხმებს ისევ არ უჩანდა ბოლო, მაგრამ მედგრად იდგნენ ქართველები.

ბი. თანდათან დაიწყო თბილისის აღდგენა.

1795 წლის ბოლოს რუსების ორი ბატალიონი „დროულად“ შემოვიდა საქართველოში. მათ სპარსელების „დასჯა“ ჰქონდათ ჩაფიქრებული.

თბილისის აოხრების ერთ-ერთი მონაწილის, განჯის ხანის დასჯა მოინდომეს იბრაჰიმ-ხანმა და ერეკლემ 1796 წელს, აპრილში. ერეკლემ ალექსანდრე და დავით ბატონიშვილები უსარდლა ჯარს და განჯის დასარბევად გაისტუმრა, მალე თავად ერეკლეც შევიდათასკაციანი ჯარით მიადგა განჯას, მათ რიგებში ერთგული ლეკების რაზმებიც იყო. ყარაბაღის და ქართველების ჯარისაგან შეშინებული ჯავად-ხანი ციხეში ჩაკეტა... ფიცხელად ბრძოდიან ქართველნი, რომელ სიმხნესა მათსა განკირვებულ იყვნენ „ყარაბაღელი და ლეკნი“. „ვიდრე ბატონის ჩამოსვლამდე თექვსმეტი ომი მოგვიხდა, და თექვსმეტიც ვსძლიეთ განჯელთა“, წერდა დავით ბატონიშვილი. ისევ დამორჩილეს განჯა ქართველებმა, თბილისიდან წაყვანილი ათასზე მეტი ტყვე, მათ შორის მაჰმადიანებიც, დააბრუნეს განჯიდან უკან. შეშინებულმა და ქედმოხრილმა ჯავად-ხანმა პატიება ითხოვა და ხარკის გადახდა განაახლა.

ავარიელი ომარ-ხანი მინც არ ისვენებდა, ველისციხე და მუკუხანი დაარბია. ლეკებმა მდინარე ხრამთან სოფელი ქოლაგირიც აიკლეს.

ალა-მაჰმად-ხანმა ისევ განაახლა ბრძოლები და ემზადებოდა საქართველოზე განმეორებითი ლაშქრობისთვის. დიდძალი ჯარით ჯერ ისევ ყარაბაღს შეუტია და შუშის ციხე აიღო. დამარცხებულმა იბრაჰიმ-ხანმა ძლივს გაასწრო ცოცხალმა ალა-მაჰმად-ხანის რისხვას და დაღესტანში გაიქცა.

1797 წელს, 5 ივნისს, ალა-მაჰმად-ხანი ყარაბაღში მოკლეს თავისივე მსახურებმა. სარწმუნო ცნობებით, მისი ერთ-ერთი მკვლელი ქართველი ყოფილა.

მალე ომარ-ხანმა გადაწყვიტა თბილისის დარბევა. შემოვითა ქართლი და კახეთი, ხალხი გასახიზნად ემზადებოდა. ავარიელთა ჯარის ნაწილებმა გავაზი, კუჭანტი და სანავარდო დაარბიეს და დაწვეს. ყვარელსაც მიადგნენ. აქ იოანე ბატონიშვილის მეთაურობით ქართველები შეებრძოლნენ მტერს და უკან დაახვიენეს.

1797 წლის შემოდგომაზე რუსების ჯარ-

მა ისევ დატოვა საქართველო, რუსებმა „ფულადი სესხიც არ მისცეს შეტყის დასხვა სახელმწიფოებიდან მის მიღებაზე“ უკლეს შეუშალეს“, – ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“.

ამავე დროს საქართველოს წარმომადგენელი რუსეთში – გარსევან ჭაჭავაძე, იმპერატორს საყვედურით მიმართავდა, – საბოლოოდ გვითხარით, ტრაქტატი მიღებულ ვალდებულებათა შესრულებას კისრულობთ თუ არაო.

დაღესტნელები ისევ მოინევენ თბილისისაკენ.

ომარ-ხანისაგან დასაცავად თბილისის გამაგრება დაიწყო ქართველებმა.

ბოლო დროს ერეკლე ავადმყოფობდა, ფეხები უსივდებოდა, ამბობდნენ წყალმანი ჰქონდაო.

ერეკლეს მიერ დაწერილ ერთ წერილში, რომელიც „საქართველოს ისტორიის ქრონიკებშია“ მოყვანილი და ცაგარელის მასალას მიეკუთვნება, ვკითხულობთ:

„ერთ ფეხზე ერთი ორი ნეშტრით ავიცვრით და წყალი გედის, ღვთის მონყალებით კარგათა ვართ: მარცხენა წვიში გავიჭერთ ნეშტრით ორგანა და წყალი კარგად მოდის“. მაგრამ, ქვემო კიდურებში დაგროვილი სითხის გამოშვება რას უშველიდა, სავარაუდოდ, გულის უქმარისობით შეპყრობილ ერეკლეს, რომელსაც, ალბათ, სწორედ ამ მიზეზით ჰქონდა ფეხები სითხეჩამდგარი და შემუშებული.

„ავადმყოფი ერეკლე თელავიდან ყოველი მიმართულებით თვალყურს ადევნებდა თავის სახელმწიფოს და განკარგულებას აძლევდა უფლისწულებს და სახელმწიფოს მოხელეებს“, აღნიშნავდა გერონტი ქიქოძე.

1798 წლის 11 იანვარს ერეკლე თელავში იმავე ოთახში გარდაიცვალა, რომელშიც ის 78 წლის წინ დაბადებულა.

გარდაცვალებიდან ორმოცდღიანი, უდადესი გლოვის შემდეგ, 21 თებერვალს, კვირას, მცხეთას, სვეტიცხოველში დაკრძალეს მეფე.

თავის საყვარელ თბილისში ვერ შემოასვენეს ერეკლე, რადგან ამ დროს ქართლში შავი ჭირის ეპიდემია მძინვარებდა.

„ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი, თავისი დროის მონიავე კაცი. მოხუცებულობის მიუხედავად, მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო აფორი-

აქებული ქვეყნისათვის“. ასე ახასიათებენ ერეკლეს ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია.

ერეკლეს შვილიშვილი ალ.ჯამბაკურ-ორბელიანი კი თავის წერილებში, ერთ-ერთი თანამედროვის სიტყვებს იხსენებს: „სწორედ ვიტყვი, თუ მეფეს ირაკლის ის

უბედურება არ შემთხვეოდა, ალა-მაჰმად-ხანისაგან ამ ქალაქის აღება, მეფე ერეკლეს წმინდა ნაწილებად დასჭრიდნენ საქართველოს ხალხიო, შესანახად“.

შეგვიძლია ვთქვათ, 1795 წლის 11 სექტემბერი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე...

ლიტერატურა

1. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ.მიქაიშვილმა, თბილისი, 1983.
2. თეიმურაზ ბაგრატიონი, "მეფე ერეკლე". გაზ. „ივერია“, თბ., 1891, 51-56.
3. იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თინა ენუქიძემ და გ.ბედოშილმა, თბ., 1986.
4. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ.ლომოურმა, თბ., 1941.
5. თბილისის აღება ალა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წ. (მოთხრობა თვალთ მნახველისა), ჟურნალი "ივერია", 1885 წ. №2.
6. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. განერელიას რედაქციით, თბ., 1978.
7. სარგის კაკაბაძე, კრწანისის ომი, თბ., 1991 წ.
8. დევიდ ლენგი, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები (თარგმ. მიხ. გამყრელიძისა), თბ., 2003 წ.
9. ლევან სანიკიძე, დედა ისტორია, ნაკვეთი II, თბ., 1986.
10. ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბ., 1948.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
12. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX ს.ს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ა. იოსელიანმა, 1980.
13. საქართველოს მეფეები, რედაქტორები მ.ლორთქიფანიძე, რ.მეტრეველი, თბ., 2000.
14. იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ა.იოსელიანის რედაქციით, თბ., 1952.
15. გერონტი ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958.
16. ივანე შაიშმელაშვილი, კრწანისის ბრძოლა, თბ., 1944.
17. ი.შაიშმელაშვილი, კრწანისის ომი, „მნათობი“, თბ., 1964, №9.
18. იასე ცინცაძე, ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969.
19. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ.ტფილისში, ჟურნალი "მოამბე", 1895 წ. №8.
20. Кишмишев С.З., Походы Надир-Шаха в Герать, Кандагарь, Индию и События в Персии после его смерти. Тифлиси, 1889.



სიკვამი პერიოდში

გოეთე და პუშკინი

1749(-1832) - 1799(-1837) - 1999

პუშკინის დაბადების წელი გოეთეს ორ-
მოცდაათი წლისთავი იყო. საიუბილეო ზე-
იმების კულტურული კონვენცია - ხოლო,
გოეთემაც და პუშკინმაც იცოდნენ კონვენ-
ციების ფასი! - შეგვახსენებს ერთ უაღ-
რესად კონკრეტულ, ყოფით გარემოებას,
რომელიც ყველაზე ნაკლებად ეკუთვნის
რიტორიკის სფეროს: მიუხედავად აღნიშ-
ნული ნახევარსაუკუნოვანი ასაკობრივი სხ-
ვაობისა, პუშკინი გოეთეს უმცროსი თან-
ამედროვე იყო და ისინი ერთი და იმავე
ეპოქის პაერთ სუნთქავდნენ. ასე მაგალი-
თად, 1825 წელს, როდესაც პუშკინი წერდა
თავის „სცენას „ფაუსტიდან“/1/, - რაღაც
საშუალოს მიბაძვას, პაროდიასა და გოეთეს
თემაზე შექმნილ თავისუფალ ვარიაციას
შორის, - გერმანულ პოეტს სიცოცხლის
ნახევარ ათეულზე მეტი და არცთუ უნაყ-
ოფო წელი ჰქონდა დარჩენილი. როდესაც
ჩვენ, რუსები, ვკითხულობთ გოეთეს ცხ-
ოვრების ბოლო პერიოდის ეკერმანისეულ
ქრონიკას, სადაც 1823 წლის 10 ივნისიდან
მოყოლებული დღე დღეს მისდევს, თავისთა-
ვად გვიჩნდება აზრი, შევადართო თარიღები
პუშკინის ცხოვრების იმავდროულ მომენტ-
ებს, - და ეს უნებლედ თამაში სულაც არ
არის აზრს მოკლებული. ხოლო რუსული
კულტურის მოძრაობის იმდროინდელი ტემ-
პის გათვალისწინებით, „ვაიმარული კლასი-
კა“ და ჩვენი „ოქროს ხანა“ („პუშკინის
წრის პოეზია“) სულაც სიმულტანურ მოვ-
ლენებად წარმოგვიდგება.

გავხედავ და დავესვამ ერთ „ბავშვურ“
კითხვას. გოეთე ყოველთვის „ოლიმპიელი“
იყო, რომელსაც ეთავებებოდნენ, ან ზატო-
მბერძოლურად ამზობდნენ, მაგრამ ყოველთვის

- კლასიკოსთა კლასიკოსი. ჩვენ, რუსები,
პუშკინს აღვიქვამთ როგორც ჩვენი ლიტერ-
ატურის „კლასიკოსს“, ცნობილი ფორმუ-
ლა რომ გამოვიყენოთ, როგორც მის „მზეს“. რას ნიშნავს ასეთი პელიოცენტრიზმი? რით
აიხსნება, რომ როგორც გერმანული, ისე
რუსული სიტყვიერი კულტურის კლასიკო-
სთა ხანა სწორედ მაშინ დადგა და არა
უფრო ადრე ან გვიან?

სიტყვა „კლასიკოსს“ ევროპულ ენებში
მრავალფეროვანი კონოტაციები აქვს, რომ-
ლებიც ადვილად არ დაიყვანება ერთ მნიშ-
ვნელობამდე. ერთი მხრივ, ტერმინები
„კლასიკა“ და „რომანტიკა“ გოეთესა და
კლასიკის დროიდან ფუნქციონირებენ
როგორც ანტონიმები; მეორე მხრივ, „კლასი-
კა“ შეიძლება აღნიშნავდეს, უბრალოდ, პა-
ტივისაცემ შემკვიდრებას, რომლის ფასეუ-
ლობა დრომ დაადასტურა, ასე რომ, რომან-
ტიკული მიმდინარეობაც ტოვებს თავის
„კლასიკას“. პირველ შემთხვევაში იგ-
ულისხმება გარკვეულ ნაწარმოებთა სტილ-
ური ხასიათი, მეორე შემთხვევაში მათი კულ-
ტურული ფასეულობა. მაგრამ რა ზდება იმ
შემთხვევაში, როდესაც სიტყვა კლასიკოსი
par excellence ერთ ავტორთან მიმართებაში
იხმარება - იტალიელებისათვის ეს არის
დანტე, ინგლისელებისთვის - შექსპირი, გერ-
მანელებისთვის - გოეთე, რუსებისთვის -
პუშკინი? რა თქმა უნდა, ფასეულობის აღმ-
ნიშნელი მომენტი აქ სრულიად აშკარაა
(ურიცხვთაგან მხოლოდ ერთ მაგალითს
მოვიყვან - პ. ვ. პალივესკის სტატიის სა-
თაურად გატანილ ფორმულას: „პუშკინი,
როგორც რუსული სტილური განვითარების
კლასიკური სახომი“/2/). ჩვენს დროში -

დეკონსტრუქციის ხანაში — არაფერია უფრო ადვილი, ვიდრე მოახდინო აქცენტირება ამა თუ იმ ნაციონალური მითოლოგია/იდეოლოგიის ჩარჩოებში პოეტისთვის ასეთი „კლასიკური“ სტატუსის მინიჭების უტილიტარული და, მაშასადამე, მეტ-ნაკლებად თვითნებური ხასიათისა. მაგრამ, მოდით, ნუ ვიჩქარებთ, დავეთანხმეთ კლასიკოსის ფენომენის ამგვარ რედუქციას. ჯერ ერთი, თავს ნებას მივცემ, როგორც ციცერონის ძველ კარგ დროში, მოვიშველიო ცონსენსუს გენტიუმ, ე. ი. ეპოქათა და კულტურათა თანხმობა; თვით ყველაზე საფუძვლიანი კრიტიკაც კი პასუხისა კითხვაზე — „რატომ არის გოეთე (ან პუშკინი) კლასიკოსი?“ — ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თვით კითხვის ასე დასმა ყოველთვის იყო და არის აბსურდული. და მეორე: ევროპული ლიტერატურის ყველაზე მეტად აღიარებულ კლასიკოსთა იერში უშუალო შთაბეჭდილება რაღაც საერთო ნიშნებს აღმოაჩენს. ეცდებით, გავერკვეთ, რაში მდგომარეობს თუნდაც ზოგიერთი მათგანი.

როგორც ჩანს, კლასიკოსის გაჩენისთვის აუცილებელია, არსებობდეს ძლიერი დაძაბულობა ტრადიციის სტატიკასა და ახლის დინამიკას შორის, როცა შეუძლებელია საკითხის ცალსახა გადაწყვეტა რომელიმე მხარის სასარგებლოდ. დანტე დგას შუა-საუკუნეებსა და რენესანსს შორის; შექსპირი — რენესანსსა და ბაროკოს შორის; და ბოლოს, გოეთე და პუშკინი ancien regime-სა და XIX საუკუნეში ევროპის კაპიტალისტურ განვითარებას შორის. ქრონოლოგიურ ლოკალიზაციაში მთელი სხვაობის მიუხედავად, ყველა ამ შემთხვევაში არსებობს რაღაც საერთო: ეს არის მდგომარეობა წოდებრივი ფასეულობების მორიგ სტაბილიზაციასა და კაპიტალისტური პროგრესის მორიგ აჩქარებას შორის/3/.

საბჭოური (და არა მხოლოდ საბჭოური) ტიპის მარქსისტულმა დისკურსმა საფუძვლიანად მოახდინა ჩვენთვის, რუსებისთვის, — ისეთ ესთეტიკურ ან, უფრო ზუსტად, ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ თემებზე საუბრისას, როგორც არის კლასიკურის

„კლასიკურობა“, — დისკრედიტაცია იმგვარი კატეგორიების გამოყენებისა, როგორცაა, ვთქვათ, „კაპიტალიზმი“. მაგრამ ცხადია, რომ ახალევროპული კაპიტალისტური ურთიერთობების დინამიკა (ისევე როგორც ძველად სავაჭრო ბუნება ბერძნული დემოკრატიული პოლისისა!) შესაძლებელია და საჭიროა, განიხილებოდეს არა უბრალოდ, — როგორც ეკონომიკური „ყოფიერება“, რომელიც მარქსისტული თეზისის მიხედვით განსაზღვრავს „ცნობიერებას“, — არამედ, — დემოკრატიათთან ე.წ. Secular Citi-სთან და ა.შ. განუყრელ ერთობლიობაში, — უფრო მეტად, როგორც ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური პლანის ერთ-ერთი ორიენტირი. ამ ისტორიულ-ლიტერატურული გარდატეხის ფართო კონტექსტის დახასიათებისათვის აღვნიშნავთ, თუნდაც როგორც კურიოზს, რომ სწორედ კლასიკოსთა შორის ყველაზე უფრო კლასიკურ გოეთესა და პუშკინთან აღმოვაჩინეთ იმ ეპოქისთვის ლამის პროფეტულ დაინტერესებას ამერიკანიზმის ფენომენით და, უფრო ფართოდ, — კაპიტალისტური დემოკრატით, როგორც სწორედ ანთროპოლოგიური და აქსიოლოგიური პრობლემათ. გოეთე, რომანტიზმთან პოლემიკის კონტექსტში, არარომანტიკულ ახალ სამყაროს უფრო პოზიტიურად უყურებს:

Amerika, du hast es besser
Als unser Kontinent, das Alte,
Hast keine verfallene Slosser
Und keine Basalte.
Dich stört nicht im Innern
Zu lebendiger Zeit
Unnützes Erinnern
Und vergeblicher Streit.

Benutzt die Gegenvert mit Gluk!
Und venn nun euere Kinder dichten,
Behahre sie ein gut Geschick
Vor Ritter-, Ruber- und
Gespenster geschichten.

(„Zahme Xenien“, 1820).

(ამერიკა, შენ უფრო გილხინს, ვიდრე

ჩვენს კონტინენტს, ბებერს, შენ არ გაქვს დანგრეული ციხე-სიმაგრეები და არც ბაზალტი. შინაგანად არ ვაჭამებს ცოცხალ თანამედროვეობაში მოგონებები, რომლებიც არავის სჭირდება და უსარგებლო უთანხმოება. მაშ ხელს ნუ ჰკრავ იღბლს და როცა შენი შეილება თხზავენ, ღმერთმა დაიფაროს ისინი [რომანტიკული] ამბებისგან რაინდებზე, ყაჩაღებზე, მოჩვენებებზე — „თვინიერი ქსენიები“, 1820.)

პუშკინთან გვხვდება გამოხატვა, მაგრამ აგრეთვე ძალიან ცოცხალი ინტერესიც: „გარკვეული დროიდან ჩრდილოეთ ამერიკის შტატებმა ყველაზე უფრო მოაზროვნე ადამიანების ყურადღება მიიპყრეს ევროპაში და ეს პოლიტიკური მოვლენების გამო როდი მოხდა: ამერიკა მშვიდად ეწვევა თავის საქმიანობას, დღემდე უსაფრთხოა და აყვავებული, ძლიერია მშვიდობიანობით... ამავ თავისი დაწესებულებებით. მაგრამ რამდენიმე ღრმა გონებამ ამ ცოტა ხნის წინ დაიწყო ამერიკულ ზნეობათა და დადგენილებათა კვლევა, და მათმა დაკვირვებებმა კვლავ წამოჭრა კითხვები, რომლებიც დიდი ხნის გადაჭრილი ეკონათ. ...გაოცებით დაინახეს დემოკრატია მის ამაზრზუნ ცინიზმში, მის სასტიკ ცრურწმენებში, მის აუტანელ ტირანიაში. მკვლავიერი კეთილშობილი, უანგარო, მკვლავიერი, რაც ადამიანის სულს ალაშქრებს, დათრგუნულია დაუნდობელი ეგოიზმითა და კმაყოფილების (comfort) მიღების ვნებით; უძრავლესობა თავხედურად ავიწროებს საზოგადოებას...“ ამ წერილში (ეს არის რეცენზია 1836 წელს „სოვერეინნიკი“ გამოქვეყნებულ ჯონ ტენერის ჩანაწერებზე) პუშკინს ნახსენები ჰყავს ტოკვილი — „შესანიშნავი წიგნის ავტორი“. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ ტოკვილის წიგნის პირველი ტომი სულ ახალი გამოქვეყნებული იყო, ხოლო მეორე უკვე პუტის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა (Tocqueville Alexis Charles de. De la democratie en Amerique. I - II, 1835 - 1840). ასე რომ, იმ დროისთვის ამ წიგნის უკვე მხოლოდ ხსენებაც კი არატრივიალური მოვლენაა და საგნით არაჩვეულებრივ, მოსალოდნელზე ძლიერ დაინტერესებას მოწმობს.

არის თანხვედრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი პუტის ინტერესებსა და ჩვენი დღეების პროზას შორის — ესაა მათგან მოულოდნელი, ხოლო ჩვენთვის ტრივიალური სიახლოვე არაეუროპულ ცივილიზაციებთან, კაცობრიობის იმგვარი მდგომარეობა, როცა უკვე შეუძლებელია დასვა კითხვა, რომელიც აინტერესებდათ მონტესკიეს მიერ დახატულ ფრანგებს: როგორ შეიძლება იყო სპარსელი? ერთი, დღევანდელ ევროპულ ქალაქებში წამოჭრილი მეჩეთები ენახათ! მაგრამ ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გოეთეს, ისევე როგორც პუშკინის, აზროვნების მნიშვნელოვანი წინაპირობა არის განმანათლებლობის ეპოქის მემკვიდრეობა — როგორც იმპულსი და როგორც გამოწვევა. გოეთესაც შეეძლო ეთქვა იგივე, რაც თქვა პუშკინმა ყოველივე იმასთან ადრეულ შეხვედრაზე, რასაც სიმბოლურად განასახიერებს ვოლტერის ფიგურა:

...Я встретил старика с плешивой головой,
С очами быстрыми, зеркалом мысли зыбкой,
С устами, сжатыми наморщенной улыбкой...О

1830 წლის 3 იანვარს ეკერმანმა ჩაიწერა გოეთეს აღიარება: „თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ვოლტერსა და მის დიად თანამედროვეებს ჩემი ახალგაზრდობის წლებში, როგორ ბატონობდნენ ისინი მთელ ზნობრივ სამყაროზე. ჩემს ავტობიოგრაფიაში საკმაოდ მკაფიოდ ვერ აღვწერე ის გავლენა, რომელიც ახალგაზრდობაში ამ ადამიანებმა ჩემზე მოახდინეს, ვერც ის — როგორ გამიჭირდა მათგან თავდაცვა, საკუთარ ფეხზე დადგომა და ბუნებისადმი სწორი დამოკიდებულების მოპოება“. შემდეგ გოეთეს საუბრების მემატინანე მოგვითხრობს, როგორ წაიკითხა 80 წლის პუტმა ზეპირად ვოლტერის ერთი ლექსი, რითაც დაამტკიცა, „რამდენად გულმოდგინედ სწავლობდა და ითვისებდა იგი ახალგაზრდობაში ასეთ ნაწარმოებებს“.

რამდენადაც ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს ტრადიციონალიზმისა და ანტი-ტრადიციონალიზმის წინააღმდეგობრივი თანაფარდობა „კლასიკოსთა“ პიროვნებებში, აღვნიშნავთ, რომ განმანათლებლობის ფენომ-

ენი, თავის მხრივ, სწორედ ამ ასპექტში არის გაორებული. როგორც იდეოლოგია კრიტიკისა, უარყოფისა, ყველაფერ იმის გადასინჯვისა, რაც თავისთავად ცხადად ითვლებოდა, განმანათლებლობა ანტიტრადიციონალისტურია. მაგრამ განმანათლებლობის ლიტერატურა თავისი ძირითადი ტენდენციის მიხედვით (თუმცაღა, მას უპირისპირდება რუსო) კლასიციტურად წარმოგვიდგება, ე. ი. იგი ორიენტირებულია განსჯით-რიტორიკული დისკურსის იდეალზე, რომელიც უკვე კიდევ ანტიკურობამ შეიმუშავა და რომელიც საკუთარი აღსასრულის წინ, განმანათლებელთა ხელში, განსაკუთრებით იდენტური იყო საკუთარი თავისა. უმაღლესი ფასეულობებად ასეთ კონტექსტში გვევლინება სიზუსტე, განყენებულობა [отстраненности, განზე მდგომი მჭკრეტელის პოზიცია], გამიზნულად ცივი მახვილგონიერება. რომანტიზმი თავის მთავარ ამოცანას ამ იდეალის დისკრედიტაციაში ხედავდა. მით უფრო სანტიტრესოა გოეთესა და პუშკინის პოზიცია. 1828 წლის 16 დეკემბრის საუბარში გოეთე აქებს ვოლტერის ლიტერატურულ შემოქმედებას, „ყველაფერს, რაც ესოდენ ძღვეამოსილი ტალანტის მიერ არის შექმნილი“, მაგრამ განსაკუთრებით — მცირე ლექსებს, „უმშვენიერეს ყველაფერ იმიდან, რაც მას დაუწერია“. ეს ქება წმინდა ლიტერატურული, ზახვასით ესთეტიკური ხასიათის არის/4/, იგი კონტექსტს გარეთ ტოვებს ყველა მსოფლმხედველობრივ პრობლემას და ამიტომ სრულიად არ უპირისპირდება გოეთეს მიერ ვოლტერის ყოველსუარმყოფლობის საკმაოდ ტრივიალურ გაკიცხვას 1825 წლის 15 ოქტომბრის საუბარში. ძნელია არ გაიხსენო პუშკინის სრულიად ანალოგიური გამოხმაურება: „ერთ-ერთ ამ წერილში ჩვენ ვოლტერის უცნობი ტაქები შეგვხვდა. მათზე მოჩანს მსუბუქი ბეჭედი მისი განუმეორებელი ტალანტისა... ვადიარებთ roccო-ს ჩვენს ნაგვიანევი გემოვნებისა: ამ შეიდ ტაქებში მეტი სიტყვის ოსტატობა, მეტი სიცოცხლე, მეტი აზრი ჩანს, ვიდრე ნახევარ დუფინ გრძელ ფრანგულ ლექსებში, რომლებიც დღევანდელი გემოვნების მიხედვით არის დაწერილი, სადაც აზრი

დამახინჯებული გამოთქმით არის ჩანაცვლებული, ვოლტერის ცხადი ენა — რუსის მადალფარდოვანი ენით, მისი სემკვირცხლე — აუტანელი ერთფეროვნებით, ზოლო მახვილგონიერება — სამოედნო ცინიზმით ან უნიათო მეღანქოლით“/5/. ეს პასაჟი განსაკუთრებით შესანიშნავია იმ დაპირისპირების გააზრებით, რომელსაც პოეტი თავის „ნავიანევი გემოვნებასა“ და რომანტიზმის გამარჯვებულ გემოვნებას შორის ხედავს. რა მოსაზრებებიც არ უნდა ჰქონოდათ გოეთესა და პუშკინს ვოლტერის წინააღმდეგ, ვოლტერი როგორც ანტიპოდი ყველაფერი რომანტიკულისა, ვოლტერი, ვისაც ახასიათებდა თუნდაც „არისტოკრატული თავდაჭერა“, რასაც მთელი სერიოზულობით აღნიშნავს გოეთე ეკერმანის დამოძღვრისას, სწორედ ამ თვალსაზრისით მოსწონდათ მათ. როგორც გოეთეს, ისე პუშკინის დამოკიდებულება რიტორიკულ-რაციონალური დისკურსისადმი ერთდროულად იყო უშუალოცა და დისტანცირებულიც, შიღერის ტერმინებით რომ ვთქვათ, ერთდროულად „გულუბრყვილოცა“ და „სენტიმენტალურიც“. ეს არის საუკუნეთა მემკვიდრეობა, ნორჩ ასაკში შეთვისებული რასინის, მოღიერისა და იმავე ვოლტერის მემკვიდრეობით, ვის პოეზიაშიც პუშკინს უწინდებურად აღაფრთოვანებს ამ ავტორისთვის დამახასიათებელი სიცხადის რიტორიკული ღირსებები და ვისაც იგი ასეთი ქებით უპირისპირებს მის თანამედროვე ფრანგულ რომანტიზმს, არსებითად კი — იმ სწრაფვას რაციონალიზმის საზღვრებს გარეთ გასვლისკენ, რომელმაც რომანტიზმში მხოლოდ წინასწარი არტიკულაცია ჰყოვა.

იმავედროულად ვოლტერი ორივესთვის ანტაგონისტიცა. შემთხვევით როდი არის პუშკინის ზემოთ ციტირებულ სტრიქონებში დახატული სახე გროტესკულ-კარიკატურული. ვოლტერისეული სისტემატური განსჯით უარყოფის სულისკვეთება გოეთესთვისაც და მოწიფული პუშკინისთვისაც პრინციპულად მიუღებელია. ამოდ როდი მოაყოლა გოეთემ ენიკლოპედისტთა კულტურის ქებას აღიარება, როგორ გაუჭირდა მიუღი მათი „ჯადოსან“ გათავისუფლება

და „თავდაცვა“. რაც უნდა რთული იყოს, მეტ-ნაკლებად ორთოდოქსული თვალსაზრისით, პუშკინის და მით უფრო გოეთეს რელიგიურობაზე საუბარი, აშკარაა, რომ თითოეულ მათგანს ჰქონდა ერთგვარი religio poetae — მათი შემოქმედებითი აქტიურობისთვის იმანენტური რწმენა, რომელიც სრულიად შეუთავსებელი იყო „ვოლტერიანელობასთან“, როგორც ნეგატიური რიტორიკის სისტემასთან და, ამდენად, ყველაფერ არსებულისადმი დამოკიდებულების მოადუსთან. გოეთეს ჰქონდა მიზეზები სპეციალურად გაეხსენებინა ვოლტერის წინააღმდეგ ამ შინაგან ბრძოლასთან დაკავშირებით „ბუნებისადმი სწორი დამოკიდებულების მოპოვება“. ყველა, ვისაც ახსოვს რა ობერტონები აქვს გოეთესთან სიტყვას „Natur“, გრძნობს, რა იმალება ამ მოკლე შენიშვნის მიღმა.

გოეთესა და პუშკინის პოეზია არსებითი თვალსაზრისით „პოსტვოლტერულია“. იგი რელიგიურად შეიძლება მივიჩნიოთ, ამ სიტყვის გარკვეული სიღრმისეული მნიშვნელობით, — არა იმ აზრით, თითქოს ეს იყოს ე.წ. „რელიგიური პოეზია“, ე.ი. არა რელიგიური თემებისა და მოტივების შემოტანის გამო, არამედ თვით იმ მოდალობის ხასიათის გამო, რომელშიც ხდება ნებისმიერი თემისა და მოტივის დამუშავება, მათ შორის სჯულიერებისგან დიდად დაშორებული თემებისაც. არსებითად, ყველაფერს განსაზღვრავს სწორედ თემისადმი, მოტივისადმი, საკუთარი გრძნობებისა და აზრებისადმი მიდგომის კუთხე: ის კონტექსტი, რომელშიც პოეზია ყოველ ნაწარმოებში აქცევს პოეტის პირად ხმას.

რაც შეეხება რელიგიურ მოტივებს, ექსპლიციტურად რელიგიურ (თუმცაღა, არა ორთოდოქსალურ) ტოპიკას, აქ ჩვენი მსჯელობისთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს ორივე პოეტისთვის ესოდენ დამახასიათებელი ისლამის თემა. თითქმის უპიკველია, რომ პუშკინმა არაფერი იცოდა „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ შესახებ, რომელიც 1819 წელს გამოიცა, მაგრამ იმ დროს რეზონანსი არ ჰქონია; ძნელია, არ

განცვიფრდეს, რამდენად მიუახლოვდა ჩვენი პოეტი მას „ყურანის მიბაძევაში“. რამდენიმე ხუთი წლის შემდეგ დაწერა: „განმანათლებლობა — რომანტიზმის“ ბინარული ოპოზიციის ფონზე, უნდა აღინიშნოს ამ თემის ორმაგი მნიშვნელობა. ერთის მხრივ, ჯერ კიდევ მონტესკიემ გამოიყვანა თავის „სპარსულ წერილებში“ (1721) იდეალიზებული მუსლიმანი ევროპული ცრურწმენების კრიტიკოსის როლში, ხოლო ვოლტერმა თავისი „ფილოსოფიური ლექსიკონის“ (1764) სტატიებში აიტაცა ეს ზერზი; ამგვარ პოლემიკურ თამაშზე გაცილებით სერიოზული იყო თანაზიარობა იდეალიზებულ ისლამსა და განმანათლებლობის რელიგიურ ცნობიერების მისწრაფებას შორის რაც შეიძლება მეტად განწმენდილი მონოთეიზმისკენ, როგორც რწმენის სავარაუდო „ბუნებრივი“ ფორმისკენ. ამის გარეშე ძნელი გასაგებია განწყობა, რომლის კულტივირებაც ხდებოდა იმ დროს ევროპულ მასონთა წრეში. სწორედ ამ სულისკვეთებით ასხამდა გოეთე ხოტბას მუჰამედს:

...Und so muss das Recte scheinen
Was auch Mahomet gelungen;
Nur durch den Begriff des Einen
Hat er alle Welt bezungen.

(სწორედ ამიტომ გვესახება სამართლიან საქმედ, ის რასაც მუჰამედმა მიიღწია; მხოლოდ ერთის შეცნობით დაიმორჩილა მან მთელი მსოფლიო.)

მეორე მხრივ, განმანათლებლობისთვის ისლამი ყოველთვის აბსტრაქტულად რჩებოდა და სასურველი იყო სწორედ როგორც აბსტრაქტია/ნ/. მიზი აბსტრაქტულობა განპირობებული იყო არა კონკრეტული ცოდნის სიმწირით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კლასიციზტური კულტურული პარადიგმის ჯერ ისევ ცხოველი ნებით, შეენარჩუნებინა თავისი სტატუსი. მხოლოდ წინარეობმანტიკულმა (ჰერდერის „ხალხთა ხმები სიმღერებში“ და სხ.) და, განსაკუთრებით, რომანტიკულმა ეპოქებმა დაამკვიდრეს „ადგილობრივ კოლორიტთა“ პლურალიზმის პრინციპი. ამ კომპონენტის გარეშე შეუძლებე-



ლია წარმოიდგინო ისლამური მოტივების დამუშავება გოეთესა და პუშკინთან. უმცროსი პოეტი უფრო მეტად გადაიხარა რომანტიზმის მხარეს: „ცუდი ფიზიკა; სამაგიეროდ, როდენ გაბედული პოეზია“; ეს მეტია, ვიდრე „der Begriff des Einen“. მაგრამ აქ მსგავსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება.

ცხადია, ისლამური ტოპიკის წინაპირობა არის გასვლა როგორც კონფესიურ, ისე „კოლტურიანულ“ საზღვრებს გარეთ; უნარი სხვის რწმენასთან თანაზიარობისა, რომლის გამოხატულება იყო, თუნდაც, ქალწული მარიამის წინაშე თავისი ბუნებით კათოლიკური აღფრთოვანების გამოხატვა, რომელსაც ვხვდებით პროტესტანტ გოეთესთანაც „ფაუსტის“ ფინალში და მართლმადიდებელ პუშკინთანაც ბალადაში საბრალო რაინდზე. ეს უნარი, თავისთავად, გაცილებით უფრო მკაფიოდ მეტყველებს საკუთარ კულტურაში ჩაკეტილობის დაძლევაზე, ვიდრე რომანტიკული ეპოქის ყველა ეგზოტიკური გატაცება. საზიფათო და ნაყოფიერი ტენდენციები, რომლებსაც ჩვენს დროში მეტისმეტად ცალსახად უკავშირებენ პოსტმოდერნიზმის ფსევდოხალ აღმოჩენებს, in nuce უკვე აქ არის მოცემული. და ორივე ამ ფაქტისთვის წმინდა ლიტერატურული თამაშის იარაღის მიკერება ისევე არაგონივრულია, როგორც გოეთესა და პუშკინისთვის ერთგვარი კრიპტოკათოლიკეობის დაბრალება. საქმეც ისაა, რომ აქ შეგვიძლია დავაკვირდეთ პროცესს, თუ როგორ ხდება პოეტების წარმოშობი ცივილიზაციები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავიანთ იდენტურობას, საკუთარ თავზე უფრო ფართო, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ცნება „ელასიკის“ იმ გაგებისთვის, ამ სტატიაში რომ გვაქვს მოცემული.

ეპოქის დამაზახსიათებელი ნიშანი იყო კავშირი თავისუფლებასა და მოგზაურობას, საერთოდ, სივრცეში დინამიკას შორის (და მასაჰადამე, ცივილიზაციებს შორის ინდივიდის მობრავ პოზიციას შორის!); გავიხსენოთ ეპოქის მითად ქცეული ბაირონის მოგზაურობები. გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ კვითხულობთ:

Lasst mir nur auf meinen Sattel gelten!
Bleibt in euren Hutten eueren Zelten!
und ich reite froh in alle Ferne,
Über meine Mutze nur die Sterne.

(ოღონდაც ჩემს უნაგირზე ჯდობა მაცალეო! დარჩით თქვენს ტიხებში, თქვენს კარვებში! სიხარულით მივქერი ყველა შორეთისკენ, ჩემს ქუდს ზემოთ მხოლოდ ვარსკვლავები.)

როგორ არ გაგახსენდება პუშკინის თუნდაც ეს სტრიქონები:

Отступник света, друг природы,
Покинул он родной предел
И в край далекий полетел
С веселым призраком свободы.
Свобода! он одной тебя
Еще искал в пустынном мире...

მაგრამ, ცხადია, მნიშვნელოვანია არა იმდენად სივრცეში გადაადგილების თემა, რომელიც ზედაპირზევე ძვეს, რამდენადაც ის, რასაც დოსტოევსკიმ პუშკინის ზოგადკაცობრიულობა (всечеловечество) უწოდა და რაც ესოდენ მკაფიოდ შეიგრძნობა გოეთეშიც. ზოგადკაცობრიულობა შეუძლებელია „ადგილობრივი კოლორიტისადმი“ ინტერესის გარეშე, მაგრამ არ დაიფანება მასზე, უფრო მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით იგი საპირისპიროა ყველაფრისა, რაც მხოლოდ ეგზოტიკის სფეროში გურმანობას წარმოადგენს. როგორ განვსაზღვროთ კლასიკური ზოგადკაცობრიულობის არსი? როგორც ჩანს, აქაც მთავარია მძაფრი დამაბულობა ტრადიციულ კულტურულ გამორჩეულობასა და კულტურათა მომავალ პლურალიზმს შორის. გოეთესა და პუშკინის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იმ ეპოქისათვის შესაძლებელი მაქსიმალური სიმძაფრით აღიქვამენ ცივილიზაციათა მრავალფეროვნებას, — რაც შეიგრძნობა თვალით, გემოთი, სურნელით, — და, ამავე დროს, ინარჩუნებენ კაცობრიობის არალელატივიზირებადი ერთიანობის ამდენადვე ბუნებრივ შეგრძნებას, ისე ურყევად სწამთ ფასეულობათა შკალის ვერტიკალი, ონტოლოგიური სტატუსი ადამიანური „უნი-

ვერსალიებისა“. ისტორიის საათზე გაივლის სულ რაღაც ერთი წამი — გოეთეს ეპოქის ნაცვლად, დადგება ჰაინეს ეპოქა, პუშკინის ეპოქის ნაცვლად ნეკრასოვისა — და ამის განცდა ასეთი მთლიანი, დაუნაწევრებელი სახით უკვე სამუდამოდ გახდება შეუღლებული.

ყოველი კლასიკოსის კანონიზაციის შემდეგ იწყებოდა მძაფრი კამათი მისი კლასიკურობის შესახებ კონვენციურ წარმოდგენებსა და ანტიკონვენციურ შეფასებებს შორის. გოეთემაც და პუშკინმაც თავიანთ თავს ამგვარი სიკვდილის შემდგომი ბედი განუზღადავს. ყველასთვის ცნობილია ინტონაციები, რომლითაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში გამოხატეს საკუთარი თავი, ერთი მხრივ, გოეთეს კულტმა და, მეორე მხრივ, სწორედ ამ კულტის მიერ პროვოცირებულმა ხატომებრძოლობამ. რუსი კლასიკოსის შემთხვევაში, ერთი ტიპის დისკურსი წარმოდგენილია, თუნდაც, დოსტოევსკის სახელგანთქმული სიტყვით პუშკინზე, საბჭოური საიუბილეო მჭევრმეტყველების ყვავილებზე რომ აღარაფერი ითქვას; ხოლო მეორე — ა. დ. სინიაევსკის წიგნით. ჩვენ აქ არ გვანტიტრებს ემოციური მომენტები და როგორც ერთი, ისე მეორე პოზიციის ფსიქოლოგიური საფუძვლები, ამიტომ პირდაპირ შინაარსობლივ მომენტებზე გადავალოთ.

კონვენციური ხატი აივება პარმონის ცნების ირგვლივ: მხატვრული პარმონისა, რაც გაგებულა როგორც „ფორმისა“ და „შინაარსის“ არაწინააღმდეგობრივი შესატყვისობა; მსოფლმხედველობრივი პარმონისა, რაც გაგებულა როგორც სწრაფვა „პოზიტიური აზროვნებისკენ“; ზნეობრივი პარმონისა, რაც გაგებულა როგორც უნარი მეტ-ნაკლებად ცალსახა განაჩენის გამოტანისა პერსონაჟების „დადებითად“ ან „უარყოფითად“ დახასიათებისას.

როგორ არის საქმე სინამდვილეში? დიახ, ორივე კლასიკოსი პოეტის შემოქმედების მკითხველი გაცნობილი განიცდის რაღაც განსაკუთრებულ პარმონიას ეგრეთ წოდებულ ფორმასა და ეგრეთ წოდებულ შინაარსს შორის — ერთი მხრივ, ლექსის მოძრაობას, მის ფონეტიკურ „ორკესტრირე-

ბასა“ და სხ., და, მეორე მხრივ, გამოხატვის საგანს შორის. მაგრამ უფრო მეტი პერაკლიტემ შენიშნა თავის ერთ-ერთ ფრაგმენტში, რომ ფარული პარმონია სფეროა აშკარას. პარმონია გოეთეს ოქროს პროზის დინებასა და ვერტერის სასოწარკვეთილ დადადის შორის, მგრძობიარე მკითხველები თვითმკვლელობამდე რომ მიჰყავდა, არის პარადოქსული, კონტრასტული და კონტრაპუნქტული პარმონია და არა უბრალო შესატყვისობა. მსგავსად ამისა, „ევგენი ონგენშიც“ ხდება სასოწარკვეთასთან საკმაოდ ახლოს მდგომი განწყობილების ყოველმხრივი თემატიზება; და, ამავე დროს, რომანი, — სწორედ აქ უნდა გავიხსენოთ ბახტინის მიხედვით მსგავსობა რომანზე, როგორც ეპოსის საპირისპირო ჟანრზე! — გაშლილია როგორც ავტორის უწვეულოდ უშუალო causerie მკითხველთან, რომელიც პრინციპულად არაფრიდან იწყება და არაფრით მთავრდება; მაგრამ „ონგენის“ სტროფი შემთხვევით როდი მიეკუთვნება რუსული და ევროპული პოეზიის ყველაზე მუსიკალურ, რთულად ორგანიზებულ და მკაცრად მოწყობილებულ სტროფულ ფორმებს. სხვათა შორის, ამავე მაგალითიდან ნათლად ჩანს, რამდენად რთულია, გოეთესა და პუშკინის შემთხვევაში, ვილაპარაკოთ მათ პარმონიულ მსოფლმხედველობაზე ან მათ შემოქმედებაში „სიცოცხლისმოყვარეობის“, „სამყაროს მიღების“ და სხ. ამგვარის არსებობასა თუ არარსებობაზე. როგორ ნაწილდება პუშკინის მსოფლმხედველობა „ევგენი ონგენის“ თემატიკასა და მის სტროფიკას შორის, რომელიც დაახლოებით ისევე უპირისპირდება მისი მეშვეობით ასახულ სულიერ ქაოსს, როგორც ზეცა აუსტერლიცის თავზე, რომელსაც ლევ ტოლსტოის რომანში ზედავს თავადი ანდრეი, უპირისპირდება ბრძოლის სისხლიან უაზრობას? რომელ სფეროში აისახა ეს საძიებელი მსოფლმხედველობა? ფორმის წყობა „თავის ადგილს მიუჩენს“ რომანის გმირსაც და თვით ავტორის ხმასაც, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა ჰაინესთან ან, მით უფრო, ვოტკვათ, ექსპრესიონისტებთან. მაგრამ ფორმა — ეს მაინც მხოლოდ ფორმა და არა თეზისი, მის მიერ მონიჭე-



ბული კათარზისი არაფერს „აგვიხსნის“ და არაფერს „ანუგეშებს“ ამ ზმნების ტრივიალური აზრით.

რაც შეეხება ცალსახა ვერდიქტებს, ამ სფეროში განსაკუთრებით რთულად არის საქმე. ფაუსტი, ყველაზე რბილი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ გოეთეს ლექსიკონიდან, „პრობლემური“ პიროვნებაა (problematische Persönlichkeit). ღმერთმანი, შეიძლება გავუგოთ ქლაივ ლუისს, რომელიც სატანურ საწყისს ხედავდა არა იმდენად მეფისტოფელში, მას ოუმორის უნარი მაინც აქვს შერჩენილი, რამდენადაც ფაუსტის უსერიოზულეს და ზარზემიან სიყვარულში საკუთარი თავისადმი (მით უფრო გამოსადეგია ფაუსტი თავისი ფუნქციისთვის – იქცეს ავტორის პიროვნების უპიროვნო სარკედ). რაც შეეხება პუშკინს, ვინ დაიჯერებს, ვის შეიძლება მართლა სჯეროდეს, თითქოს თვითმარტვია „ნევატიური“ პერსონაჟი იყოს? და უკვე სრულიად უჩვეულო კაზუსია „კაპიტნის ასულში“ ერთი ისტორიული პროტოტიპის (ახნაური შვანგეიზი, რომელიც პუგაჩოვის მხარეს გადავიდა) გაყოფა ორ პერსონაჟად – თავიდან ბოლომდე ნათელ გრინიოვად და მთლიანად ინფერნალურ შვებრინად, რომელიც მიუხედავად თავისი ბოროტი საქმეებისა და შეურაცხყოფელი გვარისა, მკითხველში მაინც აღძრავს თანაგრძნობას. თუმცაღა, გრინიოვიცა და შვებრინიც ლამის ზღაპრული პერსონაჟები არიან. უფრო ზრდასრული პერსონაჟების ზატვისას კი პუშკინი არა იმდენად თეზისებს იძლევა, რამდენადაც სვამს კითხვებს, რითაც დემონსტრაციულად ახდენს სახის დიაბოლის თემატიზებას. მეორე მხრივ, ეს ჯერ კიდევ არ არის ის დიაბოა, რომელიც შესაძლებელი გახდება ტრადიციისგან უფრო რადიკალური დაშორებისას – ვთქვათ, დოსტოევსკის შემდეგ. პუშკინთან პერსონაჟის დიაბოა ნაჩვენებია ალტერნატივების კატალოგის მეშვეობით, რომელთაგან თითოეული მათგანი ფორმულირებულია რიტორიკულ კონვენციასთან საკმაოდ მიახლოებული მანერით, – ოღონდ ისე, რომ ყველა ისინი მთლიანობაში ერთმანეთს უარყოფენ. ზოგჯერ ეს სიუჟეტით არის მოტივირებული: მაგალითად, ლენსკის ნაადრევი

სიკვდილი მისი შემდგომი ცხოვრების უანუბორციელებელ შესაძლებლობებზე მკითხაობის საშუალებას იძლევა.

XXXVII

Быть может, он для блага мира,
Иль хоть для славы был рожден;
Его умолкнувшая лира
Гремучий, непрерывный звон
В веках поднять могла Поета,
Быть может на ступенях света
Ждала высокая ступень.
Его страдальческая тень,
Быть может, унесла с собою
Святую тайну, и для нас
Погиб животворящий глас,
И за могильною чертою
К ней не домчится гимн времен,
Благославение племен.

XXXVIII

А может быть и то: поэта
Обыкновенный ждал удел.
Прошли бы юношества лета:
В нем пыл души бы охлодел.
Во многом он бы изменился,
Расстался б с музами, женился,
В деревне счастлив и рогат
Носил бы стеганный халат;
Узнал бы жизнь на самом деле,
Подгагру б в сорок лет имел,
Пил, ел, скучал, толстел, хирел,
И наконец в своей постеле
Скончался б посреди детей,
Плаксивых баб и лекарей.

თვით ონგენის შემთხვევაში კი ამგვარი მოტივირება, მგონი, არ არსებობს; მიუხედავად ამისა, კლიშეების დაძლევა ყველა მათგანით ერთობლივი მანიპულირების გზით ხდება.

Чудак печальный и опасный,
Созданье ада иль небес,
Сей ангел, сей надменный бес,
Чтож он? Ужели подражанье,
Ничтожный призрак, иль еще



Москвич в гарольдовом плаще
 Чужих причуд истолкованье,
 Слов модных полный лексикон?..
 Уж не пародия ли он?
 Все тот же ль он иль усмирился?
 Иль корчит также чудака?
 Скажите, чем он возвратился?
 Что нам представит он пока?
 Чем ныне явится? Мельмотом,
 Космополитом, патриотом,
 Гарольдом, квакером, ханжой,
 Иль маской шегольнет иной?..

Они хранили в жизни мирной
 Привычки милой старины

[შავ ვარიანტში კი] ნათქვამი იყო:
 Они привыкли вместе кушать,
 Соседей вместе навещать,
 По праздникам обедню слушать,
 Всю ночь храпеть, а днем зевать...

ბახტიმზა ტერმინის სტატუსი მინიჭა სიტყვათშეთანხმებას „შზა სიტყვა“ („готовое слово“); ჩემი თაობის უდროოდ გარდაცვლილმა ლიტერატურის თეორეტიკოსმა ა. ვ. მიხაილევმა განაგრძო ამ კონცეპტის შემდგომი ნაყოფიერი დამუშავება. კლასიკოსებისთვის, – ვოუტესა და პუშკინისათვის, – შზა სიტყვა, ე. ი. რიტორიკული ფორმულა, არ ქცეულა იმგვარი სისტემატური აგრესიის ობიექტად, როგორც ვხედავთ ჰინესთან და რუს სამოციანელებთან, მათთვის იგი კანონიერ ინსტრუმენტად რჩება, ოღონდ, ჩნდება არნახული თავისუფლება ამ ინსტრუმენტების გამოყენება-მონაცვლეობაში. შზა სიტყვა ორივე მათგანთან უაღრესად თავისუფალი, მაგრამ, ამასთან ერთად, საკმაოდ სერიოზული სათამაშო მანიპულირების საგანია; ეს სერიოზულობაცა და თამაშიც გარკვეული აზრით სრულიად უცოდველი ხასიათისაა. ავტორის დამოკიდებულება შზა სიტყვისადმი კონსტრუქციულია, მაგრამ – დისტანცირებულიც, იგი ყოველთვის ინარჩუნებს შესაძლებლობასა და უფლებას, სწრაფად გადავიდეს ერთი რეგისტრიდან მეორეზე. ამის მაგალითები ორივე პოეტთან შეგვიძლია რამდენიც ვნებავთ, იმდენი მოვძებნოთ.

ეს უკვე სხვა ცხოვრებაა, სხვა ადამიანები არიან. ისინი ისეთებად რომ დარჩნებიყვნენ „ონეგინში“, როგორებიც თავიდან იყვნენ, მათდამი მწერალს სხვა დამოკიდებულება ექნებოდა“/7/.

მაგრამ ვანა ეს მართალია? ლარინები ისეთივენი დარჩნენ, როგორებიც იყვნენ, მხოლოდ მათი დახასიათება არის გადაყვანილი სხვა რიტორიკულ სისტემაში. დღესასწაულების დროს ღვთისნიერი დასწრება წირვაზე, ზოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში მაძღრისად ძილი – სწორედ ამას უწოდებს ავტორი „მგელი კარგი დროის წეს-ჩვეულებებს“ (“привычки милой старины”). ოღონდ, შავ ვარიანტში აღწერა დამუშავებულია აგრესიული კვაზისატირული ავსიტყვაობის (yygov, vituperatio) წესებით, ზოლო თეთრ ვარიანტში – საქებარი სიტყვის (egkvmion, laudatio) წესებით.

სახელვანთქმული კაზუსი სხვადასხვა კონვენციური სისტემებით პუშკინისეული თამაშისა, მოცემულია მის ტექსტებში, სადაც იგი ერთი პიროვნების – ანა პეტრეს ასულ კერნის შესახებ წერს. ყველას ახსოვს, რომ ჟუკოვსკის ციტატის მეშვეობით იგი დახასიათებულია „...როგორც წმინდა სილამაზის გენია“ (“...как гений чистой красоты”) (და მაინც, ფორმულის შემოსაყვანად გამოყენებულია სიტყვა „როგორც“, მაშასადამე, აქ არ გვაქვს ზუსტი და ცალსახა გაიგივება, არამედ მოცემულია მხოლოდ ფიგურა შედარებისა!). ზოლო ან. ვულფისადმი 1826 წლის 7 მაისს მიწერილი პირწმინდად „კაცური“ უსტარის კონტექსტში კერნი გაკვრით ნახსენებია უკვე როგორც „...მაძილონელი მებავი ანა პეტროვნა“ (“...Вавилонская блудница Анна Петровна”). და ეს არანაკლებ კონვენცი-

რიტორიკული ფორმულურობა აშკარად გამოჩნდება, თუკი ერთმანეთს შევადარებთ თეთრსა და შავ ვარიანტებს, მაგალითად, მშობელი ლარინების დახასიათებისას: „...ეგენი ონეგინის“ მეორე თავში. ამის შესახებ ი. ფეინბერგი წერს:
 „ახლა მათ შესახებ რომანში ნათქვამია:



ური სიტყვიერი ფესტია, ვიდრე პირველი დახასიათება, უბრალოდ, აქ გამოყენებულია სხვა კონვენცია, სხვა „დისკურსი“. არსებითად, ორივე დახასიათება პუშკინის პოეტიკაში ერთმანეთს საჭიროებს. თვით ანა პეტრეს ასულს კი პოეტი რომანტიკულად სახეცვლილი რიტორიკის ტონით მიმართავს და ჩამოთვლის, რა აახლოვებს მასთან: „Conformite caractere, haine des barrieres, organe du vol tres prononce...“ და, შესაძლოა, სწორედ „ბარიერებისადმი სიძულვილს“ და მაღალგანვითარებულ ფრენის ორგანოზე საუბრისას იყოს პოეტი ყველაზე უფრო გულწრფელი ერთი და იმავე ქალისადმი მიძღვნილი ამ სამ დისკურსში; თუმცაღა, ესეც რიტორიკაა, საჭიროებისამებრ გამოყენებული რიტორიკა.

მოძველებული, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსადევი ფორმულებით თამაშში ამ ახალმოპოვებული თავისუფლებით ტკბობისას პუშკინის პოეტიკისთვის მნიშვნელოვანია ორენოვნების, ან კიდევ კვაზიორენოვნების სხვადასხვა კაზუსთა გათამაშება.

ორი კონვენციური „ენის“ შუბლებით დაჯახება ქმნის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის იმიტაციას, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია „ევგენი ონეგინისთვის“:

Он мыслит: “Буду ей спаситель
 Не потерплю, чтоб развратитель
 Огнем и вздохов и похвал
 Младое сердце искушал;
 Чтоб червь презренный, ядовитый,
 Точил лилеи стебелек;
 Чтобы двухутренний цветок
 Увял еще полураскритый”.
*Все это значило, друзья:/8/
 С приятелем стреляюсь я.*

პუშკინისთვის მეტად დამახასიათებელია აგრეთვე მრავალენოვნებით თამაში, ამ სიტყვის ყველაზე ჩვეულებრივი, ე.ი. ლინგვისტური აზრით. არ შევჩერდები ფრანგული სიტყვებით თამაშის უამრავ შემთხვევაზე, რაც იმდროინდელი რუსი თავადაზნაურობის ორენოვნებით იყო განპირობებული, საკმარისია ვახსენოთ კლასიკური ლათინურის

გათამაშება „ევგენი ონეგინის“ მეორე თავის ეპიგრაფში: „O rus!.. Hor. O Pyres!..“ დაც მხოლოდ ჩანასახოვანი სახით, მოცემულია, რაღაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პოეტის ფრანგულ-რუსული კალამბურებია, – ეს არის მახვილსიტყვაობა, რომლის მეშვეობით ერთმანეთს ხვდება არა უბრალოდ ენები, არამედ – ცივილიზაციები, კულტურული ტიპები, მთელი „სამყაროები“.

განა ასევე არ ერთობოდა გერმანელი პოეტი თავის „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“, როდესაც ბერძნულ autv efa-ს („მან ბრძანა“ – ავტორიტეტის წინაშე მონური ქედმოდრეკის პითაგორული ფორმულა) ურითმავდა კაცთა მოდგმის წინაპარი ევას სახელს (რომელშიც გერმანული ასო „ფაუ“ ისევე იკითხება, როგორც ბერძნული „ფი“); ან კიდევ სიმეტრიულად აწყვილებდა, აქაც რითმაში გამოტანილ, მშობლიურ „Katzenjammer“-სა (ნაბახუსევი) და იმავე შეჭირვების სპარსულ სახელწოდებას?! მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია „შხა სიტყვის“ გამოყენების ისეთი ტექნიკა, რომელიც ერთდროულად მისდამი ნდობასა და მისგან დისტანცირებას გულისხმობს; ვოეთესთან იგი მსოფლმხედველობრივ დონეზე არის დაფუძნებული და ისეთ უნიკალურ არტიკულაციას იძენს, რომლის მსგავსი პუშკინთან შეუძლებელია შეგვხვდეს, აბსტრაქციებისადმი ჩვენი პოეტის ანტიპათიის გამო, მაგრამ იგი არც „მეტაფიზიკურია“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით – თუნდაც, ყოფით-ყოველდღიურისადმი სიმპათიისა და კიდევ იმის გამო, რომ აქ უარყოფილია შეუთავსებლობა ყოფით ენასა და მეტაფიზიკის ენას შორის. „Warum tanzen Bubchen mit Medchen so gern?/ Ungleich dem Gleichen bleibt nicht fern“ (რატომ ცეკვავენ ბიჭები? გოგონებთან ასე სიამოვნებით? სადაც კენტია, იქვეა წყვილიც). უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კითხვას სავსებით ბუნებრივი ფლერადობა ეწებოდა საოპერეტო ან შანსონიეს სიმღერის ტექსტში; მისი შეთავსება პასუხთან გაგვახსენებს სტრუქტურას, რომელიც ჩვენებური „ჩასტუშკებიდან“ არის ცნობილი, მაგრამ



აგრეთვე — ანტიკური დისტიქებიდანაც; პასუხის ემბლემატიკა პითაგორელებისგან არის ნასესხები (წყვილი — ქალური, კენტი — მამაკაცური); გარემომცველი ორსტრიქონდები ნატურფილოსოფიურ კონტექსტს ქმნიან; ხოლო ვველაფერი ერთად ერთობ გამოწვევად შეახსენებს მკითხველს, რომ სწორედ ყოფა არის არქექტივი და არქექტივი არის ყოფა.

კიდევ სად შეიძლება განიცადო ისე მძაფრად კონტრასტი, როგორც გოეთესა და პუშკინთან, ფილოსოფიის იმ თავისებური სიღრმადი აღბეჭდილ მოვლენასთან, როგორც იყო იდეოლოგიათა შეჯამება, რაც მათ სიცოცხლეშივე განხორციელდა გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში, მაგრამ თითქოსდა მათ სიკვდილს ელოდა, რათა მოეხდინა მთელი

თავისი უტოპიური პოტენციალი რეალურება?

...დასასრულს უახლოვდება ციკლი, რომელიც დაიწყო ბერძენმა სოფისტებმა და რიტორებმა, განაგრძეს ციცერონმა, შუასაუკუნეების მწიგნობრებმა, რენესანსის პუმანისტებმა, ბაროკოსა და კლასიციზმის ლიტერატორებმა და რომელმაც საკუთარი თავი, დასასრულ, ლომონოსოვის სამი სტილის თეორიაში გამოხატა. ეს ციკლი გოეთესთვისაც სრულდება და პუშკინისთვისაც, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობს მათში. ისინი სახლის ზღურბლთან დგანან — წინ თვალუწვდენელი სივრცეა გადაშლილი, მაგრამ ზურვს უკან ჯერ კიდევ დგას სახლი: ძველი შესაძლებლობები და ახალი თავისუფლება ერთმანეთს აწონასწორებენ.

თარგმნა

ზაზა კერცხიშვილი

შენიშვნები

1. კარგად არის ცნობილი, რომ შუამავლის როლი შეასრულა მაღამ დე სტალის წიგნმა "De l'Allmande" (შდრ.: Серман И. Пушкин и Грибоедов - реформаторы русской драматургии. - "Пушкинский сборник", Иерусалим, 1997, стр. 173-186).

2. წიგნი: "Типология стилевого развития Нового времени", М., 1976.

3. რუსული ლიტერატურის კიდევ ერთი პრივილეგირებული სახელის — „ანტიკლასიკური“ დოსტოევსკის ადგილი, ესოდენ განსხვავებული და მიანც ამის მსგავსი წესით, იმით არის განპირობებული, რომ დოსტოევსკის რუსეთი ეს არის პრინციპში უკვე კაპიტალისტური რუსეთი, რომელშიც წყვილი მატონი — კლუბი უკვე აღარ არის განმსაზღვრელი, და მიანც, ეს არის ჯერ კიდევ ანციენ რეგიმე, რომელშიც შესაძლებელია, კერძოდ, საკმაოდ სერიოზული ცარისტული ოცნებები.

4. რაც, თავისთავად, არცთუ ადვილი გასაგებია შემდგომ ხანაში. უკვე დიდი ხანია, ზოტას ასხამენ და ამუნათებენ ვოლტერ-იდეოლოგს, ვოლტერ-კრიტიკოსს, ვოლტერს, როგორც კალასის დამცველს, როგორც შემწყნარებლობისთვის მებრძოლსა და ეკლესიურობის მოწინააღმდეგეს, და ა. შ. მაგრამ გოეთესა და პუშკინისათვის (იხ. ცოტა ქვემოთ) ვოლტერი, ამასთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, პოეტი იყო. მათი გემოვნება ჯერ კიდევ მძაფრად შეიგრძნობ-



და რიტორიკული, განსჯითი პოეზიის ზიბლს, თუმცა მათი საკუთარი შემოქმედება სრულიად სხვაგვარი იყო.

5. Пушкин А. С. Полн. собр. соч. в 10-ти томах, т. 7. М.-Л., 1949, стр. 417-418.

6. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამის გამო იუდაიზმი უფრო ძნელი მისაღები იყო წმინდა მონოთეიზმის ნიმუშის როლში, მიუხედავად ისეთი მაგალითის არსებობისა, როგორც არის ნათან ბრძენის სახე ლესინგის ამავე სახელწოდების პიესაში (1779). ებრაელები მეტისმეტად ახლოს იყვნენ, მათ ვიზუალურად, სისხლზოტეულად მეტისმეტად კარგად იცნობდნენ, რათა აბსტრაქციის ფუნქცია შეესრულებინათ.

7. Фейнберг И. История одной рукописи. Изд. 2-е. М., 1967, стр. 34-35.

8. კურსივი ჩემია – ს. ა.

მთარგმნელისაზახე

სერგეი ავერინცევი (1937-2004) სახელგანთქმული ფილოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, ბიბლიისმცოდნე, კრიტიკოსი და მთარგმნელი იყო. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი – კლასიკური განყოფილება (1961 წ.). მუშაობდა ზელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტში (1966 წლიდან), მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში. იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1981 წლიდან), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. თუმცა, თანამდებობათა ნუსხა ან ტიტულებისა და რეგალიების ჩამონათვალი მხოლოდ შორეულ წარმოდგენას თუ შეგვიქმნის იმ უდიდეს ავტორიტეტზე, რომლითაც იგი სარგებლობდა რუსულ და მსოფლიო მეცნიერებაში (ამ მხრივ ს. ავერინცევი მხოლოდ თავისი დიდი მასწავლებლის ალექსეი ლოსევის გვერდით შეიძლება დაეაყენოთ).

ს. ავერინცევის შრომების ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში შედგენილ არასრულ ბიბლიოგრაფიაში (ახლა უფრო სრულყოფილზე ხელი არ მიმიწვდება) შეტანილია 20-მდე წიგნი (რამდენიმე ენაზე), რომელთა შორის ყველაზე სრულყოფილი მაინც არის „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“; 500-ზე მეტი სტატია, უაღრესად მრავალფეროვანი თემატიკით; 100-ზე მეტი თარგმანი (ბერძნულიდან, ლათინურიდან, ებრაულიდან, ასურულიდან, კობტურიდან, გერმანულიდან, ფრანგულიდან).





თავისთავარი

(საუბარი თამაზ ჭილაძესთან)

- ბატონო თამაზ, თქვენ მრავალ-მხრივი შემოქმედი ბრძანდებით, მწერალი, მოაზროვნე, ერისკაცი... ჩვენი ვაზუ-თის მკითხველს უყვარს თამაზ ჭილაძე და კარგა ხანია მოენტრა მასთან შეხვედრა. შეხვედრის მიზებიც მეტად მნიშვნელოვანი და საეულისხმოა - თქვენი რედაქტორობით, თქვენი ძალისხმევით გამოშვებული ჟურნალი „მნათობი“, რომელიც თითქმის ორი წელიწადი აღარ გამოიცემოდა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით და შემწევობით კვლავ აღსდგა. ახლახან საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდში სწორედ აღდგენილი ორი ნომერი წარუდგინეთ ქართულ საზოგადოებრიობას. რას გვეტყოდით ამ წარდგინების შესახებ და პირადად უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დამსახურებაზე ქართული მწერლობის წინაშე?

- თქვენი კითხვა, თავისთავად, პასუხსაც შეიცავს. მართლაც, ძალიან დიდია ჩვენი ეკლესიისა და პირადად უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღვაწლი. მწერლობის, საერთოდ, ქართული კულტურის გადასარჩენად. მისი პირადი ინიციატივით გახდა შესაძლებელი „მნათობის“ გამოცემის განახლება. მთელ საქართველოს ეულოცავ ქართველთა უპირველესი ჟურნალის გადარჩენას.

- თქვენ იმ ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელი ბრძანდებით, რომელსაც 60-იანელების (ციხურელთა) სახელით იცნობს ჩვენი საზოგადოება. ამ თაობამ, შეიძლება თამამად ითქვას, შეცვალა ქართული სალიტერატურო ცხოვრების მდინარე და განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა ჩვენი მწერლობა. „ანა კალანდაძის პოეტურმა სიტყვამ, ჩვენი ხალხის სულის წიაღიდან სწორედ მაშინ გამოანათა, როცა ვეგვონა ჩვენი სულიც ისევე

გაუხეშებული, დაბრმავებული თუ და-ყრუებული იყო, როგორც ჩვენი ცხოვრებისეული სინამდვილე“, ეს ციტატა ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი თქვენი წერილიდანაა და ზუსტად გამოხატავს თქვენი თაობის წვლილსაც, როგორ მიგაჩნიათ, დღევანდელი ქართული მწერლობა მიყვება ქართველი ერის მსახურების იმ უმთავრეს ხაზს, რომელზეც „ციხურელმა“ ნახევარი საუკუნის მანძილზე მწერლური ძალმოსილებითა და სინდისიერებით იარეს?

- სრულებითაც არ არის სავალდებულო, უფრო მეტიც - სასურველი - ახალგაზრდები ისევე ცხოვრობდნენ და აზროვნებდნენ, როგორც მათი წინამორბედი თაობები. ყოველი ახალი თაობა ფასდება არა მხოლოდ იმით, როგორ აგრძელებს ტრადიციას, არამედ რა სიახლე მოაქვს თავისი შემოქმედებით. ნოვაციის აუცილებლობას თავად ტრადიცია წარმოშობს. არსებობს კულტურის დიადი ინერცია. მე როცა ახალგაზრდებზე ვლაპარაკობ, საერთოდ მწერლებს ვგულისხმობ. მთავარია, ყველამ ერთად არ წარმოვიდგინოთ, რომ ყველაფერი ჩვენგან იწყება, თხუთმეტ-საუკუნოვანი ლიტერატურის ქვეყანაში ასეთი რამ გულუბრყვილობა იქნება, თუ სიბრძივე არა. მე დიდი იმედი მაქვს მათი, ვინც ახლა მოდის ჩვენს მწერლობაში. უკვე მესმის მათი „ხმა ტკბილი“, ბევრ რამეს სასიკეთოდ რომ გარდაქმნის ჩვენს მამულში.

ჰომეროსის მენტორობას ნამდვილად ვერ გავწევ, ოღონდ ერთ რამეს კი ვეტყვოდი, უფრო უურჩევი ჩვენს ახალგაზრდებს: რადგან ბევრი ცდუნება და ხაფანგი ელოდებათ თავიანთ სავალგზაზე, ამიტომ თავიდანვე ჩადგნენ ჩვენი დიდი წინაპრების კვალში. ყოველ

შემთხვევაში, არავის ვურჩევ რიგში დღე-ღამის იმ საღაროსთან, საიდანაც არამწერლური საქციელისთვის (თუნდაც ლიტერატურული კურნალის დახურვისთვის) გასამრჯელოს არიგებენ. ეს თანხა, დღევანდელი კურსით, ოცდაათი ვერცხლია და მეტი არაფერი. „ძაღლის ბედი სჯობია ქართველი მწერლის ბედს“-ო, ჩაუწერია უბის წიგნაკში მიხვილ ჯაყახიშვილს. მართლაც, მე არ გამოვიტყვი დაღვინებული ქართველი მწერალი, მაგრამ, დამერწმუნეთ, არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერებაც, ვიდრე ქართული სიტყვის სამსახურია.

ბევრი გაუგებრობის მიზეზის ის გახლავთ, რომ ლიტერატურული ცხოვრება, სამწერლო სივრცე არ გაგვანჩია. ასეთ ცხოვრებას ხელოვნურად ვერ შექმნი, თუნდაც, „ლიტერატურული კავეებით“, სადაც პირდაპირ რომ ვთქვა, ჯერჯერობით, „კავეს“ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე „ლიტერატურას“, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ მოქმედებს. სამწერლო სივრცე გამოცემლებმა და კრიტიკოსებმა უნდა შექმნან. რაც, სხვათაშორის, სწორედ საგამომცემლო ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენი გამოცემლები თითქოს ვიწრო, „კასტური“ ინტერესებით არიან შემოზღუდვნი, ეს კი მათი „ლოკატორების“ სიბერეზე მეტყველებს. გამომცემელი, უპირველეს ყოვლისა, კარგი მკითხველი უნდა იყოს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაძებრის ადლო უნდა ჰქონდეს.

- არცთუ შორეულ წარსულში თქვენი ხელმძღვანელობით ყოველწლიურად იმართებოდა დრამატურგთა ტრადიციული სემინარები ჯერ ბიჭვინთაში, შემდეგ კი, გასაგები მიზეზების გამო, ქობულეთში. ამ სემინარებმა შეიძლება ითქვას, უზარმაზარი როლი შეასრულეს ქართული დრამატურგიის განვითარებაში, ახალგაზრდა დრამატურგთა ფორმირებაში. წელს კი, სამწუხაროდ, სემინარი არ გაიმართა, ამას აქვს ალბათ ვარკვეული მიზეზი...

- ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ლიტ-

ერატურული ცხოვრების ილუზიას მაინც ქმნიდა. ბევრი ცხოვრობს ილუზიის ამარა და სწორედ ეს აძლიებინებს ამ წუთისოფელში. ხოლო ახალგაზრდა მწერლისთვის ლიტერატურული ცხოვრების ილუზია არა მარტო სასარგებლოა, არამედ აუცილებელიც, მითუმეტეს დღევანდელ ვითარებაში.

ამ სემინარმა რამდენიმე, მართლაც, ნიჭიერი დრამატურგი შემატა ჩვენს მწერლობას, რაც თავისთავად მის მნიშვნელობაზე მეტყველებს...

- თქვენი ინიციატივით დაარსდა აღმანახი „დრამატურგთა“, გამოცემით „ქართული კლასიკური დრამატურგიის ანთოლოგია“. თქვენი პიესები ხშირად იდგმებოდა და იდგმება არამარტო ქართული თეატრების სცენაზე. საერთოდ როგორ შეაფასებდით თანამედროვე ეროვნულ დრამატურგიას და ქართული თეატრების რეპერტუარს?

- ქართულ თეატრს დღეს თუკი რაიმე ნაკლი აქვს, ეს, უპირველეს ყოვლისა, მის რეპერტუარში უნდა ვიძებნოთ, რომელიც შემთხვევითისა და ნაუცბათევის შთაბეჭდილებას ტოვებს, არ ქმნის ლოგიკური კანონზომიერების, აუცილებლობის განცდას. ეს კი თეატრში არსებულ კრიზისს, მე ვიტყვოდი - ანარქიას უფრო გამოხატავს, ვიდრე მის ნორმალურ საქმიანობას. საყურადღებოა ისიც, რომ ასეთ ვითარებას ჩვენს დრამატურგიას ვერ დაეაბრალებთ, როგორც ადრე არაერთხელ მომიხდარა. დღევანდელი ქართული დრამატურგთა საკმაოდ საინტერესოა. ადრე რომელიღაც ინტერვიუში ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: მარტო ახალი დრამატურგიის ნიმუშები რომ იდგმებოდეს ჩვენი თეატრის სცენაზე, მეტად საინტერესო თეატრი გვექნებოდა. ჩვენი თეატრები აშკარად გრძნობენ, რაღაც რომ შეიცვალა, მაგრამ ვერ გაურკვევიათ, რა. ოქროს კერპად გადაქცეულმა შოუბიზნესმა თეატრიდან, უპირველეს ყოვლისა, თეატრი გამოდევნა და სანახაობა დაამკვიდრა. ამიტომაც გაქრა ყველა ის ტრადიციული, აუცილებე-



ლი, სასარგებლო მოთხოვნაც, რასაც თეატრი დრამატურგის წინაშე აყენებდა. დრამატურგისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ თავისთავად გამოიწვია თეატრის დიადი მისის სრული იგნორირება. ამიტომაცაა, ჩვენს თეატრში ზოგჯერ ანტიკულტურული აქტის მოწმენი რომ ეხდებოთ. არადა, კულტურა ჰირდება ხალხს, სანახაობა კი - მონებს...

- დღეს მწერლის ნაწერი მკითხველამდე არ მიდის. წიგნსა და მკითხველს შორის თითქოს უფსოვლი გაჩნდა... შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო ხანს ქართულ მწერლობაში ერთგვარი განუკითხაობა და ქაოსი სუფევს. მწერლობა გაიხლიჩა სხვადასხვა ჯგუფებად და ლიტერატურული პროცესის ობიექტური შეფასებელი თითქმის არავე დარჩა. აუცილებელი გახდა ქართული მწერლობის ორგანიზაციის რეფორმირება, თქვენ როგორ გეხსებათ ყოველივე ეს?

- დღეს მწერლის ნაწერი მკითხველამდე რომ არ მიდის, ამაზე, მართლაც, სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, რადგან მეტად მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ამაზე საუბარს ამჟამად თავს ავირიდებ, რადგან უსათუოდ სხვა სფეროში გადაგვიყვანს, ეს კი არც მე და, ვატყობ, არც თქვენ არ გინდათ. ოღონდ ერთს კი ვიტყვი, ვიდრე ჩვენი სახელმწიფო ენა თავის უფლებებს მთლიანად არ მთიპოვებს, უფრო ზუსტად - ვიდრე სახელმწიფო ენა ჩვენს სახელმწიფოში ისეთივე უფლებით არ ისარგებლებს, როგორც ეს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშია, მრავალი გაუგებრობისა და უცნაურობის მოწმენი გაეხდებით. განა მართლაც უცნაური არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენი სახელმწიფოს სხვა ეროვნების მოქალაქეები - ვთქვათ, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, საქართველოში ქართულს კი არა რუსულს სწავლობენ! მათი დიდი უმეტესობა ქართულ წიგნს არ კითხულობს, ქართულ თეატრში არ დადის, ქართულ სკოლაში არ სწავლობს,

ქართულ რადიოს არ უსმენს, ქართულ ტელევიზიას არ უყურებს. ეს ფაქტი მხოლოდ უცნაურობად რომ რჩებოდეს, კიდევ არაფერი უშავს, მაგრამ ეს ხომ იმის მაუწყებელია, რომ ქართულ მიწაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხებს არასოდეს სახელმწიფოებრივი ერთიანობის გრძნობა არ გვექნება. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთში თათარი, ბაშკირი, ყალმუხი, თუ სხვა მრავალი ხალხის წარმომადგენელი თუნდაც იგივე სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, რუსულ წიგნს არ კითხულობდეს, რუსულ სკოლაში არ დადიოდეს, რუსულ ტელევიზიას არ უყურებდეს!..

- რეფორმებზე ესაუბრობთ და ახლა მახსენდება მწერალთა გაერთიანება „ოტარიდი“, რომლის წევრი თქვენც ბრძანდებოდით და, რომელიც ამ რეფორმის ერთ საინტერესო მცდელობად წარმოჩინდა. „ოტარიდში“ ხომ ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული და სამოქმედო პროგრამაც მეტად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი კქონდათ. ეს მართლაც გამორჩეული სამწერლო გაერთიანება იყო, როგორ გაიხსენებდით „ოტარიდში“ გატარებულ წლებს?

- მიმანჩია, რომ მწერალთა კავშირი საქართველოში უსათუოდ უნდა არსებობდეს, ამას ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარების ლოგიკა მოითხოვს. ჩემი აზრით, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიქმნას ნამდვილი მწერლების კავშირი და არა მწერალთა კავშირის წევრების კავშირი. ამიტომ, მისდამი წაყენებული პრეტენზიებიდან ბევრი ნამდვილად სამართლიანია, ოღონდ, რასაკვირველია, მწერლებისთვის სახლის ჩამორთმევას ვერ დავეთანხმები. ეს სახლი მხოლოდ მწერლების საკუთრებაა, ამ სახლში განთავსდება ახალი, 1917 წელს შექმნილი მწერალთა კავშირის მსგავსი კავშირი. სხვათაშორის, „ოტარიდის“ წევრები ვაპირებდით ასეთი მწერალთა კავშირის შექმნას, მაგრამ დავრწმუნდით, ვიდრე არსებობს დადგენილება „შემოქმედებითი ორგანიზაციების შესახებ“, მწერ-

აღთა კავშირის ყოველგვარ გარდაქმნაზე საუბარი ღიმილისმომგვრელია.

მოდით, თავად შემოქმედებს დაეანებოთ, შექმნან ისეთი ორგანიზაცია (კავშირი, გაერთიანება, ასოციაცია... რაც გინდა, დაარქვით!), როგორც თვითონ მიიჩნიათ საჭიროდ...

- საინტერესო იქნებოდა თქვენი მოხაზრება ახალი თაობის ქართველ მწერლებზე, როგორ მიგაჩნიათ, დაცულია თუ არა მემკვიდრეობითობის პრინციპი მათ სახაროვნო სივრცეში და რამდენად ერთგულნი არიან იხინი იმ პრინციპებისა, რომლებსაც ასეთი მოკრძალებით და ერთგულებით ემსახურებოდით.

- ჩვენ ისეთი ვართ, რომლისთვისაც ბევრი რამ ჯერ კიდევ ისევე აუცილებელია, როგორც გუშინ, გუშინწინ, თუნდაც დიდი ხნის წინ იყო. საბოლოო გადარჩენაზე ფიქრი ჯერ ცოტათი ადრეა. ამიტომ ის იარაღი, რითაც ქართველი ადამიანი იბრძოდა თავისთავადობის დასამკვიდრებლად, ჯერ კიდევ ინარჩუნებს აქტუალობას, ანუ ისევე უნდა ვიქცოდეთ და ვიბრძოდეთ, როგორც ჩვენი წინაპრები. ამიტომ, იქნებ როგორმე შევძლოთ და არ დაეუპირისპირდეთ ყველაფერს, რაც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა, ანუ არ დავივიწყებთ, რომ სახიფათოა მემკვიდრეობითობის უარყოფა, ტრადიციებზე ნაჩქარევი იარაღიყების მიწვება. დაეუპირისპირდეთ და უარვეყოთ წარსული, ეს ნიშნავს, დაეუპირისპირდეთ მომავალს. აწმყო დრო მტერმა წაგვართვა, მომავალს მაინც ნუ დავანებებთ ნურავის.

თაობათა ლოგიკური, ბუნებრივი, აუცილებელი დაპირისპირება არავითარ შემთხვევაში ბიოლოგიურ მტრობასა და სიძულვილში არ უნდა გადაიზარდოს. ასეთი, ხელოვნურად დამკვიდრებული ვითარების შედეგად, სიძულვილის მეტასტაზები მთელ საზოგადოებას მოედება. ადამიანი ვიდრე საზოგადოებრივად რაიმე მნიშვნელოვანს ქჰნის, შეუცვლელია. რაც შეეხება მწერლო-

ბას, არ არსებობს ვეტერანი მწერლის ცნება და არც შეიძლება არსებობდეს.

მეც მახსოვს ჩვენი თაობის შამლაყინწობის ხანა, ოღონდ, ეს ჭაბუკური ჯანყი ავტორიტეტების წინააღმდეგ, არასოდეს უპატივეკმულობასა და, რა თქმა უნდა, თავხედობაში არ გადასულა. სხვათაშორის, არც დღესა გვაქვს, ამის მაგალითები. ავტორიტეტების არსებობა მწერლობაში (ისევე როგორც სხვაგან) აუცილებელია. ეს ერთგვარი სტიმულია, ბიძგია უკეთესობისკენ, სიახლისკენ. არ არსებობს მთავსეული, რომელსაც ევერესტზე ასელა ოცნებად არ ჰქონდეს გადაქცეული. ჩვენი წინაპრების ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ უღრმეს პატივისცემას იმსახურებს ჩვენგან. ისევე მიხვილ ჯავახიშვილის ერთერთ ჩანაწერს გავისხენებ: „ქართველი მწერლის სახელი უუმძიმესი ტვირთია!“ ათასჯერ დახვერეთილები, თვითმკვლელობამდე მიყვანილები, სილატაკეში სულამოხდილები, ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტვლები მაინც ღირსეულად წვედნენ ცხოვრებისა და მწერლობის ჭაპანს. მათი ცხოვრება დღეს სიამაყით გვაგვსებს და გვათამამებს კიდევ, რომ ჩვენც შევებათ ამ დიდებულ ჭაპანში. ასე რომ, ჩვენი ლიტერატურის ისტორია გამორბის ისტორიაა, ასე აღიქვა ის ქართველმა ხალხმა, რომლის მიერ კულტურისთვის გაღებული თანხა, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ მოვიშველიო, მომავალში ჩადებული ინვესტიციაა, რომელიც მერე ისეთი მოგებით გვიბრუნდება, რასაც სხვა ვერანაირი ფინანსური მანიპულაცია ვერ შეედრება, რადგან ფინანსებით კი არა, მარადისობით იზომება. ჩვენისთანა გაჭირვებულმა ხალხმა მთელი თავისი, თუნდაც მწირი დღევანდელი სახსრები მართლაც მომავლის ფონდში უნდა ჩადოს, რომლის რეალური განსახიერება ეროვნული კულტურაა. გვაქნება კულტურა, გვაქნება მომავალი, ეს აქსიომაა! ამიტომ არ შეიძლება სილატაკით გაამართლო ის,

რისი გამართლებაც საერთოდ არ შეიძლება და სწორედ სილატაკის გამო არის საბედისწერო.

დღეს საქართველოში რამდენიმე მსოფლიო მასშტაბის მწერალია, ამას უცხოელები აღნიშნავენ და არა ჩვენი თანამემამულეები. ეს მწერლები ისევე ცხოვრობენ, როგორც ჩვენი ხალხი, მედროვეებით არ თხოულობენ ჯილდოს, ვთქვათ, რევოლუციაში მონაწილეობისათვის. თუმცა, ფაქტია, რომ ქართველი ხალხის მიერ ამ თექვსმეტი წლის წინ თავისუფლების მოპოებაში მათ საქმოდ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით. ჩვენი კლასიკური მწერლობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციების გამგრძელებლობა შექმნეს ე.წ. სულიერი პლაცდარში ჩვენი თავისუფლების დასამკვიდრებლად. ამასაც, რატომღაც, უცხოელები აღნიშნავენ და არა ჩვენი თანამემამულე პოლიტიკოსები.

მართალია, ზოგ შემთხვევაში გასაგებია ჩვენი ახალგაზრდა კოლეგების კრიტიკული პათოსი XX საუკუნის დიდი ქართული მწერლობის მიმართ, მაგრამ ზედმეტი ემოციურობის გამო, მათ არაობიექტურობასაც ამჟღავნებს. გასაგებია იმდენად, რომ მათ არ უცხოვრიათ იმ ჯოჯოხეთურ პირობებში, რასაც კომუნისტური რეჟიმი ერქვა, ამიტომ ბევრი, თავისთავად მნიშვნელოვანი ვითარების წარმოდგენაც კი უჭირთ. კიდევ კარგი, რომ ასეა. ღმერთმა დაიფაროს ისინი იმ უბედურებისგან, რაც მათი უფროსი თაობების მწერლებს გადახდათ თავს. ამასთანავე, საქმე ის არის, რომ ჩვენი მწერლობა არც გუშინ იყო და არც დღეს არის „საბჭოური“, ის ყოველთვის იყო და არის კიდევ ქართული, რაც მის არა მარტო წარმომავლობას აღნიშნავს, არამედ ღირსებასაც.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ახალი თაობის ქართველი მწერლების ერთმა ჯგუფმა თითქმის მთლიანად დაიპყრო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სადღისოდ ისინი გველინებიან ე.წ.

მეტრებად და გემოდღვრავენ ქართული მწერლობის სახელით. ამასთან, მათ უფლებას აძლევენ, აგდებულან შეფასონ ჩვენი ლიტერატურის კორიფები: ილია ჭავჭავაძე, ვალაკტიონ ტაბიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი...

- ჩემი აზრით, ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეცდომაა და არა ახალგაზრდა მწერლებისა. ადვილი შესაძლებელია, პროგრამის ავტორმა სხვა ქართველი მწერლების არსებობა არც კი იცოდეს. აქვე ვიტყვი მათ, ანუ ტელეჟურნალისტების გასაგონად და მხოლოდ და მხოლოდ მათდამი პატივისცემის გამო: ნუ შევექმნით ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენს ახალგაზრდობას ბარმენობის მეტი სხვა იდეალი არ გააჩნდეს; ნუ შევექმნით ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენს ხალხს სიცილის მეტი არაფერი აინტერესებდეს, მით უმეტეს, რომ სასაცილოდ არა გვაქვს საქმე; ნუ შევექმნით ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს რუსული ენა მთელმა ქართველობამ ისევე კარგად იცის, როგორც ტელეწამყვანმა, ამიტომ რუს სტუმარსაც ტელესტუდიაში თარჯიმნის საშუალებით დაველაპარაკოთ, როგორც სხვა უცხოელებს, ვთქვათ, გერმანელს, ფრანგს თუ ინგლისელს ველაპარაკებოთ; ნუ შევექმნით ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენი ხალხი მწერლისგან მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკოსობას მოითხოვდეს. პოლიტიკოსობას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ აი, ვინ არ უნდა იყოს მწერიანი და, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსი! ჩეხოვი ამბობდა: „მწერალსა და მხატვარს პოლიტიკა მისგან თავის დასაცავად უნდა აინტერესებდეს“. ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა პოლიტიკისგან თავის დაცვა...

- რას იტყვით ახალგაზრდა შემოქმედთა ერთი ჯგუფის მეტისმეტად თამამ ძიებებზე, რომლებიც მავანთ და მავანთ ზღვარგადასულად ეჩვენებათ?

- როგორც ვატიყობ, ძალიან გაბრაზებული ხართ ახალი შემოქმედების



„ერთ ჯგუფზე“, რომელთა ნაწერებიცა და საქციელიც ერთგვარი რადიკალიზმით გამოირჩევა. მე კი მგონია, ისინი ასეთ „რისხვას“ არ იმსახურებენ. ახალგაზრდობას მრავალი ცდუნება ახლავს, თავისი ხილვები, თავისი მირაჟებიც კი. სიტაბუკე, გაზაფხულივით, თავბრუდამხვევია. არაჩვეულებრივად მომხიბლავია ლექსებად და მოთხრობებად ქცეული ეს სამყარო. რაც შეეხება ახალგაზრდულ რადიკალიზმს, ის არამარტო დღეს, ადრეც ცნობილი იყო და თანაც არა მარტო ჩვენში. არაფერი უცნაური და უჩვეულო არ ხდება. კრიტიკოსების ლიტერატურულ „ხულიგნობად“ მონათლული მათი შემოქმედება არც ახალია და, რა თქმა უნდა, არც მხოლოდ ქართული მოვლენა გახლავთ. აქვე დაეუმატებ: არც მხოლოდ მწერლებისთვის არის დამახასიათებელი; სამწუხაროდ, დღევანდელ თეატრშიც გვხვდება „ხულიგნობის“ ამაზრზენი მაგალითები. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ უეინი ასეთ რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდებზე (თუმცა „ხულიგანი“ ინგლისური სიტყვაა, მაინც მოვერიდები, ზოგიერთი კრიტიკოსისგან განსხვავებით, თუნდაც ინგლისელი ახალგაზრდების მისამართით მის ხმარებას) ამბობდა: უცნაურო სიტყვები, ლანძღვა-გინება და ქურთი ჯარგონი ახალგაზრდა მწერლისთვის პირადობის მოწმობასავით არისო. მართალია, ეს სიტყვები თითქმის ნახევარი საუკუნის წინ ითქვა და ჩვენი ზოგიერთი დღევანდელი ახალგაზრდა მწერლის დასახასიათებლად ამაზე უკეთესად ვერაფერს იტყვი, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ერთმანეთის მსგავსი განწყობილებები მსოფლიო ლიტერატურას ტალღასავით გადაუვლის-ხოლმე, ზოგან – ადრე, ზოგან – შედარებით დაგვიანებით. რაღა შორს მივიღვართ, ოციანი წლების ჩვენი ფუტურისტების გამონათქვამები დღევანდელ ჩვენივე

რადიკალებზე ნაკლებად „ტყულებურია“ არ ყოფილა. მეორე, ასევე ცნობილი ინგლისელი მწერალი დევიდ ლოურენსმა თქვა ასეთი საუბლისხმო რამ: პორნოგრაფია სექსის შეურაცხყოფააო. ალბათ პკონდა ამის თქმის მიზეზი. მერე რა? ყველაფერმა, მართლაც, ტალღასავით გადაიარა. დღეს ინგლისში ადარც ახსოვთ ასეთი რადიკალურად განწყობილი მწერლების არსებობა. დღევანდელი შესანიშნავი ინგლისელი მწერლები, მათ შორის, თუნდაც, ჩვენშიც კარგად ცნობილი პინტერი, სტოპარდი, მაკიუენი, მიუხედავად მათი შემოქმედების ნოვატორული ხასიათისა, ტრადიციულად ყველასგან ერთნაირად აღიარებული მწერლობის, შეიძლება ითქვას, მარადიული კანონების მიმდევრები და დამცველები არიან. ცდუნება მუდმივი არ შეიძლება იყოს. ნათქვამია, „წყალზე წაელენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. ასეც მოხდება. დარწმუნებული ვარ, რომ იმ „ქვიშაში“ თვითნაბადი ოქროს ვეება ნამსხვრევებს აღმოაჩენენ. ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა თუკი რაიმეს იმსახურებს, უპირველეს ყოვლისა, ნდობას და რწმენას.

— ერის დაცემა და გადაგვარება სწორედ მაშინ იწყება, როცა ჩვენ ღირსეულ პატივს ვერ მივაგებთ ჩვენს დიდ წინაპრებს, ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს. მავანთ და მავანთ დაუტოვებელ საჯიჯგანად. ხომ არ გგონიათ, რომ ახალი თაობის მწერლების ერთი ჯგუფის ასეთი გააქტიურება დეაქტივიზაციის ქართველი მწერლების პასიურობის ლოგიკური შედეგია?

— არა, არა მგონია, რადგან არც ის მგონია, რომ დღეს „დეაქტივიზაციის ქართველი მწერლები“, როგორც თქვენ გეიწოდებთ, პასიურად ცხოვრობდნენ. პირიქით, ისინი ცხოვრობენ ისე, როგორც მწერლებს შეეფერება, ანუ სხედან და წერენ. არა მგონია არსებობდეს ამაზე აქტიური საქმიანობა მწერლისთვის. აკი თქვენ თვითონვე ამტყუნებთ „ერთ ჯგუფს“. „გააქტიურებ-

ისტვის“, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მთლიანად დაკურობისათვის!“ ნუთუ გინდათ, რომ „ღვაწლმოსილები“, ანუ სხვა სიტყვით – ნამდვილი შემოქმედებიც ასევე იქცეოდნენ? გეხუმრებით! ოღონდ, ამ ხუმრობაში სიმართლევც ურევია. დააკვირდით, როგორც კი მწერალს პოლიტიკოსობაც მოეთხოვეთ, მისადმი ტრადიციული პატივისცემაც დაიკარგა ხალხში. ქართველებს მწერლობა რელიგიის სიმაღლეზე გვეყავდა აყვანილი, რაც სრულებითაც არ იყო შემთხვევითი, რამდენადაც ამას ჩვენი ცხოვრების თავისებურება განაპირობებდა.

– *ბატონო თაყაზ, თქვენს შემოქმედებას უცხოეთშიც კარგად იცნობენ. ბევრი უცხოელი სახელგანთქმული მწერალი თქვენს მგობობაშია. ბევრი თქვენს ნაწარმოებების მთარგმნელიცაა, მათ შორის, ცნობილი რუსი პოეტები. სასიამოვნოა ის ფაქტი, რუსული ლიტერატურული ელიტა ასეთი აღტაცებით რომ შეხვდა ბატონი ოთარის რომანის „გოდორის“ გამოქვეყნებას მოსკოვში. ისიც კი დაწერეს, ასეთი ძალის რომანი ამჟამად ჩვენ არ გავგაჩნიაო...*

– რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სასიამოვნოა. მეგობრობა დიდებული რამ გახლავთ, ამიტომ დიდი გაფრთხილებაც ჭირდება. გულდასაწყვეტია, რომ ჩვენს რუს მეგობრებს, რუს კოლეგებს, რომლებიც სვეტიცხოვლის ტაძარში სიყვარულს გვეფიცებოდნენ, სინამდვილეში დამოუკიდებელი სახელმწიფო კი არა, რუსეთის კოლონია საქართველო ყვარებიან. მეგობრობის ნიღბით ბევრი ჩამოსულა ჩვენში, ჩვენც ადვილად დაგვიჯერებია მათი უანგარობის ამბავი. საკვირველი კია, მაგრამ ასეა. რუსული კომუნისტური იმპერია იმითაც იყო საშინელი, რომ ხელოვნური მეგობრობის კულტს ქმნიდა. ყველა ის საშინელება, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სიერცეში ამჟამად ხდება, ლენინური ინტერნაციონალიზმის, „ხალხთა მეგობრობის“ რეციდივებია. ჩვენი რუსი კოლეგები გაგრისა და

ბიჭვინთის პლიაქებზე ნებივრობენ, როცა იქაურობას ჯერ კიდევ არ შემოიღობია ქართველთა სისხლი.

ზოგიერთი ჩვენი ხელოვანისა თუ პოლიტიკოსის სწორედ რუსეთისკენ დაუფარავი სწრაფვის ფონზე, მკაფიოდ გამოიკვეთა ჩვენი ერთი ძველი, უცნაური თვისება – განსაკუთრებული ერთგულებითა და მონდომებით რატომღაც მაშინ გამოვიჩნევით, როცა სხვას ვემსახურებით. ჩვენი ისტორია, სამწუხაროდ, სავესა ასეთი ფაქტებით. ჯერ კიდევ იოანე პეტრიწი ამბობდა პეტრე იბერზე: „ქართველებს არ გამოადგა“-ო. მას მერე კიდევ ბევრი ცნობილი პიროვნება არ გამოგვადგა ქართველებს, მაგრამ მე და თქვენ მსაჯულები არა ვართ. იანიჩარი, თავისთავად, უბედური არსებობაა, თავად აცნობიერებს თუ არა ამას.

დღეს, ბევრი ქართველი ხელოვანი მოღვაწეობს საზღვარგარეთ და, რასაკვირველია, თუკი ბოლომდე ობიექტური ვიქნებით, შეიძლებოდა ზოგიერთი მათგანი გაგვემართლებინა კიდევც, მაგრამ რადგან ამჟამად საქართველო ყველაზე მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო პრობლემის წინაშე დგას, ანუ მისი მომავლის ბედი წყდება, ყველამ სადაც არ უნდა მოღვაწეობდეს, ვისაც არ უნდა ემსახურებოდეს, მხოლოდ და მხოლოდ თავისი სამშობლოს გადარჩენაზე უნდა იფიქროს. ამ ბოლო დროს ასე გულუხვად დარიგებული ორმაგი მოქალაქეობა შეიძლება ბევრმა ინდულგენციასავით, ცოდვების მიტევების სიველად მიიღოს. მაგრამ ერთდროულად ორი ქვეყნის მოქალაქეობა თავისთვის მაინც უნდა იცოდეს, რომელს შესწიროს სიცოცხლე, რადგან ჩვენი ცხოვრება ისე წარიმართა, ამის ცოდნა შეიძლება ყოველ წამს გახდეს აუცილებელი.

რამდენ სიკეთეს მოუტანდა რუსეთი ხალხებს, საერთოდ კაცობრიობას, თუკი როგორმე დაივიწყებდა იმ დამპყრობლურ პოლიტიკას, ყველა დროის ხელისუფლებამ ერთნაირად რომ მოახ-



ვია თავს და რის გამოც „ევროპის ჯანდარმი“ და „ხალხთა საპყრობილე“ უწოდეს საკუთარმა შეიღებმა. ბუნებრივია, დღეს ეს ეპითეტები ისევ ამოტივტივდა ცხოვრების ზედაპირზე. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება თავისი ანტიადამიანური დამოკიდებულებით, თუნდაც, საქართველოს მიმართ, უპირველეს ყოვლისა, რუსი ხალხის ღირსებას ამცირებს.

- *ზოგიერთი რამ, თუნდაც შეცდომა, ჩვენს სტუმართმოყვარე ბუნებასა და ტრადიციებს უნდა მივაწვროთ...*

- მე არ გამიგია კრი, რომელიც სტუმართმოყვარე არ იყოს. რა ამისთანა სტუმართმოყვარე ვართ, რომ აგერ, თითქმის ორი საუკუნეა, ქვეყნის მოღიავებულ კარში, შევიცარებივით, ქუდმოხდილები ვდგავართ და ერთსა და იმავეს ვიმეორებთ: „მობრძანდით, გულით, გაშლილი ხელით!“-ო. ასეთი ხატი შექმნა ჩვენგან რუსმა დამპყრობელმა და შესანიშნავად გამოიყენა კიდევ და რაც, სხვათა შორის, ჩვენც ძალიან მოგვეწონა. განთავისუფლებულებიც, კარგა ხნის მანძილზე (დიდია ინერციის ძალა!) ყველას თვალეში შევიცივინებდით, ყველას ანგარიშს ვუწვევდით, გარდა საკუთარი თავისა. ამიტომ, სხვაც აღარ გვცემდა პატივს. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ამჟამად საქმეს სხვანაირი პირი უჩანს. ღმერთმა თუ გვისმინა, ამ სამარცხვინო მდგომარეობას უსათუოდ დავადწვევთ თავს - მტერს მტერს დავარქმევთ და მოყვარეს - მოყვარეს. მაშინ, დამერწმუნეთ, მტერიც კი პატივს გვცემს. ამბობენ, მომავალში საქართველო მაღალგანვითარებული ტურიზმის ქვეყნად გადაიქცევაო. ალბათ ასეც იქნება, ამისთვის ყველაფერი გვიწყობს ხელს - გეოგრაფიაც, ისტორიაც, კულტურაც, გარდა ორასწლოვანი მონობისაგან შერყეული ღირსების გრძნობისა. სტუმარს ღაქიასავით კი არა, მასპინძელივით უნდა მოექცე. ამიტომ, ვიდრე სტუმრებს მივიღებდეთ, მასპინძლებად უნდა ჩამოყვალბდეთ. ჩვენ ხომ ორა-

სი წლის განმავლობაში ჩვენს სამშობლოში მასპინძელი არ ვყოფილვართ! გავიხსენოთ, რომ ამ ქვეყნის ერთადერთი პატრონი ჩვენა ვართ, რომ თითოეული ჩვენგანი პატარა საქართველოა...

- *მოდიოთ, ისევე ჩვენს მწერლობას დაეუბრუნდეთ...*

- რომ გითხრათ, სიამოვნებით-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ძალიან რთული პრობლემები დგას დღეს ჩვენს წინაშე.

- *ნუთუ გამოხსნავალი არ არსებობს? როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა მდგომარეობის გამოსწორება?*

- უპირველეს ყოვლისა, უნდა გაქარწყლდეს მითი, თითქოს სახელმწიფომ მწერლობაზე არ უნდა იზრუნოს. აუცილებელია სახელმწიფომ აღიაროს შემოქმედებითი შრომის აუცილებლობა, კანონით მოწესრიგდეს სააგტორო უფლებები, სახელმწიფომ გამოაცხადოს, რომ ქართული კულტურა, კერძოდ, მწერლობა, წარმოადგენს ეროვნულ სიმდიდრეს და დაცულია სახელმწიფოს მიერ. შეიქმნას ბიბლიოთეკების ფართო ქსელი, რათა სახელმწიფომ შეიძინოს წიგნის ტირაჟის გარკვეული ნაწილი, ანუ გადაარჩინოს მწერლობაც და გამოიმცემლობაც (როგორც ეს საზღვარგარეთაა) და, რაც მთავარია, წიგნი დაუბრუნოს ხალხს. იქნებ ბიუჯეტიდან ერთი თეატრი მაინც დაფინანსდეს, რომელიც მხოლოდ ეროვნული დრამატურგიის ნიმუშებს დადგამს და ვიდრე ეკონომიკურად ასე გვიჭირს, იქნებ ერთი სახელმწიფო გამოიმცემლობა მაინც ამოქმედებულიყო...

- *ფაქტია, რომ პოეტმა და პროზაიკოსმა, დრამატურგმა და პუბლიცისტმა თამაზ ჭილაძემ, ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში. ამასთან, მისი მრავალმხრივი შემოქმედება გამოირჩევა თავისებური განუყოფელი ხელწერით. ბატონო თამაზ, როგორ შეაფასებდით თქვენს ლიტერატურულ ნამოღვაწარს და რას პირდებით სამომავლოდ ქართულ მკითხველს?*

- თქვენ რომ გელაპარაკებოდით, თან



იმაზე ვფიქრობდი, ნეტავი, არ მკითხოს, ახლა რაზე მუშაობო. ასეთი შეკითხვა ცოტათი მაბნევს კიდევ. არ ვიცი, რა უუპასუხო. ძალიან არ მიყვარს ამის შესახებ ლაპარაკი. მხოლოდ ის შემიძლია ვითხრათ, რომ ჩემი პროფესია, ჩემი შრომა, მართალია, ჩემთვის წამებაა, მაგრამ, ამავე დროს, ღვთის წყალობაცაა, რადგან ამ ორომტრიალში თავშესაფრად მექცა...

– ბატონო თამაზ, მოგმართავთ, როგორც ქართული მწერლობის უებრო მცოდნესა და დამფასებელს. თქვენთვის აღბათ დიდი ბედნიერებაა იყოთ ისეთი მწერლის ძმა და მეგობარი, როგორც ოთარ ჭილაძეა. ძალიან გთხოვთ, გავუანდოთ თქვენი მოსაზრება XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ამ დიდ შემოქმედზე, არა როგორც ძმამ, არამედ, როგორც ლიტერატორმა.

– ოთარ ჭილაძეს მე, როგორც ძმა, მეგობრად ვთვლი, როგორც მწერალი მოვლენად ჩვენს მწერლობაში...

– ჩვენი საუბრის ბოლოს რას იტყვით?

– მე არ ვეკუთვნი ამ ბოლო დროს მომრავლებულ ნიჰილისტთა რიცხვს. ნიჰილიზმი უმწეობის გამართლებად მიმაჩნია. მწამს, ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და ადამიანურადაც ვიცხოვრებთ. წელან ვთქვი, პროფესია თავშესაფარად მექცა-მეთქი. ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი რომ არ მჯეროდეს, არც თავშესაფარს ექნებოდა აზრი...

– დიდ მადლობას მოგახსენებთ უაღრესად საინტერესო ინტერვიუსთვის. გისურვებთ დიდ წარმატებას თქვენს საქმიანობაში. გისურვებთ ისეთ საქართველოში დაბრუნებას, სადაც ყინვისის ანგელოზის დაღლილი ღიმილი, ამ ქვეყნიური გაბმული ხვედა, ძველებურად შეარხვეს ადამიანთა სულელებს და უკეთესი საქმეების კეთებისაკენ განაწყობს.

საუბარი ჩაიწერა
ნატო ივანიანიძემ

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
8. 12. 2006 წ.





სიგბოლიზმის წინამორბედნი



უცნაური, სასტიკი ეპოქა მოდიოდა...
სამყაროს საბუდისწერო აჩრდილი დას-
ტრიალებდა თავს...

ეს გამოუცნობი, დემონური ძალა გა-
ნადგურებით ემუქრებოდა სიცოცხლეს
დედამიწაზე, ისევე, როგორც სასტიკი
ყინვა — ახლადაყვავებულ ატმის რტოებს...

სწორედ ამ სისასტიკით დაღდასმულ
ეპოქას გულისხმობდა გალაკტიონ ტაბი-
ძე, როცა ამ სტრიქონებს წერდა:

*„ნაპრალეებზე გადაიშხვრა ნარგი,
ეხლა სხვავა, ეხლა სისხლის დროა,
თუ გადაარჩი, ზომ გადაარჩი, კარგი...
ატმის რტოო, დაღაღულო რტოო...“*

(1916 წ.)

ტიციან ტაბიძესაც „ხანმა უნდობარმა“
დააწერინა საშინელი წინათგრძნობით სავსე
სტრიქონები:

*„ვეელანი წავალთ, გადატყდება
ხმალი ვადაზე
და პოეზიაც სიკვდილის წინ
თვალს არ გაახელს...“*

(1921 წ.)

ღმერთდაკარგული ეპოქის დაუნდობ-
ლობა აწამებდა პაოლო იაშვილსაც, მასაც
საშინელი წინათგრძნობა ტანჯავდა:

*„გამოვექციე ვეროპის ქაოსს
სისხლს, დანგრეულ რეიმის ტაძარს,
უზარმაზარ ტანკების ქშენას,
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას...
გამოვექციე ვეროპის წარღვნას...“*

(1922 წ.)

„წითელი ქარტუხილი“ უწოდა პაოლო
იაშვილმა იმ „უნდობარ ხანს“, რომლის
მთავარი ნიშანი იყო „სულის ჩაკვლა“ (გრ.
რობაქიძე) და „ღმერთის მოკვდინება“ (ნიცშე).
სისასტიკე და დაუნდობლობა უღმერ-
თობას მოაქვს.

XX საუკუნეში, ამ სასტიკ ეპოქაში,
აღამიანმა მოისურვა ღმერთის განდევნა
ღვთის მიერვე შექმნილი სამყაროდან,
ურწმუნობამ კი კაცობრიობის დაცემა გამ-
ოიწვია.

ამ უცნაური, „უნდობარი ხანის“ დასახ-
ასითებლად უცნაური სიტყვები ათქმევი-
ნა გრიგოლ რობაქიძემ „ჩაკლული სუ-
ლის“ ერთ-ერთ პერსონაჟს: „ახალი აღ-
ამიანი იბადება, უღმერთო. მისთვის არ
არსებობს საიდუმლო. არავითარი რიდი,
არავითარი მოწიწება, არავითარი მისტიკა.
შიშველი ყოფიერება, ნივთიერი: არსად
მეტაფიზიკური, ფესვებშიც კი არა.

ეს არის ჩვენი ახალი თაობა. შეად-
არეთ იგი ამერიკულს — მხოლოდ „მი-
ნუს“ ნიშანი დაუსვით წინ გარეგნული
მხარის მოსაწესრიგებლად — და ვერავი-
თარ განსხვავებას ვერ პპოვებთ მათ შორის.
ორივე ერთი წრიდან მოდის.

ღმერთის ამოძიკვა ყოფიერებიდან —
ეს არის კულტურის ახალი მიჯნა...

ეს პროცესი მიწისქვეშა დინებაა... უღ-
მერთობა ავადმყოფობაა, ხოლო სწეული-
სათვის კრიზისია აუცილებელი“!

„სულის კრიზისი“ უწოდა ამ ეპოქას
დიდმა ფრანგმა პოეტმა და მოაზროვნემ
პოლ ვალერიმ.

სხვაგან პოლ ვალერი ასეთ აზრს
გამოთქვამს:

¹ გრ. რობაქიძე, „ჩაკლული სული“, თბ., 1991, გვ. 77.

„სახელმწიფო უზარმაზარი, საზარელი, ჩლოწვი არსია. გონებამიუწყვლომლად ძლიერი და წარმოუდგენლად მოუქნელი და მოუხემავე ციკლოპი, „ძალისა“ და „სამართლის“ პირმშო, მათი წინააღმდეგობებისაგან შობილი ურჩხული. ის მხოლოდ პატარა კაცუნების მოფუთფუთე ბრბოით სულდგმულობს, უგერგილოდ რომ ამომრავებენ მის ინერტულ კიდურებს, და მისი ვეება შუშის თვალი ვერაფერს ამჩნევს გროშებისა თუ მილიარდების გარდა. სახელმწიფო, — ყველას მეგობარი, თვითთვის მტერი...“²

XX საუკუნეში მსოფლიო ამ „ციკლოპთა“ ბრძოლის ველად იყო ქცეული. ხოლო როგორც ერთი ანდაზა ამბობს, „როცა სპილოები ჭიდაობენ, ბალახი ნადგურდება“.

„სამყაროდან ღმერთის განდევნა — საბჭოეთის ეს მთავარი დინება — შინაგანად უცხო იყო მისთვის, — წერს ჩაკლულ სულში“ გრიგოლ რობაქიძე მთავარი პერსონაჟის, თამაზ ენჭურის შესახებ. „ეს წიგნი, რომელსაც ტყვილად როდი ეწოდება ჩაკლული სული“, ცდილობს, მხატვრულად წარმოაჩინოს ბოლშევიზმის ქვესენილური გამხრწნელი ძალა მის ატმოსფერულ ზემოქმედებაში. წიგნი 1932 წლის მიწურულს დაიწერა. რაც ამასობაში მოხდა, ადასტურებს იმ შეხედულებას, რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს. საკმარისია გავიხსენოთ მოსკოვის შემზარავი პროცესები, რომელთა ბნელი წანამძღვრები, ვკინებ, წინასწარმჭკრეტელურად გადმოვეცი ბერზინის სახეში“. — ამბობს გრიგოლ რობაქიძე „ჩაკლული სულის“ ბოლოსიტყვაობაში, რომელიც 1937 წელს არის დაწერილი (წიგნი გამოიცა 1933 წ. გერმანიაში და დიდხანს აკრძალული იყო სსრკ-ში).

„სულის ჩაკვლის“ პროცესი XIX საუკუნიდან დაიწყო და გავრძელდა უდანაკაშლო ხალხის სისხლსა და ძელებზე აგებულ საბჭოთა იმპერიაში.

1917 წლის სოციალისტური რევოლუცია იყო XX საუკუნეში ჩვენს პლანე-

ტაზე მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე საშინელი „სტიქიური უბედურება“. საუკუნის დასაწყისში ანტიქრისტეს შავნელი აზრების შხამიანი ნაზავი წარღვნასავით მოვარდა დედამიწაზე და წალეკა ყველაფერი ნათელი, რაც კი გზად შეხვდა, ბოლოს ჯოჯოხეთურ უფსკრულში დაინთქა და თან ჩაიტანა უთვალავი ადამიანი — არა მარტო რევოლუციის მოწინააღმდეგეები, — მომხრეებიც კი... ამის შემდეგ წყვილიაღმა დაისადგურა და ეს წყვილიაღი საუკუნის ბოლომდე არ გაფანტულა. გარეგნული, ყალიბ ბრწყინვალეობით ნიღბავდა ამ სიბნელეს სკკპ დიდხანს. საბჭოთა ადამიანის „გზის მანათობელ შუქურად“ მარქსიზმ-ლენინიზმი გამოცხადდა.

სსრკ-ში აიკრძალა რელიგიის ხსენებაც კი. საუკუნეების განმავლობაში სათაფნებლად ქცეული ბიბლია უეცრად ახალმა, „ბრძნულმა მოძღვრებამ“ ჩაანაცვლა, რომელიც ლაღადებდა: „რელიგია ხალხის ოპიუმი“³!

XX საუკუნის საქართველოში, რუსეთის იმპერიის კოლონიად ქცეულ, დაკნინებულ „სახელმწიფოში“, ხილული მტერი „უხილავემა მტერმა“ შეცვალა. ძველი თათარ-მონღოლთა ურდოების ნაცვლად „მოყვარე მტერი“ მოგვევლინა დამყრობლად.

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“ — ბრძანებდა დიდი რუსთაველი. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ არავის ისე დიდხანს არ დაუძონებია საქართველო, როგორც ამ „მოყვარე მტერმა“ დაიმონა. — მის უღელს მთელი 200 წლის განმავლობაში ვერ დააღწია თავი ქართველმა ხალხმა.

„უხილავე მტერს“ სატანას, ეშმაკს უწოდებენ. — ამ თვისებითაც (ანუ „უხილაკობით“) ჰგავს ეს ახალი მტერი ეშმაკს, რადგან მის მომხიბლავ ნიღაბს მიღმა ბოროტი სული იმალება, მისი ნამდვილი სახე უხილაკია; მასთან ბრძოლა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ხილულ მტერთან შერკინება. ალბათ ამიტომაც

² პოლ ვალერი, „ჩაკლული პროზა“, თბ., 1983, გვ. 129.

ხლებიან ასე ხშირად ამ სატანური, უხილავი, ბნელი ძალის მსხვერპლნი უფლისკენ მიმართული, სიკეთისა და სინათლისკენ მიმსწრაფი ადამიანები. აბელის მართალ, ნათელ გზაზე მუდამ კაენის აჩრდილია ჩასაფრებული...

200 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართველი ერის გენოციდი. ხალხის ნაწილი ფიზიკურად იყო განადგურებული. ნაწილი კი — მორალურად: ცოცხლად გადარჩენილთა უმეტესობას „მოყვარე მტერი“ საკუთარი სამშობლოს დასამონებლად იყენებდა. ეს კი სულიერი სიკვდილის ტოლფასია. 200 წლის განმავლობაში უწამლავდა სიცოცხლეს ქართველ ერს ბარათაშვილის თანამდევნი „სული ბოროტი“ — ჩრდილოეთიდან მოვარდნილი სასტიკი ქარიშხალი, განადგურებით რომ ემუქრებოდა ახლადაყვავებულ „ატმის რტოებს“...



როგორც რაინერ მარია რილკე ამბობდა, ქარიშხლის მოახლოებას ყველაზე ადრე პოეტები გრძნობენ:

„ისე ვარ, როგორც მალალი დროშა, სიმორეებით გარემოცული მომავალ ქარებს განვიციდ მამინ, როცა იქ დაბლა, უძრავია ნივთი ყოველი, მიხურულია წყნარად კარები და ბუხარშიაც სიმშვიდე სუფევს; ჯერ არც ფანჯრები არ ცახცახებენ, მძიმედ დევს მტკვერი. მე კი სახეში მცემს ქარიშხალი და ველეავ ზღვისებერ, ველეავ, ვიშლები და ვიკეცები და სულ მარტო ვარ დიდ ქარიშხალში“ (რაინერ მარია რილკე „დროშა“, თარგმანი ზურაბ კაკაბაძისა).

კაცობრიობის განსაცდელად მოვლენილი სასტიკი ეპოქის, ამ ქაოსის და სტიქიონის მოახლოება თითქმის მთელი საუკუნით ადრე, XIX საუკუნის დასაწყისში, ქარიშხალს შეგებებული დროშეებით, ერთდროულად იგრძნო ორმა პოეტმა, რომლებიც ერთ დროში, მაგრამ სხვადასხვა მხარეში, დელამიწის ორ სხვადასხვა ნახევარსფეროში, სხვადასხვა კონტინენტზე ცხოვრობდნენ. ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ორ სხვადასხვა სახელმწიფოში (აშშ-ში და რუსეთის იმპერიის კოლონიად ქცეულ საქართველოში) ერთ-

დროულად არსებობდა თითქმის ორეულივით მსგავსი ორი პიროვნება, ორი მარტოსული პოეტი. ერთმანეთს ჰგავდა მათი პოეზია, აზროვნების და წერის მანერა, მათი სიმარტოვე, სულიერი ობლობა, მათი შინაგანი სამყარო, მათი ტანჯვა ბედისწერის სისასტიკის გამო, მათი ბედი თუ უბედობა, მათი აღსასრულიც კი.

ერთი მათგანი გენიალური ამერიკელი პოეტი და მწერალი ედგარ პო გახლდათ, მეორე კი — ასევე გენიალური ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართული რომანტიზმის უბრწყინვალესი წარმომადგენელი.

ნადრევედ დაიფერფლა ამ ერთმანეთის ორეულივით მსგავსი პოეტების სიცოცხლე ისე, რომ მათ ერთმანეთის არსებობაზე არაფერი იცოდნენ. ორივე მათგანი თანამედროვეთა გულგრილობამ და ამპარტანებას იმსხვერპლა, რადგან მათ დროში უკვე იგრძნობოდა ახალი, „უნდობარი“ ეპოქის სუსხი: უკვე იწყებოდა რწმენის დაკარგვის პროცესი და ცხოვრება ერთფეროვანი, უმიზნო ხდებოდა, სულზე თითქმის აღარაფერ ფიქრობდა. პოეზიაც აღარავის აინტერესებდა. ორივე პოეტი თავისი ზანძოკლე სიცოცხლის მანძილზე ამაოებას ებრძოდა და თავისუფლებას ესწრაფოდა. ორივე მათგანმა წამებულის გზა გაიარა, ორივე მარტობაში გარდაიცვალა. ისინი მარტოსულნი და დაუცველნი იყვნენ იმ უღმობელ დროში, როდესაც პიროვნების თავისუფლებას მატერიალური კეთილდღეობა განსაზღვრავდა. სიღარიბე ფრთებს ჰკვეცდა მათ შთაგონებას, ისინი ძვირფას დროს ამაოებასთან ჭიდილში ხარჯავდნენ... და მაინც, მათ შეძლეს, შეექმნათ საოცარი პოეზია, რომელიც ასახავდა ახალი ეპოქის სულს და რომელმაც ახალ მსოფლიო პოეზიას დაუდო საფუძველი.

ისინი არ იყვნენ ერთი და იმავე ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლები. და მაინც, საოცრად ჰგავს ერთმანეთს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ედგარ პოს პოეტური სამყარო — უნებართვითი ლირიზმით, უმაღლესი სულიერებით, თავისუფლებისაკენ უსაზღვრო სწრაფვით, ამავე დროს — ფატალიზმის შემადრწუნებელი განცდის სიმბოლური გამოხატვით.



საოცარია ისიც, რომ ეს ორი პოეტი ბედითაც, უფრო სწორად, უბედობითაც ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. მათი გარდაცვალების წლებიც კი თითქმის ერთმანეთს დაემთხვა, ეს თარიღები სულ რაღაც სამი-ოთხი წლით არის დაშორებული: ნიკოლოზ ბარათაშვილი 1845 წელს გარდაიცვალა, ედგარ პო — 1849 წელს. პირველი მათგანი 28 წლისა იყო, მეორე — 40-ის, ორივე — ახალგაზრდა, და მაინც, ორივემ მოასწრო შექმნა და კაცობრიობისთვის დაეტოვებინა ისეთი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მწერლობაში. მათ შექმნეს ახალი, საოცრად მშვენიერი, ამავე დროს საშინელი წინათგრძობით სახესე და მაინც გამაოგნებლად ამაღლებული, ერთმანეთის მსგავსი პოეტური სამყარო, შექმნეს თითქმის ერთდროულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, დუღამიწის სხვადასხვა მხარეში, და მათი ქმნილებები გახდა საძირკველი ახალი მწერლობისა, ახალი ლიტერატურული მიმართულებებისა. მათ შეუძლებელი შეძლეს თავიანთი საწმომღებელი სიცოცხლის მანძილზე გენიალური ამერიკელი პოეტისა და მწერლის ედგარ პოს შემოქმედება ისევე გახდა ახალი ევროპული პოეზიის საფუძველი, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა არის ბალაქერი ევროპეიზმის ნიშნით აღბეჭდილი უახლესი ქართული პოეზიისა.

XX საუკუნის ქართული პოეზიის მესაძირკვე, ქართული სიმბოლიზმი, საზრდობდა როგორც ძველი ქართული მწერლობის ფესვებით, ასევე თანამედროვე ევროპული მოდერნისტული ხელოვნების მიღწევებითაც. ქართველი სიმბოლიზტები თავიანთი შემოქმედების მაცოცხლებელ წყაროდ, შოთა რუსთაველისა და ღვათა გურამიშვილის პოეტურ სამყაროსთან ერთად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასაც თვლიდნენ. ამავე დროს, ისინი თავიანთ მასწავლებლებად მიიჩნევდნენ ფრანგული სიმბოლიზმის წარმომადგენლებს, რომლებიც, თავის მხრივ, დიდად დაავლებულნი იყვნენ ედგარ პოს პოეტური მემკვიდრეობისგან, ამ ახალმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ გამოახილი ჰპოვა თითქმის

ყველა ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც. შარლ ბოდლერის, სტეფან მალარმეს, პოლ ვერლენისა და არტურ რემბოს პოეზია შთაგონების წყარო იყო ქართველი სიმბოლიზტებისთვის — ცისფერყანწელებისთვის. ისინი ედგარ პოს პოეზიასაც თავყვანს სცემდნენ.

როგორც ედგარ პოს, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურულ მემკვიდრეობად არის აღიარებული.



1845 წელს, სწორედ იმ წელს, როდესაც საქართველომ დაკარგა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი ბრწყინვალე პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ამერიკელმა პოეტმა ედგარ პომ შექმნა გენიალური ლექსი „ფორანი“, — შედეგრი, სახესე საშინელი წინათგრძობით.

სამი წლით ადრე, 1842 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაწერა ლექსი „მერანი“, რომელიც ასევე შედეგრად არის აღიარებული.

ორი გენიალური პოეტი თითქმის ერთდროულად, სულ რაღაც სამი წლის დაშორებით, ქმნის ორ შედეგრს, მსგავსი განწყობილებებით, მსგავსი სიმბოლიკით. ეს ხდება ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ინფორმაციული ვაკუუმის ეპოქაში, როცა არც საქართველოში იცნობდნენ ედგარ პოს და, მით უმეტეს, არც ამერიკაში — ნიკოლოზ ბარათაშვილს, პატარა ქვეყნის შვილს.

ორივე ლექსმა ერთნაირად ძლიერი გავლენა მოახდინა შემდგომი თაობების პოეზიაზე. ამ გავლენის მასშტაბები, რა თქმა უნდა, ქართველი პოეტისათვის არ იყო ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც ამერიკელი პოეტისა და მწერლისთვის, ედგარ პოსთვის, რადგან ბარათაშვილი პატარა, იმხანად თითქმის შუუძნეველი, რუსეთის იმპერიის მიერ დაკნინებული ქვეყნის შვილი იყო და მას დიდხანს არავინ იცნობდა.

ახალი ქართული პოეზიის ჩამოყალიბებაში კი ნიკოლოზ ბარათაშვილმა იგივე როლი შეასრულა, რაც ედგარ პომ — მსოფლიო მწერლობაში.



კიტა აბაშიძე წერდა: „ვისაც სურს შეძლოს დახასიათება ქართული ლიტერატურის დიდების, გენიოსის, ნ. ბარათაშვილისა, მას უნდა ჰქონდეს საკრიტიკო მჭევრმეტყველება ტენისა და ადამიანის სულის შეგნების უნარი შექსპირისა...“³

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანში“, ისევე როგორც ედგარ პოს „ყორანში“, საბედისწერო, დემონური ძალის სიმბოლო ყორანია:

*„მიჰქრის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი,
უკან მომწხავის თვალბედითი შავი
ყორანი...“*

ამ ბოროტ სულს, როგორც უცნაურ ბედისწერას, გაურბის პოეტი უსასრულობაში და თავისუფლებას ესწრაფვის:

*„გასწი, მერანო, შენს ტენებას არ აქვს
სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად
მღელვარი“*

თავისუფლებისკენ მიმსწრაფი პოეტის ოცნება განწირულია, მან იცის, რომ მართლობაში სიკვდილი ელის:

*„შავი ყორანი გამითხრის საფლავს,
მღელვითა შორის ტილის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შენიღვითა,
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის“*

მაგრამ ბარათაშვილს სწამს, რომ ეს თავგანწირვა ამაო არ არის, — ოდესმე მომავალ თაობებს მაინც გაუნათებს გზას მისი პოეზია, მისი სულის სინათლე, მისმა თანამედროვეებმა რომ ვერ დაინახეს:

*„ეუღად ხომ მაინც არა ჩაივილის
ღს განწირულის სულის-კვეთება!
და ვ ზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე ვ ზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას კუნე თვისი შავის
ბედის წინ გამოუჭროლდეს“*

ბარათაშვილის ამ ლექსში, მთავარი სიმბოლო მაინც მერანია, ის არის თავისუფლებისკენ სწრაფვის სიმბოლო. წუთისოფლის მუფე, ცინიზმით აღსავსე ბოროტი სული აბრკოლებს სინათლისკენ, სიკეთისკენ, სიყვარულისკენ, რწმენისკენ მიმსწრაფ ადამიანს, მაგრამ პოეტის მებრძოლი სული არ ნებდება, არ ემორჩილება ეშმაკისებულ ძალას და უსასრულოდ მიეღობის თავისუფლებას, არ კარგავს რწმენას, თუმცა „თვალბედითი შავი ყორანი“, „ბოროტი სული“ ცდილობს, რწმენაც წაართვას, თავისუფლებაც და სიცოცხლის უფლებაც, ეს ტრაგიკული ოპტიმიზმი განასხვავებს ბარათაშვილის „მერანს“ ედგარ პოს „ყორანში“ გაფლერებული ფატალიზმის განცდისგან. ყორანი, რომელიც სიმბოლოა დემონური ძალისა, პოეტს სიცოცხლეს უწამლავდა, სიხარულს ტანჯვად უქცევდა, სიყვარულს — შფოთვად, თავისუფლებას — ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად, რწმენას — ურწმუნობად, ამავე ძალის სიმბოლოა „სული ბოროტი“, რომელსაც ბარათაშვილი ასე მიმართავს:

*„სულო ბოროტო, ეინ მოვიხმო ჩემად
წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ
აღმაშფოთრად?...“*
—*განვედი ჩემგან, პოე, მკეთურო, სულო
ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშენილი
უსაგნოდ, მარტო,
ქკუით ურწმუნო, გულით უნდო,
სულით მახვრალი?
ვაჲ მს, ვისაც მოხვდეს ხელი შენი
მსახვრალი“*

ნ. ბარათაშვილის ლექსი „სულო ბოროტო“ 1843 წელს არის დაწერილი. ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე წერს:

„პირდაპირ გასაოცარია, როგორ მოთავსდა ერთი კაცის ბუნებაში მთელი ის სირთულე სულიერი ტრაგედიის განვითარებისა, რომლის სიღრმისა და სიფარ-

³ კიტა აბაშიძე, „ეტიუდები“, თბ. 1962 წ.



თოვის დასატყუად ევროპაში მთელი სამი თაობის სულიერი ცხოვრება შეიქნა საჭირო.⁴

ილია ჭავჭავაძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია მიაჩნდა ბრწყინვალე მიღწევად ქართულ პოეზიაში ევროპეიზმის დანერგვის გზაზე:

„ის მიენდო თავის „მერანს“, რადგანაც მის ჭუნებას საზღვარი არა აქვს... ეს მსუსხავი და მწვავე ქროლვა გონებისა, ადამიანის ამღვრეული გულის ქარტეზილისაგან მოღვნილი, განა საკმაო მიზნი არ არის ისეთის თავგანწირულის სულისკვეთებისა და ეს სულისკვეთება განა ზოგადკაცობრიული არ არის?.. ბარათაშვილს სურს, ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღვლეარი ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცეცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კანმა ამისთვის ლუციფერი აირჩია, გოეთემ „ფაუსტში“ — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — მერანი, ე.ი. თავისი სულის ქროლვა.“⁵

პოეტი ხშირი სტუმარი იყო არისტოკრატიული სალონებისა, სადაც გარეგნული ბრწყინვალეების მიღმა სულიერი სიღარიღე იმალებოდა. საქართველო არა მარტო ცხადად, შეუმჩნეველად, ჰყავდა დაბყრობილი „უხილავ მტერს“, რომელმაც ადრინდელი სულიერად ამაღლებული ქართველი ერი მეშინაურ საზოგადოებად, მუნდარებით და მიზილ-პიპილებით გატაცებულ მასად აქცია. ქართულ სხეულში უცხო სულმა დაისადგურა, რადგანაც ასე სურდა დამპყრობელს, „მოყვარე მტრად“ რომ მოგვევლინა 200 წლის წინ, კრწანისში მეფე ერეკლე II-ის დამარცხების შემდეგ... იმდროინდელი საზოგადოების სულის რღვევას ასახავს ბარათაშვილის სიტყვები, რომლებსაც ის სწერდა მეგობარს — მაიკო ორბელიანს:

„ინც მალაღის გრძობის მექანი მეგონა, იგი ვნახე უგული; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდამო

ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ~~ცრემლად~~ სიბრალულისა, გამოძეტყველად მშენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლაგისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძამ, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, გრიგოლ ორბელიანმაც კი თითქმის უყურადღებოდ დატოვა ჭავჭავი მეგონის ობოლი სულის ღაღადი:

... განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბელსა, თუმცა ხანდახან დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას, ან ჩემი ბედი და ან ჩემის სურვილის აღსრულება... — მოხელეთა წრე არ გამოდგების ზნეობის განსანათლებლად... „გული მეუნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელი მღვობარებისათვის დაბადებული, ნუ გძინავსო; მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დაედგე გაშლილ ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვიუნთქე მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედაე ჩემს ასპარეზსა“.

საქართველოს უმაღლესი საზოგადოების წრეში არ აღმოჩნდა კაცი, რომელიც ხელს შეუწყობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოსვლას „თავის ასპარეზზე“.

ბაგრატიონების შთამომავალი, მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი, აწ უკვე გალატაკებული თავადის შვილი, ბედისგან დაჩაგრული, სატრფოსგან უარყოფილი, ჭაბუკობიდან დაკოჭლებული და მაინც გარეგნულად მხიარული, სხვებისთვის მზრუნველი, სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გულმოკლული, მუდმივად ქართლის ბედზე დაფიქრებული პოეტი მარტოობაში გარდაიცვალა, სამშობლოდან შორს, ახლობლებისგან დაუჭირებელი, როგორც მან იწინასწარმეტყველა „მერანში“.

კიტა აბაშიძე წერდა:
„1832 წლის შეთქმულთა განდევნის შემდეგ თითო საზოგადოებასაც შიშის ზარი ჰქონდა დაცემული შეთქმულთა ხედრით. ეჭვი არ არის, მიძინებული იყო ყოვე-

⁴ დ. უხანძე, „ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“.

⁵ ილია ჭავჭავაძე, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, გაზ. „ივერია“, 1892, №77.

ლივე ადამიანური გრძნობა, შიშით ფიქრიც კი ეძნელებოდათ უსათუოდ, არაფერი აღარ იყო საზოგადოებაში, რაც გასცილებოდა ცხოვრების უბრალო და არამნიშვნელოვან მოვლენას. ჭორები, მითქმა-მოთქმა, ზნეობრივი გახრწნილება, უსულობა და უგულობა — აი რა სუფევდა იმ დროს. ამ ხანაში დაიბადა საქართველოს პოეზიის „ობოლი სული“ —

— და საოცარი ის არის, რომ ეს კაცი, ყველასგან გათელილი, ყველასგან შეუწყნარებელი, თვალზე ცრემლებით და სევდით აღსავსე გულით, გაუბედავი ხელით გრძნობათა უკვდავების საგალობელ ფსალმუნებს ამზადებდა და სუსტი მაჯებით, შეურყეველ და მტკიცე საძირკველს უგებდა ქართველი ერის პოეზიის უკვდავებას და თავისი უკვდავების და დიდების სამარადისო ძეგლს სჭედდა...⁴

მომავალი თაობებისთვის თავგანწირულ საქართველოს სასიქაფულო პოეტს თავის სიცოცხლეში საკუთარი ლექსების გამოქვეყნებაც კი არ ეღირსა. ბედმა მხოლოდ უფერული არსებობა გაიმეტა მისთვის, უბრალო მოხელედ მსახურობდა განჯასა და ნახჭევანში. ვილას მოვაგონლებით, ვილაცა ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჭევანში, — სწერდა პოეტი მაიკო ორბელიანს. განჯაში მძიმე ცხოვრებამ შეიწირა ნიკოლოზ ბარათაშვილი, ყველასგან დავიწყებული, მარტოსული პოეტი. თითქოს მხოლოდ მისმა სიკვდილმა გამოადვილა მთელემარე საზოგადოება, სიკვდილის შემდეგ შეეცადნენ, ვალი მოეხადათ პოეტის ხსოვნის წინაშე და მისი ლექსების წიგნი გამოეცათ, მაგრამ ეს იდეაც განუხორციელებელი დარჩა.

1893 წელს ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს, ამ დროისათვის ქართველი საზოგადოება უკვე გამოფხიზლებული იყო საღათას ძილისგან. ზალხმა მუხლი მოიდრია, პატივი სცა მგოსნის ცხედარს, ლიტანიით, გალობით მიასვენა დიდუბის ეკლესიაში და მიაბარა ქართულ მიწას. ცნობილია, რომ ამ დღეს, 1893 წლის 25 აპრილს, გამოსათხოვარი

სიტყვები წარმოთქვეს ბარათაშვილის საფლავთან ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ... მათ პოეტს წინასწარმეტყველი უწოდეს. „იქ შორს, სამშობლოდან უცხო მხარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულყო...“ — ო, თქვა აკაკიმ.

◆◆◆

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია შთაგონების წყაროდ იქცა შემდგომი თაობებისათვის, მათ შორის, ქართველი სიმბოლისტების — ცისფერყანწელები-სთვისაც. ეს ჩანს ამ პოეტების ადრეული შემოქმედებიდანაც: ხანამ ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ გამოვიდოდა, მათი ლექსები უკვე ბარათაშვილის პოეზიის სხივით იყო განათებული. ასევე ცნობილია, რომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ნ. ბარათაშვილის პოეზიამ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე. ცისფერყანწელებმა და გალაკტიონ ტაბიძემ საფუძველი ჩაუყარეს უახლეს ქართულ პოეზიას. მათი შემოქმედება იყო ქართული ხელოვნების შემობრუნება დასავლური, ევროპული კულტურისკენ. ეს პროცესი ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაიწყო. მასაც ჰყავდა წინამორბედი ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეში, ეს იყო დავით გურამიშვილი. მათი ბედიც რაღაცით ერთმანეთს ჰგავდა... ამ უშვილო პოეტებმა შთამომავლობას უმდიდრესი პოეტური საგანძური დაუტოვეს. სწორედ ეს ძვირფასი შემკვიდრეობა გახდა საძირკველი უახლესი ქართული პოეზიისა, რომელიც XX საუკუნეში შექმნეს ცისფერყანწელებმა, გალაკტიონ ტაბიძემ (აგრეთვე უმემკვიდრემ) და სხვა თვალსაჩინო ქართველმა პოეტებმა. დავით გურამიშვილმა თავისი „დავითიანი“ ობოლი შვილივით დაუტოვა შთამომავლობას, კაცობრიობას:

„მე უშვილომ ეს ობოლი მძლივ გაეზარდა დიდის ჭირით“ — ეს მისი სიტყვებია.

ილია ჭავჭავაძე დავით გურამიშვილს თვლიდა ქართულ პოეზიაში ევროპეის-

⁴ კიტა აბაშიძე, „ეტიუდები“, თბ. 1962 წ.



მის შემომტანად, ქართველ რომანტიკოსებს კი — ამ საქმის გამგრძელებლად:

„დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ. ევროპეიზმის განერცილებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა...“⁷

ილია ჭავჭავაძის „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ნ. ბარათაშვილის პოეზია აღიარებულია, როგორც „ბრწყინვალე მიღწევა ქართულ პოეზიაში ევროპეიზმის დანერგვა-განვითარების გზაზე“.⁸



ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ედგარ პოსტორის მსგავსებას ხედავდა გალაკტიონ ტაბიძე ამაზე მეტყველებს მისი ესეე „ძვირფასი საფლაკები“. გალაკტიონი წერდა: „მას ძლიერ ბევრი საერთო ჰქონდა ედგარ პოსთან“ — თვით ედგარ პოს სიტყვით რომ ვთქვათ, ვერც ერთი კრიტიკოსი ვერ გაიგებს პოეტის შემოქმედებას, მეორე პოეტზე უკეთ... პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი, ვფიქრობ, შეუძლებელია შეცდეს მართებულ შეფასებაში...“

ედგარ პოსტორის პოეზია ღვთაებრივი და ზღაპრული სამყაროა. ის არის გზა, რომლითაც შეიძლება გაქცევი წუთისოფლის ამოებას, დაივიწყო ყველა უსამართლობა და ტკივილი, რომელსაც გაყენებს ამქვეყნიური რეალობა — ბრიყველი პათემოყვარობით აღსავსე ბრბოს ღრუობას რომ მოგვაგონებს, თუმცა პოეზიის ზუსტი განსაზღვრა მას შეუძლებლად მიაჩნია, თითქოს მკრეხელობაც კია ასეთი მცდელობა, რადგან ედგარ პოსტორის პოეზია ისეთივე ამაღლებული და შეუცნობეელია, როგორც რელიგია. ესეუში „პოეტებსა და პოეზიაზე“ ნათლად ჩანს, რომ ედგარ პოსტორის პოეზია ისეთივე ილუ-

მალეობით მოცული სფეროა, როგორც მუსიკა; თითქმის გონებისთვის მიუწვდომელია, როგორც რელიგია; უსაზღვრო, როგორც სამყარო; ზღაპრული, როგორც ოცნება ანუ სასიამოვნო იდეა.

ერთი სიტყვით, პოეზია მუსიკით სავსე ოცნებაა; მისი მსჯელობით ახსნა შეუძლებელია, ის უფრო გაელებას ჰკავს; ვინც ამ მშვენიერი წამის გაელებას დაიჭერს და თავის სულში აღბეჭდავს, ვინც ამ წამში მარადიულობას დაინახავს, პოეზიასაც ის შეიცნობს.

ჭეშმარიტი პოეზია ედგარ პოსტორის სინათლეა, რომელიც სინხელის წიაღშია დანთქმული, მაგრამ სიბნელე ვერ ფარავს მას, — ეს ჰკავს უხილავის ხილვას ხილულში, სამყაროს უხილავი შემოქმედის ჭერეტას მის ხილულ ქმნილებებში (გავიხსენოთ რუსთაველის „მზიანი ღამე“). პოეზია სამყაროს იდუმალების შეცნობაა, თუნდაც წამიერი გაელებება ჭეშმარიტების ნათლისა. სულის ასეთ მდგომარეობას ჩვეულებრივი სიტყვებით ვერ გამოთქვამ, უნდა მოძებნო შესაბამისი ფორმა ამ იდუმალების გამოხატვისთვის, — სინათლის, მუსიკისა და ოცნების ნაზავის ლექსად ქცევისთვის, უნდა მიაგნო სიტყვის იდუმალ მნიშვნელობას, რომ მისი საშუალებით გადმოსცე „ოდასთან გაერთიანებული მუსიკა, ანუ პოეზია“. ეს შესაძლებელია სიმბოლოების გამოყენებით.

ამიტომაც გახდა შემდეგ სიმბოლიზმის დევიზი ვერლენის სიტყვები: „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. ვერლენმა კი ეს იდეა ედგარ პოსტორს „ისესხა“.

„ის, რაც შემდეგ სიმბოლიზმის სახელით მონათლეს, სრულიად მარტივად დაიყვანება პოეტთა რამდენიმე ჯგუფის საერთო მისწრაფებამდე, რომელიც მუსიკისაგან მისი ძალმოსილების სესხებას ისახავდა მიზნად“ (ბოდლერი).

ედგარ პოს პოეზიას თითქმის არავინ იცნობდა, ან, უფრო სწორად, არავინ სცნობდა თავის მშობლიურ ქალაქშიც კი, სანამ მისი წიგნი ფრანგმა პოეტმა შარლ ბოდლერმა არ „აღმოაჩინა“ და უკვდავყო

⁷ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 457 წ.

⁸ იქვე, გვ. 20.



კიდევ გენიალური ამერიკელი პოეტის სახელი.

თვით ედგარ პო აღნიშნავდა ეს სემი „პოეტებსა და პოეზიაზე“, რომ მის სამშობლოში ძნელად თუ აღიარებენ პოეტს ან მწერალს, სანამ საზღვარგარეთ არ დააფასებენ მის შემოქმედებას:

„მოგესხნებათ, თუ რა წინააღმდეგობა ელოდება გზაზე ამერიკელ მწერალს. მის წიგნს კითხულობენ, — თუ ხელში ალება ინებეს, — მსოფლიოს ერთიანი და დადგენილი აზროვნების სიმაღლიდან. ვაჰობ, დადგენილი-მეთქი, რადგან ეს სიტყვა ლიტერატურას ისევე ეხება, როგორც კანონს ან სახელმწიფო მმართველობას, — დადგენილი სახელი საკუთრებასავით ან ტახტის ფლობასავითაა და მაინც ამისდა მიუხედავად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წიგნებს, მათი აუტორებით, მოგზაურობა აუკეთესებს — ზღვა თუ გადალახეს, ჩვენს თვალში დიდ ღირსებას იძენენ. ჩვენი სიძველეთა შემგროვებლები დროზე მეტად მანძილს აფასებენ; ჩვენი მატრიაზები ჯერ ყდასა და სატიტულო ფურცელს ჩხრიკავენ და თუ სადმე რომელიმე საიდუმლოებით მოცული პიროვნების მიერ მიწერილ „ლონდონს“, „პარიზს“ ან „ვენუსს“ ამოიკითხავენ, მაშინ თუ იკადრებენ წიგნის გადასვლას...“

ედგარ პოს აღიარება საფრანგეთიდან დაიწყო.

თუმცა, არც საფრანგეთში იყვნენ ფრანგი პოეტები დაფასებული, არც მათ აღიარებდნენ საკუთარ სამშობლოში.

ბარათაშვილიც ხომ თავის თანამემამულეთა გულგრილობის მსხვერპლი იყო, მამასადამე, საქართველოშიც იგივე სულიერი ატმოსფერო ყოფილა იმ ეპოქაში, როგორიც საფრანგეთსა და ამერიკაში; მატერიალური სიმდიდრით და ძლიერებით რადიკალურად განსხვავებულ ქვეყნებში საოცრად მსგავსი, თითქმის იდენტური სულიერი ატმოსფერო სუფევდა, რაც მსოფლიოში გავრცელებული ურწმუნოების შედეგი იყო, სულიერ ფასეულობათა გაუფასურებაც ამით იყო

გამოწვეული. საოცარია, რომ ედგარ პოს პოეზია პოეტის სიცოცხლეში, ისევე დაუფასებელი დარჩა თავის დიად, ძლევამოსილ ქვეყანაში — აშშ-ში, როგორც ბარათაშვილის პოეტური სამყარო იყო იგნორირებული XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავის პატარა სამშობლოში — რუსეთის კოლონიად ქცეულ, დაკნინებულ საქართველოში. ეს ორი პოეტი ერთნაირად მარტოსული და მიუსაფარი იყო, ერთი ისეთი ადამიანიც არ აღმოცნდა მათ თანამედროვეთა შორის, ვისაც ფიქრს გაუზიარებდნენ და ვინც მათ სულიერი სამყაროს, მათ პოეზიას სწორად გაიგებდა. ბედით და პოეზიით მსგავსი ამ ორი პოეტის გარემომცველი ატმოსფეროც კი ერთმანეთს ჰგავდა — სულიერ ფასეულობათა მიმართ სრული გულგრილობით და მატერიალური საწყისის გაღმერთებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სული გაუფასურება, „სულის კრიზისი“ (პოლ ვალერი) მთელ დედამიწაზე ვრცელდებოდა. „სულის ჩაკვლის“ ეს პროცესი, რომელმაც შემდეგ „ღმერთის მოკვდინებამდე“ მიიყვანა კაცობრიობა, შესაძლებელია, სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ქრისტიანული სამყაროს ძლიერება დაემხო კონსტანტინეპოლის დაცემასთან ერთად — 1453 წელს... ამ დამარცხებით გამოწვეულმა ურწმუნოებამ როგორც ჩანს, თანდათან ფეხი მოიკიდა ორად გახლეჩილი მსოფლიოს ყველა კუთხეში და ბოლოს ამ პროცესმა კაცობრიობა მსოფლიო ომებამდე მიიყვანა.

მეცნიერულმა პროგრესმა სიკეთესთან ერთად ბოროტებაც მოიტანა. ამ ეპოქის დასაწყისს ფრანგი მწერალი ანდრე მორუა ასე ახასიათებდა: „XIX საუკუნე მანქანების საუკუნე იყო. ჩვენ ვნახეთ, როგორი იმედები ჩაუსახა ხალხს ამ „ფორმულების ტრიუმფმა“. დიდ იმედებს დიდი გულგატეხილობა მოჰყვა. მეცნიერული მეთოდების წარმატებით გამხნეებულ, ზუსტი მეცნიერების განვითარებით გაბრუნებულ მწერლებს სჯეროდათ, რომ ამ მეთოდებს ადამიანის შესასწავლადაც გამოიყენებდნენ. მეცხრამეტე საუკუნეში სულიერი ფა-

* ედგარ ალან პო, „პოეტებსა და პოეზიაზე“, კრებული „ესეები“, თბ., 1989, გვ. 198.

სეულობები ბევრმა ფილოსოფოსმა უკუ-
აღგო, თანაც დაუსაბუთებლად და უსაფუძ-
ვლოდაც. ვინაიდან, დაკვირვება გვიჩვენებს,
რომ ადამიანში სული არ არის ნაკლებად
მნიშვნელოვანი, ვიდრე ფიზიკურ-ქიმიური
კავშირები. ადამიანის დამოკიდებულება
თავისი თავისადმი იცვლება. მას უკვე აღარ
სწამს საკუთარი ძლიერება. მეცნიერების
ეპოქაში პიროვნება კარგავს უნარს თავის
ენერჯის წყაროდ შეიგრძნოს⁹. ინდოელ
ასკეტს და კათოლიკე წმინდანს სწამთ
ადამიანის იღუმალდი ძალაუფლება საკუ-
თარ სხეულზე და გარეშე სამყაროზე. მეცხ-
რამეტე საუკუნის მეცნიერს კი მიაჩნია,
რომ ჩვენში ყველაფერი მექანიკურად ხდება.
სამწუხარო ხვედრია, რომელიც ადამიანს
ადამიანისადმი რწმენას უკარგავს.¹⁰

სულიერ ფასეულობათა გაუფასურებ-
ის ეპოქაში მაინც არსებობდნენ პოეტები,
რომლებიც, ანდრე მორუას სიტყვით რომ
ვთქვათ, „უფსკრულის თავზე ცეკვავენდნენ“,
მიუხედავად იმისა, რომ „ბედისწერის
ბოროტი ძალები ადამიანის წინააღმდეგ
შეთქმულებას აწყობდნენ...“¹¹ ისინი სხვე-
ბზე უკეთ გრძნობდნენ სასტიკი ეპოქის
სულს და ასახავდნენ კიდევ მას თავიანთ
შემოქმედებაში.

გაოცებას იწვევს ამ პოეტების არსე-
ბობა. როგორც ალექსანდრ ბლოკს აო-
ცებდა ედგარ პოს ცხოვრება XIX ს-ში,
ასევე აოცებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის
იმდროინდელ ეპოქაში არსებობა კიტა
აბაშიძეს;

ჩვენნი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრე-
ბაში მართლა რომ ლიტერატურის საო-
ცარ მოვლენას შეადგენს რაღაც უცნაუ-
რობით ცით მოვლენილი ეს გენიოსი პო-
ეტი...ო, წერდა „ეტეულებში“.

ღიას, სწორედ სულის დაკნინების ეპო-
ქაში, როდესაც ნამდვილი პოეზია თითქ-
მის აღარავის სჭირდებოდა, ეპოქაში, როდესაც
მატერიალურმა საწყისმა დაჩრდილა
სულიერი ფასეულობები და ადამიანის
სული თითქმის უმნიშვნელო გახდა, ქვეყ-
ნიერებას მოევლინა ორი გენიალური პო-

ეტი, თავიანთ სიცოცხლეში შეუმჩნეველი,
სიკვდილის შემდეგ კი — მხალი მსოფ-
ლიო პოეზიის მესაძირკველებად აღიარე-
ბულნი, — პოეტები, რომლებმაც თითქმის
ერთდროულად შექმნეს თემატიკითაც და
სიმბოლიკითაც ერთმანეთის მსგავსი
შედევრები, თანაც ისე, რომ ერთმანეთის
არსებობაზე არაფერი იცოდნენ და, ამდენ-
ად, არც ერთი მათგანი არ განიცდიდა
მეორის გავლენას.

XXI საუკუნის გადასახედიდან შეი-
ძლება ითქვას, რომ ედგარ პოს „ყორანი“
იყო წინასწარმეტყველება XX საუკუნის
შავბნელი მოვლენებისა, მთელი იმ შავბ-
ნელი ეპოქისა, რომელიც თავს დაატყდა
კაცობრიობას XIX საუკუნის შემდეგ (ანუ
ედგარ პოს ეპოქის შემდეგ).

ასე რომ არ იყოს, ეს ნაწარმოები დღეს
მთელ მსოფლიოში შედევრად არ იქნებო-
და აღიარებული.

ედგარ პო წერს:

„მოდი, არაფერს ვიტყვი ლექსისთვის,
თავისთავად ზედმეტ მიზეზსა — თუ, ვთქ-
ვათ, აუცილებლობაზე — რამაც განმაზრახ-
ებინა შექმნა ლექსი, ერთდროულად რომ
დააკმაყოფილებდა ხალხისა და კრიტი-
კოსთა გემოვნებას...“

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მთავარი
სწორედ მიზეზია, რამაც პოეტს განაზრახ-
ებინა შექმნა ლექსი... ამაზე კი ედგარ
პო არაფერს ამბობს. საფიქრებელია, რომ
ეს მიზეზი იყო გარემომცველი სინამდვი-
ლის აგრესია და ცინიზმი, პოეტის ირგვ-
ლივ შექმნილი სულისშემზუთველი, დამ-
აბრკოლებელი, სულიერების უარყოფე-
ლი ატმოსფერო, რაც მას ტკივილს აყ-
ენებდა. დედამიწაზე გამეფებულმა ამ ავის-
მომასწავებელმა, მარადიული ღირებულე-
ბების უარყოფელმა ატმოსფერომ, რაც
ურწმუნობის ნაყოფი იყო, თავისი ცინიზმითა
და აგრესიით სატანური სახე მიიღო. ეს
„უხილაკი მტერი“ პოეტის ფსიქიკაში შავბ-
ნელი აჩრდილის სახით აღიბეჭდა, ხი-
ლული გახდა და ყორნის სიმბოლოთი გამ-
ოიხატა. პოეტს თავზარი დასცა გარდასახ-

⁹ ანდრე მორუა, „ლიტერატურული ეტიულები“, თბ., 1988, გვ. 330-331

¹¹ იქვე, გვ. 294



ვამ: სინათლის — სიბნელედ, სიკეთის — ბოროტებად, სიცოცხლის — სიკვდილად ქცევამ, სამოთხის ჯოჯოხეთად შეცვლამ, ამქვეყნიური მშვენიერების გაცამტვერებამ, სამყაროს მარადიულობის რწმენის დაკარგვამ... მას დაეუფლა წინათგონობა, რომ ასეთი მეტამორფოზა კაცობრიობას ვერაფერს სასიკეთოს ვერ მოუტანდა, „აღარასოდეს“ განმეორდებოდა ბედნიერი ცხოვრება დედამიწაზე, თუ აღამიანთა მოღვაძე სატანას დაემონებოდა... „აღარასოდეს!“ — ცინიკურად უმეორებს სატანის აზრილი, ანუ ყორანი, პოეტს... აღამიანი უმწეოა რწმენის გარეშე მით უმეტეს, მაშინ, როცა პირისპირ რჩება სატანურ ძალასთან... ეს არის რწმენის ტრაგედია. ეს XIX საუკუნეში დაწყებული „სულის კრიზისის“ ნაყოფია. ედგარ პომ თითქოს იწინასწარმეტყველა „ღმერთის მოკვდინების“ ეპოქის დადგომა... მსოფლიოში გამეფებულ ცინიზმი და აგრესია იყო ამის მიზეზი.

ედგარ პო წერს:

...შეიძლება ითქვას, რომ ლექსი იწყება ბოლოდან, საიდანაც ხელოვნების ყოველგვარი ნაწარმოები უნდა დაიწყოს — რადგან პირველად კალამი ფურცელს სწორედ აქ, ამ სტროფის შესათხზავად შევახე.

„წინასწარმეტყველო“, ვთქვი მე, „ბოროტო სულო! წინასწარმეტყველო. ფრინველი ხარ თუ სატანა! გაფიცებ ზეცას, თავს რომ დაგკურებს — გაფიცებ იმ ღმერთს, ორივე რომ ვეთაყვანებით, უთხარი ჩემს დასევდილ სულს, იმ შორეულ ქვეყანაში თუ გადაეხვევა ნეტარად შერაცხილ ქალწულს, ვისაც ანგელოზური სახელი ჰქვია — ლენორი“. თქვა ყორანმა: „აღარასოდეს...“²

ამის შემდეგ ედგარ პო მსჯელობს თავისი ლექსის ვერსიფიკაციაზე, თითქოს ცდილობს, წინასწარ შეეკამათოს პედანტურად მოაზროვნე კრიტიკოსებს, რომლებმაც, შესაძლოა, არასწორად ახსნან ლექსის სხვადასხვა ნიუანსი. კრიტიკა ხომ, ხშირ შემთხვევაში, არაკეთილმოსურნედ

არის განწყობილი ყოველივე ორიგინალურის მიმართ.

ედგარ პო დაწვრილებით, ამომწურავად განიხილავს „ყორანის“ ვერსიფიკაციას. იგი ცდილობს, მკითხველისთვის გასაგები გახადოს თავისი ჩანაფიქრი, ხსნის, რატომ შეარჩია მოქმედების ადგილად ჩაკეტილი სივრცე, ანუ ოთახი:

„ჩაკეტილი გარემო ყველაზე უკეთ ჰქმნის განმარტოების ეფექტს: — მას აქვს ისეთივე ძალა, რაც ჩარჩოს სურათისათვის“.

პოეტი გვიხსნის იმასაც, თუ რატომ შემოიფვანა ფრინველი ფანჯრიდან: ამბობს, რომ ამას ცნობისმოყვარეობის გასაღვევებად აკეთებს, მაგრამ მკითხველს აქ მაინც შეიძლება სახარებისეული შეგონება გაახსენდეს: „ის, ვინც ფანჯრიდან შემოდის, ქურდია“...

ეს უცნაური სტუმარიც ქურდია, ის ცდილობს, რწმენა მოჰპაროს მასპინძელს, რასაც გარკვეულწილად ახერხებს კიდევ ლექსის დასასრულს. ყორანი ერთდროულად შემზარავიც არის და სასაცილოც; შემზარავია თავისი სისასტიკით, სასაცილოა თავისი ამპარტაუნებით. სატანის მთავარ თვისებას — უფალთან მეტოქეობას — ის აუღენს თავხედობით, მბრძანებლობით, თითქოს ამქვეყნად ერთადერთი კანონმდებელი იყოს. მას თითქოს გადაწყვეტილი აქვს, წერტილი დაუსვას პოეტის ყველა ოცნებას, იმედს, მისწრაფებას. სიტუაცია ტრაგიკომიკურია. განსაცდელად მოვლენილი აზრილი თითქოს ბედისწერის განაჩენს კითხულობს, როცა პოეტის (იგივე მიჯნურის) ყველა კითხვაზე ერთადერთ სიტყვას პასუხობს: „აღარასოდეს“!

ყველაფერი მისულია სიცხადის, რეალობის მიჯნამდე, — წერს ესეში ედგარ პო, — ყორანი, მექანიკურად რომ დაუსწავლია ერთადერთი სიტყვა „აღარასოდეს“, და პატრონს გამოქცევია, შუალამისას, ქარიშხლის მძვინვარებას იძულებული გაუხდია თავშესაფარი ეძია ფანჯარაში, სადაც სინათლე გამოკრთოდა — სწავლულის ოთახის ფანჯარაში, სწავლულის,

² კრებული „ესები“, თბ. 1989, გვ. 213



ვინც წიგნებს ჩაჰკირკიტებს და თან დაკარგული სატრფო ახსენდება. ფრინველის ფრთების ტყლაშუნზე დარაბა ილება და ფრინველი თვითვე აკაკუნებს ყველაზე მოსახერხებელ ადგილას სწავლულის სიახლოვეს, სწავლული გაცოცხლებულია ამ შემთხვევით და სტუმრის საქციელის უცნაურობით და ხუმრობით ცდილობს, ისე, რომ პასუხს არ ელოდება. მისი სახელის გაგებას, ყორანი შეკითხვებზე პასუხობს დასწავლული სიტყვებით „აღარასოდეს“.

ედგარ პო მხოლოდ ეს სეს დასასრულს ამბობს მთავარ სათქმელს — იმას, რომ ყორანი სიმბოლოა. მთავარი სწორედ ეს არის, მაგრამ თუ ვისი ან რისი სიმბოლოა ყორანი, ამას პოეტი გამოცანად გვიტოვებს, სიმბოლოს ხომ შთაგონებული გამოცნობა სჭირდება, როგორც ცისფერყანწველები ამბობდნენ...

ედგარ პოს ეს ლექსი, გარკვეულწილად შეიძლება წინასწარმეტყველებად ჩავთვალოთ. თუ ვივარაუდებთ, რომ ყორანი არის სიმბოლო იმ შავბნელი ეპოქის სულისა, რომელიც ედგარ პოს სიცოცხლეში ჯერ მხოლოდ იწყებოდა.

ჭეშმარიტი პოეზია თავისი ბუნებით ირაციონალურ საწყისს ემყარება, ამიტომაც არის, რომ ხშირად პოეტი ამბობს იმას, რისი გამოთქმაც მეცნიერებას (ანუ გონების, რაციონალური აზროვნების ნაყოფს) არ ძალუძს. ეს რაღაც ამოუხსნელ მოკლენას, ნათელხილვას, წინასწარმეტყველებას ჰგავს.

„ყორანშიც“ ამგვარ მოკლენასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე წინასწარ გათვლილი კონსტრუქციის აგებასთან, რომელიც, თვით ედგარ პოს სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „მათემატიკური სიზუსტითა და სიმკაცრით არის განსაზღვრული“.

როგორც აღვნიშნეთ, ფანჯრიდან შემოჭრილი ყორნის აჩრდილი თავისებურ გამოცხადებას ჰგავს, ოღონდ უფლის კი არა, ეშმაკის აჩრდილის გამოცხადებას, ანუ იმ შავბნელი ძალისა, რომელიც „ღმერთის მოკვდინების“ ეპოქაში უფალს მე-

ტოქეობას უბედავდა, მაგრამ სატანურ აჩრდილთან, დემონთან საუბარი, არაერთარ შემთხვევაში, სატანიზმის გამოვლინებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მსოფლიოს მრავალ საუკეთესო პოეტს მიუმართავს თავის ლექსებში დემონისათვის, ლუციფერისთვის, მეფისტოფელისთვის (ლერმონტოვი, ბაირონი, ვოეთე, ბარათაშვილი და სხვ.), მაგრამ ეს ეშმაკის გმობაა და არა თავყანისცემა. ასეა „ყორანშიც“, რადგან „დემონის“, „სატანის“, ანუ ყორნის გამოცხადება პოეტის აღშფოთებას, შეძრწუნებას იწვევს.

ყორანს, ამ დაუპატივებელ სტუმარს, პოეტი უწოდებს ბოროტ სულს, დემონს, სატანას, კეთილის მეტროპოლს და მიატებელს. ყორნის დემონური, დაუნდობელი, ურცხვი თვალები დასცინიან ადამიანურ გრძობებს, „ბილწი ხიზანი“ ცდილობს, პოეტის სულში გაბატონდეს, ჩააგონოს მას, რომ „აღარასოდეს“ არაფერი აღარ მოხდება ისეთი, რაც ამ ადამიანს თავისუფლებას დაუბრუნებს. ბოლოს ეს სატანური მცდელობა პოეტის სასოწარკვეთილებას იწვევს:

*„და ჩემი სული მისი ლანდისგან...
არ განიყოფა აღარასოდეს.“*

ლექსი თვრამეტი სტროფისგან შედგება და ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონი მთავრდება სიტყვებით „არაინ“, „არაფერი“, „აღარასოდეს“:

- „მხოლოდ სტუმარი და სხვა არაინ.“*
- „მარტოლენ ლენორი და სხვა არაინ.“*
- „სტუმარი-მეტი და სხვა არაინ.“*
- „მხოლოდ წვედიადი, სხვა არაფერი.“*
- „მარტოლენ „ლენორ“, სხვა არაფერი.“*
- „მარტოლენ ქარი, სხვა არაფერი.“*
- „ბოლო ყორანმა: „აღარასოდეს.“¹¹*

ამის შემდეგ ლექსის ბოლომდე ყოველი სტროფი მთავრდება სიტყვით „აღარასოდეს“. ამ რეფრენით ცხადი ხდება, რომ დემონი, ყველაფრის უარყოფელი ძალი,

¹¹ ედგარ პო — „ყორანი“, თარგმანი გ. ნიშნაიანისა



ადამიანს აიბულებს, თავადაც ყველაფერი უარპყოს, უზენაესი სიკეთის — ღმერთის რწმენაც კი. ლექსში უიმედობის, განწირულობის, ფატალიზმის, ღმერთისგან მიტოვებულობის განცდა ჩანს. ეს სისუსტედ ითვლება, მაგრამ — თვით ღვთის ძესაც ხომ წამოსცდა ჯვარცმისას:

„უფალო, უფალო, რად მიმატოვე მე?“

ჩვეულებრივი, მიწიერი არსებისგან, ადამიანისგან, მით უმეტეს, არ უნდა იყოს ასეთი სისუსტე გასაკვირი.

ედგარ პო და ნიკოლოზ ბარათაშვილი თავიანთი ფილოსოფიური აზროვნებით უსწრებდნენ დროს, ეპოქას, — ალბათ, ამიტომაც არ ესმოდათ თანამედროვეებს მათი ქრისტეც კი „სოფელმან ვერა იცნა...“

წინასწარმეტყველი, ბიბლიის მიხედვით, არასოდეს არის დაფასებული თავის ქვეყანაში, თავის დროში.

მაგრამ ბიბლია ამასაც ამბობს:

„ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა...“

(გაგრძელება იქნება)



ზენა ნოზაქი

ძსელში

“5 წლის შემდეგ მხოლოდ გაგვეცინება იმაზე, რასაც დღეს ტელევიზია ჰქვია. უახლოეს წლებში ტელევიზია არსებითად გარდაიქმნება. რის შედეგადაც ტელევიზიისა და პერსონალური კომპიუტერის საბოლოო შერწყმა მოხდება”

(ბილ გეისი. დავოსის ეკონომიკური ფორუმი.)

„ხაზები და „გვირაბები

ინტერნეტ-ტელევიზიისა და ვიდეო-დემოკრატიის ეპოქა უკვე დადგა! მსოფლიო ვირტუალური ქსელი, რა ხანია, არამარტო „ონლაინის“ (ანუ, ხაზების) უთვალავი ძაფითაა მოქსოვილ-დაქსაქსული, არამედ, ურიცხვი ვირტუალური გვირაბითა და მილითაც (ანუ, Tube-ით), რომელთა საშუალებითაც მთელ პლანეტზე ვიდეო მიმოიქცევა და დღეს ინტერნეტ-ტრაფიკის (მოძრაობის) 60% პროცენტი უკვე ვიდეოა.

– ვიდეოს გადაცემის ხარჯების მკვეთრი შემცირება და იმ აუდიტორიის გაზრდა, რომელსაც განსაკუთრებული რაღაც სწევრია, იმას მოასწავებს, რომ, ნებისმიერს, ვისაც ნოუთბუქი აქვს, შესაძლებლობა ეძლევა: შექმნას, ნახოს და გადასცეს პრაქტიკულად ნებისმიერი სახის ციფრული პროდუქცია. რამაც ცალკეული პიროვნებები დიდი კინო-ინდუსტრიის მეტოქედ აქცია. დიდებულ ფილმებს პოლიფუდში მუდამ გადაიღებენ, მაგრამ, ამერიდან, შანსი უკვე ერთ კაცსაც აქვს! – აცხადებს ჩად პარლი, რომელმაც თავის მეგობართან სტივ ჩენთან ერთად საიტი „YouTube“ შექმნა, რომელიც, სულ რაღაც წელიწადნახევარში, ვიდეო-მიმოქცევის გიგანტად იქცა და ახლახან 1,65 მილიარდ დოლარად გაიყიდა.

– „მე რეკლამას ვთხოვ და ეს მე

ვბადებ შენს ტეინში სურვილებს და გეკარნახობ, რა უნდა იყიდო! და, ამასთან, ყველაფერს ვიღონებ, რომ მოთხოვნა ვერასოდეს დაიკმაყოფილო და მიზანს ვერაფრით შევწვდე..!“ – 21-ე საუკუნის მიჯნაზე, ფრედერიკ ბევბედერის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ ბესტსელერში „99 ფრანკში“ გამოთქმულ ამ ფრაზას, ცოტა ხნის წინათ, ვერაფერს ვუპირისპირებდით. მაგრამ, ორიოდე წელია, მსოფლიოს წამყვანმა მარკეტოლოგებმა აქამდე მორჩიდ და დამყოლ აუდიტორიაზე აზრი შეიცვალეს: „მომხმარებელთა ახალი თაობა უკვე ამბობს –თქვენ კი არა, თავად ვწვევტ, რა ავირჩიო! ამიტომ, დღეს, არანეულებრივი მომენტია ინტერნეტში ვიდეო-მარკეტინგის დასამკვიდრებლად. საამისოდ ყველა პირობა მომწოდდა. კომპანიებს კარნახი აღარ ძალუძთ! და ურთიერთობის გასაბმელად სულ სხვა ხერხებსა და ფორმებს უნდა მიაგნონ.“ – მიიხნევენ „American Express“-ის მთავარი მარკეტოლოგი ჯ. პეისი (ეურნალი „Forbes“-ი).

ინფორმირება, როგორც ცნობილია, ამასთან ფორმირებაცაა. ამიტომ, როგორც ტოტალური ქვეყნები, ისე კაპიტალისტური სამყაროც, საბოლოოდ ერთნაირ შედეგამდე – დეფორმირებულ საზოგადოებამდე მივიდა, რადგან, ერთიც და მეორეც (პირველი – ბოლშევიკური იდეოლოგიით, მე-



ორე – კი რეკლამით) სწორედ პიროვნების თავისუფალ და დამოუკიდებელ აზროვნებას უპირობოდ უზრუნველყოფს. რადიო-ტელევიზიის, ქუჩის პლაკატებისა თუ ბილბორდების კარნახით ისევე გაჯერებული, როგორც წინათ, კომპარტიის დადგენილებებით იყო. რის გამოც, მოქალაქეებს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი საერთოდ დაუნდუნვდათ. მაგრამ, თავდაცვისა და მოგერიების იმუნიტეტი, აუდიტორიას როგორც ჩანს, თანდათან მაინც გამოუმუშავდა და აღარ ემორჩილება, წინააღმდეგობას უწევს რეკლამის ბრძანებას. ირეკლავს, აღარ რეაგირებს ტელევიზიის აგრესიაზე, რომელიც „მაუწყებელი“ კი არა, მოლაპარაკე, მყვირალა სუპერმარკეტია, რა ხანია!

ინტერნეტში „მოხეტიალე“ (სწორედ ეს სიტყვა „რამბლერ“ ჰქვია რუსეთის ყველაზე პოპულარულ საინფორმაციო-საძიებო სისტემას) პასიური ტელე-მაყურებლისგან სწორედ თავისუფლების ხარისხით განსხვავდება და რეკლამასაც სხვა გზა აღარ დარჩენია, ამ ახალ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს.

გლობალური ქსელის ლაბირინთებში მოყვარულთა ვიდეოს გვერდით უკვე სახელგანთქმული ავტორებისა და რეჟისორების სარეკლამო რგოლებიც ბრუნავს და მაღალი რეიტინგისთვის იბრძვის. მსოფლიოს ყველაზე უფრო ცნობილი და მდიდარი ბრენდები სამოყვარულო კინოს ინტერნეტ-ფესტივალებისა თუ ქსელში გამართული კონკურსების ორგანიზატორებად გვევლინებიან და აუდიტორიის გულის მოსაგებად სხვადასხვა ინტერნეტ-პროექტების დაფინანსებაზე სიაშოვნებით თანხმდებიან. უარს რატომ იტყვიან, როცა მომხმარებელს ამით საკუთარ საფირმონიშანსაც ამახსოვრებენ და ფულსაც შოულობენ. მაგალითად, გასულ შემოდგომაზე, საიტი „YouTube“-ის კონკურსმა „ანდერგრაუნდმა“, რომელიც ტელე-პროექტ „American idol“-ის ინტერნეტ-ანალოგიაა, რამდენიმე მილიონიანი მოგება ისე მოუტანა მის ორგანიზატორებს, რომ სამთვი-

ანი სარეკლამო კამპანიისთვის ცენტის გადახდაც არ დასჭირვებია. დღეს ინტერნეტი რეკლამის სტრატეგიულ რესურსადაა აღიარებული.

როგორც მსხვილი, ისე საშუალო და წვრილი ბიზნესი ქსელში უკვე მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს. კონტექსტური რეკლამა, როგორც მარკეტინგის ახალი ინსტრუმენტი, ზრდის ტემპებით ხომ სწრაფად დაწინაურდა, მაგრამ უკვე საერთო მოცულობითაც აღარ ჩამოუვარდება სხვა მედია-საშუალებებს. შარშან, რუსეთში ზრდამ 110 მილიონი დოლარი შეადგინა, ანუ 2,5 –ჯერ მოიმატა, ხოლო მისმა მოცულობამ, პირველად გადაუსწრო სხვა საინფორმაციო საშუალებების ბაზარს, არა მარტო ზრდის ტემპით, არამედ, საერთო მონაცემებითაც და 200-მილიონიან ზღვარს გადააბიჯა.

ინტერნეტ-სამყაროს ყველა რეკორდს ახლაც, როგორც ათი წლის წინათ, ისევ ამერიკული კომპანიები ამყარებენ. მაგრამ, ყოფილ პოსტ-საბჭოთა ვირტუალურ სივრცეშიც სენსაციური ძვრებია! 2007 წლის იანვარში განხორციელებული გარიგებებით, როგორც ამბობენ, რუსეთის ქსელში პირველი ბუმი და ისტორია დასრულდა და ახალი, ბევრად უფრო მძლავრი ციებ-ცხელება დაიწყო. თუმცა, რა თქმა უნდა, იმასაც აღიარებენ, რომ პირველი ეტაპი 21-ე საუკუნისათვის შეუფერებლად გაჭიანურდა. რადგან, 8-10 წლის წინათ დაბანდებულმა ინვესტიციებმა მოგება ახლად მოიტანა, ოღონდ, ასმაგად!

1999 წელს, როცა რუსულენოვან ინტერნეტში უფასო ელექტრონული ფოსტის „Mail.ru“-ს სერვისის მფლობელმა „Port.ru“-მ აქციების 20% 940 000 დოლარად გაყიდა, უპრეცედენტო მოვლენად ეს ჩაითვალა. მაგრამ, ამ წლის დასაწყისში, სამხრეთ აფრიკულ მედია-ჯგუფს იმავე „Port.ru“-ს აქციების 30%-ში უკვე 165 მილიონი დოლარის გადახდა მოუწია... (ანუ, 120-ჯერ გაძვირდა) და თანაც, იმასაც აღვნიშნავთ, რომ კომპანია 2003 წლამდე ჯერ ისევე წამგებიანი იყო და მხოლოდ 2005-ს გამოაცხადა თავის პირველი მოგება – 3 მილიონი დოლარი. დრო, როგორც ამბობენ,



ფულია და ამჟამად, ყველაზე მაღალ ფასად სწორედ საწყის ეტაპზე შექმნილი „ბე-ბერი“ საიტები იყიდება. ანუ, ვინც მძიმე წლები გადაიტანა და ყველაფერს გაუბლო. მაგალითად, მედია ჯგუფის „Rambler.ru“-ს საკონტროლო პაკეტი, რომელიც 1996 წელს რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდის მიერ ერთადერთი სერვერითა და ცარიელი ენთუზიაზმით შეიქმნა, მიმდინარე წლის დასაწყისში 300 მილიონ დოლარად გაიყიდა. მოკლედ, ის დრო უკვე დადგა, როცა მილიონების ბრუნვა პოსტსაბჭოთა კომერსიული სივრცეშიც აღარავის უკერს.

www.ge.

ზემოთ მოყვანილი ციურები, ჩვენი ბაზრის მასშტაბებიდან, რასაკვირველია, ასტრონომიულად მოჩანს, მაგრამ ბოლო პერიოდში, დრო ქართულენოვან ქსელშიაც თანდათან აჩქარდა და პლანეტის საერთო ცვლილებათა ფონზე გე-სივრცეც აშკარად აწრიაღებული და მოლოდინით აფორიაქებულია. ჩვენი ბაზრის ხელში ჩასაგდებად ორი უძლიერესი ტექნოლოგიური კომპანია „მაიკროსოფტი“ და „ლინუქსი“ ეცილება ერთმანეთს და საერთოდ, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს „დოდის“ ყველა მონაწილე სტარტზე დგას და რბოლის დაწყების სამზადისშია: ძალები ისინჯება, ფორუმებისა და კონფერენციების წესები და ტექსტები იხვეწება, ინტერფეისებისა და ძრავების განახლებაზე ფიქრობენ, ტერმინებს თარგმნიან, უახლეს ტექნოლოგიებს სწავლობენ, ახალ-ახალი საიტები და ორგანიზაციები ყოველდღე რეგისტრირდება და საერთო ფონზე უკვე არა ერთი პერსპექტიული ახალგაზრდის პორტრეტიც გამოიკვეთა, რომელთაც ეტყობათ, რომ ამ სფეროში ამირებენ დაწინაურებას და ფულის შოვნას და გაფაცოცებით ელოდებიან შესაფერის მომენტს, ანუ, ჩვენი ქსელის გაფართოებას და განვითარებას.

და დიდ ამბებს მართლაც უნდა ველოდეთ! აპრილის დასაწყისში, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის მთავრობათა უმაღლესი პირები კიდევ ერთი გრანდიოზული

პროექტის, ოპტიკური კაბელის მაგისტრალური ხაზის – „ტრანსაზია-ვიდეოპის“ („ტაე“) განხორციელებაზე შეთანხმდნენ და წლის ბოლოს მშენებლობაც იწყება. მაღე პროექტში საქართველოსა და თურქეთის მხარეებიც ჩაერთვებიან და შექმნილი კონსორციუმი ჩრდილო-სამხრეთის დღეს მოქმედ ხაზებს ალტერნატიულ მაგისტრალს დაუპირისპირებს, რაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ინფორმაციის მიმოქცევას მკვეთრად გააიფებს. შავ ზღვაში ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ფართო ზოლიანი კაბელები ჩაიდება... და, ამ ჩქაროსნულმა „სუპერ-მატარებელმა“ უჩვენოდ არ უნდა ჩაიქროლოს, მით უფრო, რომ ჩვენი ხალხის მთავარი სიმდიდრე – ტენი და ნიჭი ინტერნეტში საუკეთესო რესურსი და კაპიტალია და მერე რა, რომ სხვებზე გვიან ჩავერთეთ.

ეს ჩვენი სფეროა და იქ სასწაულები წარამარა ხდება! და, ჩვენს მცირერიცხოვნობასაც დაბრკოლებად ნურავინ მიიჩნევს იქ, სადაც ფანტასტიკური იდეის, პროგრამის მოფიქრებაა ყველაზე მთავარი და დანარჩენი მერვა!

ამის დასამტკიცებლად, ისევ გლობალური ქსელის ერთ-ერთი მკერობელისა და ვიდეო-გადაცემების ვირტუალური გიგანტის „იუთუბის“ მაგალითს მოვიყვან, რომელიც რეალობაში, „უზარმაზარი“ სულაც არ არის და მთელ მის ინტერნეტ-იმპერიას 70-80 კაციანი კომპანია მართავს და მილიონებსაც აკეთებს.

„ონლაინში“ დაწინაურებას, დღეს, უკვე ბევრი „ოფლანში“ (ანუ ქსელს- გარეთ) ლიდერობაზე მნიშვნელოვნადაც მიიჩნევს, ვინაიდან, კონკურენტები მარტო ხარისხითა და პოპულარობით იზომებიან. ეს ის საამყაროა, სადაც არც ბარიერები არსებობს და მანძილი, დრო და ლიცენზიებიც არავის აბრკოლებს... არც ჩვენი მეზობლის ტანკები დგანან და აღარც მისი ცენზურის „ფილტრები“ გვბლოკავენ.

ღიახ, ეს ნამდვილად საჩვენო ასპარეზია!

და აქ ერთ ასეთ პატარა დეტალსაც ვახსენებ, რათა ჩვენს შანსებს პერსპექტივაში გადავხედოთ: ი. ვეკუას სახ. 42-ე

სკოლის მოწაფეთა გუნდი ევროპაში გამართულ ფიზიკა-მათემატიკის ოლიმპიადებში ყოველწლიურად მონაწილეობს. წასასვლელ თანხას ძლივს აგროვებენ, მაგრამ იქიდან საპრიზო ადგილის გარეშე ჯერ არ ჩამოსულან. გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა თუ რუსეთის გუნდებს უწევენ ღირსეულ მეტოქეობას და ვინ იცის, იქნებ, გლობალური ქსელის რომელიღაც ახალი „მეფე“ ანდა ვუნდერკინდი სწორედ ჩვენი ვახისუბნიდან, ანდა რომელიმე მივარდნილი ქართული სოფლიდან მოველნოს ინტერნეტს. ორი წლის წინათ, ვერც „იუთუბის“ შემქმნელი ორი ბიჭი წარმოიდგენდა, რომ მათი ხუმრობა-ხუმრობით მოფიქრებული საიტი წელიწადნახევარში 1,65 მილიარდ დოლარად გაიყიდებოდა, მაგრამ ახლა რომ ჰკითხოთ, ესეც არ ჰყოფნით და 74-მილიარდიანი ინტერნეტ-ინდუსტრიის ფორმირებაც შესაძლებლად მიანიათ.

მოჯადოება

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის ინტერნეტში მასობრივად ჩართვის მომენტში ის საფრთხეც არ უნდა გამოგვეპაროს, რომელიც ჩვენს კარზეც მოაკაკუნებს, როგორც კი კომპიუტერს ყოველ ოჯახში დაედგამთ. მოხმარების სწორი კულტურის გარეშე გამომთვლელი მანქანა გემთანთქავს და აქვთ გამოგვიყენებს და ვისაც ეჭვი ეპარება, გადახედოს სხვადასხვა ქართულ ფორუმებსა თუ გასართობ საიტებზე გამოქვეყნებულ მოზარდთა ბლოგებს (დღიურებს) და მათ ჩატებსაც (ჭორაობასაც) მოუსმინოს: არაერთი ახალგაზრდა დღეში უკვე 10-15 საათს ატარებს მონიტორთან. გამოთენისას წყევბიან, ანდა, სულაც მოციმციმე კერანთანვე იძინებენ მოჯადოებულებივით, რომ გაღვიძებისთანავე, პირდაპირად ეღვიანის იხვე კლავიატურას მიუსხდნენ. რომელი თვალები და ხერხემალი აიტანს ასეთ ძალმომრეობას და გნებავთ, ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას... და ადამიანი უსულლო ტექნიკის კონკურენციას ვერც უძლებს!

და იმ უბედურებათა სია, რომელსაც კომპიუტერის მანია ავრცელებს, თარბების ფიზიკური ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესებით იწყება და ტვინისა და გენეტიკის ცვლილებებითა და გადაგვარებითაც არ მთავრდება – დანარჩენს მერე მოგვიანებით აღმოვაჩინებთ. ტელევიზიით, კომპიუტერით, მობილურით, თამაშებითა თუ სხვა მანქანებით მანიაკური გატაცება პიროვნებას დუპავს. პარადოქსულად ელერს, მაგრამ: „პროგრესს“ კაცობრიობის ცხოვრების ხარისხს კატასტროფული დაქვეითებისკენ მიჰყავს“ (ზურაბ კაკაბაძე, „ფილოსოფიური საუბრები“). „საჭირო აღარაა ატომური ბომბი, ტექნიკა უამისოდაც აღმოგვეხერის“ (მარტინ ჰაიდეგერი, ეურნალი „Spigel“-ი). უკიდურესად ავტომატიზირებულმა და კულტურისგან განმარცხებულმა რეალობამ ადამიანის გადაგვარება და გაცოფება გამოიწვია, რასაც მას-მედია ვითომ მეტისმეტად განიცდის, როცა სინამდვილეში, თავადაა მთელი ამ საციფეთის, ისტერიისა და სინასტიკის მაპროვოცირებელი და გნებავთ, ავტოატორიც. ვინაიდან, ის საშინელი „ნიუსები“ არ უნდა გამოეფილოს, რომელსაც ყოველ საათში ავტომატის ჯერივით გვახლის, დღეში 24-ჯერ გამეორებული ერთიდაიგივე ვითომ „ახალი“ თუ „სპეც. გამოშვებებით“ და შოკისგან გაშეშებულებს, ამასობაში, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ტვინში გაღიმებულ რეკლამას გვიტენის, თანაც, „მაუწყებლობისა“ და „რეკლამის კანონით“ დადგენილი ყველანაირი ნორმის დარღვევით. რომელი ერთი ჩამოთვალაო: რეკლამის განთავსებისას ხმის დონის ინდიკატორის ხრიკებით დანარჩენი პროგრამის მუდმივი გადაფარვა, თუ ის, საათში მარტო 12 წუთი რეკლამის გავრცელების უფლებას რომ იძლევა „რეკლამის შესახებ“ კანონი (დროის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს და ამასთან, ჯამში საერთო საეთერო მოცულობის 15%-ს არ უნდა აჭარბებდეს, ამიტომ, საშუალოდ უფრო მცირეც- 8-9 წუთი გამოსდით, როცა თითო „ბლოკი“ გრძელდება ხოლმე ამაზე მეტ ხანს და ინტერვალიც 4-5 წუთამდეა ხშირად შემოკ-

ღებულის, როცა, გადაცემის 20 წუთზე ადრე გაწვევტა კანონით აკრძალულია).

წესებს რომ არ არღვევდნენ, წარმოიდგინეთ, როგორ ამოვიხსენთ ქვედით და შერე, იქნებ, ვინმე „მთუწყებლობის“ კანონით მოთხოვნილ „მრავალფეროვნებაზე“ დაფიქრებულიყო, თორემ, გაფუჭებული პატერონივით ერთიდაიგივე იფორმაციას, ანდა გაუთავებელ „იდიოტურ სერიალებს“ (რ. სტურუას ფრაზაა) ატრიალებენ. საბედუმო გადაცემათა წამყვანები პარალელურად ლატარიების სარეკლამო „სახეებიც“ არიან და ბილეთებს პირდაპირ ზღაპრების პერსონაჟები ავრცელებენ, რათა მოზარდები აზარტულ თამაშებში ადრეული ასაკიდანვე ჩაითრიონ; პოპულარულ ჟურნალისტებს „ჯეო“- თუ სხვა „ბარ-ამტანების“ ოთახებიდან პირდაპირ რეპორტაჟები მიჰყავთ და „ბარ-რინგების მართონებისა“ თუ სხვა აწვევტილი დროსტარების „შედგების“ გამოცხადებთაც დაწვებულა 9 საათზე „კურიერი“ და თან, რომელიღაც ფან-კლუბისა თუ ბარის „პრომო“-მაისურებში გამოწვობილებიც გამოგვცხადებთან სტუდიაში „სოლიდური“ წამყვანები, რაც, სხვათაშორის, ასევე აკრძალულია კანონით.

ჩვენმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დარღვევები მტკვრის ფსკურიდანაც კი ამოწმრკა და „საგადასახადო ინსპექცია ლიფსიტებს შავ ზღვაშიაც კი ითვლისო!“ -ამაყად აცხადებდა, ამას წინათ, ერთ-ერთი პოლიტიკოსი, მაგრამ, მას-მედლის სიხარბეს და სარეკლამო განუკითხლობას რატომდაც ვერაინ ამწვევს და ტელევიზიაც გვიტევეს როგორც აზროვნების, ისე ქვეცნობიერების მანიპულირების ტექნოლოგიებით და ყველაზე მეტად ამით, რასაკვირველია, მოზარდები ზარალდებიან და მათი ინტერესების დამცავი კანონებიც მუდმივად ირღვევა. ლექსს ვერ გეტყვიან (როგორც იცით, „წიგნები საჭირო უკვე აღარ არის“), მაგრამ, სამაგიეროდ, მთელ სარეკლამო რეპერტუარს სიტყვა-სიტყვით ჩამოგირაკრაკებენ: რა ქნან, მათი ასაკისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული აქმის წყალობით თავისით ამახსოვრდებოთ. მაგრამ, მალე ის დროც

დადგება, როცა მას-მედლის „ლადიოტანტობაცა“ და კომპანიებიც აშკარად დააფიქსირებენ, რომ აუდიტორია „დაწვრულა“ და „გაქცევის“ სერიალის სანახავად ინტერნეტში გაიქცა, სადაც „სამაუწყებლო ბადეს“ თითოეული საკუთარი სურვილით ადგენს და რას? როდის? და რა დოზით უყუროს, თავად გადაწვევტს. საკუთარ ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული ტელევიზია და მისი „ოფიციალური“, „გზნ.“ თუ სპეც.“ სპონსორ-პარტნიორები (ისე, ვინც „ოფიციალური“ არ არის, არაოფიციალურად ანუ, არაღვალურია და თან, ამას პირდაპირ გვიცხადებენ „ისეთი №1 ევროპულ ქვეყანაში“, როგორც საქართველოა), ეტყობა, ჯერ ვერ ხვდებიან, რომ აუტანელი ძალმომრეობით „ბაზარს“ თავად ანგრევენ და თუ ამ ტემპით ივლიან, ბილ გეთსის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ტელევიზია 5 წელიწადში პოზიციებს დათმობსო“, ადვილი შესაძლებელია, ჩვენებს გაცილებით ადრე აუხვტ და რეკლამის შემკვეთები, მაგალითად, „დასის“ რომელიმე გადაცემას თუ თავადაც დააკვირდებიან, აუცილებლად იგრძნობენ, რომ ძირითად აუდიტორიას უკვე პირველივე „სარეკლამო ბლოკის“ ჩართვისთანავე კარგავენ.

დასახიზრებული ცხედრების და კატასტროფების „შოუს“ ისედაც ვეღარ აუუდივართ, როგორც ეკრანზე, ისე რეალობაში და ახლახანს, სკოლებში დატრიალებულ ტრაგედიათა „სერიალის“ შემდეგ გაიშიფრა, რომ ე.წ. „სიხსლიანი კვირა“ ტელევიზიას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი პროექტის „პრომოშუენისთვის“ (ანუ, „გაქაჩვისთვის“) დასჭირვებია (პროექტაციული მარკეტინგი და Event-მომსახურება, ანუ, მარკეტინგული მიზნით რაიმე მოვლენის ორგანიზება და გამოყენება მარკეტინგის ეფექტური მიმდინარეობებისა: სამაგალითოდ დიდი ბრიტანეთის რომელიღაც არანორმალური სკოლა მოუქმნიათ და ვიდეო-თვალთვალისა და პოლიციური რეჟიმის გადმოღებას ჩვენთანაც გვგმავენ, რაც, თითო სკოლას, თურმე, მილიონი დოლარი დაუჯდება! გუგონება, გაკვეთილების შემდეგ მო-



ფარგულელ ჩიხებში ვეღარ დაერევიან ერთ-მანეთს, ანდა, სულაც დღისით, მზისით, პირდაპირ ეზოებში მოერიდებათ და დან-ას აღარ გაუყრიან, ანდა ტყეებს ვეღარ დაახლიან თანატოლს უბრალო „დადობისთვის“! ვიდეო-თვალი შეაჩერებთ? როცა, რასაც სხადიან, საკუთარივე მობილურებით აფიქსირებენ და მერე ამ „კინოს“ პოპულარობის მოსახვეჭად საიტებზეც აქვეყნებენ. მაგრამ, მკვლელიც და მოკლულიც ორივე ჩვენია! და, უკულტურო გარემოსა და არანორმალური აღზრდის მსხვერპლსა ორივე! შეიღებენ შოუბიზნესსა თუ სხვადასხვა „ბანაკებს“ თვითონ მივეუდეთ საექსპერიმენტოდ და სკოლებში ვიდეო-პოლიციური რეჟიმის დანერგვა ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავს და დაამძიმებს. რადგან, ანტიდამიანური გარემოა! და ამაში დასარწმუნებლად შორეულ ძვირადღირებულ მივლინებებში გამგზავრება საჭირო არ იყო და აქვე შეეძლოთ შეეხედათ „ამტანების“, „ჯეობარების“ თუ „ყაზარმების“ კამერებიან ბუნკერებში. ხოლო, განათლებული და მოწინავე ევროპისაგან ჯობია, კულტურის დაფასება და პატივისცემა ვის-წავლეთ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დაწერა დომენიკ დე ვილპენმა ესე - „გორგულის ძახილი“, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის ბესტ-სელერად იქცა და რომელშიც ეს უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწე თანამედროვეობის ყველა უბედურებათა პანაცეად კულტურას მიიჩნევს! ჩვენი დედაქალაქის მერიის კულტურის სამსახურის ყოფილმა უფროსმა და მივლმა საკონკურსო კომისიამაც, რომელმაც, შარშანწინ, აღნიშნული „სამსახურის“ ახალი შემადგენლობა „დააკომპლექტა“, ჟურნალი „მნათობი“ რომ აღარ გამოდიოდა, მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ, შემთხვევით, ჩემგან შეიტყვეს. წიგნი წლების განმავლობაში რომ არ გადაუფურცლავს, ისეთი ჩინოვნიკი სფეროს რომ უხელმძღვანელებს და მისნაირივე კომისია „კოლექტივს“ შეგვირჩევს, რა თქმა უნდა, მხოლოდ „მაჯღაჯუნები“ მოგვეღანდება! მწერლობა არ უნდათ, თორემ,

ძვირადღირებულ სანახაობებში მილიონები ნიავედა. „გვექნება კულტურა, გვექნება მომავალი“ - ეს აფორიზმი ამ საუკუნის „მაშველი რგოლია“ და ვიდეო-კამერების რეჟიმითა და ახარტული თამაშებით კი არა, კულტურის სამყაროს კეთილისმყოფელი ზეგავლენით უნდა აღეზარდოთ შეიღები და ის მილიონები შოუებისა და ვიდეო-თვალთვალისთვის რომ გვემეტება, სულის განვითარებას უნდა მოვახმართ, რომ რეალობის დახშულ ბუნკერებში ქანგბადი შემოიჭრას:

„ყველაფერი რაც გაქვს და გვექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის და ყოველივეს ჯობია სამი რამ: პირველი - შრომა, მეორე - შრომა და მესამე ისევ შრომაო!“ - მოსიყვარულე მამამ და სამშობლოს ზეარაკად შეწირული მწერალმა მ. ჯავახიშვილმა „ჩვენი დროის 10 მცნება“ მარტო თავის პატარა ქეთევანს კი არა, მთელ შთამომავლობას დაგვიტოვა, მაგრამ როცა ყველა რუპორი და არხი „ითამაშე და მოიგეს!“ - გაკივის, აბა, სად სცალიათ წიგნისთვის თანამედროვე სკაუტებს და მართულებს?

თამაშობენ კიდევ და მარტო აგებენ! და ვისაც პრიზი ხვდება, ისიც წაგებულა, ვინაიდან, სანაცვლოდ კაზინოს სამუდამო მარიონეტი ხდება და რაც მოიგო, ადრე თუ გვიან, სისტემა უკან მიატანინებს.

ახარტით მოწამლული თაობა იმდენად ეფექტურად იმართება, რომ ფანების მობილიზებული მასა სმს-შეტყობინებათა გაგზავნის აქციას უკვე „სამხედრო იერიშებად“ აღიქვამს: „აბა, ჭურვები მოვიმარაგოთ და ხარბახნები (ანუ, მობილური ტელეფონები) დავეტენოთ და წინ შეტევა ზევეუო!“ - ასეთი ყიჟინით „უტყვენ“, ანუ, მონო-ბარათებს ხარჯავენ... და შოუს ე.წ. „სარეკლამო პლატფორმის“ გარანტირებული შემოსავლები რომ აღარც დაეთვალათ, მხოლოდ სმს-ზარებით მაგალითად, „ჯეობარის“ მარტო ერთმა „ლიავმა“, რომელიც ტელეკომპანიის მიერ იმ წლის მთავარ მოვლენადაც გასაღდა, ზომბირებულ აუდიტორიას, ერთ საათში, 100 000 ზარით 50 ათასი ლარი

წავლიჯა და პროექტი „დასიც“ კი, რომელიც ყოველ შაბათს მხოლოდ 3-15 ათას სმს-ზარს იღებს (რაც ამ ჩვენს „მოიერი-შეებს“ იმდენად ეცოტავათ, რომ „ხურ-დაც“ კი უწოდეს), 13-კვირიანი მართონით, დარაზმულ მოზარდებს თავის ანგარიშზე დაახლოებით 40-50 ათას ლარს გადაარიცხინებს...

– „ეს საზარელი ექსპერიმენტი!“ – წამოიძახებს გამომძივებული „გელოდი“, როცა ადამიანი-რობოტების ოფისში საკუთარ ასლს „არწოდოს“ ნახავს, – „ისინი ზეთანამედროვე შენობებს აგებენ, რათა ჩვენი პატარა ეზოები მოგვიშალონ...“ – და დამწყებ არტისტთა „დასი“ ხუთშაბათის 30-წუთიანი სპექტაკლებით სადღეღამისო შოუს მთელ დანარჩენ უაზრობას ებრძვის, რომელიც ურიცხვი კამერით ამჯერად, თავად რუსთაველის თეატრში დაბანაკებულია და „პოლიგონი“ მართლა ექსპერიმენტული სცენა კი არა, ახალგაზრების სულელობა, როგორც მონაწილეების, ისე მავურებლების...

ოღონდ, თეატრში 200 ადგილია, როცა ტელევიზიის აუდიტორია მილიონებით იზომება და თუმცა, ის სპექტაკლებიც თავისებური „მაშველი რგოლებია“, რომელსაც პროექტის მონაწილენი ყველა მხრიდან ჩასტიდებიან, გამარჯვება მაინც შოუს დარჩება და მისი მანერ სულექცია დიდ თეატრს ღირსეულ კანდიდატს ვერასდროს შეურჩევს. ტალანტებისა და ეუნდერკინდების გამოსავლენად „პოეტებისა და მოაზროვნეების“ სახელმწიფოები ჩვენსავეთ ლატარიებს და თამაშებს კი არ შესწერებიან, არამედ, სულ სხვა სისტემებს მიმართავენ და, სხვათაშორის, მომავალი „ინტელექტუალური ელიტის“ აღზრდაზე რუსეთშიც უკვე ბევრს ფიქრობენ და როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ფონდები ძალისხმევას არ იშურებენ, ე.წ. „Дарохранители“-ებს (ანუ, ნიჭიერთა სასწავლებლებს) საგანძურივით ეპყრობიან და გულუხვად აფინანსებენ.

– „საზოგადოებამ თავად უნდა იზრუნოს, რომ ტალანტებმა კუთვნილი ადგილი დაიკაონ. რადგან, როცა ნიჭს გზას არ ვუხსნით, მაშინ უარყოფითი შერჩევა მიმ-

დინარეობს“ – მიიჩნევს დიმიტრი ზიმინი - ფონდი „დინასტიის“ დამაარსებელი და სახელგანთქმულ სკოლა-„ინტელექტუალის“ ერთ-ერთი მსხვილი სპონსორი. კომუნისტური იმპერიის ცენტრი „ტიენენეს“ 15 რესპუბლიკიდან იწოვდა და ამასობაში, რუსებმა სწორად მოქცევაც ისწავლეს, როცა ჩვენ – გენეტიკით რაინდები, პირიქით, ნიჭიერთა თავიდან მოშორებას და განდევნას დავეწვიეთ და „რეალური შოუების“ ყოველდღიური გაკეთილები და მეთოდოლოგიადა გვაკლდა, როცა, ისედაც ყველაფერს ვაერთნაირებთ და ვაპრიმიტიულებთ და ამის ერთ-ერთ გამოვლინებად ზემოთ ნახსენები 42-ე სკოლისთვის, „ფიზიკა-მათემატიკურის“ სტატუსის ჩამორთმევა და მისი დანარჩენ საჯარო სასწავლებლებთან გათანაბრებაც მიმანია, როცა პირიქით, გამორჩეული შზრუნველობითა და დაფინანსებით მისი განსაკუთრებულობა უფრო უნდა გამოგვეკეთა, თუ ტალანტებს მართლა დავეძებთ. აზარტულ ექსპერიმენტში იმდენად ღრმად შევტოპეთ, რომ, ახლახან, სკოლების დირექტორებიც კი „ლოტორონს“ შევარჩევინეთ და ფორტუნამ, როგორც ტელე-ინტერვიუდან გაირკვა, აღნიშნული სკოლა ისეთ კანდიდატს არგუნა, რომელსაც ამ დიდი ტრადიციების მქონე სასწავლებლის შესახებ არც კი სმენია და თუ შემთხვევით მათემატიკაც არ უყვარს, ტესტებისა და ლატარიების ასეთი გაფიქტიშებით კიდევ ერთ ჩვეულებრივ, სტანდარტულ სკოლას მივიღებთ. ავტომატიკა და ტელე-მეჭიანიკა პატარა დარგო იყო, რომელიც ახლა მთელ სახელმწიფოს მართავს და ადამიანს – „მოაზროვნე ღერწამს“ პირველ რიგში სწორედ აზროვნების ფუნქციას უუქმებს, რადგან, აბსურდულ სისტემას ჭანტიკები სჭირდება. საქმე რომ გაკეთდეს, სწორი პრინციპებით უნდა ვიმოქმედოთ, თორემ, მანერ კონკურსები („დასისა“ და „ბარ-ამტანებისა“ არ იყოს) „ობიექტურობის“ რანაირი პიარ-კამპანითაც არ უნდა შევფუთოთ, მაინც ბლუფია და თან, როცა მრავალსაფეხურიანი ტესტო-ბარიერების გადალახვის შემდეგ (რომელში წარმატე-



ბაც არაფერს ნიშნავს, ვინაიდან, აღმინის-ტრაცია აღნიშნულ აქციას მხოლოდ სარეკლამო მიზნით იყენებს), ფინალში შეხასხველელ „საშვებს“ მაინც ისეთი ე.წ. „კომისია“ იძლევა, როგორც ზემოთ უკვე ვახსენე და რომელიც თავადაც მხოლოდ „მექანიზმია“, რომელმაც სისტემაში თავისუფლად და დამოუკიდებელად მოაზროვნე პიროვნება არ უნდა დაუშვას, ანდა, სულ სხვა „ადგილზე“ უნდა მოახვედროს, რომ აბსურდის ბორბალმა ისევ შეუფერხებლად იბრუნოს...

„გლობალიზაციის ემისრები ცდილობენ, სივრცე, რომელიც აქამდე ეროვნულ ენერგიად გარდაქმნილ ქართულ კულტურას ეყრდნობა, გლობალიზაციის დამკვიდრების პლაცდარმად აქციონ“, თვითგადარჩენის ინსტინქტი კი ნებისმიერ ერს სრულიად საპირისპიროს კარნახობს და მიზნად საკუთარი კულტურისა და თვითმყოფადობის წარმოინებებს უსახავს.

და როგორც მე-19 საკუნეში „წერაკითხვის გამავრცელებელ“ მოძრაობას ქმნიდა ქართველობა, ისე ახლა, „მნათობის“ გამავრცელებელი საზოგადოება“ გვეჭირდება, სადაც „მნათობს“ ზოგადად კულტურის სიმბოლოდ წარმოვიდგენთ.

ეს პურნალი 30-იანი წლების ჯოჯოხეთში ხელდაუქარებელი გამოატარა ქართულმა საზოგადოებამ (თუმცა, საუკეთესო მოღვაწეთა სიცოცხლის სასწორზე დადების ფასად). „კომუნისტური რადიაციით მოწამლულ უსახტიკეს სივრცეშიც“ შევინარჩუნეთ და ამ ე.წ. „რევილუციურ“ ეპოქაში შეველიეთ და როცა რედაქტორმა თ. ჭილაძემ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერ მინისტრს „ღია წერილით“ მიმართა და „საუკუნოვანი ლიტ. პურნალი-გახეთების, ანუ ჩვენს მიერ ბევრჯერ ნაცადი ქვეშეხების ჩანუშება“ იმ საბედისწერო შეცდომას შეადარა, როცა მტრის გააფთრებული იერიშების დროს სოხუმიდან მძიმე ტექნიკა გამოვიტანეთ, ვითომც არაფერი მომიხდარიყოს, დღემდე რეაგირება არ ყოფილა და შედარებისთვის: სწორედ იმავე პერიოდში გამოქვეყნდა ავსტრიული ავანგარდისტული ლიტერა-

ტურის პატრიარქის აღფრედ კლდეჩიხის ინტერვიუ (ეურნალი „Иностранная литература“), სადაც აღწერილია, თუ რა მოხდა გრაცში, როცა დაფინანსება ეურნალ „მანუსკრიპტს“ შეუწყდა: მთელი სახელმწიფო ფეხზე დადგა! სენსაციად იქცა! 40-50 ყველაზე ცნობილი ავტორი ამ ფაქტს წერილით გამოეხმაურა და რაც მთავარია, ისეთი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია, რომ ტირაკი მკვეთრად ავარდა, ვინაიდან, პასუხისმგებლობა ყველამ გაიზიარა და მაშინ, ეურნალი მხოლოდ 8 წლისა გახლდათ, თორემ, ახლა როცა მეთხუთხედი საუკუნე შეუსრულდა, შეხებას ვინ გაუბედავს? მთავრობის შუამდგომლობით, ყოველწლიური სუბსიდიებით უზრუნველყოფილია.

– „მე გამადლობთ, დახმარებისათვის რომ მომმართეთო!“ – „მნათობის“ აღდგენის პრევენტაციაზე გამოთქმულ მადლიერებას საქართველოს კათალიკოსპატრიარქმა ასე თავმდაბლურად უპასუხა და ჩვენ ვაშაყობთ მისი სიტყვებით და განსწავლულობით, მაგრამ „მნათობის“ მხარდაჭერა თითოეული მოქალაქის მოვალეობაა და არ უნდა დავეშვათ, რომ ყოველი მომდევნო ნომერი ისევე დახუთვის საფრთხის წინაშე იდგეს. მისი დღევანდელი ტირაკი მხოლოდ საკუთარი სიბრმავის გასაზომად გამოგვადგება, თორემ, „მნათობის“ მნიშვნელობას ამით არაფერი აკლდება და პრობლემები ისევ თავად გვექმნება. რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გადაბალოს შეძლებულმა კაცმა შვილი, ყველგან ეს პრობლემები მივინვარებს. უფრო სწორად: ნიმილიზმის კომპარები სწორედ ცხოვრებამოყირვებული ქვეყნებიდან ვრცელდება ჩამორჩენილებზე, რადგან, დაცული „სათბურები“ და „ბუნკერები“, გლობალურ საუკუნეში მართლა აღარ არსებობს და რასაც ფრანგი ბეგბედერი ამბობდა ამერიკაზე: „მათი პრობლემები ჩვენია და ჩვენი, პირიქით, მათიო!“, ჩვენც იგივეს გამოვრება შეგვიძლია. ყველა ქსელშია! „www“-მ დრო, მანძილი, ნებისმიერი მიჯნა თუ განსხვავება საბოლოოდ წაშალა და სწორედ მაშინ დაგვეტაკება შეილებების თაობის რომელიმე გლობალ-

ური პრობლემა, როდესაც სულ არ ველო-
დებით და რაც ყველაზე დაცული გვეო-
ნია, „სულის კიბო“ სწორედ მის წიაღში
აფუთფუთდება და გამოსავალი იქაც და
აქაც ერთადერთია: კულტურის „კიბით“
სულ „წინ“ და „მაღლა“ უნდა ვიაროთ
ადამიანობისკენ...

ილუზიის ნაცვლად ნაღდი

ადამიანისა და კულტურის თავგადა-
სავალი გადაბმულია. კულტურის შემქმ-
ნელი არსებაცა ვართ და მის მის მიერ
დაბადებულიც. —“ვაა, მეტი რაღა გინდათ,
ოქროს კვერცხი დამადებინეთო“—თავადაც
გაოგნებული წამოიძახებს „დასის შოუს“
ცალთვალა ჯუჯულა, მაგრამ, ყველაფრის
ფულად და ოქროდ გადაქცევა საჭირო
არ არის! „კულტურა უმაღლეს ხარისხში
აყვანილი ბუნებრივობაა. მდინარე თავის-
ით მიედინება, სახლი მიესადაგება რე-
ლიეფს და არ ამპარტავნობს არემარეზე.
მცხეთის ჯვარი არ ბატონობს ბორცვზე,
მის ბორცვის გვირგვინია, მისი ფორმის
დასრულებია“— გვიხსნის პროფ. ზ. კიკნაძე.
ამ წლის ბოლოს, პროექტი „ირმის ნახ-
ტომით“ საქართველოს მთელი განათლებ-
ის სისტემის ინტერნეტში ჩართვა დას-
რულდება. ახალი თაობა ვირტუალურ
სივრცეშიც ისევე ბუნებრივად გრძნობს
თავს, როგორც რეალობაში. ურთიერთო-
ბენ, ფორუმებზე აზრის გამოთქმას სწავ-
ლობენ, ხან გულიანად იცინიან, ხანაც
ბრაზისგან ნაპერწკლებს ყრიან და
ემოციებს „ლიმილაკების“ პალიტრით ხატ-
ავენ; იმ თავიანთ სტიქიურად მოწყობილ
კონფერენციებზე, როგორც ტექნიკის, ისე
ენის საკითხებზეც ენერგიულად
მსჯელობენ, უცხოურ ტერმინებს ქართულ
შესატყვისებს უძებნიან, რჩევას ითხოვენ
და კიდევაც იძღვევიან, განსაკვიფრებელი
გულახდილობით ხან ერთ საერთო დღი-
ურს ავსებენ და ხანაც, ხაღვაც განმარ-
ტობულები პირად საიტებს თხზავენ,
ზოგჯერ უკანასკნელი სიტყვებით იგი-
ნებიან, მაგრამ, სიყვარულსაც ხშირად აქვე
უხსნიან ერთმანეთს... და მათ ინტერნეტ-
თაობა ჰქვიათ! სულ სხვა ტემპი აქვთ და
სამყაროსაც სულ სხვანაირად აღიქვამენ

და გეინდა თუ არა, სხვა გზა არა გვაქვს
— უნდა შევეყვით. რადგან, რეგულარულად
სწორედ შეილებია.

ოღონდ, უსაცრავად, „მერსედესით“ ვერ-
აინი შეგრიადდება. „იქ“ ავტორიტეტს
მხოლოდ აზრები ძერწავენ და დღეს, როცა
ნობელის პრემიის ლაურეატებიდან დაწ-
ყებული ჩემი პატარა ქალიშვილით
დამთავრებული, ყველა გლობალურ ქსელ-
ში ბლოგავს და საკუთარი ფეხის მოსა-
იდებლად ადგილს იმკვიდრებს, ქართულენ-
ოვანმა ვირტუალურმა სამყარომ გაფარ-
თობებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ში-
ნარსი და ცოდნის შექმნის, შემცენების,
პიროვნების განვითარების, ანუ, კულტურ-
ის ატმოსფერო უნდა შექმნას, რაც მო-
მავალში ჯანსაღი საზოგადოებრივი
აზროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ
როლს შეასრულებს, ვინაიდან, ამ საუკუ-
ნის მთავარ სასწაულებს ინტერნეტიდან
უნდა ველოდეთ...

ახალგაზრდობა წიგნებს ქსელში გაქ-
ცა, მაგრამ იქაც ბიბლიოთეკები უნდა
დახვედრ. სხვა ქვეყნებში ყველა უმნიშ-
ვნელო მწერალსაც კი საკუთარი ვებ-
გვერდი აქვს. ანუ, გამომცემლობების წარ-
მომადგენლებთან, მკითხველებთან შეხ-
ვედრის ადგილი, სადაც აზრის და შთაბე-
ჭდილებების გამოთქმა შეიძლება და ახ-
ალი ნაწარმოების მოლოდინის განწყობ-
ილებაა შექმნილი. თანამედროვე გლო-
ბალურ სამიხეობ სისტემებს, იმდენად
მძლავრი რობოტი-ძრავები ემსახურება, რომ
რომელიმე წვრილფეხა იუზერის ნიციც
კი (ინტერნეტ-მეტსახელია) რომ შეუკვე-
თოთ, რომელსაც, რომელიდაც ფორუმზე,
ოღესმე, სადმე, თუნდაც ერთხელ, ხმა
ამოუღია, რამდენიმე წამში მის ასავალ-
დასავალსაც კი მოგიძებნის, მაგრამ ნო-
ბელის პრემიის ნომინანტი ქართველი
მწერლის გვარ-სახელიც რომ დაწერთ,
სამიხეობ სისტემა ცარიელ ფურცელს
გაბრუნებს. იმიტომ რომ, ქართული კულ-
ტურის პოპულარიზაციისათვის თავი
არაეის შეგვიწუხებია.

ქართულ წიგნს, აზროვნებას დიდი
სივრცეების დაპყრობა შეუძლია, როგორც
რეალურის, ისე ვირტუალურის და დროა,

პროვინციალიზმისა და უწიგნურობის ნაჭუჭი გამოვანგრიოთ და ინტერნეტში დრო მარტო სხვისი გადაღებული ფილმების ყურებით, „დუშაშუბის გაგორებითა“ და „კაიფით“ კი არ მოვკლათ, საქმეც გავეაკეთოთ! თორემ, გლობალურმა ქსელმა, მარტო შარშან, იმოდენა „პროდუქცია“ აწარმოა, წიგნებივით ერთმანეთზე რომ დაგვეწყო, დედამიწიდან მზეს 3-ჯერ მისწვდებოდა და იმის ნახვას რომ გადავევთ, „ავოუსა“ და „გოლის“ შიდა თუ სხვა გარე წარმოსახვით დარბაზებსა და კაზინოებში გაგვიტარებია მაშ მთელი სიცოცხლე კიბერნეტიკული საზოგადოება ცხოვრებას გაურბის და ნაღდის ნაცუღად ახლს, იმიტაციას, ილუზიას ეტანება, რაც არსებობას უაზრობად, უზარმაზარ სიცარიელედ გარდაქმნის, ხოლო კულტურა ჭეშმარიტი ორიენტირების დანახვაში, საკუთარი ინდივიდუალური სახის ფორმირებასა და რეალიზებაში გვეხმარე-

ბა. ამიტომ, სულიერი საზრდო უნდა მივაწოდოთ ახალგაზრდებს, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, მხატვრობისა თუ სხვა დარგების საგანძურისკენ გზა უნდა გაუუხსნათ... რადგან, ჩვენ, ანუ „იმპერიის სატუსაღოდან გათავისუფლებული პატიმრები“ გლობალური ქსელის ფართო და მრავალფეროვანი არხებითა და შესაძლებლობებითაც უნდა დაეუბრუნდეთ ევროპას – ჩვენს „მშობლიურ სახლს“, „კაცობრიობის კულტურის რეპერვუარს“, რომლისგანაც „არა მარტო ვსესხულობთ, რაც ჩვენი სულიერებისთვის აუცილებლად მიგვანინია, არამედ, როგორც ერთერთ უძველეს ევროპულ ერს საყურადღებო წვლილიც მიგვიძღვის ამ დიადი კულტურის შექმნასა და განვითარებაში“ (თ. ჭილაძე).

ამრიგად, „ევროპისკენ საკუთარი გზის გატრა დღეს სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა“ და ამიტომაც „სხვა ვარსკვლავს“ შინისაკენ უნდა მივდიოთ კიდევ...



ლავა ჩხარტიშვილი

არ ვინდობთ მიფისტოფელს!

(ლაშა ბულაძის „ნუგზარი და მეფისტოფელი“
ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე)

ახალგაზრდა ქართველ კაცს, რომელსაც თავის მოკვლა გადაუწყვეტია, მეფისტოფელი გამოეცხადება და, სულის მიყიდვის სანაცვლოდ, ამჟვენიურ დიდებას პპირდება. ხელშეკრულება, რომელზედაც სულგაყიდული ნუგზარი მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ აწერს ხელს, ვადაზე ადრე წყდება. მოტყუებულმა და გაუბედურებულმა „კლიენტმა“ ეშმაკისგან თავის დაღწევის მიზნით, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ხოლო ხელშეკრულების ავტორმა მეფისტოფელმა, საბოლოოდ დაკარგა „ეშმაკად მოღვაწეობის პატივი“, მას სამსახურიდან ითხოვენ. მეფისტოფელი პენსიაში გადის. იგი ახალი თაობის საეჭვო წარმოშობის მეფისტოფელმა შეცვალა.

ლაშა ბულაძის პიესა „ნუგზარი და მეფისტოფელი“, უკვე მესამედ განხორციელდა ქართულ სცენაზე. ამჯერად, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დაუპირისპირდა მეფისტოფელი „წარმოსახვით და გონებით ნულის ტოლფას“ ნუგზარს, ჩვენი დროის ახალ გმირს! ამ ორი პერსონაჟის კომიკური შეპირისპირება სცენაზე, ნელ-ნელა დრამატულ ელფერს იძენს და ისტორია ტრაგიკულად სრულდება. რეჟისორმა გიორგი თავაძემ მაყურებლის ყურადღება იმ პრობლემაზე გაამახვილა, რომელსაც ვაწყდებით ჩვენს ყოველდღიურობაში, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არასდროს ვანიჭებთ. დღესაც უამრავ გარიგებაზე გვიწევს წასვლა, სრულიად ბრმად, ყოველგვარი გათვლისა და მოტივაციის გარეშე ათასნაირ ხელშეკრულებას ვაწერთ ხელს, რომლის სავალალო შედეგზე ფიქრით არც ვიღლით თავს, იმიტომ რომ, არც ფიქრის უნარი შეგვარჩა. და სწორედ, ამ საკითხზე

დაგვაფიქრებს რეჟისორი თავისი ბრწყინვალე სპექტაკლით, რომელზედაც, როგორც თეატრალურ მოვლენაზე, იმედია, კიდევ ბევრჯერ დაიწერება ჩვენს პრესაში.

სიუჟეტის თხრობის გ. თავაძისეული მანერა დატვირთულია მეტაფორებით და ალეგორიებით, პარალელური მოქმედებებით და დიალოგებით, კონტრასტის პრინციპზე აგებული მიზანსცენებით, პერსონაჟთა მულტიპლ შეპირისპირებით ისე, რომ მისი „წაკითხვა“ ძალუხს ყველა ტიპის მაყურებელს. რეჟისორის მიერ შემოთავაზებული სიუჟეტის თხრობის, ჩვენში ნაკლებად აპრობირებული მანერა, ზუსტად „მოერგო“ თავაძის სპექტაკლის კონცეპტუალურ გააზრებას. პიესის დრამატურგიული ქსოვილის სიღრმეებში წვდომის და სიუჟეტის სრული შენარჩუნების სინთეზი სცენურ ნაწარმოებში დიდ სირთულეს წარმოადგენს არა მხოლოდ რეჟისორისათვის, არამედ მსახიობებისთვისაც. სიუჟეტის (დიალოგის) მოულოდნელი „ჩაქრა“ მორიგი ეპიზოდით და კვლავ წინამდებარე ამბის გაგრძელება, თუ დასრულება, დიდ ოსტატობას მოითხოვს სპექტაკლის ავტორისაგან. ფაქტია, რომ ამ რთულ მხატვრულ და ტექნიკურ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი ბათუმის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა.

სპექტაკლის სიუჟეტური კონსტრუქცია გამართულია და მრავალფეროვანი (რისი მიღწევაც ასე ძნელია თანამედროვე ქართულ თეატრში!). სხვადასხვა ემოციით და განწყობით დატვირთული ეპიზოდები დინამიკურად იცვლება. რეჟისორი ერთ სპექტაკლში, გარკვეულ სცენაშიც კი, ხშირად ცვლის ენარს, რაც პირველ რიგში მსახიობთა თამაშით ვლინდება, თანაც ისე, რომ ერთიანი დრამატურგიული ქსოვილის



ლოგიკური ნაწილი ხდება.

ბათუმის თეატრის ახალ სპექტაკლში ლირიკულ, დრამატულად დატვირთულ, იუმორისტულ და ტრაგიკულ მონოსცენებს, ბუნებრივად ენაცვლება მასობრივი სცენები, რომელიც მეტ ფერადონებას და კარნავალურობას ანიჭებს სპექტაკლს. გიორგი თავაძემ მონოლოგების დიალოგებით და პლასტიკური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ჩანაცვლების პრინციპზე ააგო ეპიზოდები. ის ძიებები, რომელზედაც ახლა ვსაუბრობთ, ჩანასახის დონეზე შეინიშნება რეჟისორის წინა სპექტაკლებშიც, თუმცა ბოლო ნამუშევარში რეჟისორული ფორმის ძირითადი პოსტულატები უკეთ გამოიკვეთა, რომელიც ჭერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

**რამ შიქანა გოთის „ფაუსტის“
ძარბაზის მხარე**

საყოველთაო ქაოსი და ომი ნებისმიერ ქვეყანაში საზოგადოების დეგრადაციას იწვევს. შესაბამისად, კრიზისშია პოლიტიკური აზროვნება და თავს იჩენს უამრავი სოციალური, ეკონომიკური პრობლემა, რაც თავის გარკვეულ ასახვას ჰპოვებს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. თითქოს, თავიდან იწყება ყველაფერი. ეტაპობრივად ხდება ისტორიული, კულტურული ფასეულობის აღდგენა-რეაბილიტაცია. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრი მაგალითია, როცა შემოქმედებითი კრიზისის აღმოფხვრა ადრეულ ეპოქაში მოპოვებული ღირებულებების ხელახალი გადამუშავების ხარჯზე ხდება. XX საუკუნის ბოლოს ევროპაში, სიტყვაკაზმული მწერლობის ახალი თაობის წარმომადგენლები (შესაბამისად ლიტერატურაზე დამოკიდებული სხვა სინთეზური ხელოვნების მესვეურებიც) იწყებენ კლასიკური ლიტერატურის საგანძურის ხელახალ გადამუშავებას, რომელმაც ბიჭი მისცა ძველი თემების ახლებურ, თანამედროვე გააზრებას. ამ პროცესებში ნაკლები აქტივობით, მაგრამ მაინც, ჩაერთო ქართული დრამატურგია, რომელმაც მეტნაკლები ასახვა ჰპოვა კიდევ თანამედროვე ქართულ თეატრში.

თანამედროვე ევროპულ სათეატრო ხელოვნებაში და დრამატურგიაში ნამდვილი

ბუზია ანტიკური მითოლოგიური თემების ხელახალ გადამუშავებაზე, საქართველოში ამ პროცესების გამოძახილად უნდა ჩაითვალოს გოთის „ფაუსტის“ თანამედროვე ქართული ადაპტაცია, რომლის ავტორიც ლაშა ბულაძეა. დოქტორი ფაუსტის და მეფისტოფელის ცნობილი ისტორია ახალგაზრდა დრამატურგმა ზუსტად მოარგო ქართულ ყოფიერებას. ამჯერად, მეფისტოფელმა სასიკვდილოდ გამზადებული ქართველი ნუნგზარისაგან უნდა იყიდოს სული. ბულაძის ისეული მეფისტოფელის ყოფიერებაში, პერსონაჟისთვის ნაკლებად ცნობილი, უცნაური და ორიგინალური სამყარო შემოდის: – საქართველო თავისი ექსცენტრიკული და რადიკალიზმით „დაჭილდოებული“ ხალხით, ურთიერთგამომრიცხავი ხასიათებით, მთელი რიგი ნაკლოვანებებით და ღირსებებით. ლაშა ბულაძე გვიხატავს ჩვენი დროის (და არა მარტო) უფუნქციო, ოცნებადამრეტილ, იმედგაცრუებულ და ნიპილისტ ქართველს, რომელშიც განსხეულებულია ქართული ხასიათის და ცხოვრების წესის ზოგადი პრობლემებიც. დრამატურგი ოსტატურად ხატავს ტიპიურ ქართველებს, რომლებიც ხასიათებიდან უამრავი დადებითი და უარყოფითი აღმანიშნავი თვისებით. მათ შეუძლიათ ერთგულებაც, დალატიც და უსაზღვრო სიყვარულიც. ლაშა ბულაძის გმირები ჩვეულებრივი მოკვდავები არიან თავისი ღირსებებით და სისუსტეებით. აღსანიშნავია, რომ ავტორი მეფისტოფელსაც აღმანიშნავებს, რადგანაც მასაც სტიკია, ალყაობა, განიცდის, ხოლო ეპიზოდებში დრამატურგი მას ქართული ხასიათის კონტექსტშიც კი აქცევს.

პიესა, რომელიც კომედიის ენარს მიეკუთვნება, გმირთა ტრაგიკულ მოტივაციას არ გამოირიცხავს. ფაქტურად, პიესის ოთხივე პერსონაჟი, მეფისტოფელის გარდა, ტრაგიკულად ასრულებს ცხოვრებას, რითაც დრამატურგმა ჩვენი დროის ჯოჯოხეთი წარმოგვიდგინა.

ახალგაზრდა დრამატურგი იუმორით მიგვანიშნებს ჩვენს მანკიერ მხარეებზე და გვიჩვენებს გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმით გამოწვეულ ტრაგიკულ შედეგს. იგი ხატავს ცხოვრებას, რომელიც სასევა წინააღმდეგობებით და ამავე დროს, უამრავი მომხი-



ბლავი, მაკდური შემოთავაზებებით, რომელსაც ადამიანად გარდაქმნილი ეშმაკი გვითავაზობს თავად; და თუ კი, მის შემოთავაზებულ ხელშეკრულებას მოაწერ ხელს, ეს მხოლოდ შენი დანაშაული იქნება. ცრუ ბედნიერებას და ამქვეყნიურ უკიდვგანო კომფორტს, გვიან, მაგრამ მაინც გმობს ბულაძისეული გმირი. ამიტომაც ის არის გმირი თავისი არსით, რომელიც სამაგალითოდ მსხვერპლად ეწირება თავისსავე დანაშაულს; ოღონდ არა ბრმად, არამედ გააზრებულად და გაანალიზებულად.

პერსონაჟთა საუბრის მანერა, სტილი და ინტონაცია ჩვენი დროის ყოველდღიური საუბრის სტილის ექვივალენტურია, რაც კიდევ უფრო ავლენს ეპოქის ბევრ ნიშანთვსებას და პერსონაჟთა ხასიათებს საყურადღებო შტრიხებს მატებს. ბულაძის პერსონაჟთა საუბრის მანერა ერთდროულად მიუთითებს მათ ინტელექტურ, ცხოვრების სტილსა და სოციალურ სტატუსზე. პიესაში არაერთხელ ვხვდებით ე.წ. უცენზურო სიტყვებსაც, რომელიც სცენაზე გათამაშებისას არ იწვევს გაღიზიანებას ყველზე პედანტ და კონსერვატორ მაყურებელშიც კი. იგი მაყურებლის მიერ აღიქმება ისე, როგორაც ააქედრა რეჟისორმა. იქნებ იმიტომ, რომ უცენზურო სიტყვების ინტენსიური გამოყენება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა?!

რისთვის ჩამოღის მავნისტოვალის თილისში?

წლიური გეგმის შესასრულებლად, „ბი-ანელთა“ დასარბევად და გასანადგურებლად, თუმცა უმთავრესი მისია ქართველი კაცის სულის ყიდვაა, რაც შესასრულებლად ერთობ რთული ამოცანა აღმოჩნდა მისთვის, იმის მიუხედავად, რომ ქართველი კაცის სულის შესყიდვა უპრეცედენტო დავალება სულაც არ არის მეფისტოფელისათვის. რამდენიმე ქართველთან მას აღრეც ჰქონია შეხება. ერთი შეხედვით ამგვარ უზნიშვნელო ნიუანსებს (მას რეჟისორი გაკვეთრად არ უსვამს ხაზს) გიორგი თავაძემ მკაცრებით ღრმა აზრობრივი დატვირთვა მისცა. მეფისტოფელი, რომელსაც დიდი ოსტატობით ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ტიტე კომპიტი, ბევრ საინტერესო ასოციაციას აღძრავს, რეჟისორმა მეფისტოფელის სახის

განზოგადებისას სიმბოლურად საქართველოს მაკდური მტერი მოიაზრა, ხოლო იგივე პრინციპით ნუგზარი თანამედროვე საქართველოს სახე-სიმბოლოა, რომელიც სიკვდილის კართან მისული კვლავ დადგა საბედისწერო არჩევანის წინაშე. ისევე როგორც საქართველოს, ნუგზარსაც დაავიწყდა, რომ „რაც ბრკვეიალებს, ყველა ოქრო როდია!“, იგი ჭერ მოხიზბული, შემდეგ კი მოტყუებული რჩება ეშმაკის შემოთავაზებით.

საქართველოში ჩამოსულ მეფისტოფელს ახალგაზრდა ნუგზარის გადაბირება უწევს. ეს პროცესი მისთვის გაცილებით რთული აღმოჩნდება, რადგანაც „დასაპყრობ“ ობიექტს, მოსახიზბლი შეთავაზებებიდან (გართობა, სიმდიდრე, დროში მოგზაურობა, სამყაროს საიდუმლოს გასაღები) აბსოლუტურად არაფერი აინტერესებს. მივლინებაში მყოფი მეფისტოფელი სრულ დაზნეულობაშია, აღშფოთებას ვერ მალავს იმასთან დაკავშირებით, თუ რა საშინელ, სურვილებდაცლილ და გაუნათლებელ თაობასთან უწევს მუშაობა დედამიწაზეც და ჯოჯოხეთშიც. თურმე მამათა და შვილთა ბრძოლა ჯოჯოხეთშიც გაჩაღებულა.

საიდან ჩამოღის? ვინ იცის? მისი ეროვნების დადგენა რთულია, იგი ყველგანაა და ყოველთვის, ყველაფერი ესმის და ფლობს უამრავ ინფორმაციას. სცენაზე გაციობლებული მეფისტოფელი, ესპანურად მღერის, თავისუფლად ლაპარაკობს ფრანგულად, ბრაზდება გერმანულად, ლათინურად ატარებს ნუგზარის და ჭეთუშას ქორწილის ცერემონიალს და ქართულსაც მშვენივრად ფლობს, იმ განსხვავებით, რომ აშკარად უჭირს ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელშიც ერთდროულად რამდენიმე თანხმოვანია თავმოყრილი.

ნუგზარისა და მეფისტოფელის შეპირისპირების ინიციატორი და მოვლენების წარმმართველიც მეფისტოფელია, იგი სექტაკლის უმთავრესი ლერძია. ტიტე კომპიტი პირველი გამოჩენიდანვე ახდენს არტისტულ ფეიერვერკს, იგი უნიტაზიდან გადმოღის ჩვენს ყოფიერებაში, მისი გამოჩენა მოულოდნელი და შოკისმომგვრელია არა მხოლოდ ნუგზარისთვის, არამედ პარტერში მსხლში მაყურებლისთვისაც. მსახიობი ოსტატურად ხატავს მეფისტოფელის მხატვრულ



პირობებს. იგი რადიკალურად იცვლება პირველი მოქმედების შემდეგ. მთლიანად იცვლის ხმის ტემბრს, საუბრის სტილს, მანერებს, ცვლის და ავლენს გმირის ხასიათის იმ ნიუნსებს, რომელიც პირველ მოქმედებაში თითქოს მიჩქალებული იყო.

ნუგზარს აქვს ბევრი ისეთი თვისება, რომელიც ვერასდროს გახდება სამაგალითო სხვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ნუგზარი იდეალური სახე არ არის, იგი მაინც გმირია. უაპრაზი შეცდომის მიუხედავად იგი არ იწვევს გაღიზიანებას, არც საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში გმობს მაყურებელი მას, პირიქით, თანაუგრძნობს. თუმცა დასაგმობია, როცა ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს, მაგრამ მან მოახერხა პროტესტის გამოხატვა. იგი მხოლოდ საკუთარ სინდისთან და პატიოსნებასთან დარჩა მართალი, რადგანაც მან, მონიანი ცოდვებით და გაიარა ტანჯვით საესე მძიმე გზა. სპექტაკლის ფინალში ნუგზარი დრამატული მუსიკის ფონზე დიდი წვალებით მიათრევს ნიჟარას სცენის სიღრმეში, რათა „ვენერას დაბადება“ საწყის პოზიციაში მოექცეს. სცენაზე იქმნება გოლგოთის გზის იმიტაცია.

მამუკა მანჯგალაძის ნუგზარი ვერ აღმოჩნდა ურყევი, მტკიცე ხასიათის. იგი საკუთარ უნებისყოფობას ავლენს ყველასთან და ყველაფერთან მიმართებაში, ისე როგორც, იოლად ბეზრდება ყველა და ყველაფერი. მასში გაღიზიანებას იწვევს ის, რაც ოდესღაც სიამოვნებას გვრიდა. მეორე მოქმედებაში, სულგაყიდული ნუგზარი ტრანსფორმირებულია, მსახიობი ხუმრობის ხერხით ამჟღავნებს მისი ხასიათის ცვლილებას, რაშიც მწარე სიმართლაც არის. გამდიდრებული ნუგზარი გარკვეულ მომენტში პიკონად იქცევა, ამ ყველაფერს იგი იუმორით ნიღბავს, მაგრამ როცა თავის მეგობარ გელას თავს მძინარედ მოაჩვენებს, ირკვევა, რომ იგი ახალმა ცხოვრებამ შეცვალა. საბედნიეროდ, საბოლოოდ ნუგზარი ხდება ამ საბედისწერო შეცდომასაც და იგი კვლავ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება. მამუკა მანჯგალაძის ნუგზარმა მოკლე ხანში გაიარა ტანჯვით საესე დიდი ცხოვრება, საკუთარ შეცდომებს შეეწირა და ჩვენ მაგალითი გვიჩვენა, რა საეალალო შედეგი მოაქვს დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს.

დისარტაცია თუ ბათსოვნება?

ქართული ქალი ყოველთვის იდგა არაპირთი არჩევანის წინაშე. ქალის გათხოვება ქართული მამის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ დღესაც, XXI საუკუნეშიც პრობლემა თავის აქტუალურობას არ კარგავს. სწორედ ქართველი ქალის ეს პასაჟი, დაყვანილი ტრაგიზმამდე იქცა დრამატურგის ირონიის საგნად. პირველი შემთხვევა არ არის, რომ ლაშა ბულაძე ქალს, განსაკუთრებით ქართველს, ირონიით ხატავს, თუმცა პიესის ერთერთი მთავარი გმირი ქეთუშა იუმორისტული პერსონაჟი უფროა, ვიდრე დრამატურგის დაცინვის ობიექტი. რეჟისორმა გიორგი თვაძემ კი მის ხასიათს მეტი ტრაგიკულობა და ლირიზმი შემატა. სწორედ, ქეთუშას ერთერთი მონოლოგიდან იცვლება სპექტაკლის ენარობრივი ხაზი კომედიიდან ჯერ ფსიქოლოგიური დრამისაკენ, ხოლო შემდეგ კლასიკური ტრაგედიისაკენ. ქეთუშა მსხვერპლი აღმოჩნდება ნუგზარის უაზრო ახირების. რეჟისორი გმირის ტრაგიკულ მოტივს ჩასწვდა და ამით მეტი სიმძაფრე მიანიჭა ქართველი ქალის არა ერთ პრობლემას. ისე როგორც ყველა მთავარი გმირი ამ სპექტაკლში, ეკა ჩავლეიშვილი ერთდროულად სხვადასხვა ენარში უწევს მუშაობა. მსახიობი ერთნაირი სიძლიერით ხატავს გმირის როგორც ტრაგიკულ, ისე კომიკურ ბუნებას. ეკა ჩავლეიშვილი ბუნებრივად ახერხებს თავისი გმირის წინარე ისტორიის თხრობასაც. მაყურებლისთვის იოლი დასადგენია, თუ რა გზა გაიარა ქეთუშამ, როგორ უკახში და რა ადამიანურ პრინციპებზე აღზრდილი, სრულად ნათელია მისი გმირის პიროვნული თვისებები. მსახიობი გამომსახველობითი საშუალებების ფართო გამოყენებით ავლენს გმირის სისუსტეებს, ჩვევებს, ქალურ ექსცენტრიკულობას.

ეკა ჩავლეიშვილის ქეთუშა გარკვეული თაობის თანამედროვე ქართველი ქალის არქეტაპია. სპექტაკლის ავტორები მას ხატავენ იმ ხვედრით, რომელიც ამ თაობის ქალთა უმრავლესობას ერგო: – მუდმივი ოცნება ოჯახის შექმნაზე, დაკარგული სიყვარულის ძიება, ცხოვრება „ვარდისფერი სათვალეებით“, ოცნებებით, რომანტიკით, რასაც ქალი, საბოლოოდ პირად ტრაგიზმამდე მიჰყავს.



ამ დროს კი, პირადი ცხოვრების მოუგვარებლობით დაგროვილ უშრეტ ენერჯიას, ისინი ცოდნის შექმნის დაუსრულებელ პროცესს ახმარენ. ხოლო როცა გამოჩნდება შანსი ისეთი ცხოვრების დაწყების, რომელზედაც მუდამ ოცნებობდნენ, დიღმის წინაშე აღმოჩნდებიან. რეისორმა ქეთუშას პერსონაჟი სპექტაკლის პირველ ნაწილში ღია ფერებში დახატა. მიაბიტი, მეოცნებე, გულწრფელი და დაბნეული ახალგაზრდა ქალი მყურდლის სიმპათიასთან ერთად თანაგრძობასაც იწყებს.

მსახიობი ეკა ჩაეღვიშვილი ქეთუშას პერსონაჟს ეტაპობრივად წარმოაჩენს, ჯერ იგი სიცოცხლის გერის მყურებელს, რომელიც მალევე გადადის ღირიზში და ტრაგედიას აღწევს, რომელიც განზოგადებულია. იგი ერთგვარი მსხვერპლია ჯერ ნუგზარის უაზრო აკვიტების, ხოლო შემდეგ მეფისტოფელის. ქეთუშას ცხოვრებაში ინტენსიური მოულოდნელობები საბოლოოდ მის გაგიჟებას იწყებს. სიგიჟის თამაში ნებისმიერი მსახიობისათვის ურთულესი თავსატეხს წარმოადგენს, ძველია თავი დააღწიო გაელენასაც. მსახიობმა ქეთუშას სიგიჟის სცენა გვიჩვენა ზედმეტი სტილიზებულიობისა და მანერულობის გარეშე. ეკა ჩაეღვიშვილი კუიდან გადაცდნის პერსონაჟს ხატავს როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც უბრალოდ არ აზროვნებს (შესაბამისად საუბრობს) მოვლენების აღქმებურად, მისი გმირი სიგიჟის და ჩვეულებრივი ადამიანის მდგომარეობის ზღვარზეა.

ცხოვრებამ საშინელი სიურპრიზი მოუზადა ქეთუშას: გათხოვდა, შექმნა ოჯახი, რომელიც მალევე დაიშალა, ამ ქაოსში დისერტაცია, რომელიც პირველ რიგში აღლუგებს მას, კვლავ დაუმთავრებელი დარჩა. იქნებ ამდენ დარტყმას ვერ გაუძლო ქეთუშამ და მისი გარდაცვალება ხსნის ერთადერთი გზაა.

კონსულტაციები, რომელსაც არავინ ითვალისწინებს

კოლორიტული პერსონაჟია გელა, ნუგზარის მეგობარი და მეზობელი, რომელსაც მსახიობი ზაალ გოგუაძე ასრულებს. მას კომერციული სასაფლაო აქვს გახსნილი და ეს ბიზნესია მისი ერთადერთი შემოსავალი,

რომლითაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ფინანსურად მის მრავალრიცხოვან ოჯახს, ბიზნესის წარუმატებლობით გამოწვეულ უკმაყოფილებას ცხოვრებაზე ემატება სიღვრე-სიმაჟირის მორალური ზეწოლა, რომელიც გულზე დაღად აწვეს მას. ზაალ გოგუაძის გელას ორიგინალურობა მის კოლორიტულობაში გამოიხატება. იგი გამდიდრების მიუხედავად ისეთივე დარჩა, როგორიც თავიდანვე იყო. მისი ზნეობრივი კრიტიკულობის ამპლიტუდა უცვლელია დროსთან და მოვლენებთან შესაბამისობაში. სპექტაკლის პირველ ნაწილში რჩება შთაბეჭდილება, რომ გელას როლის შემსრულებელმა ზაალ გოგუაძემ ვერ ჩაელო გმირის ხასიათის უმთავრეს მახასიათებელს. მოჭარბებული ემოციურობა სიყალბის ელფერს უფრო იძენს, ვიდრე გმირის თვისებების ლოგიკურ გამოვლენას, თუმცა მეორე მოქმედებაში მისი დიალოგების სერია მეფისტოფელთან, ზედმიწევნით უხსტად გადმოსცემს გელას პერსონაჟს, როგორცადაც ის დრამატურგმა და რეისორმა ჩაიფიქრა.

ნუგზარი განსაკუთრებული გადაწყვეტილების მიღებამდე ხშირად ეკითხება მას აზრს და აქ მთავრდება ყველაფერი. ნუგზარი მხოლოდ გელას მორალს და მოაზრებებს ისმენს, საბოლოო გადაწყვეტილებას კი მაინც თავად იღებს, რადგანაც გელას არგუმენტები ნუგზარისათვის ნაკლებ დამაჯერებელია.

ვინ დაიკავეს გეგარი მეფისტოფელის სავარძელს

პიესაში სულ 7 მოქმედი გმირია (ამათგან სამი ეპიზოდური როლი), მათი რიცხვი რეისორმა ცამეტ პერსონაჟამდე გაზარდა, რომლებიც სპექტაკლის სიუჟეტურ ქსოვილში ლოგიკურად „ჩაჯდა“. ეს პერსონაჟები რეისორის ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენენ, თითოეული მათგანი პიესაში არაერთხელაა ნახსენები. მაგალითად, მეფისტოფელი ერთგან ახსენებს უნდინეს, სალამანდრას, სილფეს და კობოლტს, რომლებიც, სავარაუდოდ მეფისტოფელის ასისტენტები არიან. გელა არაერთგზის საუბრობს საკუთარ სიმამრზე, რომელიც ორგზის ჩნდება გელას სახლის აივნიდან ჩვეულ ამბლუაში; ქვაბის ზეხვის პროცესში, ბებერი გელას



სიმამრის როლს ახალგაზრდა მსახიობი ზაზა ზოიძე ასრულებს, რომელსაც ჩანსალი იუმორი შემოაქვს სპექტაკლის კონკრეტულ ეპიზოდებში. მისი ეპიზოდური გამოსვლები არის ზუსტი და დროული. იუმორით „ჩააცვს“ მას რეჟისორმა და მხატვარმა. ყურადღებას იპყრობს მეგი კობახაძე მაიკოს როლში. დებიუტანტ მსახიობს ეფექტურ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად, აქვს შინაგანი არტისტული ვნება, რომელიც იმედისმომცემია და მომავალში კიდევ უფრო გამოვლინდება. გარკვეული კოლორიტი და სხვა სამყაროს სუნთქვა შემოაქვთ სპექტაკლში ფრანგ გოგონებს. თეონა შამილაძის, ქეთი ეგუტიძისა და მარინე ბურდულის ეპიზოდი ეფექტურია და მას აზრობრივი დატვირთვა აქვს. მსახიობები თვალწინ გვიშლიან გასული საუკუნის ევროპულ ბოჰემას. სპექტაკლში ფრანგი გოგონების (თუ დავაზუსტებთ — მეძავების) ეპიზოდური გაელვების მიუხედავად, ნათელია ამ გმირთა ინდივიდუალური ხასიათები. თეონა შამილაძის გმირი აშკარა ლიდერია ამ საროსკიპოში, რომელსაც ანგარიშს უწევენ სხვები. მორიდებული, დამწყები მეძავის შთაბეჭდილებას ტოვებს მარინა ბურდულის პერსონაჟი, რომელიც სულ დაბნეულია, თითქოს დიდ გაუგებრობაში მოხდა და სხვებს მისიერება, რას მოიმოქმედებენ, რათა იგივე გააკეთოს თავადაც. შედარებით თამამია ქეთი ეგუტიძის გმირი, უკომპლექსო და შემტევი, მსახიობი ამქადავებს მისი პერსონაჟის შეუვალ ბუნებას და მიზანსწრაფულობას.

სპექტაკლის უმთავრეს იდეურ ძარღვს წარმოადგენენ მეფისტოფელის მოწაფეები უნდინე (გოჩა ხვიჩია), სალამანდრა (ლაშა კონცელიძე), სილფე (დათო ჭაყალი) და კობოლტი (დავით წერეთლი). პიესაში მხოლოდ მათი სახელებია ჩამოთვლილი, მათი სრულფულებიან პერსონაჟებად ჩამოყალიბება კი, რეჟისორის ფანტაზიის ნაყოფია. უამრავ საინტერესო ნიუანსს შეიცავს სტაჟიორი-უმძავების ურთიერთდამოკიდებულება ერთმანეთთან და თავად „მაესტრო-მეფისტოფელთან“, რომელიც მთელი სისრულით სპექტაკლის ფინალში ვლინდება. ამ პერსონაჟებს ერთგვარი ჭირის ფუნქცია აქვთ, რომლებიც რეაგირებენ და აფასებენ კიდევ მოვლენებს. მათ შორისაც არის ლიფერენციაცია, მეფისტოფელს განსაკუთრებით

უყვარს ერთი — უნდინე (გოჩა ხვიჩია), თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე დაშვრე და უკონფლიტოა, თუმცა ეს გოჩა ხვიჩიას უნდინეს ნიღაბია. იგი ფიზიკურადაც ემსგავსება მეფისტოფელს, ცდილობს, სრული იმიტაცია მოახდინოს პედაგოგისა, რაც დანარჩენი ეშმაკების ლოგიკურ პროტესტს იწვევს. უნდინე, რომელიც გარედან ბრიყვი და უსუსური, „მაესტროს“ კალთას ამოფარებულის იმიჯს ირგებს, გულში იდებს თანაგუნდლების წყენას და ფინალში, მათ ტახტისთვის ბრძოლაში ევობრება და ამარცხებს კიდევ. მსახიობი გოჩა ხვიჩია უსიტყვოდ ხატავს თავის პერსონაჟს, მისთვის სრულიად ზემდეტი იქნებოდა ტექსტი. ამ შემთხვევაში მისი „სიმუნჯე“ მხატვრულ პრინციპად იქცა, რომელიც გარედან, სიტყვის თქმის გარეშე აკვირდება ყოველივეს. დათო ჭაყლის სილფე ფლიდი და გაიჭვრა ეშმაკია, რომელიც გაცილებით თამამია და საინტერესო კითხვებსაც სვამს. გაბედულება და ამბიციია მისი გმირის ამოსავალი წერტილია. ყურადღებას იქცევს დავით წერეთლის კობოლტი. ახალგაზრდა მსახიობის ექსტიუ-ლაციით, მიმიკით და დახვეწილი პლასტიური მოძრაობებით გამოხატული იდეები ნათლად ავლენს პატარა, „პიონერი“ ეშმაკების ერთმანეთთან დამოკიდებულებას. მყურებელს თვალსაწიერიდან არ ეპარება ლაშა კონცელიძის სალამანდრა. იგი ყოველ უკულტურო სტაჟიორი ეშმაკია, რომელმაც ვერაფერი დარბაისლური ვერ ისწავლა მეფისტოფელისგან. არისტოკრატულობა და ინტელიგენტურობა მისგან ისეთივე შორსაა, როგორც სამოთხე და ჯოჯოხეთი ერთმანეთისგან. ხშირად აშავებს, რაც მას უცოდინარობის გამო მოსდის და, რასაც იოლად ამჩნევენ ჩასაფრებული ეშმაკუნები, მაგრამ მათ მეფისტოფელისაგან დაბეზლებაში უნდინე ასწრებს. ალბათ ამიტომაც უყვარს „მოძღვარს“ უნდინე განსაკუთრებით.

სპექტაკლის ფინალი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, წერტილი ესმება ყველა გმირის დრამატურგიულ პარტიტურას. ქეთუმა მოკვდა, მაიკო სამუდამოდ გადაიკარგა, გელა ჰკუიდან შეიშალა, ნუგზარმა მეფისტოფელი თავის დალწვევის საბაბით, პროტესტის ნიშნად თვითკველულობით დაასრულა სიცოცხლე. რა ბედი ეწია მეფისტოფელს? ტიტე კომპიხის მეფისტოფელი,

სიბერისგან დაუძღვრებულნი, ნუგზარზე გამარჯვებას ჩვეული შემართებით ველარ ზეიმობს, ავანსცენაზე გამოდის და ესპანურ სიმღერას იწყებს, იგი ესპანურად მაშინ მღერის ხოლმე, როცა თავისი ახალი მსხვერპლისგან თანხმობას ელის, და აი, მიაგნო კიდეც პარტერში ვილაცას. პარალელურად სცენის სიღრმეში მეფისტოფელის „ყვავილოვანი აბაზანიდან“ თავს ამოყოფს მისი მეგვიდრე უნდინე, რომელსაც ებრძვიან თანაგუნდელი ეშმაკები. გოჩა ხეიჩიას გმირი იოლად იშორებს მათ გზიდან და გამარჯვებული ავანსცენაზე, მეფისტოფელისაგან მიიწვევს, თითქოს უნდა გადაადგოს უფსკრულში საყვარელი მავსტრო, მაგრამ ამ დროს ბებერი მეფისტოფელი შენიშნავს უნდინდან მომავალ უნდინეს და გაოგნებული მისჩერებია საყვარელ მოწაფეს. უნდინეს ისლა დარჩენია, მავსტროს გაუღიმოს და მისი საქციელი ხუმრობად „მონათლოს“.

სივრცე, რომელიც უნდა ვასაქდეს

მეტაფორულადაა გააზრებული რეჟისორის მიერ სპექტაკლის სცენოგრაფიული გადაწყვეტა (მხატვარი გოგლა გოგიბერიძე), რომელსაც მოქმედების მსუღერლობისას პერიოდულად აკლდება რამდენიმე დეტალი, რაც რეჟისორის იდეური ჩანაფიქრის გამოსატულებაა, რომელიც გიორგი თავაძის ერთგვარ მხატვრულ პრინციპადაც იქცა (ისე როგორც მის წინა სპექტაკლში ი.სამსონაძის "საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში"). დეკორაციის პერიოდული ცვლილება, მისი ფერების და გამოსახულების მუდმივი ცვლა კონცეფტუალურ გააზრებასთან სამყაროზე.

რეჟისორმა და მხატვარმა სამოქმედო სივრცე სიმბოლოებით დატვირთეს, რომელიც მოწყვეტილია ყოველგვარ ყოფით. დეკორაციის თითოეული დეტალიც კი უტრირებულია, მხატვრულია და ზეაწეულია. პირველი მოქმედება მთავარი გმირის ნუგზარის სახლში ვითარდება. ყოფითი საგნები — ქალი, მაგიდა, უნიტაზი სპექტაკლში მხოლოდ პირდაპირ ფუნქციას არ იძენს, მას სხვა აზრობრივი დატვირთვა აქვს. პირველ მოქმედებაში ვხედავთ ნუგზარის სახლის დაფლეთილ, ბზარშეპარულ კედლებს,

რომელიც სადაცაა უნდა გასკდეს და დაინგრეს. კედლების ასეთი ფაქტურა სიმბოლოურად ნუგზარის ტიპის ადამიანების შენტალიტეტის დამსხვრევის მოსალოდნელობაზე მიუთითებს. იგი ნუგზარის სამყაროს, მის შინაგან დულილს, პიროვნების რღვევას განაახიერებს. ნუგზარის სამყარო მაშინ ინგრევა (უფრო სწორად, მეფისტოფელის ბრძანებით ცაში აისტყორცნება), როცა ნუგზარი საბედისწერო გარიგებას დებს „დაცემულ, დაკოვლებულ ანგელოზთან“ და იშლება სივრცე, რომლის სიღრმეში მოსზანს ვენერა ხარაიოებში ჩასმული და შეფუთული, როგორც სიმბოლო კაცობრიობის კულტურული ფაქეულობის, სილაშაზის და მშვენიერებისა. მეფისტოფელის ქვეშევრდომი, ახალგაზრდა ეშმაკები კი სიზარულით, გამარჯვებულზე ავანსცენაზე მოაქნებენ ვენერას ნიყარას. ახლა ნიყარა ნუგზარის ურთავარ ცაშიმფრენ ხომალდად გადაიქცევა და იქმნება იმიტაცია ფსევდოამაღლები-სა.

მეორე მოქმედებაში სცენური სივრცე მთლიანად განტვირთულია, იგი წარმოადგენს გამდიდრებული ნუგზარის სახლს, თუმცა ყოველივე ეს პირობითია, რადგან მოქმედების ადგილი სშირად იცვლება აპექტაკლში, გმირები ხან ქეთუშას სახლში, ხანაც საფრანგეთში აღმოჩნდებიან. ასეთი ინტენსიური ცვლა მოქმედების ადგილისა, ასეთი პირობითობა იმდენად ლოგიკურადაა დადგმული რეჟისორის მიერ, რომ მაყურებელს არ უჭირს აღქმა და შეგუება იმ ვარემოსთან, რომელსაც სპექტაკლის ავტორები სთავაზობენ. სცენაზე მხოლოდ რამდენიმე დეკორაციული დეტალია, რომელიც სპექტაკლის ბოლომდე თამაშდება: მეფური სარკე (რომელშიც არა მხოლოდ ირგელოდ თითოეული მოქმედება, არამედ სარკე ბაღებს ახალ პერსონაჟს), მდიდრული ქალი (რომელშიც თავს ილარჩობს ნუგზარი) და „ყვავილოვანი აბაზანი“ (რომლიდანაც მეფისტოფელის მეგვიდრე დაიბადება). ფინალში, ხარაიოები, რომელშიც ჩასმულია ვენერა, ინგრევა და ყველაფერი საწყის მდგომარეობას უბრუნდება.

მთლიანობაში, გოგლა გოგიბერიძის სცენოგრაფიულ გადაწყვეტას ბოტიჩელის ცნობილი ფერწერული ტილოს „ვენერას დაბადება“ სიმბოლოური გააზრება კრავს: დაი-



ბადა სილამაზე და სიყვარული, რომელიც ღმერთმა უწყის გოგონათურია, თუ ღვთიური სცენის ორივე მხარეს თალის მსგავსად იკვრება ანგელოზების (თუ მითოლოგიური სერაფიმების) ფრესკები, რომლის დეტალები ჩანს მხოლოდ, თითქოს მავანს უცდია ამ კულტურული ფასეულობის უკვალოდ გაქრობა. მაგრამ ისე როგორც არ იკარგება ჰემარიტი ხელოვნება, ამ შემთხვევაშიც გადაღებილი ფრესკის აღჭმა მაინც შესაძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი თავაძე თავის სპექტაკლებს ია საკანდელიძესთან ერთად, ჟანრობრივად სხვადასხვა მუსიკალური თემებით აფორმებს, იგი მაინც ერთიანი მუსიკალური დრამატურგიის ქსოვილს წარმოადგენს. სპექტაკლში „ნუგზარი და მეფისტოფელი“ ერთმანეთის მიყოლებით, გნებათ პარალელურადაც ფლერს კლასიკური და თანამედროვე, საესტრადო კომპოზიციები, თითოეული მუსიკალური სცენა იმ ეპოქის ატმოსფეროს ქმნის სცენაზე, რომელშიც მოქმედებენ პერსონაჟები. ია საკანდელიძის შერჩეული მუსიკალური თემები არა მხოლოდ სცენაზე გათამაშებული ატმოსფეროს დახატვას უწყობს ხელს, არამედ იდეური ჩანაფიჭრის გამოხატულებადაც იქცევა ხშირ შემთხვევაში. ჯერდის „ნაბუქოს“ დრამატულ რიტმზე დაწყებული სპექტაკლის მაჯისცემა იზრდება და კულმინაციას აღწევს. სპექტაკლის მუსიკალური პარტიტურა ერთდროულად დრამატულია, სახასიათო და ლირიკული.

მუსიკალურ თემებზეა აგებული მთელი რიგი სცენები, რომელიც მსახიობების მიერ პლასტიკაშია გამოხატული. სპექტაკლის ქორეოგრაფიული გაფორმება კოტე ფურცელაძეს ეკუთვნის, რომლის წვლილი დიდია სპექტაკლის გამომსახველობითი ფორმის სრულყოფაში და საერთო წარმატებაში. ოსტატობით არის დადგმული ყველა მოძრაობა, ქორეოგრაფის კვალს ვამჩნევთ მსახიობ-

თა თითოეულ რიგით გადაადგილებაშიც კი. დამუშავებულია თითოეული მოქმედება და რაც ყველაზე მთავარია, ქორეოგრაფიული ნახაზი მხოლოდ ლამაზ კომპოზიციურ მიზანსცენებს კი არ ხატავს, არამედ გამოხატავს გმირების დამოკიდებულებას ერთმანეთთან და მოვლენებთან. გიორგი თავაძის პერსონაჟების მოქმედებების სფეროეფიკური პლასტიკური მოტრეაქციით გადაწყვეტა (ნუგზარის ხელის მოწერის სცენა, მეფისტოფელის სიარულის მანერა, „სტაფიორი-უშაყენი“ გადაადგილება,) ქორეოგრაფს ფანტაზიის გაშლასა და ახალი „აღმოჩენების“ შესაძლებლობებსაც აძლევს. მაგალითად, ქეთუშასა და გელას მიერ ბაღირჩინასა და ტანზოვარჯიშის აპრობირებული იდეების გამოყენება, რომელიც მათი ხასიათების გამოვლენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებადაც იქცა. მსაყურებლის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ნუგზარის საფრანგეთში მოგზაურობის სცენა. ფრანგების, ეშმაკებისა და ნუგზარის ქართული ხალხური ცეკვების „პოპური“ კოსმოსურ მედიტაციას ჰგავს ქართულ მოტივებზე. ფრანგი მეძავები გრძობენ, რომ რაღაც არაბუნებრივ, ღვთიურ კულტურასთან აქვთ საქმე, მათი ცეკვა რიტუალურ როკვას გავს. სცენოგრაფიის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის ასეთი იდეურ-მხატვრული სინთეზი გიორგი თავაძის სპექტაკლის წარმატების ურყევი საფუძველია.

და ბოლოს

მეფისტოფელს არ სძინავს, უბრალოდ თავს იმიტირებს, მუდამ გვაკვირდება და ხელსაყრელ მომენტს ეძებს, რათა ხელში ჩაგვიგდოს, იგი მიმზიდველია, ყველაზე სანუკვარი ოცნებების შემსრულებელია, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, მასთან დადებული საბედისწერო ხელშეკრულება ყოველთვის ადამიანის სულის კატასტროფით მთავრდება. ამიტომაც არ ვნდოთ არც ერთი დროის მეფისტოფელს!



საქართველოს სახელმწიფო დროშა

სახელმწიფო სიმბოლიკას (გერბი, დროშა, შიშნი) ქვეყნისათვის დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც პირადობის მოწმობას ადამიანისათვის, რამდენადაც ორივე შემთხვევაში იდენტიფიკაციის ფენომენთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო სიმბოლიკა, როგორც წესი, გამოხატავს ქვეყნის სახეს, მის ისტორიულ ტრადიციას, სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს, კულტურულ მრწამსს ან ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ფიზიკურ-გეოგრაფიულ ვითარებას. სახელმწიფო სიმბოლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სახელმწიფო დროშა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა – თეთრი ალაში შემკული მთელს ფართობზე გამოსახული წითელი ფერის ჯვრით, რომლის კუთხეებშიც ჩასმულია ოთხი ასეთივე პატარა ჯვარი – ე.წ. «ვარდების რევოლუციის» შედეგად დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში და, როგორც ცნობილია, საქართველოს ერთიანი ფეოდალური სამეფოს სახელმწიფო დროშას, ანუ «სეფე დროშას» წამოადგენს. ამ ფაქტით ხაზგასმულია არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოებრიობის უწყვეტი ტრადიცია, არამედ სწორედ ჩვენი საზოგადოებრივი და სულიერი კულტურის უძველესი შინაარსი და მომავალი განვითარების ვექტორიც.

ამ მოვლენას ხუთჯვრიანი დროშის სახელმწიფო დროშად აღიარებას – წინ დიდი ვნებათა ღელვა უძღოდა ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც რვა წლის განმავლო-

ბაში გრძელდებოდა და გარდა ქვეყნობიერი ფსიქოლოგიური აღერჯისა ჯვრების მიმართ, რაც «კომუნისტური იდეოლოგიის» გამოზარებულ ადამიანთათვის ბუნებრივია, იმით იყო მოტივირებული, თითქოს ეს დროშა არ ყოფილა ისტორიული საქართველოს სახელმწიფო დროშა.

საბუთიერი მეცნიერული მსჯელობა, რომ სწორედ ეს ხუთჯვრიანი ალაში წარმოადგენდა ერთიანი ფეოდალური საქართველოს მონარქიის სახელმწიფო დროშას, მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც 1996 წელს გაზეთში, «ტფილისის უწყებანი» №5 გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია, რომელშიც ქართული ისტორიული წყაროების, ნუმიზმატიკური მასალის და ვენეციელი ძმების, ფრანცისკო და დომინიკო ბიციგანების მიერ 1367 წელს გამოხატული საზღვაო კომპასური რუკის მონაცემების მიხედვით ვასაბუთებდი, რომ გაერთიანებული საქართველოს მონარქიის სახელმწიფო დროშის თეთრ ალაშზე გამოხატული იყო წითელი ფერის ჯვარი, რომელიც ალაშს ოთხ სექტორად ყოფდა, ხოლო თითოეულ სექტორში დამატებით მოთავსებული იყო წითელი ფერისვე პატარა ჯვარი.

საქმე ის არის, რომ ზემოხსენებულ რუკაზე საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, გამოსახულების – გალავან-შემორტყმული კოშკების – თავზე სწორედ ასეთი დროშა ფრიალებს, რაც მძლევედა საფუძველს ამგვარი აზრის გამოთქმისათვის.



უფრო გვიან ჩემთვის ცნობილი გახდა მეორე, კატალონიური, საზღვაო რუკა 1339 წლისა, სადაც ასევეა გამოსახული საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი, რომლის თავზეც კვლავ ხუთჯვრიანი დროშა „ფრიალებს“. ამან კიდევ უფრო გაამყარა ჩემი ზემოაღნიშნული მოსაზრება ისევე, როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსის, პახიმერეს (გარდაიცვალა 1310 წ.) ცნობამ, რომ 1299-1300 წლების ლაშქრობის დროს პალესტინაში მონგოლთა ყენს „ყაზანს თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშითურთ.“

ამგვარად, ცხადი გახდა, რომ XIII-XIV საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო დროშას სწორედ ჯვრიანი (ხუთჯვრიანი) ალაში ამკობდა. მეორე მხრივ, ქართული წყაროების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ იგივე სახელმწიფო „სეფე დროშა“ ჰქონდა საქართველოს XII საუკუნეშიც. კერძოდ, დავით აღმაშენებლის დროს. ამას ადასტურებდა XIII-XIV საუკუნეების ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, წარმოშობით ქართველი, სტეფანოს ორბელიანი, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ქართულ სინამდვილეში. იგი წერს, რომ საქართველოს სამეფო კარზე „წესად იყო ხელმწიფის დროშის ალაში თეთრი ყოფილიყო, ხოლო ზედ წითელი ნიშანი ჰქონოდა“. ეს უაღრესად საინტერესო ცნობა XII ს-ის, კერძოდ, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის დროინდელ ვითარებას ასახავს. სომხური სიტყვა „ნიშან“ (ნიშანი, გამოსახულება) ამავე დროს „ჯვარს“ ნიშნავდა და ამდენად სომეხი ისტორიკოსი, საგულისხმოა, იმავე ჯვრიან დროშაზე საუბრობს. ვრცლად ამ საკითხებზე ჩემს ერთ-ერთ წერილში ვწერდი (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 13-20 მარტი, 1998 წ.).

სწორედ ამ წერილებს მოჰყვა მწვავე და ხანგრძლივი პოლემიკა სხვადასხვა

მეცნიერის, ჟურნალისტის თუ უბრალოდ „პატიოტი“ დილეტანტების მხრიდან.

ოპონენტთა მოსაზრებები ძირითადად ასეთია:

1. კომპასურ რუკათა („პორტულანთა“) მონაცემები საეჭვოა, შემთხვევითია და არ შეესატყვისება ისტორიულ რეალობას.
2. ევროპელ ვაჭრებს, ზღვაოსნებს, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან არც აინტერესებდათ და არც შეიძლება ჰქონოდათ ზუსტი ცნობები საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ.
3. ეს ხუთჯვრიანი დროშა კათოლიკურია და მიანიშნებდა იმ ქალაქებზე, სადაც კათოლიკური მისიონები იყო განლაგებული.
4. ეს ხუთჯვრიანი დროშა იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს სიმბოლოა.
5. ეს ხუთჯვრიანი დროშა ფრანცისკანულია.
6. ეს ხუთჯვრიანი დროშა თბილისს გარდა პორტულანებზე სხვა ქალაქების თავზეცაა გამოსახული.
7. ევროპელ პოლიტიკოსთა ცნობების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო დროშაზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული.

ქვემოთ შევეცდები, განვმარტო ყველა ზემოხსენებული, ოპონენტთათვის საეჭვო გარემოება.

1. საუბარი იმის შესახებ, რომ პორტულანებზე გამოსახული პოლიტიკური ვითარება შემთხვევითია და არ შეესაბამება იმდროინდელ ვითარებას არ არის სწორი, რადგან, როგორც, ეს ევროპულ სპეციალურ ვექსილოლოგიურ ლიტერატურაშია აღნიშნული, საზღვაო რუკები, რომელთა წარმოქმნა განაპირობა აღმოსავლეთთან საზღვაო ვაჭრობის ინტენსიფიკაციამ XIII ს-ის მეორე ნახევრიდან და რომელთა მცირე ნაწილია მხოლოდ შემორჩენილი, პრაქტიკული დანიშნულებისა იყო და გამოიყენებოდა, რო-



გორც სავაჭრო, ასევე სამხედრო-საზღვაო ექსპედიციების დროს. ასე, მაგალითად, ცნობილია ასეთი რუკა შქონდა ხომალდზე საფრანგეთის მეფეს, ლუი VII-ს, ჭვაროსნული ლაშქრობის დროს 1270 წელს, ხოლო არაგონის მეფემ, 1354 წელს სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა, რომ მისი ფლოტის თითოეულ ხომალდზე ორ-ორი ასეთი რუკა შქონოდათ.

გარდა ამისა, თვით პორტულანების შესწავლაც ცხადყოფს, მათზე გამოსახული პოლიტიკური ვითარების რეალურობას. ასე მაგალითად, 1339 წლის კატალონიურ რუკაზე, რომლის ავტორი ვინმე ანჟელინო დულჩერი თუ დულჩერტია, ე.წ. „იერუსალიმის ჭვარი“ – გამოსახულება დროშაზე, რომელიც იერუსალიმის სახელმწიფოს სიმბოლო იყო – ამართულია არა ქალაქ იერუსალიმზე, არამედ კვიპროსის იმდროინდელ დედაქალაქ ფამაგუსტაზე. და ეს იმიტომ, რომ იერუსალიმი იმ დროს უკვე მამადიანთა ხელში იყო, ხოლო ჭვაროსნული სამეფოს მმართველი დინასტიის წარმომადგენლები, (ლუზინიანები) გაძევებულნი პალესტინიდან, კვიპროსს იყვნენ შეხიზნულნი, სადაც სახელმწიფო სიმბოლიკაც გადაიტანეს!

ამავე რუკაზე საფრანგეთის დედაქალაქის, პარიზის თავზე კაპეტინგების ცნობილი შროშანებიანი დროშა „ფრი-ალეზ“, რომელიც საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე ამ ქვეყნის სახელმწიფო ალაში იყო.

საინტერესოა, რომ მსგავსი დროშაა გამოსახული იტალიაში ნეაპოლის თავზე, რაც, ცხადია, იმით აიხსნება, რომ ამ დროს ნეაპოლში მეფობდნენ კაპეტინგების ნათესავი და ვასალი ანჟუს გრაფები.

გენუის თავზე, იტალიაშივე, ამართულია ერთი დიდი წითელი ჭვრით შემკობილი თეთრი ალაში (წმინდა გიორგის სი-

მბოლო) – გენუის სახელმწიფო დროშა.

ასეთივე დროშებია კუნძულ კორსიკაზე და ყირიმშიც (კაფა-ფეოდოსიაზე). იმიტომ, რომ კორსიკა იმ დროს გენუას ეკუთვნოდა, ხოლო კაფა-ფეოდოსია გენუის კოლონია იყო შავ ზღვაზე.

ბარსელონაზე, რომელიც რუკის გამოხაზვის დროისთვის არაგონის სამეფოში შედიოდა, გამოსახულია წითელი ფერის დროშა თეთრი ზოლებით. მსგავსი ალაპითაა შემკული კუნძული სარდინია, რომელიც იმ პერიოდში არაგონის სამეფოს ეკუთვნოდა.

ვფიქრობ, ზემომოტანილი მაგალითები საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ევროპული პორტულანები სავსებით რეალურად ასახავენ თანადროულ პოლიტიკურ ვითარებას და, კერძოდ, იმუამინდელ სახელმწიფო სიმბოლიკას. ამდენადვე ისინი ისტორიკოსისათვის სრულიად სანდო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ (რათქმა უნდა იმდროინდელი ცოდნა-წარმოდგენებისა და უნებლიე შეცდომების გათვალისწინებით).

2. არასერიოზულია, აგრეთვე, ოპონენტთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევროპელ ვაჭარ-მზღვაურებს ალბათ არც აინტერესებდათ და არც შეიძლება შქონოდათ ზუსტი ცნობები საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ. ევროპელებს ეს საკითხი რომ აინტერესებდათ, სავსებით აშკარაა ბილიგრიმთა მრავალი ჩანაწერითაც, რომელთაც ქვემოთ საგანგებოდ შევვხებით. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ევროპელები, კერძოდ, იტალიელები ინტენსიურად ვაჭრობენ საქართველოსთან. ვიცით არაერთი იტალიელი ვაჭრის გვარი და სახელი, რომლებიც ცხუმში (სოხუმში) და ბათუმში ცხოვრობდნენ. ცხუმში, რომელიც ევროპელთათვის სებასტოპოლისის სახელით იყო ცნობილი, ჩვენთვის საინ-



ტერესო ხანაში მოღვაწეობდა კათოლიკე ბეტრე გერალდი, „ქვემო (-დასავლეთი) საქართველოს სებასტოპოლისის ეპისკოპოსი.“ 1330 წ. იგი სწორს წერილს კენტერბერის არქიეპისკოპოსს და აწვდის ცნობებს საქართველოს შესახებ. გამოირიცხულია, მას არ სცოდნოდა როგორი იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა, მით უმეტეს, რომ მსგავსი დროშა 1339 წლის რუკაზე სწორედ ცხუმის თავზე დაცა (იხ. ქვემოთ).

3. ოპონენტები მიუთითებდნენ იმაზეც, რომ თბილისის გამოსახულებაზე „აფრიალებული“ დროშა სახელმწიფო სიმბოლო კი არ არის, არამედ იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს დედაქალაქში იმ დროს (1329 წ-დან) არსებობდა (ისევე, როგორც ცხუმში, 1318 წ-დან), კათოლიკური საეპისკოპოსო, რითაც დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ ევროპელი ვაჭრები და მისიონერები.

„ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ზემოაღნიშნულ წერილში ვწერდი, რომ „სინამდვილეში ეს მოსაზრება ლიტონი განცხადებაა, რადგან, ჯერ ერთი, ეს რომ ვირწმუნოთ, უნდა იმაშიც დაგვაჯერონ, რომ ასეთი დროშა, მაინცდამაინც, კათოლიკური ეკლესიის სიმბოლოა“. მართლაც, რას ნიშნავს „კათოლიკური დროშა“? იმ დროს ხომ მთელი დასავლეთი ევროპა კათოლიკურია და განა „პორტულანზე“ ზედმიწევნით ზუსტად გამოხაზული ამ კონტინენტის რომელიმე ქვეყნის ქალაქს ამშვენებს მსგავსი დროშა? არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ თბილისურის მსგავსი ხუთჯვრიანი გამოსახულება „კათოლიკურია“, რადგან ვატიკანი კათოლიციზმის ცენტრია, მაგრამ მისი სიმბოლიკა ჯვარს საერთოდ არ იცნობს.

მთავარი მაინც ის არის, რომ, თბილისსა და ცხუმს გარდა, კათოლიკური საე-

პისკოპოსოები აღმოსავლეთში, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრი იყო. კენტიდან სპარსეთში არაერთი ასეთი საეპისკოპოსო არსებობდა, ხოლო ქალაქ სულთანეში, რომელშიც 25-მდე კათოლიკური ეკლესია იყო, საარქიეპისკოპოსოც კი დააარსეს, რომელსაც ეპოქონილებოდნენ თბილისისა და ცხუმის ეპისკოპოსები.

ფრანცისკო და დომინიკო ბიციგანების 1367 წლის პორტულანზე სპარსეთიკ არის გამოსახული, სახელდობრ, ქალაქი სულთანეც, რომლის თავზეც არა თბილისური ჯვრებიანი, არამედ სულ სხვა, მონგოლ ილხანთა იმპერიის დროშაა ამართული!

4. ამტკიცებენ, რომ თბილისური დროშის სიმბოლიკა „იერუსალიმურია“ („ჯვაროსნულია“). არც ეს მოსაზრებაა სწორი.

ე.წ. „იერუსალიმური ჯვარი“ კარგადაა ცნობილი შერალდიკაში. იგი გამოსახული იყო ჯვაროსნების მიერ დაარსებული იერუსალიმის სამეფოს დროშაზე. მართალია, ისიც ხუთჯვრიანი კომპოზიციანა, მაგრამ თბილისურისაგან განსხვავდება ფერით (ოქროსფერია ვერცხლისფერ ტილოზე), ფორმით (ცენტრალური ჯვრის მკლავების კიდებზე შვეული მოკლე შვერილებია) და ალამზე განთავსებითაც (მთელი გამოსახულება ალამის ცენტრალურ ნაწილშია - ე.წ. „მოტივტივე ჯვარი“). შერალდიკაში კი, როგორც ცნობილია, მცირე განსხვავებასაც კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. არსებობს სპეციალისტთა მოსაზრება, რომ ასეთი „იერუსალიმური ჯვარი“ ჯვაროსნული სამეფოს ალამზე 1162 წლიდან გამოისახებოდა, ჩვენი თბილისური დროშის არსებობა კი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მაინცდამაინც დავით აღმაშენებლის დროიდან, ანუ XII ს-ის დასაწყისიდან, იგულისხმება.

ფრიად საინტერესოა ისიც, რომ 1339 წლის პორტულანზე დაფიქსირებულია



როგორც თბილისის თავზე ამართული წითელჯვრიანი (ჯვრებიანი), ასევე იერუსალიმური ოქროსფერჯვრიანი (ჯვრებიანი) დროშა და ასეთ ვითარებაში განა კორექტული იქნება ვიფიქროთ, რომ XIV ს-ის ავტორს, რომელმაც ექვი არ არის, ჩვენზე კარგად იცოდა, როგორი იყო იერუსალიმური სახელმწიფო სიმბოლიკა, თბილისის თავზე „აფრიალებული“ ალამიც იერუსალიმურად გაეზარებინა, როგორც ეს ზოგიერთ დღევანდელ სკეპტიკოსს წარმოუდგენია.

5. ვასაკვირია, მაგრამ იგივე ოპონენტები, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რომ ეს დროშა იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოსეულია, იმავე დროს მიუთითებენ, რომ იგი „ფრანცისკანულია“! ჯერ ერთი, უნდა ვიცოდეთ: მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი სიმბოლო („ფრანცისკანული“) იერუსალიმის სამეფოსეულის წარმომავლობისაა, მისი იდენტური არ არის და ამიტომ თბილისური დროშის სიმბოლიკა ან ერთის გამეორება უნდა იყოს ან მეორესი.

შემდეგ: ფრანცისკა ასიზელმა თავისი ორდენი XIII ს-ის დასაწყისში დააფუძნა. ამ დროისთვის კი ქართული სახელმწიფო ჯვრიანი დროშა, ივარაუდება, ერთი საუკუნე მაინც უკვე არსებობდა; გარდა ამისა, ეს დროშა ფრანცისკანელთა გემებზე, როგორც ცნობილია, 1333 წლიდან იყო ამართული, როდესაც იერუსალიმში დაარსდა ამ ორდენის, როგორც წმინდა მიწის მცველის ოფისი, ე.ი. მაინცდამაინც მაშინ, როდესაც 1339 წლის პორტულანით საქართველოს სახელმწიფო ჯვრიანი დროშის რეალურობა ცხადია; ბოლოს, რაც მთავარია: ფრანცისკანელთა სიმბოლიკა, თუმცა კი წითელი ფერისაა, მაგრამ იგი სავსებით იდენტურია „იერუსალიმური ჯვრისა“, როგორც გამოსახულების თვალსაზრისით, ისე ალამზე განლაგების მიხედვითაც და

ამდენად, მისი გაიგივება თბილისურ ჯვრიან ალამთან ჰერალდიკული თვალსაზრისით ნონსენსია!

6. არაკორექტულია ოპონენტთა არაერთგზისი განცხადება, რომ ევროპულ საზღვაო რუკაზე თბილისის თავზე დაფიქსირებული დროშა წითელი ჯვრებით შემკული თეთრი ალამით, თითქოს სხვა ქალაქების (ქვეყნების) სიმბოლოდაც გვხვდება. სინამდვილეში თბილისურის იდენტური სხვა დროშა, გამოსახული რომელიმე სხვა ქალაქზე (ქვეყანაზე), პორტულანებზე არ მოიპოვება!

ანკელინო დულჩერტის 1339 წლის პორტულანზე მსგავსი დროშებია მხოლოდ ცხუმზე (savastopoli) და აწინდელი თურქეთის ტერიტორიაზე – ქალაქ სებასტიაზე (savasto, დღევანდელი – სივასი). მაგრამ ეს დროშები არ არის თბილისურის იდენტური: ხუთჯვრიან გამოსახულებას ალამის მხოლოდ ერთი (ბუნთან მიმდებარე) ნახევარი უჭირავს, მეორე ნახევარზე კი ცხუმისეულზე ფართო მუქი ფერის ზოლებია, ხოლო სებასტიისეულზე – გაურკვეველი გამოსახულება (რუკის ფოტოსურათებზე ვერ განირჩევა). ცხუმზე ასეთი დროშის დაფიქსირება, რამდენადაც ეს ქალაქი, როგორც ვიცით „ქვემო საქართველოს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი და სავაჭრო პორტია, ბუნებრივია. რაც შეეხება სებასტიას, აქ შეიძლება რუკის გამომხატვლის უბრალო მექანიკურ შეცდომასთან გგქონდეს საქმე ქალაქთა სახელების იდენტურობის შედეგად (Savastopoli – savasto), მაგრამ არც ის შესაძლებლობაა გამოირიცხული, XIV ს-ის გარკვეულ წლებში სებასტია საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოხვედრილიყო.

ხომ გვაქვს მოვლენათა თანამედროვე ევროპელი ავტორების უტყუარი ცნობები, რომ ყაზან ყენმა, რომელმაც ევგიპტის სულთნის წინააღმდეგ გაილაშქარა



და რომელსაც, როგორც ვიცით (იხ. ზემოთ) «თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჭვრიანი დროშითურთ», სწორედ ქართველებს გადასცა ქალაქი იერუსალიმში, ცხადია, იმიტომ, რომ მის აღებაში მათ გადამწყვეტი როლი ითამაშეს. ამის შემდეგ ერთხანს ქალაქი ქართველების ხელში იყო ისე, რომ «1300 წელს იერუსალიმში ქრისტიანებს საშუალებაც ჰქონდათ ედღესასწაულად აღდგომა». განა არ შეიძლება სებასტიის მიმართაც რაღაც მსგავსი ვითარება ყოფილიყო, რომელიც არ დაფიქსირდა ნარატიულ ისტორიულ წყაროებში, მაგრამ აისახა დულჩერტის 1339 წლის რუკაზე. მით უმეტეს, რომ გიორგი ბრწყინვალის ლაშქრობა მონღოლებთან ერთად მცირე აზიაში ცნობილია. ჩვენ რომ შემორჩენილი გვქონდეს ამ დიდებული მეფის მმართველობის მატრიანე, ეგების, ამ საკითხსაც მოჰფენოდა სინათლე!

7. ოპონენტთა, შეიძლება ითქვას, მთავარი არგუმენტი ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ არის XIV-XVIII საუკუნეების ევროპელ პილიგრიმთა ცნობები, რომელთა მიხედვით ქართველთა დროშებზე წმ. გიორგი იყო გამოსახული. მათ ასეთი ექვსი ავტორი მოჰყავთ.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

ჯერ ერთი ის, რომ ამ ექვს ავტორს შემოიძლია დაგუმატო კიდევ ერთი და უძველესი, 1320 წლის თვითმხილველის ჩვენებაც. ეს არის მარინო სანუდოს ცნობა, რომლის მიხედვით, ქართველების «მფარველი ბატონი წმინდა გიორგია და ყველა წმინდანზე უწინარესად განსაკუთრებული მოწიწებით თაყვანს სცემენ მას, როგორც მათ მედროშეს». ცხადია, იგულისხმება, რომ ქართველებს წმ. გიორგის გამოსახულებიანი დროშები აქვთ.

მაშ, რაღა აქ საკამათო?

საქმე ის გახლავთ, რომ ოპონენტთა

მიერ მოტანილი ექვსი ცნობიდან სამი XVI-XVIII საუკუნეების ავტორების ეჭვთვნით ანუ იმ პერიოდის მოგზაურ-პილიგრიმებს, როდესაც საქართველო დაშლილია ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, რომელთაც, ცხადია, საკუთარი სახელმწიფო დროშები ჰქონდათ, ანუ ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის დროშას ეს ცნობები არ ეხება.

შემდეგ: XIV ს-ის ცნობებით დამოწმებული «წმინდა გიორგის დროშები», არ არის გამორიცხული, თეთრ ტილოზე გამოსახულ წითელჭვრიან ალამს წარმოადგენდა, რამდენადაც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ წმ. გიორგის სიმბოლო სწორედ ეს იყო, რაც ქართული ფოლკლორითაც მტკიცდება: «წმინდა გიორგი გწყალობდას, სახე მაგისი ჭვარია»!

ასეა თუ ისე, «წმ. გიორგის დროშა» სავსებით შესაძლებელია ყოფილიყო და, როგორც ჩანს იყო კიდევ ქართული ეროვნული დროშა, გნებავთ – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დროშა, რომლითაც ქართველი პილიგრიმები ცხენზე ამხედრებულნი იერუსალიმში შედიოდნენ, მაგრამ მე ვეთანხმები ახალგაზრდა მკვლევარს, ა. თვარაძეს, რომ ეს არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო დროშა! ეს უკანასკნელი – «სეფე დროშა» – ერთადერთი იყო სახელმწიფოში და მისი უზენაესი განმკარგველი, როგორც ეს კარგად ჩანს, XII-XIV საუკუნეების ქართული წყაროებიდან, მხოლოდ საქართველოს მეფე იყო, რომელსაც იგი გამოჰქონდა დიდი დღესასწაულების, მეფედ კურთხევის ცერემონიალის, ან სახელმწიფო მნიშვნელობის ლაშქრობების დროს. ამდენად, გამორიცხულია იერუსალიმის მომლოცველ ქართველ პილიგრიმებს, თუ ბერებს საქართველოს სახელმწიფო «სეფე დროშის» ტარების უფლება ჰქონოდათ!

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ



ყველაფერი ზემოთქმულის საფუძველზე ეგროპული საზღვაო-კომპასური რუკების, პორტულანების მონაცემების „საექვოდ“ გამოცხადება ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე არასერიოზულია. პირუკუ, ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ამ საზღვაო რუკების ინფორმაცია ფრიად ზუსტი და ფასეულია. სწორედ ეს აზრია დღეს მიღებული ეგროპულ სპეციალურ ისტორიოგრაფიაში (გექსილოლოგიაში) და ამიტომ, ვფიქრობ, სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ: ისევე როგორც პორტულანებზე გამოსახული საფრანგეთის დედაქალაქის, პარიზის თავზე „აფრიალებული“ შროშანებიანი დროშა – საფრანგეთის სახელმწიფო დროშაა, ასევე – საქართველოს დედაქალაქის, თბილისის თავზე ამართული ჯვრიანი (ჯვრებიანი) დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა იყოს.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რას უნდა გულისხმობდეს საქართველოს სახელმწიფო დროშაზე გამოსახული დიდი ჯვარი კუთხეებში ჩასმული პატარა ჯვრებით.

არსებობს მოსაზრება, რომ ე.წ. „იერუსალიმური ჯვარი“ ქრისტეს ზუთი წმინდა ჭირილობის გამომხატველი სიმბოლოა. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს,

ამის თქმა მიჭირს. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო დროშის ზუთჯვრიან ალაშს, ვფიქრობ, იგი წმინდა გიორგის სიმბოლოა (დიდი წითელი ჯვარი), რომლის სიძლიერე და მფარველობა სამყაროს ოთხივე კიდეზე ვრცელდება (კუთხეებში ჩასმული პატარა წითელი ჯვრები). ამის საფუძველს მაძლევს სამართლიანობისათვის მებრძოლი ამღვთაების დიდი პოპულარობა საქართველოში, სახელდობრ, ქართული უძველესი, როგორც ფიქრობენ XII-XIII საუკუნეების მიჯნის, ფოლკლორის ნიმუში, რომელიც სწორედ ჩვენთვის საინტერესო სიმბოლიკის ამოხსნისთვის, მგონია, ფრიად ნიშანდობლივია:

*„ბრძანებდა დამბადებელი,
რომ დავდგი მიწამყარით
სუ თავის მორთულობითა
შამხდარი მთა და ბარიო.
.....“*

*დუნია გამიჩინავის
რჩულად ათასი გვარია
სამოცდასამ (სიც!) წმინდა გიორგი
ოთხსავ კუთხეზე შბძანია,
ქრისტთან სალოცავადა
გამოსახული ჯვარია“¹*



¹ ამ ხალხურ ლექსზე მითითებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ პროფ. თ. ოჩიაურს.

კიტი მანაბელი

„დედათაცა მიეც ვადლი სულისა ზენისა წმიდისა...“

(„არქიპიერატკონი“, X ს.)

(ძალი საპარტოვლოს ისტორიაში)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში ქვის მონოლითური სვეტია აღმართული. ოთხწახნაგა სვეტის ყველა მხარე დაბალი რელიეფით შესრულებული სახეებით ხალიჩისებურადაა დაფარული. ფიგურული გამოსახულებები წიწვისებური გრაფიკული ჩარჩოებით შექმნილ თავისებურ ორნამენტულ ბადეშია ჩასმული. სქემატური გრაფიკული ორნამენტი დაფნის რტოების გირლანდების სტილიზებულ ნაირსახეობას წარმოადგენს. ქვასვეტი სოფ. კავთისხევთან, კატაულას მთაზე აღმოაჩინეს და აღმოჩენისთანავე იგი მკვლევართა ყურადღების სფეროში მოექცა. ქვასვეტი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებული სკულპტურული ქვაჭვარას კვარცხლბეკს წარმოადგენს. VII საუკუნით დათარიღებული ამ ქვასვეტის მთავარ წახნაგზე ჭვრის თავჯანსიციემის სიუჟეტია გამოსახული, გვერდით წახნაგებზე კი საერო პორტრეტების მწკრივებია ვერტიკალურად განლაგებული. ქვაჭვარების ამგვარ სვეტებზე, ჩვეულებრივად, წმინდა პერსონაჟები, ბიბლიური ისტორიის ამბები გამოსახებოდა. ამ რელიგიური სიუჟეტების ქარგაში ხანდახან საერო პირთა გამოსახულებებსაც რთავდნენ. ეს იყო ამ მემორიული საკულტო ძეგლების აღმმართველთა, ქვეყნის მაღალი ფეოდალური წრეების წარმომადგენელთა თავისებური „პორტრეტები“. ზოგიერთი მათგანის თანხლებს ასომთავრულ წარწერებში მათი სახ-

ელებია ნახსენები; ზოგჯერ სახელს ოფიციალური ტიტულიც ახლავს („მამასახლისი გრიგოლ“, „არშუშა პატრიკიონი“, „გრიგოლ ვიპატონი“ და სხვ.). ანალოგიურ ძეგლთა შორის კატაულას ქვასვეტი ერთგვარად გამორჩეულია საერო პირთა გამოსახულებების სიმრავლით. ეს ჭერჭერობით ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ქვასვეტია, რომელზეც შეფარდება რელიგიურ და საერო სიუჟეტებს შორის ამ უკანასკნელთა აშკარა უპირატესობით გამოირჩევა.

კატაულას ქვასვეტის ჩრდ. წახნაგზე მამაკაცთა პორტრეტებია განთავსებული, მისი საპირისპირო სამხრ. წახნაგე კი მანდილოსანთა გამოსახულებებს აქვს დათმობილი. აშკარაა, რომ კატაულას ქვასვეტზე, რომელიც თავისი არსით სალოცავ და შესაწირავ ძეგლს წარმოადგენს, VII საუკუნის ქართლის ფეოდალური საზოგადოების ერთი პატარა უჭრედი, ერთ-ერთი ფეოდალური საგვარეულოს თავისებური „გენეალოგიური ზეა“ გამოსახული, რომელზეც ყოველწევრს მისი სოციალური მდგომარეობის ზუსტად შესატყვისი ადგილი აქვს მიჩენილი.

ჩვეულებრივად, სვეტებზე ქვაჭვარების შემკვეთთა, დონატორების – მამაკაცების პორტრეტები გამოსახებოდა. კატაულას ქვასვეტზე კი სწორედ ქალთა გამოსახულებებმა მიიპყრეს ყურადღება. საქმე ისაა, რომ განვითარებული შუა საუკუნეების მონუმენტურ მხატვრობაში, ქართული ტაძრების კედლებზე ჩვენს



დრომდე ქალთა არაერთმა ბრწყინვალე პორტრეტმა მოაღწია. მათ შორისაა მეფეთა-მეფის თამარის ოთხი ფრესკული პორტრეტი - ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწყვისსა და ბერთუბანში. უნდაა ვახსენოთ აგრეთვე დიდგვაროვან ფეოდალთა ჯგუფურ და ინდივიდუალურ პორტრეტებზე ქართველ ერისთავთა მეუღლეების გამოხატულებები - ერისთავის რატი კახაბერისძის მეუღლის რუსუდანის სახე მღვიმევის ტაძარში (XIII საუკუნის ბოლო), შერგილ დადიანის მეუღლის ნათელას პორტრეტი ხობის ტაძარში (XIII-XIV სს. მიჯნა), ვამეყ დადიანის მეუღლის ფრესკული სახე იმავე ტაძარში (XIV ს-ის ბოლო) და სხვა.

ქალთა გამოსახულებები VII საუკუნის ძეგლზე, კატაულას ქვასვეტზე, უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ ადრეული შუა საუკუნეების ქართლის დიდებულ ქალბატონთა სახეებს. ქალთა პორტრეტების მოთავსება საკულტო ძეგლზე მამაკაცთა პორტრეტებთან ერთად, ერთნაირ პოზიციაზე, ბევრ რამეზე მეტყველებს. ეს ფაქტი, უთუოდ, მრავლისმეტყველია, რადგან ამ ეპოქაში ქალის როლის გამორჩეულობაზე მიგვანიშნებს. შეგახსენებთ, რომ კატაულას ქვასვეტზე მამაკაცის ერთ-ერთ გამოსახულებასთან ასომთავრული წარწერაა: „გრიგოლ ვიპატოსი“, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენელს ბიზანტიის იმპერიის მაღალი საკარისკაცო ტიტული ჰქონდა მინიჭებული.

ამგვარად, კატაულას ქვასვეტმა ქართველ ქალთა უძველესი გამოსახულებები შემოგვინახა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ამ საკულტო ძეგლის მხატვრული-ისტორიულ მნიშვნელობას. სვეტი, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე დაზიანებული მოვიდა და ამიტომ გამოსახულებების თავდაპირველი რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება. სამხრეთის წახნაგზე დღეისათვის ქალთა ხუთი გამოსახულებაა შემონახული. ამათგან ერთი ძლიერაა დაზიანებული. დანარჩენი ოთხი ფიგურებიდან სამთან წარწერებია შემონახული. ზედა ფიგურასთან მხოლოდ სახელის დაბო-

ლოებაა დარჩენილი („...რი“); მკვლევრები სხვადასხვაგვარად, სავარაუდოდ კლასიკურად ამ სახელს. ზემოდან მეორე ფიგურის წარწერა, რომელსაც ყველა ავტორი ერთნაირად აღადგენს, უკეთაა შემონახული: „ქუარო პატიოსანო, მარიამ მხევალი შენი შეიწყალო“. შემდეგ ფიგურასთან იკითხება სახელი „ესაკ...“. როგორც ჩანს, აშუამად დაზიანებულ წარწერებში ვედრების ერთნაირი ფორმულა იყო წარმოდგენილი - მიმართვა წმინდა ჯერისადმი და ვედრება შეწყალების შესახებ.

ქალთა „პორტრეტები“ განზოგადებული და პირობითი ხასიათისაა, მაგრამ გარკვეული სქემატურობის მიუხედავად, მათი ჩაცმულობა გულმოდგინედ და ზუსტადაა გადმოცემული, რაც იმ შორეული ეპოქის ქართული კოსტიუმის საერთო სახის გარკვევის საშუალებას იძლევა. ეს არის ერთი ტიპის სამოსი, რომელიც მხოლოდ დეტალებითაა განსხვავებული. სწორედ ეს დეტალები მიანიშნებს საინტერესო კანონზომიერებას. ქვედა რეგისტრის მანდილოსანთა ჩაცმულობა უფრო მოკრძალებული ხასიათისაა. ამით ამ გამოსახულებებში გატარებულია შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ე.წ. „ვერტიკალური იერარქიის“ პრინციპი, რომლის მიხედვით პერსონაჟთა სტატუსი იზრდება ქვემოდან ზემოთ, ფიგურების სხვადასხვა რეგისტრში განლაგებით ხაზგასმულია მათი სოციალური მდგომარეობა.

ქალებს სადა ქსოვილის გრძელი კაბა მოსავთ, რომელიც მათ კოჭებს უფარავს. მხრებზე მოსხმული აქვთ სადა ზოლით შეოღვილი უსახო ქსოვილის მოხასხამი. რელიეფზე გამოსახულ ქალთა „ზეითი“ ტანსაცმელი - ქაითბი (ასე მოიხსენიება იგი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში) გრაფიკული ნაქდევებითაა დამუშავებული. შესაძლოა, ქართველმა ოსტატმა ამგვარად გადმოსცა ქართულ წყაროებში არაერთხელ ნახსენები „დაბეწვილი ქაითბი“. ეროვნულ სამოსთან დაკავშირებით მდიდარ მასალას გვაწვდის ქართული მზითვის წიგნები, რომლებიც XVIII საუკუნიდანაა შემონახული. მათში ყველაზე ძვირფას ნივთებთან ერ-



თად საგანგებოდაა ნახსენები „დაბე-
წვილი ქაითები“. დასახელებულია სხ-
ვადასხვა სახის ბეწვეული: სიასამური,
კვერნა, კურდღელი, სინჯაფი (თრითინა)
და სხვა. ერთ მზითვის წიგნში ნახსენებია
„ქაითი სინჯაფის ბეწვით ძაღართ“. სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხუ-
ლობთ: „ძაღარა - ბეწვის გარ-შე-
მონაკერი“. ამგვარად, შეიძლება ითქვას,
რომ კატაულას ქვავეტზე მარიამს მოსავს
ქაითი ძაღართ. მარიამი თავდახუ-
რულია, მას თავზე მანდილი აქვს მოხვეუ-
ლი. მანდილი წარბებამდეა ჩამოწეული
და ნიკაპს ქვემოთ საუბურის მსგავსად
შემოკრული.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ
საქართველოში ქალიშვილებსა და გათხ-
ოვილ ქალებს თავსაბურავის ტარების
წესით განასხვავებდნენ: ქალიშვილებს
თავზე „ქუდი ანუ ლერაქი“ ეხურათ,
ხოლო გათხოვილი ქალები „უბას ქვეშ
მარგალიტით შემზადებულს ამოიდებდ-
ნენ და თხემსა ზედა შეიკურენ და მხურ-
ავთ მასზედ ლერაქი“. ამგვარად, წერილო-
ბითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართვე-
ლი ქალის თავსაბურავი ორმაგი იყო -
თავზე მოხვეული, ნიკაპის ქვეშ ამოდე-
ბული თხელი მანდილი (მარცხენა მხარეს
შეკრული) და მასზე შემოხვეული
თავსაკრავი ან ლერაქი.

ქვავეტის წახნაგის ზედა რეგისტრში
გამოსახული მანდილოსნის სამოსის თარ-
გი მარიამის ჩაცმულობის ანალოგიურია,
მაგრამ მისგან უფრო საზეიმო ხასიათითა
და შემკულობით გამოირჩევა. მისი ქაითი-
ბი მთლიანადაა „დაბეწვილი“. ქაითების
კალთები ერთმანეთთან მჭიდროდაა
მიკრული და ძვირფასი „ხრიკებით“
(შესაკრავებით) შეკრული. ტანსაცმლის
შემამკობელი ოქროსა და ვერცხლის
„ხრიკები“ მზითვის წიგნების ნუსხებში
ძვირფასეულობათა შორის საგანგებოდაა
მოხსენებული. ქაითის ზედაპირის და-
მუშავებაში ჩანს ბეწვის ნაწილების დამ-
აკვშირებელი „ნემსულები“ და კალ-
თაზე მოგრძო ფორმის დეტალები, რაც,
შესაძლოა, სიასამურისა თუ კვერნის ბე-
წვის ნაწილებს აღნიშნავს.

კატაულას ქვავეტზე ქართლის ფეო-

დალური საგვარეულოს ქალთა გამოსახ-
ვლებები, რომლებიც ამგვარ მნიშვნელო-
ვან საკულტო ძეგლზე მამაკაცთა თანას-
წორადაა წარმოდგენილი, უთუოდ, ბევ-
რის მთქმელია, რადგან აღრეული შუა
საუკუნეების ქართლის სამეფოში ქალთა
მდგომარეობის რეალურ სურათს ასახავს.
ქვავეზარას დონატორთა შორის ქალების
გამოსახვა საზოგადოებაში მათ როლზე
მიუთითებს. ეს ვითარება გასათვალ-
ისწინებელია, როდესაც ვარკვეთ
მანდილოსანთა ადგილს საქართველოს
ისტორიაში. ქართლში აღმოჩენილი რე-
ლიგიური ხელოვნების ეს ძეგლი, საერო
პორტრეტების მთელი წყებით, სადაც
ქალთა სახეებს მნიშვნელოვანი ადგილი
უკავია, უნიკალურია არა მხოლოდ
საქართველოსათვის, არამედ საერთოდ
აღრეული შუა საუკუნეების ისტორიი-
სათვის.

შუა საუკუნეების საქართველოში
ქალი-მოდეფანის, ქალი-შემოქმედის,
ქალი-მწერლის, ქალი-პოლიტიკოსის, ხე-
ლოვნებაზე მზრუნველი ქალის ისტორი-
ული როლი ჯერაც ელის თავის მკვლე-
ვარს. ძველ ქართულ მატიანებებსა და
ლაპიდარულ წარწერებში ქართველ
ქალთა მოდეფანობის მრავალი ფაქტია
მოხსენებული. ეს სრულიად ბუნებრივი
და ორგანული ჩანს საქართველოსთვის,
რომლის ენაში ეთნოგრაფიულ სინამდ-
ვილეში, ქალის როლის განსაკუთრებუ-
ლობის არაერთი ნიშანია დაშიფრული.
შეგახსენებთ მხოლოდ საუკველთაოდ
ცნობილ რამდენიმე მაგალითს.
საქართველოს მთიანეთში უძველეს
ტრადიციათა გადმონაშთები დღემდეა
შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანია „ად-
გილის დედის“ კულტი. ხალხის რწმენით,
თითოეულ ადგილს, მთას, გორას საკუ-
თარი „დედა“ მყავს (ივ. ჭავჭავაძის).
ღრმა აზრია ჩაქსოვილი ქართულ სიტყვა-
ში „დედამიწა“ - ღვთაების მნიშვნელო-
ბით. თანამედროვე მნიშვნელობით
ხმარებული „დედამიწა“ ძველ ქართულ-
ში აღინიშნებოდა სიტყვით „ქუეყანა“. ქართულმა მეტყველებამ ქალის გან-
საკუთრებულობის აღმნიშვნელი არაერ-
თი სიტყვა შემოინახა. საკმარისია გავის-



სენოთ: „გუთნისდედა“, „დასახლისი“ (მეურნეობის წარმართვაში უპირატესობის აღმნიშვნელი), „დედაბოძი“ (სახლის მთავარი საურდენი კონსტრუქცია), „დედაციხე“ (მთავარი ციხე), „დედაქალაქი“, „დედაარსი“, „დედააზრი“, „დედაბუდე“, „დედაწული“ (ოჯახი), „დედაენა“, „დედაძარღვი“ და სხვა. ქართველი ხალხის უძველეს რწმენაში შემონახულია შვის ქალღმერთის – დიდი დედის, ღმერთების დედის კულტის კვალი.

ქართველთა მოქცევა, ქვეყნის გაქრისტიანებაც ხომ ქალთან არის დაკავშირებული. ქართლის განმანათლებელი, კაპადოკიელი ტყვე ქალი ნინო, ქართველებს ქრისტიანობის მქადაგებლად, ახალი სარწმუნოების გამაერცვლებლად მოვევლინა. შემთხვევითი როდია, რომ ნინოს პირველ მოწაფეთა შორის ქალგებია მოხსენებული: მცხეთელი მღვდლის აბიათარის ასული სიდონია და მისი ექვსი მეგობარი: „...და აღემოწაფეს მას და მათ თანა ექუსნი დედანი სხუანი“ („მოქცევაი ქართლისაი“).

ლეონტი მროველისეულ „ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში“ ჩართულია ნაწილი – „თქმული სიდონია დედაკაცისა“, რომელსაც ასეთი განმარტება ახლავს: „რომელი იყო მოწაფე ნინოსი, რომელ-ესე იხილა და დაწერა მოქცევა სახწაულთა მირიან მეფისა...“.

გავისხენოთ ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ გარკვეული ნაწილების ავტორად ვინმე სალომე უჯარმელია დასახელებული. გადმოცემით, ნინომ სიკვდილის წინ მოიხმო სალომე უჯარმელი და პეროფავრ სივნიელი: „მაშინ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და სივნიელმა პეროფავრ, და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და ივინი წერდეს...“.

აქვე უნდა ვახსენოთ უფლის კვართის საქართველოში მოხვედრის ამბავი, რომელიც კვლავ ქალთან, ელიოზ მცხეთელის დასთან არის დაკავშირებული. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ ქრისტეს ჭვარცმას იერუსალიმში ესწრებოდნენ ელიოზ მღვდელი და ლონგინოზ კარსნელი: „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხვდა მცხეთელთა“. ელიოზმა უფ-

ლის კვართი მცხეთას ჩამოიტანა. იქ მას და შემოეგება, გულში ჩაიკრა უფლის კვართი და განუტევა სული. „და ელიოზ დამარხა დაი თვისი, და ხელთა აქუნდა სამოსელი იგი უფლისა...“.

ქართველთა გაქრისტიანების საქმეში ქალის როლის ამგვარი წარმოჩენა შემთხვევითი არ არის და ალბათ მომავალში დამატებითი მასალების გათვალისწინებით საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვიცემა. ქართლის სამეფო ოჯახშიც ხომ ქრისტეს სჯულზე პირველად ქალი – ნანა დედოფალი მოექცა, „იქმნა მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი“.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ფარავნის ტბასთან ხილვისას წმინდა ნინომ მიიღო წიგნი, რომელშიც მეორე „სიტყვად“ „დაწერილ იყვნეს“: „არცა მამაკაცობა არს, არცა დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველი ერთ ხართ“. ეს იყო ღმერთის პასუხი ნინოს შემფოთებაზე და მღელვარებაზე იმის გამო, რომ ის არ თვლიდა თავს იმ დავალების ღირსად, რომელიც ღვთისაგან ჰქონდა მიღებული. „უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი“ – ტიროდა და შემალაღებდა უფალს ნინო. უფლის პასუხი ნინოს ვედრებაზე ღრმა აზრითა და სიბრძნითაა აღსავსე. უფლისგან აღიარებული „დედაკაცობა“ და „მამაკაცობა“ თანასწორობა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ვლინდებოდა და საქართველოს მრავალტანჯულმა ისტორიამ „დედაკაცობა“ ვაჟკაცობისა და შემართების არაერთი ბრწყინვალე მაგალითი შემოგვინახა.

ქართველ ქალთა არაერთი სახელია დაკავშირებული ძველი ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროსთან. ქართული სურათმომღვრების ისტორიამ ქალთა მრავალი სახელი შემოგვინახა. უპირველესად გვმართებს ქართველთა დიდებული მეფის ვახტანგ გორგასლის დედის, დედოფალ საგდუხტის სახელის გახსენება, რომელიც თავისი ღვთისმოსავობითა და ქველი საქმეებით იყო სახელგანთქმული: „ხოლო ამან საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი: რამე თუ ქმარმან მისმან მომგუარა კაცნი სჯულისა

მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი... მაშინ საგდუხტ გულისხმა იყო და იცნა სჯული ჭეშმარიტი, დაუტევა ცეცხლის მსახურება, ნათელ იღო და იქმნა მორწმუნე...“ — მოგვითხრობს ისტორიკოსი ჯუანშერი თავის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საგდუხტ დედოფალი იყო აღმშენებელი სამშვილდის სიონისა.

სწორედ საგდუხტ დედოფლით იწყება ქართველ დედოფალთა და დიდებულ ქალბატონთა გრძელი ნუსხა, რომელთაც თავისი მზრუნველობა და ამავი არ მოაკლეს საქართველოს ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და ძნელბედობათა შუამხარბეული სიწმინდეების აღდგენა-განახლებას. ისტორიულმა საბუთებმა და ლაპიდარულმა წარწერებმა მათი საქმიანობის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა შემოგვიწინა.

დავიწყეთ ქართველთა უდიდესი სიწმინდით, მცხეთის ჯვრის დიდებული ტაძრით. VI-VII საუკუნეთა მიწანაზე აგებული ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ინტერიერში, კარის თავზე ჩადგმულ ფილაზე ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი, რომელშიც მოხსენებულია ტაძრის ამ ნაწილის მამულებელი ვინმე თემესტია: „წყალობითა ღმერთისათა და შეწვევითა ჯოჯორისათა მე, თემესტია, მხევალმან ქრისტისმან აღვაშენე საყოფელი ესე სახსენებლად სულისა ჩემისა, თაყვანისსაცემელად დედათა“. როგორც ჩანს, ქართლის ერისმთავართა ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა თემესტიამ გაიღო თანხა ტაძრის სამხ.-დას. ნაწილში ქალბატონთაგან განკუთვნილი საგანგებო სათავისოს („საყოფლის“) ასაგებად.

X საუკუნის რამდენიმე ტაძრის სამშენებლო წარწერაში ქალთა სახელებია ნახსენები. ასე მაგალითად, ვაღეს ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის რელიეფის ასომთავრულ წარწერაში ნახსენებია „კრავი“ (კრავი). აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ვაღეს ტაძრის ისტორიასთან კიდევ ერთი დიდებული ქალბატონის სახელია დაკავშირებული. ტაძრის ინტერიერში სამხრეთის ბოძზე დიდი ასომთავრუ-

ლი წარწერაა ამოკვეთილი. წარწერიდან ირკვევა, რომ ტაძარი „მეორედ აღაშენა“, ე. ი. აღადგინა მეფე ბაგრატის ასულმა და ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლემ დედისიმედმა („მეორედ აღვაშენე წმიდაი ესე ეკლესიაი შენ ცათამობადვისა ვაღისა ღმრთისმშობლისა...“). საგარაუდოა, რომ ტაძარი XVI საუკუნის 60-იან წლებში შეუკეთებიათ.

ლისის ჯვრის ეკლესიის სამხრეთის კარის თავზე მოთავსებულ წარწერაში ვკითხულობთ: „თებრონია, თუალოის ასული“. ურბნისის სიონის შემწედ მოხსენებულია ვინმე შუშანა თავის მეუღლესთან ქავთართან ერთად.

საქართველოს დედოფალთა სამშენებლო საქმიანობა სცილდებოდა საქართველოს საზღვრებს. ცნობილია რომ XI საუკუნეში დედოფლებმა მარიამმა და ბორჩხამ პალესტინაში კაპათა მონასტერი ააგეს.

დავით აღმაშენებლის ასულს თამარს, შირვანის დედოფალს, 1150-1152 წლებში თიღვის მონასტერი აუგია. იგი მოხსენებულია ტაძრის საკტიტორო წარწერაში. ეს მოხდა მისი ქმრის შირვანის მეფის გარდაცვალების შემდეგ. თამარი თავისსავე აგებულ მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად. ამის შესახებ ლაშა გიორგის მემატიანე მოგვითხრობს: „დაი დემეტრესი თამარ, თიღვისა აღმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარდაიცვალა“.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია ქართველ ქალთა იშვიათი დიპლომატიური ნიჭის ამბებიც. ჩვენამდე მოაღწია ქალთა მიერ წარმატებით შესრულებული არაერთი დიპლომატიური მისიის ამბავმა.

XI საუკუნის დისაწყისში საქართველოში ბიზანტიის მომძლავრებული აგრესიის დროს მეფე ბაგრატ IV-ის დედა მარიამ დედოფალი მოსალაპარაკებლად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, „ძიებდა მშვიდობისა და ერთობისა“. ბიზანტიის დედაქალაქში იგი შეხვდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს. ბიზანტიის კენისართან სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და საქართველომ სასურველი მშვიდობა მოიპოვა. კონსტანტინე მონო-



მაქისაგან მარიაჲმ თავის ძეს საცოლელ ჩამოუყვანა და კეისრის ნაბოძებნი კურა-პალატის ტიტულიც აახლა.

XI საუკუნის შუა წლებში დედოფალი მარიაჲმ ანტიოქიაში ჩავიდა. მას შემდეგ განზრახული ჰქონდა იერუსალიმის მიმოსვლა და მოლოცვა, მაგრამ წასვლა ვერ მოახერხა და თავის ნაცვლად გიორგი მთაწმინდელი გააგზავნა, გაატანა მას მდიდარი შეწირულობანი ქართველთა ჯვრის მონასტრის აღმშენებლის პრონორებისათვის და პალესტინის სხვა მონასტრებისა და წმინდა ადგილებისათვის.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გახსენება, რომ ქართველთა მეფის ბაგრატ IV-ის სილაჲაზით სახელგანთქმული ასული მარიაჲმ ბიზანტიის დედოფალი გახდა. იგი იყო მეუღლე ბიზანტიის ორი იმპერატორისა - მიქაელ VII დუკასი (1071-1078) და ნიკეფორე ბოტანიატისა (1078-1081). XI საუკუნისათვის ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როდესაც ბიზანტიის სამეფო ტახტზე კეისარს უცხოური წარმომავლობის დედოფალი უმშვენიებდა მხარს. მარიაჲმ დედოფლის კულტურული მოღვაწეობა ფართოდ იყო ცნობილი. მისი მფარველობითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ ბიზანტიელი მწერლები და მეცნიერები. მისი შეკვეთით უნდა შექმნილიყო ევსტრატე ნიკელისა და თეოფილაქტე ოქრიდელის სამცენიერო ტრაქტატები. პირველმა თავისი პოპულარული ნაშრომი კოსმოგონიის შესახებ მარიაჲმ დედოფალს მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ მარიაჲმ დედოფლის სახე შემოგვინახა ხახულის კარედი ხატის ჭედურ კომპოზიციაში ჩართულმა მინანქარმა, რომელზეც მარიაჲმ თავის მეუღლესთან მიქაელ დუკასთან ერთად არის გამოსახული. კონსტანტინოპოლის საოქრომჭედლო სახელმწიფოში შექმნილი ეს შესანიშნავი მინანქარი საქართველოში ალბათ თავად მარიაჲმ ჩამოიტანა, როდესაც 1072 წელს ჩამოვიდა სამშობლოში მომავკდავ მამასთან გამოსამშვიდობებლად.

ქალთა დიპლომატიური მოღვაწეობის იშვიათი მაგალითია თამარ მეფის დროს აჩანყებულ ფეოდალებთან ორი დიდგ-

ვაროვანი მანდილოსნის - სამქივართა დედის კრავაი ჭაყულისა და ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედის ხვაშაქ ცოქალის მისია. მათ წარმატებით გაართვეს თავი ურთულეს დავალებას და საქართველოში შინააშლილობა დაამშვიდეს.

თამარ მეფის ეპოქის ცნობილი მოღვაწე და დიპლომატი იყო დემეტრე პირველის ასული თამარი, ხორანის სულთნის მეუღლე. მისმა დიპლომატიურმა ნიჭმა ღრმა კვალი დააჩნია საქართველოს სახელმწიფო საქმეებს. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მსოფლიოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეფეთა-მეფე თამარს. ის, რაც მისი მეფობის დროს გადახდა საქართველოს, რა წარმატებებსაც მიაღწია ქვეყანამ მისი ბრძნული ხელმძღვანელობით, გამორჩეული ვაჟკაცი მბრძანებლისთვისაც კი ძნელად მისაღწევი იქნებოდა. დავიწუთო იმით, რომ თამარი თავად შეიგებებოდა ხოლმე საომრად შეკრებილ ქართველთა ლაშქარს, ამოწმებდა მის მზადყოფნას. მემატიანე მოგვითხრობს, თუ როგორ მიაცილებდა იგი ბრძოლის ველზე მიმავალ მეომრებს („იხილნა აბჯრითა კეთილთა და პატიოსანთა და მოუწონა აბჯარი და ცხენხელოზა მათნი“), როგორ ლოცავდა ლაშქარს და გადასცემდა მთავარსარდალს „დროშას სვიანად ხმარებულს გორგასლიანს და დავითიანს“. ძნელია მეფე თამარის ყველა ძლიერმოხილი ლაშქრობის ჩამოთვლა. ასეთივე წარმატებული და ღირსეული იყო მისი საგარეო პოლიტიკა, დიპლომატია. მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი მაინც თამარის საშინაო პოლიტიკა იყო. დავუკვირდეთ და ჩავუფიქრდეთ მემატიანის სტრიქონებს: „მის დროს მონასტრისა დაღეწნა ვერვინ იკადრებდა, ქარავანს ვერვინ ძარცვავდა, ამერი და იმერი“. შემდეგ: „ქვეყანაში მპარავი, ავის-მოჭმედი აღარ იყო...“, „და იყო მდიდარ ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა სწორად იმოსებოდეს“ (ლაშა გიორგის ისტორიკოსი).

თამარის სახელთან არის დაკავშირე-

ბული ქართველთა უდიდესი სიწმინდის — ანჩის სასწაულმოქმედი ხატის შემკობა. „ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა ღმრთისგვირგვინოსანისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისაითა მე, იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელგყავ საშინელისა ამის ხატისა მოქედად“ — ვკითხულობთ ხატის ქედურ წარწერაში.

მემატიანე განსაკუთრებულად მოიხსენიებს თამარ მეფის მამიდას რუსუდანს: „... რუსუდან დედოფალი იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინისმცემელი და შემხუეწელი დაჭირვებულთა, და მზრდელი ჩვილთა და ობოლთა... ხელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზანებოდა“.

თამარის ასულის რუსუდანის სახელია მოხსენებული გუდარჩის ტაძრის საკითხროს წარწერაში: „...აღეშენა წმინდა ენეტკლესია ხელითა ფრიად ცოდვილისა ჭივჭაყორძისათა, სალოცავად და სადიდებლად დედოფალთ დედოფლისათვის, რუსუდან დედოფლისა და შვილთა მისთა“.

ქართველ დედოფალთა და დიდგვაროვან ქალბატონთა ხელით მოქარგული და შემკული, ეკლესიებისათვის შეწირული დაფარნები და საეკლესიო შესამოსელი დღესაც გვაოცებს თავისი დახვეწილი გემოვნებით, ოსტატობითა და მხატვრული სრულყოფით.

უადრესად საინტერესო პიროვნებად გვევლინება XIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე მანდილოსანი სალომე ქართველი. იგი იყო დედა გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ლუკა იერუსალიმელისა. სალომე ქართველი იერუსალიმის ქალთა ქართულ მონასტერში მოღვაწეობდა. ცნობილია, რომ იგი ებრძოდა მამულეუქებს და თავი გასწირა სარწმუნოებისათვის — მას თავი მოკვეთეს ქრისტეს სჯულის ღალატზე უარის თქმისათვის.

უფრო მრავლად მოადწია ჩვენამდე იმ დედოფალთა და წარჩინებულ მანდილოსანთა სახელებმა, რომლებმაც გვიან შუა საუკუნეებში იღვაწეს მტერთაგან განადგურებული ქართული სიწმინდეების აღსადგენად. XV საუკუნის I ნახევარში საქართველო შეუდგა თემურ-ლენგის ურდოებისაგან აობრებული და იავარქმ-

ნილი ეკლესია-მონასტრების აღდგენას. ამგვარ საქმიანობაში განსაკუთრებითაა გამოჩენილი „მეფეთა შორის წარჩინებულის“, „დიდი“ ალექსანდრე მეფის ბებინის რუსას პიროვნება. ეს იყო ცნობილი და დიდად პატივცემული საზოგადო მოღვაწე, მეფის აღმზრდელი. ცნობილია, რომ მან დაიწყო მტერთაგან დანგრეული სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენა. რუსამ „გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სვეტთა საყდრისათა“. რუსავერ მოესწრო აღდგენითი სამუშაოების დამთავრებას და მისი გარდაცვალების შემდეგ მშენებლობა ალექსანდრე დიდმა დაასრულა XV საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში.

დიდი აღდგენითი სამუშაოები გაიშალა კახეთში XV საუკუნის 70-იან წლებში ალექსანდრე დიდის შვილიშვილის კახეთის მეფის ალექსანდრეს დროს. მან აღადგინა „წარმართთაგან შეგინებული ეკლესიები“, რომელთა შორის აღსანიშნავია ალავერდის დიდებული საკათედრო ტაძრის აღმშენებლობა. ამ საქმიანობაში ალექსანდრეს თანამოაზრენი და თანამშრომლები იყვნენ მისი დედა დედოფალთ დედოფალი ნესტან-დარეჯანი და მისი მეუღლე დედოფალი ანა. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მათ „აღაშენნეს ცაი და გუმბათი და სამხარნი რაბამ რამე აღმატებულად და შესაკვეთულად... და აღავსეს სიწმიდეთა მიერ კატაოხანთა ნაწილთა წმიდათათა, წმიდათა ხატთა... ყოვლითა სიკეთითა...“. მათვე მოახატვინეს აღდგენილი ტაძარი. „შემდგომად ამათ თანა რაოდენნიმე ეკლესიანი აღაშენნეს და რაოდენნიმე წარმართთაგან შეგინებული ეკლესიანი განწმინდეს სახლად ღმრთისა...“.

აქვე ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სწორედ ანა დედოფლის ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, რომელიც ანასეული ნუსხის სახელითაა ცნობილი.

საქართველოს დედოფალთა აღმშენებლობითი საქმიანობიდან უნდა გავიხსენოთ მარიამ დედოფლის მიერ 1668 წელს „ჟამთა ვითარებისაგან მოშლილი“, „ძირითურთ აღმოფხრული“ ურბნისის ტაძრის აღდგენა, რაზეც მოგვითხრობს ტაძარზე მოთავსებული წარწერა.



გახსენების ღირსია შოი მღვიმის მონასტრის ზემო ეკლესიის (აიგო დავით აღმაშენებლის დროს, XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე) აღდგენა XVII საუკუნის 70-იან წლებში. ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზე მოთავსებულ წარწერაში ნათქვამია, რომ იგი აღადგინეს „იოთამ ამილახორის შვილმან თვით ამილახორმან გივმან“ და მისმა „თანამეცხედრემ“, ქართველთა მეფის შამ-ნავაზის (ვახტანგ V) ასულმა ბატონიშვილმა თამარმა.

საქართველოს ისტორიამ ნიჭიერ პოეტ ქალთა სახელებიც შემოგვინახა, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა ვახსენოთ მეფე ბაგრატ IV-ის მეუღლე ბორენა დედოფალი. ზემო სვანეთში ლენჯერის თემის სოფ. ნესგუნის მაცხოვრის ეკლესიაში შემოინახა ღმრთისმშობლის ფერწერული ხატი, რომლის ქედურ შესაბამისეში სხვადათ შეხსრულებული იამბიკოა ჩართული. იგი ხელმოწერილია „ბორენა ჭირმრავალი“.

ბორენა დედოფალთან დაკავშირებით არსებობს ისტორიული ცნობა, რომლის თანახმად, მას გაუზრდია „სწორუპოვარი კალიგრაფი“ იოანე დიაკონი (კ. კეკელიძე), რომელსაც გადაუწერია არსენ იუალითოელის დიდი სჯულთხისკანონი (XI ს. III მხოთხედი).

მეფეთა-მეფე თამარს მიაკუთვნებენ „იამბიკოს“, პოეტურ ქმნილებას, შექმნილს შამქორის ომში გამარჯვების აღსანიშნავად.

ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანია მეფე ერეკლე I-სა და მისი მეუღლის ანა ჩოლოყაშვილის ასულის მარიაშის წვლილი. თავისი მეუღლის, მეფის სახლ-თუხუცესის ედიშერ ჩოლოყაშვილის ლექებთან ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ იგი მონაზვნად აღიკვეცა ალავერდში მაკრინეს სახელით.

მაკრინე XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, იგი „იყო სწავლული ქართულსა ენასა ზედა ფრიად“, მშვენივრად ფლობდა ფრანგულ, ბერძნულ და სომხურ ენებს.

მაკრინეს შეიკვეთითა და სახსრებით ალავერდში გადაწერეს და შეამკეს „სა-

დღესასწაულოს“ ტექსტი. მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა მიმწოდებლისა და აგიოგრაფიაში. მას საკუთარი ხელით გადაუწერია საბას ლექსიკონი და დაურთავს მისთვის ორიგინალური იამბიკური „შესხმა“ ღმრთისმშობლისა. მან შეადგინა იოსებ ალავერდელის „ცხოვრება“, შექმნა იშვიათი პოეტურობითა და ღრმა პატრიოტიზმით აღსავსე ზიპნები.

ღირსშესანიშნავი ფაქტია დაკავშირებული XVIII საუკუნის დასაწყისში კახეთის დედოფლის ანას მოღვაწეობასთან. 1703 წელს მისი ინიციატივით ჩატარდა საეკლესიო-კალენდარული რეფორმა, რომლის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ცნობილი მოღვაწეები გრიგოლ დოღორქელი-ვახვახიშვილი და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი რუსთველი. მათ შეკრიბეს ქართველ წმინდანთა ცხოვრება-მარტოვანობანი და შეადგინეს მათგან „მრავალთავი“.

ცნობილია ერეკლე II-ის თანამედროვე პოეტი ქალი მანანა. მას არაერთი პოეტური ნაწარმოები ეკუთვნის. მან შექმნა რელიგიური თხზულება „შირნი“, ერეკლე II-ის ერთერთ გამარჯვებასთან დაკავშირებით მეფეს სამტაეპოვანი ქება უძღვნა. მეფე ერეკლეს ასულები მარიამ, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილები პოეტური და მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. ყველაზე უმცროსი ასული თეკლე ბაგრატიონი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს გათავისუფლებისათვის მებრძოლთა თანაგრძნობისა და დახმარებისათვის იგი თავის ორ ვაჟთან ერთად კალუგაში იყო გადასახლებული.

სარწმუნოებისთვის, ერისთვის თავდადების, მამულისა და რწმენის უსაზღვრო ერთგულების სიმბოლოა ყველა ქართველისათვის ქეთევან დედოფლის ნათელი სახე, დედოფლისა, რომელმაც მოწამებრივი გვირგვინი დაიდგა თავს. „გაუტყუელი სიმტკიცე“ უწოდა დედოფლის თავგანწირვას გერმანელმა მწერალმა ა. გრიფიუსმა.

მალაღგანივითარებული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელი ქალთა სწორუფლებიანობის აზრი



საქართველოში ოდიშთანვე არსებობდა. შუა საუკუნეებში, ფეოდალური საზოგადოების წიაღში, ქალის აქტიური როლი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქართველი ქალის დიდ პოტენციალსა და შესაძლებლობებზე მეტყველებს. საქართველოს ისტორიაში ქალის როლის მნიშვნელობის დამადასტურებელი კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ შემომოყვანილი ფაქტებიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა წვლილი შეჰქონდათ ქართველ ქალებს ქვეყნის კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში და რა დიდ ძალას წარმოადგენდა ქალი საქართველოს ისტორიაში.

შემომოყვანილი ისტორიული ფაქტების შეხსენება თვითმიზანი როდია. წარსულის მაგალითები დღევანდელობისა და მომავლის მყარ საფუძველს ქმნის. საქართველოს ისტორია ზომ უსასრულო კატაკლიზმების, განსაცდელებისა და გამანადგურებელი თავდასხმების უსასრულო წყებაა. პარადოქსია, მაგრამ დღესაც, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, საქართველო კვლავ უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძიებისას აუცილებელია ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარის ისტორიულ ჭრილში გააზრება, რათა უკეთ განვსაზღვროთ მოქმედების ასპექტები, რეალურად შევადგინოთ საკ-

უთარი რესურსები, შორეული გადასახედიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ ისტორიის გაკვეთილებიდან. ახალი, თავისუფალი საქართველოს აღმშენებლობისათვის კი (ამას ჩვენი ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს) აუცილებელია ქალთა მთელი ინტელიქტუალური შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის მაქსიმალური გამოყენება.

ქართველი ქალი საუკუნეთა განმავლობაში იღვწოდა თავისი ქვეყნისათვის, ემსახურებოდა მის მომავალს. ეს უნარი, ეს სურვილი ქართველმა ქალმა დღემდე მოიტანა. ეს უძლიერესი შემოქმედებითი მუხტი უთუოდ სრულად უნდა იყოს გამოყენებული ქვეყნის სასიკეთოდ. ალბათ ზედმეტი არ იქნება ჩემს თანამემამულეებს შევასენო ქართველი ქალისადმი მიმართული X საუკუნეში დაწერილი სტრიქონები, რომლებიც ჩვენ საკუთარი ძალების რწმენას აღგვიღვენს და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის სტიმულს მოგვცემს:

*„ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა
ლომისა ძუვისასა...
... ვინა ვითარცა ორბი დედალი,
რომელი აღვიდის
სიმაღლესა მაერისასა უფროის
მამლისა“.*





რელიგიური გონი და საქრალურის „განთავსების პრობლემა“ (ფრაგმენტი წიგნისა Homo Religiosus)

კითხვა იმის შესახებ, თუ რა ბედი ელის რელიგიურ გონს დღევანდელ, ე.წ. პოსტისტორიულ სინამდვილეში, ალბათ, თანამედროვეობის ერთ-ერთ გენერალურ კითხვას წარმოადგენს. ალბათ, სწორედ ამ კითხვაზე პასუხით განისაზღვრება ჩვენი შემდგომი ბედი და იმ სამყაროს პროექტირებაც მოხდება, რომელშიც ხვალ ვიქნებით. ცხადია, საუბარია არა რომელიმე რელიგიაზე კონკრეტულად, არამედ, ზოგადად, რელიგიურ გონზე, იმ უნიკალურ ლინგვისტიკაზე, რომელშიც ვეძებთ პასუხებს ბანალურ და, ამასთანავე გარდუვალ კითხვებზე ადამიანის დანიშნულებისა და ბედის შესახებ.

დღეს ჩვენ პროფანულის მიერ საკრალურის ტოტალური შთანთქმის (როგორც მირჩა ელიადე ამბობს, კომუფიკაციის) ხანაში გვიწევს ცხოვრება. ამ პროცესის დასაწყისად პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ ორი ფაქტი, რომელთაც, ვფიქრობთ, უფრო სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ქრონოლოგიური. 1647 წელს დადებულ ვესტფალიის ზავის ტექსტში ტერმინი „სეკულარიზაცია“ საეკლესიო ტერიტორიების გადასვლას საერო მმართველობაში გულისხმობდა. ამ ფაქტმა თითქოს ახალი მეტაფიზიკის დაბადების პირვე-

ლი ნიშანი მოგვცა, თუმცა კი ჯერ მხოლოდ სუსტი, მხოლოდ მინიმუმების მნიშვნელობის მქონე და მხოლოდ სამართლის ენაზე მეტყველი. გაცილებით უფრო მკაფიო მომენტია 1667 წელი, როდესაც ისააკ ნიუტონი „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკურ საწყისებს“ აქვეყნებს და ამით ახდენს პირველ მანიფესტირებას იმისა, რაც შემდგომ უკვე მეტაფიზიკის სფეროში სეკულარიზაციად თუ სეკულარულ მეტაფიზიკად იქნა გაგებული. ჩანს, მეტაფიზიკურ საუკუნე ამ თვალსაზრისით შემობრუნების წერტილს წარმოადგენდა და ამის წინათგონობა მოელს ქრისტიანულ სამყაროში არსებობდა¹.

ის, რასაც შემდგომში სეკულარული მეცნიერება შეერქვა, თანდათან ჭეშმარიტების ერთადერთი შესაძლო ადგილის მნიშვნელობას იძენს. სეკულარული ინტერპრეტაცია, როგორც ასეთი, ფორმალური, დესაკრალიზებული და დეპერსონალიზებული საკომუნიკაციო სივრცის აგებას ნიშნავს. შეიქმნა თვითწარმდგენი და ავტონომური ინტელექტუალური სივრცე, რომელიც ვერიფიცირებადი და ქმდითი რჩებოდა ნებისმიერ ვითარებაში, როგორ რელიგიურ, კულტურულ და ისტორიულ განსხვავებებთანაც არ უნდა გაქონოდა საქმე.

¹ წინამდებარე ტექსტი მოხსენების სახით წაკითხული იქნა მუდმივმოქმედ საუნივერსიტეტო სემინარზე „საკრალური და პროფანული“. სემინარის ხელმძღვანელი პროფ. ზ.კიკნაძე.

² ამ წინათგონობის ნაკლებად რაციონალური და ექსტატური რელიგიურობის ნიშნის მატარებელი ნიმუშია ის, რაც ამ საუკუნის რუსულ მართლმადიდებელ აზროვნებაში ხდება. რუსეთში XVII საუკუნეს ათასგვარი ესქატოლოგიური მოდოლინი დაუკავშირა იმ მიზეზით, რომ 1666 წელს აპოკალიფტური მხეცის რიცხვი უნდა აღსრულებულიყო. განადა მრავალრიცხოვანი მარგინალური ჯგუფები, რომლებიც შორეულ ადგილებსა და ტყეებს აფარებდნენ თავს. თითქოს სწორედ ამ მოდოლინებმა მოახდინეს ყოველივე იმის პროექტირება, რაც შემდგომ მოხდა კიდევ: ნიკონის რეფორმები და „რასკოლი“. ესქატოლოგიურმა მოდოლინებმავე განსაზღვრეს 1666-67 წლების



რელიგიურის პარალელურად განდგა და ლეგალურობა მოიპოვა მისგან განსხვავებულმა და ასეთივე უნივერსალურმა ინტელექტუალურმა გარემომ, რომელსაც არ ემუქრებოდა რელიგიატურობის ის საფრთხე, რომლის წინაშეც ტრადიციული აღმსარებლობები აღმოჩნდნენ რელიგიურად მრავალფეროვან სამყაროში. ვერც ქრისტიანობამ, ვერც თუღველობამ და ვერც ისლამმა ვერ შეძლეს ამგვარი უნივერსალური ფუნქცია შეესრულებინათ.

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში ხდება ამ დიალექტიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: ყალიბდება რელიგიათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, ანუ სეკულარული გონისათვის რელიგია შესწავლის ობიექტად იქცა და ამით იგი მეთოდურად და თანამიმდევრულად შეუდგა მის ინკორპორირებას. ჭეშმარიტება გააზრებული იქნა, როგორც რელიგიური სამყაროსაგან დამოუკიდებლად არსებული. უფრო მეტიც, როგორც ეს ნათლად ჩანს უილიამ ჯექსონის „რელიგიური გამოცდილების მრავალფეროვნებაში“, თავად რელიგიაც დაექვემდებარა სეკულარული ინტელექტუალური უმთავრეს პრინციპს — ემპირიული დადასტურების მეთოდს. ამ ნაშრომში ჯექსონი რელიგიურ გამოცდილებას ცდიხეულად იკვლევს და ამგვარად ცდილობს მისი პრაგმატული საჭიროების დადასტურებას. საქმე ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა. მეოცე საუკუნის დასასრულს ტარდება ექსპერიმენტები, რომელთა დროსაც სტატისტიკურად სწავლობდნენ ლოცვის ქმედობას ავადმყოფთა განკურნების საქმეში.

მაშასადამე, მოდერნის ეპოქის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი, ამ აზრით, ქვემოთსამოქალაქო ინტელექტუალური სივრცის აგებაა თავისი დოქტრინალური, სიმბოლური და რიტუალური სისტემებით, რითაც იგი რელიგიური ფუნქციების იმიტირებას ახდენდა. რელიგიურმა დისკურსმა თანდათან დათმო ლეგიტიმაციის უმთავრესი წყაროს როლი. იგი ერთგვარ სოციალურულ დეკორაციად ქცევის საშუალებების წინაშე აღმოჩნდა. ეს ტენდენცია, საბოლოოდ, პოსტმოდერნის ეპოქაში ფორმდება. მოდერნის ეპოქაში კი ღვთისა და მისი უზენაესი ნების, ადამიანის სულში გაბრწყინებული ღვთიური ნათლის იდეათა გვერდით ჩნდება სეკულარული მეტაფიზიკის ამოსავალი პრინციპები: აბსტრაქტული ადამიანის უფლებებისა და მისი გონების ყოველისშემძლეობის იდეები. ეს ის ორი ცენტრალური პუნქტია, რომელთა ირგვლივაც ვგუფვდებამ ამ ეპოქის თითქმის ყველა ინტელექტუალური პროცესი. სასწორის პინა სრულიად თვალსაჩინოდ იწვევს სეკულარული საწყისის პრიმატის მხარეს გადახრას. ფაუსტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ღვთის ნების წინააღმდეგ აღმდგარ უარყოფით გმირად გაიზარებოდა, ლესინგთან და გოეთესთან უკვე სუვერენული ადამიანის მისწრაფებათა სიმბოლოდ იქცა. ნიცშემ წერტილი დაუსვა ამ პროცესს: ღვთის სიკვდილის დეკლარირებით მან სუვერენული ადამიანის იდეის ფორმირება დაასრულა. ევროპული სეკულარული მეტაფიზიკის ცენტრში ადამიანის იდეა თავსდება.

აბსტრაქტული ადამიანისა და მისი უფლე-

საკვლეხიო კრებაზე მიღებული რეფორმების მიმართ დამოკიდებულება. დღესაც ბევრი რუსი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ ამ კრების გადაწყვეტილებები მთლიანად რუსული მესიანისტური ესქატოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული და, ამდენად, ბოროტებას ემსახურებოდა. აღექსანდრე დუგინი თავის წერილში „ЯКО НЕ ИСПОЛНИЛОСЬ ЧИСЛО ЗВЕРИНОЕ...“ (МИЛЫЙ АНГЕЛ N3) wers: „(...) собор 1666 года был первым радикальным шагом к секуляризации царской власти, к переходу Руси от православной модели эсхатологического царства к светской империи почти европейского образца, православие которого было лишь номинальным. От не совсем православной теократии Никона собор 1666 года соделал решительный шаг к совсем неправославной светской империи полупротестантского типа. Вторая половина собора - конец 1666 года - начало 1667 - была совсем ужасной. Греческие православные патриархи подвергли анафемствованию практически весь период Святой Руси, осудив „Стоглав“, отвергнув эсхатологическую функцию Москвы как Третьего Рима, подвергнув беспощадной критике русский устав как „еретическое нововведение“. Петр и остальные Романовы пришли не на пустое место. Все они - наследники 1666-го года и его метафизической русофобии, к которой особо приложили руку иностранные проходимцы, многократные ренегаты, агенты враждебных России держав и церквей“. როგორც ჩანს, აღექსანდრე დუგინი სრული უფლებითაა სემონთანსენები ექსტატური მესიანისმის შემკვიდრე.



ბების იდეათა გამარჯვება, სხვაგვარად მსოფლიო ლიბერალურ რევოლუციას რომ უწოდებენ, სათავეს პოსტმოდერნის ეპოქას უდებს. პოსტმოდერნს ზოგჯერ იაზრებენ, როგორც საშუალო ყოველდღიური ადამიანისა და მისი ლინგვისტიკის – საჯარო განმარტებულობის დიქტატს, როდესაც ჭეშმარიტების კატეგორია პკარგავს საზრისს და ერთგვაროვან საინფორმაციო სივრცეში ლაგდება ყოველივე, რაც ადრე სიკეთის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ან, თუნდაც, ბოროტების კატეგორიებით აღიწერებოდა. ეს არის ერთგვარი ისტორიული ნაშთებით, ერთგვარი მეორადი გადამუშავების პროდუქტებით (ბოდრიარი) კონსტრუირებული ინტელექტუალური სისტემა. მას საქმე აღარ აქვს სიკეთის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების კატეგორიებთან. იგი უკვე ნახსენები „ნარჩენებით“ საზრდობს და სიკეთის, ჭეშმარიტებისა და ნახსენებ კატეგორიებს კომუნიკაციის კატეგორიით ანაცვლებს. ამ უკანასკნელის ინტერესებისათვის იგი, ისევე ბოდრიარს თუ მოვიშველიებთ, უნივერსალურ „ესთეტიკურ ქირურგიას“ უქვემდებარებს და თავისი სხულიდან განდევნის ყველაფერს, რაც კი რელიგიური ცნობიერების თავწყაროს შეიძლება წარმოადგენდეს: სიკვდილს, შიშს, საზრისს და ა.შ. – ან განდევნის, ან საინფორმაციო და საკომუნიკაციო მნიშვნელობას ანიჭებს, რაც ისევე და ისევე განდევნის ტოლფასია. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ის, რაც საინფორმაციო სივრცეში არ არსებობს, არარსებულაა ონტოლოგიური აზრითაც. ტელევიზია არსებობის დადასტურების ადგილად იქცა, ზოლო თავად დადასტურება თანდათან სარეკლამო წარდგენისა თუ თვითწარდგენის ხასიათს იძენს.

წარსულისათვის მიმართვა, უსასრულო რეტროსპექტივა ყველაფერი იმისა, რაც წინ გვისწრებდა, ჩვენს წინაშე „ნარჩენების“ პრობლემას აღძრავს, წერს ფან ბოდრიარი. საკითხი ისმის იმის შესახებ, ამ სიტუაციაში რა უნდა მოუხერხოთ ჩამჭრალ იდეოლოგიათა,

რევილუციურ უტოპიათა, მკვდარ კონცეფციათა ნარჩენებს, რომლებიც კვლავ და კვლავ აბინძურებენ ჩვენს მენტალურ სივრცეს? არსებითად, მთელი ისტორია უკვე სხვა აღარაფერია, თუ არა „ცოცხალი ნაშთები“. „ეკოლოგიური იმპერატივი“ მოითხოვს, რომ ნარჩენები კვლავ საქმეში იქნას გამოვებული და მეორად გადამუშავებას დაექვემდებაროს. ჩვენ ვდგავართ დღემის წინაშე: ან ისტორიის „ნარჩენები“ და „ნაშთები“ დაგვმარხავენ ჩვენ, ან ჩვენ მათ გამოვიყენებთ რაღაც „უცნაურ ისტორიაში“, რომელსაც ჩვენ სინამდვილეში ექმნით ახლა³. სიტუაცია უნიკალურია და რელიგიათა ბედის თვალსაზრისით, იგი შეიძლება აღიწეროს, როგორც რელიგიათა სეკულარული უტილიზაციის ეპოქა. რელიგიური გონი იძულებული ხდება, ან უარყოს ეს რეალობა, ან აღიაროს იგი და სეკულარულ მეტაფიზიკაში ადგილის მოპოვებაზე იზრუნოს.

რელიგიურმა გონმა ამ სიტუაციიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორი გამოსავალი მოძებნა: ან რადიკალური დაპირისპირება ამ პროცესებთან, რასაც მიმართავენ კიდევ რადიკალური რელიგიური მოძრაობები, ან რელიგიის „ლირსული“ განთავსების მცდელობა სეკულარულ სამყაროში.

პირველი შემთხვევა უფრო თვალსაჩინოა. მისი ხმაურიანი სტრატეგიის გამო მარკ იურგენსმაიერი ახალი ცივი ომის შესახებაც ლაპარაკობს, რომელიც რელიგიურ და სეკულარულ სამყაროებს შორის მიმდინარეობს⁴. იგი დღეს ხშირად განიხილება, როგორც ის უმთავრესი საშიშროება, რომელიც კაცობრიობას შეიძლება ემუქრებოდეს. ამის მაგალითებს ჩვენ ვხვდებით როგორც ისლამურ, ისე იუდეურ, ქრისტიანულ და ბუდისტურ სამყაროებშიც. ეს არის, თუ ოსვალდ შენგლერს მოვიშველიებთ, „წარსულის ნაგვიანები სტუმრების“ გამოცხადება. ცხადია, საქმე მხოლოდ სხვა ეპოქათა სტუმრობასთან არა გვაქვს. აქ საქმე სხვა რამეცაა: ეს არის რელიგიური

³ Jean Baudrillard. *The Illusion of the End*. Cambridge: Polity; Stanford, Calif.: Stanford University Press, 1994. p.47.

⁴ Mark Jurgensmeyer. *The new Cold war? Religious Nationalism Confronts the Secular State*. University of California Press, 1994.



დისკურსის მცდელობა, კიდევ ერთხელ განაცხადოს პრეტენზია სამყაროს ტოტალურ აღწერაზე, ხოლო თუ ეს შესაძლებელი არ არის, უკეთესი მომავლის იმედით შეინარჩუნოს განსხვავებული ისტორიასა თუ განსხვავებული ისტორიით ცხოვრების უფლება. პირველი ის ვაზა, რომელსაც ტერორისტული რელიგიური ჯგუფები ადგებიან და რასაც რელიგიურ რადიკალიზმს ეუწოდებთ. ისინი თანამედროვეობას აღწერენ, როგორც სიკეთისა და ბოროტების გადამწყვეტ შეტაკებას და საკუთარ თავს ამ ბრძოლაში ჩართულებად იაზრებენ. მათთვის სეკულარული სამყარო, რომელიც ჩამქრალ, მაგრამ ხილულ ვარსკვლავად აქცევს რელიგიურ გონს, ბოროტების განსახიერებაა. ეს არის აღ ყაიდას, ქრისტიანული იდენტობის მემარჯვენე ფრთის, აუშინრიკოს და სხვათა ვზა. მთელი მათი პათოსი ისტორიის სეკულარული დასასრულის იღვსი ჩანაცვლებაა სიკეთისა და ბოროტების საბოლოო შეტაკების იდეით.

რაც შეეხება მეორე ვზას, ანუ საკუთარი თავის პარალელურ ისტორიაში შენარჩუნების მცდელობას, ამის მაგალითია რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესია, მათ შორის

ქართული და რუსული, რომლებიც უარს ამბობენ გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლაზე. ეს არ ვახლავთ მხოლოდ თეოლოგიური პრობლემა. მთავარი, ვფიქრობთ, აქ ის არის, რომ გადასვლა ამგვარ კონტექსტში კაპიტულაციის მნიშვნელობასა და საკუთარი ისტორიის დათმობად გაიაზრება⁵. ისინი უარს ამბობენ, მონაწილეობა მიიღონ სეკულარულ ესპატოლოგიაში, აღიარონ მსოფლიო ლიბერალური რევოლუციის ფაქტი, ისტორიის დასასრული, რადგან ეს უკანასკნელი რელიგიური დონის დასასრულის თანაზომადია და, როგორც ვთქვით, ალტერნატიულ ისტორიაში ცდილობენ დარჩენას, ცდილობენ, მოვლენათა და ფენომენტთა მნიშვნელობა დაუბრუნონ ისტორიას, აღადგინონ ის ლინგვისტური რეალობა, რომელშიც სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტება და სიცრუე, მშვენიერება და სიძახინჯე შესარულეებენ არა „მეორადი გადაამუშავების“ პროდუქტთა, არამედ კონსტიტუციურ პრინციპთა მნიშვნელობას და, რაც მთავარია, დაიბრუნებენ თავიანთი განთავსების ადგილს⁶.

რელიგიური რადიკალიზმი, ამ აზრით, სხვა არაფერია, თუ არა პოსტმოდერნული განურჩევლობიდან და სეკულარული ესპატოლოგიიდან

⁵ როდესაც ამერიკელი თეოლოგი პოლ არმსტრონგი წერს, რომ პოსტ-მოდერნის სამყარო სხვა არაფერია, თუ არა the end of the world because, despite our faith as Christians, we are all moderns living in the ruins of its atheistic project², იგი სწორედ სეკულარული ისტორიის ამგვარ შიშს აღწერს.

⁶ ამ მცდელობებმა საკმაოდ დიდი გავრცელება პოვეს და ხშირად გეოპოლიტიკური და გეოკულტურული სტრატეგიების საფუძვლადაც გვევლინება. ზოგჯერ იგი, მეტი რომ არ ვთქვათ, საკმაოდ უცნაური ინტერრელიგიური დიალოგის სახესხაც იღებს. რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველის ალექსანდრე დუგინის მიერ კონტროლირებული „Милый Ангел“-ის №3 -ში ქვეყნდება თქმულება მაჰდისა და ისას ერთობლივი ბრძოლის შესახებ ბოროტების წინააღმდეგ. წერილის სახელია МАХДИ И АНТИХРИСТ. შეგახსენებთ, რომ ისლამში მაჰდის მესიანიტური სახე სათავეს ხადისებში იღებს და შემდეგ სხვადასხვა ვარიანტებში გვხვდება. წერილში აღწერილია, თუ როგორ სიკეთისა და ბოროტების საბოლოო შეტაკების გამს როგორ დაამარცხებებს დადჯალს ზეციურ ძალთა კოალიცია, რომელიც ისაც მონაწილეობს. შემდეგი ბრძოლის წინ (რომელიც დასავლეთიდან მოსულ ხაღხთან ბრძოლად იწოდება) ისას მონაწილეობა უფრო თვალნათელია. იგი ზეციდან დაეშვება დამსკოს აღმოსავლეთით თეთრ მინარეთთან და მაჰდის მიართმევს ხმაღს ცეცხლოვანი პიროთ. თავად დადჯალსაც იგი მოუღებს პილოს. ტექსტის სტრუქტურა ისეა შემუშავებული, რომ წინა პლანზე გამოტანილი იქნას სწორედ მაჰდისა და ისას ერთობლივი ბრძოლის იდეა დასავლეთიდან მოსული ხაღხის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, აქ საქმე გვაქვს ალტერნატიული ისტორიის შეკოწიწების სრულიად თვალსაჩინო მცდელობასთან. ანალოგიური მცდელობები რუსეთში საკმაოდ მრავლადია. ალტერნატიული ისტორიისა და გეოკულტურული ვექტორების ძიებაში რუსი იდეოლოგები ისე შორს წაიყვანა, რომ 2005 წელს ისინი ჩინურ გეოკულტურულ რეგიონს რუსეთს უფროსი დის როლში სთავაზობდნენ - ანუ, ჩინური ტრადიციით, ოჯახის იმ წევრის, რომელსაც პატივს სცემენ, მაგრამ რომელსაც ურს ნაკლებად უფებენ. უფრო ადრე, 1995 წელს კი ხდება სრულიად ოდითხუნი რამ: რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წრეები, მათ შორის უშიშროების საბჭოს მდივანი ოლეგ დობოვი მსგავსი გეოპოლიტიკურ თამაშებს აუშინრიკოსს ლიდერთან, შოკო ასახარასთან ექვეა.

თავის დაღწევის მცდელობა. იგი გარდუვალად იშვება პოსტმოდერნის სხეულში, როგორც მცდელობა იმისა, რომ ოდესღაც ქმედითი ბოლოვადი საზრისების ხელახალი მანიფესტირება მოხდეს. იმავე ბოღრიანის თანახმად, სწორედ პოსტმოდერნის განურჩევლობა ქმნის იმ სასაზღვრო დამაბულობას სოციალური ველისა, რომელიც გარდუვალობით შობს ტერორიზმს. იგი თავადვე ქმნის იმ დამაბულობას, რომლის შედეგადაც საღვთო ვინმე გამოსავალს მის რადიკალურ დანგრევაში დაინახავს. თურგენ ჰაბერმასი ამას რელიგიის დესტრუქციულ პოტენციალს უწოდებს. იგი მართლაც დესტრუქციული შეიძლება აღმოჩნდეს და, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ თავისი გიგანტური ენერჯია საკუთარი თავის წინააღმდეგე მიმართოს, თუკი უარს იტყვის, იმოდროს იმ სამყაროში, რომელიც ეძლევა. ამით იგი უნებურად, მართლაც შეიძლება იქცეს „ისტორიის“ ნარჩენთა ლოკალიზების ადგილად, რაც, ვფიქრობთ, სხვა არაფერია, თუ არა თვითმკვლელობის ფარული ფორმა.

ახლა რაც შეეხება მეორე შემთხვევას. თითქოს სრულიად ცხადია, რომ სეკულარული სტრატეგიის პრიმატის აღიარების შედეგად რელიგია იოლად შეიძლება იქცეს ერთგვარ სოციალ-კულტურულ დეკორაციად, როგორც ვთქვით, მეორადი მოხმარების პროდუქტად. საბოლოოდ, ისევე ჰაიდეგერს თუ მოვიშველიებთ, იგი შეიძლება ყოველდღიური მეტყველების, ყოველდღიური ცქერისა და განმარტების ობიექტად იქცეს და საჯარო განმარტებულობის მახეში აღმოჩნდეს. ამას

ზოგჯერ სეკულარულ რელიგიურობას უწოდებენ და ვფიქრობთ, იგი სხვა არაფერია, თუ არა კაპიტულაციის პირდაპირი ფორმა. თუ რელიგიური რადიკალიზმი და ფუნდამენტალიზმი იმით ახდენენ კაპიტულირებას, რომ ალტერნატიულ ყოფიერებაში ცდილობენ მოძრაობას, სეკულარული რელიგიურობა მთლიანად სეკულარული ლინგვისტიკის ქსოვილით აივება. მსგავს პრეცედენტებს დღეს მრავლად ვხვდებით ბევრი ახალი ტიპის თეოლოგიური ძიებების სახით. მთელს თეოლოგიურ საქეტრში თამაშდება დრამა, რომლის შინაარსიც ბიბლიური ნარატივის სხვა ნარატივში განთავსების მცდელობაა – იმის ნაცვლად, რომ, პირიქით, სწორედ ბიბლიურ ნარატივში მოხდეს ყველა სხვის ინკორპორირება, წერს პანს ფრაი⁷. ამგვარ თეოლოგიას ლანგდონ ვილკი „ღვთის სიკვდილის თეოლოგიას“ უწოდებს⁸. ასე მიიღო ნიცშესეულმა ღვთის სიკვდილმა კონკრეტული საღვთისმეტყველო ძიებების სახე⁹. ოქროს კერპის ბიბლიური მეტაფორა პროფანულ მეტაფიზიკაში ღვთის იდეის პროფანული კომუნიკაციების მცდელობად მოგვევლინა. ამის შედეგად კი, თუ პანს ფრაის კიდევ ერთხელ მოვიშველიებთ, ახალი ტიპის თეოლოგიებმა წმინდა წერილის ლიბერალურ და ზოგჯერ ეკოლოგიურ ინტერპრეტაციებსაც კი მიჰყვეს ხელი, მისიონერული პათოსი და ადამიანებთან ღვთის სიტყვის მიტანის სურვილი რელიგიურ მარკეტინგსა და აბსტრაქტული ადამიანის აბსტრაქტული უფლებების იდეას დაეკუმულა¹⁰.

⁷ Hans W. Frei The Eclipse of Biblical narrative. A study in Eighteenth and Nineteenth Century Hermeneutics, Yale University Press, 1974. p. 236

⁸ ეხარებდობთ შემდეგი წყაროთი: Gary Dorrien. The Origins of Postliberalism. www.christiancentury.org

⁹ ამის მაგალითია ე.წ. ინკლუზიური ენის გამოყენება მონათელის საიდუმლოების აღსრულების დროს ზოგ ქრისტიანულ დენომინაციაში. ამ დროს ტრადიციული „სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდა სულისათა“-ს ნაცვლად წარმოითქმება „სახელითა შემქმნელისა, განნათავისუფლებლისა და შფარველისა“. ჩანს, ამ ცვლილებათა ავტორებისათვის გენდერული კორექტულობის პრინციპი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკრალური ფორმულის ხელუხლებლობა. საქმე გვაქვს დოქტრინის სრულიად აშკარა ფემინისტურ რევიზიათთან.

¹⁰ იმაზე, რომ მსგავსი პროცესები მხოლოდ თვისტურ რელიგიებში არ მიმდინარეობს, შემდეგი ფაქტი მეტყველებს: წელს მისიში გაუტამა ბუდას დაბადების 2550-ე წლისთავის დღესასწაულზე ინდოეთის პრემიერ მინისტრმა მანმოჰან სინგჰმა შემდეგი განცხადება გააკეთა: ბუდას მოძღვრება ნირვანაზე, როგორც ტანჯვისა და ცრუ სურვილების დასასრულზე, საცხებით შესაძლებელია



სეკულარულ მეტაფიზიკაში განთავსების მცდელობის დროს რელიგიური გონი საჯარო განმარტებულობის მიერ მოქსოვილ ახალ სუბსტანციაში – საინფორმაციო სივრცეში და საინფორმაციო ლინგვისტიკაში დამკვიდრებას ცდილობს. ის, რასაც საინფორმაციო საშუალებებს ვუწოდებთ, ამ აზრით ხომ სხვა არაფერია, თუ არა ის ინსტრუმენტები, რომლებითაც საშუალო ყოველდღიური ადამიანის განმარტებაში მოცემული სამყაროს სუბსტანცია იქსოვება. სეკულარული რელიგიურობის, ამ უცნაური „ხის რკინის“ ლინგვისტიკა ცდილობს, ისარგებლოს ამ სუბსტანციით, უფრო მეტიც, მისი იმანენტური გახდეს და საშუალო-ყოველდღიური ადამიანის გემოვნებას დაექვემდებაროს.

შევეხვით ამ პროცესების კიდევ ერთ ასპექტს. პოსტმოდერნული ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირეული პრინციპი „ისტორიის გადალახვის“ თეზას ეყრდნობა. მას მრავალგვარი ინტერპრეტაცია ეძლევა: ფრენსის ფუკუამას იგი ესმის, როგორც მსოფლიო ლიბერალური რევოლუციის შედეგი, როდესაც ისტორია უკვე თავისთავად ჰკარგავს საზრისს. ჟან ბოდრიარი მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნის ეპოქაში ისტორია იძენს უსასრულო, რელიეფურობას მოკლებულ ლინეარულობის ხასიათს, რადგან თავად დასასრულიც რელიეფურობაზე იქნებოდა მიმანიშნებელი¹¹. ჩანს, ორივენი არსებითად ერთი კონცეფციის ორ ასპექტს გამოხატავენ. ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ისტორიის ლინეარულობაზე ვლაპარაკობთ,

მსოფლიო ლიბერალური რევოლუციაზე, როგორც ისტორიის დასასრულზე, თუ რაიმეზე ერთად. მთავარი აქ ის არის, რომ ამგვარი გაგება გამოირიცხავს მომავლის კატეგორიას, როგორც ახალი მეტაფიზიკური რელიეფისა და ახალი ადამიანური პერსპექტივების შესაძლებლობას. ისტორია, როგორც თეოფანია ჩანაცვლებულია ისტორიით, როგორც ხდომილებათა პომოგენური სივრცით, თუ მირჩა ვლიადეს მოვიშვებთ, ისტორიიდან, რომელშიც საკრალური წერტილები ივლისსხმებოდა, ეს უკანასკნელები განიდეგნა და მთელი მისი რელიეფურობა სეკულარული ესქატოლოგიით განისაზღვრა. ჟან ბოდრიარი წერს, რომ საუკუნეების განმავლობაში ისტორია ვითარდებოდა „სიდიადის“, მოვლენათა მნიშვნელობის ილუზიის ნიშნით, რომელიც წინაპრებისაგან იყო შემკვიდრებით მიღებული და მომავალზე ახდენდა გავლენას. ჩვენს ეპოქაში ისტორია დაეიწროვდა „შესაძლებლის სფეროდ“ მიზეზებისა და შედეგების, „აქტუალობის“ სფეროდ. მოვლენათა საზრისი მოსალოდნელ საზრისად იქცა, მოვლენები პროგრამირებადობას დაექვემდებარა და სხვ. ეს არის ხდომილებათა შეჩერება და, შესაბამისად, ლაპარაკია ისტორიის ჰუმშიარტ დასასრულზე, ისტორიული გონის დასასრულზე¹².

ამით მეტაფიზიკური რელიეფი დაკარგა არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც და ჩვენ აღმოვჩნდით სამყაროში, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანიც, ალბათ, საკრალურის დელოკალიზებაა. ეს სამყარო აღარ

თანამედროვე სამყაროსა და თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში იქნას ჩართული. იხ.: Мир Религий. 15 мая 2006 г. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მოხდა ბუდისტური ნარატივის სამოქალაქო ჩარატივიზი განთავსების აუცილებლობის დეკლარირება. არაფერს ვიტყვით ამ „სამოქალაქო-თეოლოგიური“ განცხადების მიუხედავად აბსურდულობაზე.

¹¹ У истории не будет конца, поскольку все «остатки истории» . церкви, демократия, коммунизм, этносы, конфликты, идеологии и т.п. . могут использоваться вновь и вновь. Ведь все, что считалось преодоленным историей, в действительности не исчезло, все архаичные и анахроничные формы сохранились (...) История вырывается из циклического времени лишь для того, чтобы перейти в порядок вторичной переработки. Jean Baudrillard. *The Illusion of the End*. Cambridge: Polity; Stanford, Calif.: Stanford University Press, 1994. p.49.

¹² იქვე, გვ. 72



იცნობს პუნქტებს, როგორც სივრცე-დროითი, ისე ღირებულებითი ან რაიმე სხვა მნიშვნელობით, სადაც ოდესღაც საკრალური იყო განთავსებული. საკრალური ყველგან არის და არსად. ოდესღაც კარგად ცნობილი სივრცული დისპოზიცია templum (ტაძარი) - fanum (ტაძრის ეზო) - profanum- (ის, რაც პირველი ორის, ანუ საკრალური სივრცის გარეთაა) ან ოდესღაც კარგად ცნობილი კონცეფცია დროის საკრალური ფაზებისა პოსტი-სტორიულ სინამდვილეში საზრისს ჰკარგავს.

ამით გამოირიცხა რელიგიური გონის ქრონოტოპი. სიტუაცია თაღლითის მიერ სათითებით ადამიანების გაბითურებას დაემსგავსა. ბურთულა ყველგან არის და არსად. საკმარისია, იგი რომელიმე სათითის ქვეშ დაიგულო, რომ წაშვე სხვაგან აღმოჩნდება. იგი არასოდეს არ არის იქ, სადაც მის არსებობას ველით. არადა, ჩვენ გვარწმუნებენ მის არსებობაში და ჩვენც ვვჯვარა, რადგან მისი არსებობა ჩვენთვის კონსტიტუციურად არის აუცილებელი: როგორც ბერძნები ამბობდნენ, ადამიანი იმდენად არის ადამიანი, რამდენადც დიალოგის უნარის მქონე არსებაა. უმთავრესი ფორმა ამ დიალოგისა კი არის ის, რომელიც სიკვდილისათვის ფარულ და იდუმალ მზადებაში მფლანგდება. ამიტომაც, საკრალურის მგენება, რაც იგივეა, რელიგიური ქრონოტოპის მგენება, ჩვენი არსებობის უმთავრესი ამოცანაა და ჩვენც ვეძებთ მას: ტოტემური ნიშნებიდან დაწყებული და რელიგიურობის უმაღლესი ფორმებით დამთავრებული. მაგრამ სათითების მეტაფორა გვანახებს, თუ რამდენად ამაოა ეს ძიება, თუ მისგან კონკრეტულ შედეგს ველით და ვკდილობთ, რომელიდაც ქილის ქვეშ მოუხელოთ იგი. სათითე ხომ იმ ნიღბის სიმბოლოა, რომელიც იდუმალ თაღლითს მოუშარჯვებია და რომლითაც

საკრალურის არსებობის სიმულირებას უხდენს, რათა გულუბრყვილო მაძიებელმა ზიცარიცვლედ დაახვედროს. ჰეგელი უბედურ ცნობიერებად მიიჩნევდა ცნობიერებას იმ ჯვაროსნისა, რომელიც სადაღაც კონკრეტულ ადგილას ეძიებდა ლეთის სასუფეველს. პოსტმოდერნის კონტექსტში „უბედური“ უკვე იმ „სულელის“ მნიშვნელობას იძენს, რომლის წყალობითაც თაღლითი არსებობს და თაღლითობს. ჯერ კიდევ სოკრატე მიაჩნებდა იმაზე, რომ სისულელე ბოროტების სუბსტანციაა. ალბათ, არასოდეს არ იყო ეს აზრი ისეთი გამართლებული, როგორც დღეს. თაღლითი პროფანული სამოსით ახდენს საკრალურის არსებობის სიმულირებას და შედეგად ვიღებთ იმას, რასაც სეკულარულ სინამდვილეს ვუწოდებთ.

ჩვენი დროის მეტაფიზიკური რელიეფი აღარ იძლევა შესაძლებლობას იმისა, რომ გულუბრყვილო რწმენით დავივულოთ თავი კონკრეტული ნივთებითა თუ მოვლენებით განსაზიერებულ საკრალურსა და პროფანულს შორის. ისინი კალეიდოსკოპური დინამიზმით ენაცვლებიან ერთმანეთს. უფრო მეტიც, ურთიერთმონაცვლეობა შესაძლებელია იქ, სადაც რაღაც მონაწილეობს ამ პროცესში. ჩვენს შემთხვევაში თავად ურთიერთმონაცვლეობის სიმულირებაც კი ხდება. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს პოსტმოდერნის ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი. მან დაასრულა ჩვენი ბავშვობა, არსებობის ახალ ფაზაში შეგვიყვანა და საკრალურის ქრონოტოპული განთავსების ახალი სტრატეგიების ძიების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა. ამ კონტექსტში პოსტი-სტორიულობა ახალ მნიშვნელობას იძენს. იგი ხდება სინონიმი იმ ვითარებისა, როდესაც ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ არსებობა იმ თაღლითისა, რომელიც სათითების ქვეშ ოსტატურად მალავს ბურთულას.



ბიოგრაფიული

ის, რაც მაითხვალმა არ იმის

დიდი ხანია, რაც ადამიანი იკვლევს ხელოვნათა შემოქმედებითი ლაბორატორიის ურთულესსა და უალრესად საინტერესო პრობლემებს, ცდილობს, ღრმად ჩასწვდეს მხატვრული სიტყვის ოსტატის, მუსიკოსის, ფერმწერის, სკულპტორისა და სხვათა მწვალებლურ კულუარულ ლაბირინთებს, რომელთაც მიყვართ იმ, კაცთა თვალთაგან მოფარებულ, მაგრამ რეალურ შეგრძნებებთან, მათი ესთეტიკური თუ იდეოლოგიური პრინციპების სათავეებთან. ცდილობს, გაეცნოს იმ ტკივილსა თუ სიხარულს, რომელიც იბადება ამ ინდივიდთა სულში, ფსიქიკაში, როდესაც ისინი გარდაიქმნებიან თავიანთი შემოქმედების პროცესის მაყურებლად, მონაწილედ, გმირად. თუ არა მათივე უშუალო მონაწილეობა ამ გარეშეთა უხილავ პროცესში, მათ მიერ დანატოვარი მემკვიდრეობა სულაც არ იქნებოდა ისეთი ესთეტიკური ღირებულებისა, როგორც არის.

მსოფლიო ხელოვნების ისტორიამ უამრავი შემთხვევა იცის, როცა ქვეშარბიტი შემოქმედნი იმდენად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში, რომ ფაქტიურად მის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდნენ. მაგალითად, თურმე ჰენდელი მწარედ ტიროდა თავის ორატორიაზე მუშაობის დროს.

ანალოგიური საილუსტრაციო მასალა ბევრი, ძალიან ბევრია ხელოვნების ისტორიაში. მათი გაცნობა მოყვარულთა სამართლიანი ინტერესის საგანია და კვლავაც იქნება. ქვემოთ მოყვანილ მცირე ზომის ეტიუდებში მოთხრობილია მხოლოდ მხატვრული სიტყვის წარმომადგენელთა შემოქმედებითი ლაბორატორიის ზოგიერთი საინტერესო ეპიზოდი.

ოლოდ მხატვრული სიტყვის წარმომადგენელთა შემოქმედებითი ლაბორატორიის ზოგიერთი საინტერესო ეპიზოდი.

◆ ◆ ◆

არც თუ ცოტაა შემთხვევა, როდესაც ცნობილი დიდი ტალანტის მქონე შემოქმედნი უსუსურად გამოიყურებოდნენ მონაფეობისა თუ სტუდენტობის პერიოდში. მაგალითად, თომას მანი იხსენებს, თუ სკოლაში რა ფუქსავატიც იყო.

ანატოლ ფრანსის ერთდციის გათვალისწინებით ძნელია დაიჯეროს კაცმა, თუ არასერიოზულობით ეკიდებოდა იგი მეცნიერული ხასიათის დისციპლინებს გიმნაზიაში, უნივერსიტეტამდე ხომ ვერა და ვერ მიაღწია.

გადმოცემის მიხედვით, ცნობილმა პოლონელმა მწერალმა შტეფან ჟერომსკიმაც ვერ შესძლო უნივერსიტეტის დამთავრება.

სხვათა შორის, გალაკტიონის შესახებ მოგვითხრობენ, რომ მონაფეობის წლებში სწავლაში მოისუსტებდა, თბილისის სასულიერო სემინარიაში პირველსავე წელს იმავე კლასში ჩარჩენილა.

ლეონიდ ანდრეევი თავის "ავტობიოგრაფიაში" წერს: "ესწავლობდი ცუდად. მეშვიდე კლასში მთელი წელი უკანასკნელი მოსწავლის სახელს ვატარებდი და საერთოდ ყოფაქცევაში ოთხიანზე მეტი არასოდეს მღირსებია, ყველაზე სასიამოვნო დრო, რომელსაც ახლაც ვიგონებ, გაკვეთილებს შორის არსებულ შემსვენებებში იყო" ...



განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის დამოკიდებულება თავისსავე თხზულების გმირის ბედთან, გმირისა, რომლის ცხოვრების ისტორიას თვითონვე ქმნის. იშვიათი როდია, როდესაც მწერლისა და მისი თხზულების რომელიმე პერსონაჟის ურთიერთობა შეუთანხმებლად ყალიბდება. რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, მწერალი მას "თავის ჭკუაზე" ვერ ატარებს ხოლმე. შემოქმედებითი პრინციპები, სიტუაციის რეალობის მძაფრი შეგრძნება და განცდა შემოქმედს აიძულებს, პერსონაჟი იქცეოდეს გარემოებისა და არა მისი სურვილის მიხედვით. ლევ ტოლსტოის უთქვამს – ჩემი გმირები ხშირად ისეთ რამეებს სჩადიან, რაც არ მსურს, იქცევიან ისე, როგორადაც უნდა მოქცეულიყვნენ ცხოვრებაში.

ერთხელ ალ. პუშკინს თავის მეგობრისთვის შეუჩივლია, ნახე, ერთი, რა ოინი მიყო ტატიანამ, ადგა და გათხოვდაო...

როგორც ჩანს, პუშკინს სრულიად სხვა სურვილი ამოძრავებდა ტატიანას ბედის ნარმართვისა, მაგრამ ტატიანამ "თავისი გაიტანა" და გათხოვდა.

ვაჟა-ფშაველა იგონებს – "იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს ალაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმრის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემი სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეზვედროდა ალაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისთვის".

ვაჟა-ფშაველას სულიერი რყევის მიზეზი მისი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედის პასუხისმგებლობის შეგნებიდან გამომდინარეობდა. პასუხი მკითხველისათვის უთუოდ ლოგიკური, დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო. ამის ძიებას ვაჟა-ფშაველამ ორი თვე მოანდომა. სამაგიეროდ, განონასნორებულმა, ფსიქოლოგიურად შეუმცდარმა პასუხმა დიდი

მხატვრული ძალა შესძინა ჭრთმა: "სტუმარ-მასპინძელს".

ბიბლიოთეკა

ცნობილი პოლონელი მწერალი იან პანანდოვსკი თავის შესანიშნავ შრომაში „სიტყვის ალქიმიამ“ სპეციალურად განიხილავს მწერალ-შემოქმედის დამოკიდებულებას ალკოჰოლთან. მსჯელობს, თუ რა შეუძლია მას, დაეხმარება მწერალს, რათა უფრო ნათლად გამოხატოს აზრი, გაუცხოველოს ფანტაზია თუ პირიქით – გაუბუნდოვანოს აზრი, მოუჩლუნგოს ფანტაზია და ა.შ. ავტორის მიხედვით, ლიტერატურაში ღვინის სიკეთეზე უფრო მეტია საუბარი, ვიდრე მის სიავეზე. ავტორს მოყავს იმ ავტორთა ციტატები, რომელთა შემოქმედებაში ალკოჰოლი დადებითად მოიხსენიება და სასარგებლოდაც. ამ სიაში ვხვდებით ისეთ სახელებს, როგორიცაა ანაკრეონტი, ვერიპიდე, არისტოფანე, ლუკრეციუსი, რომსარი, რომენ როლანი და სხვა. თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ პარანდოვსკი ასეთ შემთხვევაზე იხიერდება: ანატოლ ფრანსის ჩვევად ჰქონდა წერის დროს ერთი-ორი ჭიქა ღვინის დალევა. ერთხელაც, გაზეთისთვის სასწრაფოდ გასაგზავნი სტატიის წერის დროს შეცდომით ღვინის მაგიერ კონიაკი შესვა. როცა გამოერკვა, უკვე გვიანი იყო, სასმელი თავის საქმეს აკეთებდა. მწერალმა სტატია დაამთავრა და გაგზავნა. მეორე დღეს რედაქციაში მისულს გადასცეს, რომ რედაქტორი ელოდებოდა. მწერალს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ დაითხოვდნენ. მაგრამ როგორ გაოცდა, როდესაც რედაქტორმა სტატია შეუქო და ხელფასიც მოუმატა. რა თქმა უნდა, ანატოლ ფრანსი მაღლიერი უნდა ყოფილიყო იმ ჭიქა კონიაკისა, შეცდომით რომ შესვა.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ქართული სალიტერატურო ცხოვრების ერთი ეპიზოდი. ძველი თბილისის პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენლის იეთიმ გურჯის ხელნაწერებში აღმოჩნდა ავტორის



მიერ შედგენილი, სუფთად გადაწერილი დავთარი ლექსებისა, რომლის ყდაზე იეთიმისვე ხელით არის მინერილი – “სუ მთვრალ დროს მაქვს დაწერილი”....

მეტად საგულისხმო აღიარება ვახლავთ. მისი ე. წ. “შემოქმედებითი კრედოსი” რა მოგახსენოთ, მაგრამ იეთიმი რომ პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული კაცი იყო, ეს კი ცხადია.

◆ ◆ ◆

შემოქმედისთვის წერის მწვავე სურვილი და განცდა, პაროქსიზმს რომ უწოდებენ, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. როდესაც მას ასეთი მძაფრი მოთხოვნილება მოეძალება, ეწყება სულიერი კონვულსიები და ის აღარ დაგიდევთ საზოგადოებრივი ცხოვრების ეტიკეტების დაცვას, მას ერთადერთი სწრაფვა ამოძრავებს – უნდა დაიცალოს ღვთიური მუხტისგან...

ვაჟა-ფშაველაზე ასეთ ამბავს ჰყვებიან: 1915 წელს რამდენიმე თანამგზავრით ფშავიდან თბილისისკენ მოემართება. გზად შემოალამდათ. არჩიეს ერთ დუქანში ლამის გათევა. დაწვენ დასაძინებლად. შუალამისას ვაჟამ მედუქნე ნამოაყენა და საწერკალამი მოითხოვა. აქ და ამ დროს დაიწერა მისი ერთი შესანიშნავი ლექსი “ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედასთან”. აი, ამ ლექსის დასაწყისი:

*გულ-მკერდიც აგიყოვდება,
დედაო, ია-ვარდიო!
თვალებს ნუ ითხრი ტირილით,
გულს ნუ ისერავ დარდიო!*

მართლაც, რაც გინდათ ის დაარქვით, პაროქსიზმი თუ კონვულსია, ის კია, ვაჟას სითამამე რომ არ გამოეჩინა და მედუქნე შუალამისას ფეხზე არ წამოეყენებინა, შესაძლოა ქართული პოეზიის ეს მშვენება არა გვქონოდა.

მეორე შემთხვევა – ვაჟა და მისი ცოლი ყანას მკიან. ყანა გადამწიფებულია და თუ სასწრაფოდ არ აიღეს, თავთავს მარცვალი აღარ შერჩება, სულ ძირს ჩამოვია...

უეცრად ვაჟამ ნამგალი, მიაგდღ: და სწრაფი ნაბიჯით შინისკენ: (განსწიან. ცოლის შეკითხვასა თუ შეძახილს ყური არ ათხოვა. სალამოს შინ დაბრუნებულ, მარტოდ ნამუშევარ, დაქანცულ ცოლს ქმარი წერაში გართული დახვდა.

როგორც ჩანს, ეს ბერძნული ტერმინი “პაროქსიზმი” არა მხოლოდ ეთიკურ ნორმებს, არამედ სასიცოცხლო პრობლემებსაც არად დაგიდევს.

◆ ◆ ◆

შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ხალხს პოეზიისა და პოეტის შესახებ სხვათაგან განსხვავებული, განსაკუთრებული მოთხოვნილება ჰქონდა. ამის მიხედვით მათი პოეტური ლაბორატორიაც თავისებურებებით გამოირჩეოდა.

პირველყოვლისა შემოქმედი მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება უნდა ყოფილიყო.

მეორე, მას ზედმინეწი უნდა სცოდნოდა აღმოსავლური პოეტიკის, განსაკუთრებით ვერსიფიკაციის ყველა კანონი, რაც არც თუ ადვილად ასათვისებელი რამ იყო. ამისთვის მათ სპეციალურად მიჩენილი რომელიმე უკვე ცნობილი პოეტი წვრთნიდა, ასწავლიდა და უწერგავდა ყველა საჭირო ჩვევას.

მესამე, დამწყებ შემოქმედს, პოეტური ნიჭისა თუ ალღოს მიუხედავად, ვიდრე რაიმეს დაწერდა, ზეპირად უნდა სცოდნოდა 20000 ბეითი (ორსტრიქონიანი ლექსი) ძველი და 10000 ახალი პოეზიიდან.

◆ ◆ ◆

ფანტაზიის ასაღესად თუ მუზის გაცხოველებისათვის სხვადასხვა შემოქმედი სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა. ზოგიერთი ამას მუსიკალური რიტმისა და ჰანგის დახმარებით ცდილობდა.

ვახტანგ კოტეტიშვილისთვის ვაჟა-ფშაველას ქალს თამარს უამბო:

“მამაჩემს ღამით უყვარდა წერა. როდესაც ყველანი დავიძინებდით, ის მაშინ მოემზადებოდა საწერად. მე თავს



მოვიმძინარებდი ხოლმე, რადგან მიყვარდა მამაჩემის ყურისგდება. ჯერ ჩამოგვივლიდა ყველას, დაგვზვერაჟდა, და რომ დარწმუნდებოდა, გვეძინა, ჩამოიღებდა ჩონგურს, ჩამოჰკრავდა ხელს და ააკენებდა. იცქირებოდა ცისკენ და თან სიტყვებს დაატანდა. შემდეგ გაჩერდებოდა, ჩანერდა და კვლავ განაგრძობდა".

ვაჟას ლირიკა თითქმის საჩონგურო სიმღერებია. ამიტომ არის, რომ 191 სალირიკო ლექსიდან მშ-ს სიმღერა ეწოდებოდა, დასძენს ვახტანგ კოტეტიშვილი.

◆ ◆ ◆

დიდი ტალანტის მქონე სიტყვის ხელოვანები გამჭრიახობის გასაოცარ უნარსაც ფლობენ. მათ შეუძლიათ საოცრად ზუსტად ამოიცნონ ხასიათი და პროფესია იმ პირებისა, ვისზეც დაკვირვების საშუალება მიეცემათ.

ი. ი. ლაპშინის ცნობით, ერთხელ თეკერეი ბოსტონის თეატრში ნაცნობთან ერთად იმყოფებოდა. იგი გამვლელ-გამომვლელთა ხასიათებს ისე ზუსტად განსაზღვრავდა, ისე დანერღებით ყვებოდა მათი ბიოგრაფიის ეპიზოდებს, რომ თანმხლები პირი აღტაცებული უსმენდა. ამ აღფრთოვანებას ის უფრო აძლიერებდა, რომ ზოგიერთ მათგანს იცნობდა კიდევც და თეკერეის მონაყოლი სინამდვილეს ემთხვეოდა.

◆ ◆ ◆

გამოჩენილ ხელოვანთა უმეტესობა იშვიათი მებსიერებით იყო დაჯილდოებული გამჩენისგან (მხედველობითი, სმენითი, ცნოსვითი). ამის წყალობით მათ შეეძლოთ, გარესამყაროსგან მიღებული უამრავი შთაბეჭდილება და ინფორმაცია აღედგინათ და შემდგომ, სურვილისა თუ საჭიროების შემთხვევაში, შემოქმედებით პროცესში გამოეყენებინათ.

მრავალრიცხოვან მონმეთა ჩვენებით, პუშკინს ფენომენალური მებსიერება ჰქონდა. ასეთივე ყოფილა დიკენსიც. თურმე მას შემორჩენილი ჰქონდა იმ

ნედლი ჩალის სუნი, რომელიც 9 წლის ასაკისას ეკიპაჟით მგზავრობისას შეუგრძენია.

უორე სანდს ახსოვდა, თუ როგორ დაასეირნებდნენ სამი წლისას სახედარზე "ამხედრებულს".

ვალტერ სკოტი იგონებდა რალაც ამბავს, რომელიც პაპის ფერმაში 3 წლამდე ბავშვს შეემთხვა.

დოსტოვესკის არ დავინყებოდა აღფრთოვანებული სახეები სტუმრებისა, რომელთა წინაშე მან, 3 წელს არ მიღწეულმა, რალაც ლოცვა წარმოთქვა.

◆ ◆ ◆

როდესაც მწერალი ქმნის თხზულების გმირის სახეს, მას ძირითადად ორი მხარე აინტერესებს, ამ ორი მიმართულებით იღებს აქცენტს. პირველია პერსონაჟის გარეგნობა, მეორე – მისი შინაგანი, ფსიქოლოგიური თვისება.

პირველ შემთხვევაში მწერალს ორი ხერხი აქვს გამოყენებული:

1. პროტოტიპი.
2. თვით ქმნის თავისი გმირის ვიზუალურ სახეს.

პირველი შემთხვევა უფრო პოპულარულია და უფრო იოლი. მწერალი თავის ახლო გარემოში ეძიებს პროტოტიპს. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი თვით აცნობდა საზოგადოებას – "არსენა მარაბდელის" პერსონაჟების ვინაობას. "არსენას ტიპის ასახვის დროს ჩემი ბიძაშვილი ბაგრატი ბურნაძე მედგა თვალწინ. ღვთისავარი პაპაჩემი ანდრია ბურნაძეა. ლაცაბიძე თავადი მელიქიშვილის მზარეული სანდროა..."

მეორე შემთხვევაში მწერალი თვით ქმნის გმირის როგორც გარეგნულ, ისე შინაგან, ფსიქოლოგიურ ტიპს. ცნობილია, დიკენსი დგებოდა სარკის წინ, ლეზულობდა საჭირო პოზას, ისწორებდა და ილაგებდა სახის ნაკვთებს იმგვარად, როგორაც წარმოედგინა თავისი თხზულების პერსონაჟი. შემდეგ აღწერდა, ქალაღზე გადაჰქონდა თავისსავე ხელით შექმნილი გარეგნობა გმირისა.



რაც შეეხება საულიერ სფეროს – მწერალი ეძიებდა ხასიათებს თავის ნაცნობ-მეგობართა შორის. ეს გზა უფრო იოლი და სანდო იყო, ვიდრე თავის მიერვე გამონაგონი. იმ შემთხვევაში თუ რეალობიდან აღებული რომელიმე პიროვნების ხასიათი მწერლისთვის არასაკმარისი აღმოჩნდებოდა, მაშინ იგი მას სხვა პიროვნების ხასიათით ამდიდრებდა. ამის ნათელი დადასტურებაა ლევ ტოლსტოის ნათქვამი – მე ავიღე ტანია (მწერლის მეუღლე), შევურიე სონიაში (მწერლის ცოლის და) და გამოვიდა ნატაშაო.

◆ ◆ ◆

ხშირია შემთხვევები, როდესაც შემოქმედი მისთვის სასურველ თემას, ამბავს, მოფიქრებულ სიუჟეტს, ფაბულას და ა.შ. დიდხანს ატარებს მეხსიერებით ან სათანადო ჩანაწერებით, ელოდება სათანადოდ დროსა თუ შემთხვევას, ელოდება მის მომნიშვნებას, რათა ქალაქდზე გადაიტანოს.

მე-20 საუკუნის გამოჩენილი თურქი მწერალი რეშათ ნური გუნთეჟინი, ავტორი საყოველთაოდ გახმაურებული რომანისა "ნარჩიტა", რომელიც ქართულადაც ითარგმნა, წერდა – დიდი ხნის მანძილზე ჩემში თითქმის თავისთავად ყალიბდებოდა ზოგიერთი თხზულების გეგმა. მისი ხელახალი დამუშავების მიზნით, სადღაც კუთხეში მივაგდებდი და ვინახავდი ხოლმე. ყველაზე ახალ რომანს ზოგჯერ ოცი წლის, ზოგჯერ ოცდაათის, ზოგჯერ კი უფრო მეტი ხნის ისტორია აქვსო.

◆ ◆ ◆

შემოქმედმა რომ შესძლოს, თხზულებას მიანიჭოს სრული დამაჯერებლობა, ცხოველი სული, უნდა შექმნას არა მარტო შესატყვისი ანტიურაჟი, არამედ უნდა გაითავისოს თავისი გმირისა თუ გმირების განცდები, ტკივილები, მწუხარება თუ სიხარული.

ფლობერი "წმინდა ანტუანის ცხოვრების" შესახებ წერდა – ანტუანი თვით მე ვიყავიო.

საინტერესოა იმავე ფლობერის ერთი ნაწყვეტი წერილიდან – მე "ბოვარზე" ვმუშაობ. მათთან ერთად ვსეირნობ ცხენით, ვგრძნობ ძლიერ სიცხეს. ყელი მაქვს გამშრალი. ჩანერილი ყოველი სიტყვა საშინლად მაფორიაქებს, იქამდე მძაფრად განვიცდიდი ყოველივეს, რომ იძულებული ვიყავი წამომმდგარიყავ და ფანჯარა გამომეღო, რათა დაემშვიდებულიყავ...

დიკენსის თქმით, ყოველივე, რასაც კი წერდა, სიმართლის სრული ანარეკლი იყო. იგი თვალნათლივ ხედავდა თავის გმირებს, ესმოდა მათი ხმა.

დოსტოვესკი ამბობდა, რომ თავისი გმირების სახე მუდამ ცოცხლად ედგა თვალწინ.

იხსენი თავის გმირებს იმდენად ცოცხლად წარმოდგენდა, რომ ერთხელ ერთი მისი პიესის დადგმისას ვერა და ვერ შეეგუა მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს, რადგან მას იმაზე გრძელი მკლავები აღმოაჩნდა, ვიდრე დრამატურგს ჰქონდა წარმოდგენილი.

საოცარი ცხოველი განცდით აღიქვამდა ალ. ყაზბეგი თავისი გმირების ბედს. ერთხელ ნიკო ლომოურს უკითხავს მისთვის:


– რა გემართება სანდრო? ახლა რომ მხიარული ხარ, უცბად გადაიქცევი რალაც გაუგებრად. შეშინებული იყურები აქეთ-იქით, ვილაცას ელაპარაკები, რა მოგდის?

– ეგ არაფერი, უცბად მომელანდნენ ჩემი გმირები და მათთან ვლაპარაკობ.

ხშირად პერსონაჟის ტრაგიკული ბედი მწერლის საშინელ ტკივილებს იწვევს.

დიკენსის თქმით, წერისას ისეთმა სევდამ და მწუხარებამ შეიპყრო, რომ მოთხრობის დამთავრების შემდეგ ოთახიდან აღარ გამოდიოდა, სახე საშინლად ჰქონდა დასიებული.

თეკერის ბიოგრაფის მონათხრობით ერთხელ მწერალი თავის მეგობარს შეხვდა და დამწუხრებულმა შეჩვილა, დღეს მე პოლკოვნიკი ნიუკომი მოვკალიო. საქმე მისი ერთ-ერთი ცნობილი რომანის გმირს ეხებოდა.



ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის ცნობილია ალექსანდრე ყაზბეგის გამონათქვამი:

– რაღას მილობავთ, გამიშვით სხვაგან. იქნებ იქაც სადმე შევხვდე ელგუჯას... გამიშვით, დავეტირო ჩემი მკვდრები, იმისთვის, რომ ჩემნი არიან და ჩემი გული მიიბრძვის მათკენ...



შემოქმედმა ხშირად არც კი იცის როგორ განვითარდება, რა სახეს მიიღებს მისი თხზულების ფაბულა, სიუჟეტი, არ იცის, რა ბედი ეწევა მის გმირს, ეს კი მას მუდმივად და ძლიერ ანუხებს.

ცნობილია თეკერეის ჩანაწერი – "სასურველია, მცოდნოდა, თუ რა ბედი ეწევთ პენდენისა და ფანი ბულტონს".

თეკერეი "ამაოების ბაზრის" გმირებს გულისხმობდა.



ზემოთ საუბარი იყო იმის შესახებ, თუ ვაჟა-ფშაველა ფანდურზე დაკვრით როგორ ეძიებდა და ქმნიდა ლექსის სასურველ რიტმს.

სრულიად სხვაგვარ ხერხს მიმართავდა ვლ. მაიაკოვსკი, რომლის პოეზიის რიტმიც უმეტეს შემთხვევაში დეკლამაციური რიხით გამოირჩევა. იგი წერდა:

"... დავედივარ, ვიქნევ ხელებს და ჯერ კიდევ უსიტყვოდ ვბურტყუნებ ხან ნაბიჯს შევამოკლებ, რომ ბურტყუნს ხელი არ შეეშალოს, ხან კი ნაბიჯის ტაქტზე უფრო სწრაფად ვბურტყუნებ.

ასე შალაშინდება და ფორმირდება რიტმი – საფუძველი ყოველგვარი პოეტური ქმნილებისა. ამ ბურტყუნისგან თანდათანობით ცალკეული სიტყვებიც იკვეთება"...



როგორც ნესი, შემოქმედი წინასწარ ატარებს ხოლმე ე.წ. "შავ სამუშაოს". მოიფიქრებს, ჩამოაყალიბებს თხზულების ფაბულას, ადგენს მოქმედ პირთა ვინაობასა და რაობას, მათი მოქმედების გეგმას. თუმცა არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ შემდგომ წერის პერიოდში არ შეიცვალოს იგი.

ცნობილი თურქი მწერალი ორჰან ქემალი აცნობებდა მეგობარს: "ჩაფიქრებული მაქვს ახალი სატირული რომანი. მისი გმირი, გარეგნულად ფრანტიც, თალღითი და გაიძვერა... მე მას ციხეში გამოვეკეტავ. იქ მას ბედი გაულიმებს. დაქორწინდება ერთ ყბედ ქვრივზე, რომელიც არის ოპოზიციური პარტიის საოლქო განყოფილების მდივანი. განზრახული მაქვს პარლამენტში გავაძვრიწო, შემდეგ, არ არის გამორიცხული, იქიდანაც გამოვადგო"...

შეკრიბა და მოამზადა
გიორგი შაყულაშვილმა





ამერიკის შეერთებული შტატები

საიტ Daili lif-ის მფლობელმა ახალი მომსახურება მოიგონეს. ზედმეტად დაკავებულ ადამიანებს, ვისაც წიგნების კითხვის დრო აღარ რჩებათ, ახლა შესაძლებლობა ექნებათ კლასიკური ნაწარმოებები ელექტრონული ფოსტით ნაწილ-ნაწილ მიიღონ. ასეთი წერილი საშუალო დღის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოვა და მის წაკითხვას ხუთ წუთზე მეტი არ დასჭირდება. მაგალითად, ჟიულ ვერნის „ოთხმოცი დღე მსოფლიოს გარშემო“ 82 წერილადაა დაშლილი, ტოლსტოის ანა კარენინას წაკითხვას კი ორი წელი დასჭირდება, რადგან 430 წერილადაა დაშლილი. თუ მოუთმენელ მკითხველს გაგრძელების ნახვა მაშინვე მოუნდება, მომსახურებაში ესეც გათვალისწინებულია. საქმარისა, მოითხოვოს და შემდეგ წერილს მაშინვე მიიღებს. იმ დროისათვის, როცა პროექტი ოფიციალურად ამუშავდა, საიტზე უკვე 370 გამზადებული ნაწარმოები იყო და მას 50000 მკითხველი უკვე ყავდა. საცდელი ნიმუშების დაგზავნა ხომ რამდენიმე თვით ადრე დაიწყო. საიტი მომხმარებელს დიდ არჩევანს სთავაზობს, კარლ მარქსით დაწყებული, ჩარლზ დიკენსით, დანტე ალიგიერიითა და არტურ კონან-დოილით დამთავრებული. მომავლისათვის საიტის მფლობელები კატალო-

გის უახლესი გამოცემებით შევსებას გვგვამენ. ბოლო მონაცემებით კი ყველაზე პოპულარული დღედღობით ჯეინ ოსტინის, ლევ ტოლსტოის, თეოდორე დოსტოევსკის და ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებებია.



კანზას-სიტის მოქალაქემ, ტომ ოუენმა პროტესტის ნიშნად რამდენიმე ათასი წიგნი დაწვა. მისი განცხადებით, ეს პროტესტი მიმართული იყო საზოგადოების წიგნებზე გულაცრუების წინააღმდეგ. წიგნები მან საკუთარი ბუკინისტური მაღაზიიდან განაწილა და ცეცხლი სახალხოდ წაუკიდა. აუტოდაფე 50 წუთს გაგრძელდა, სანამ მეხანძრეებმა არ ჩააქრეს. მიუხედავად ამისა, ამერიკელმა განაცხადა - უფლებას ავიღებ და 20 000 წიგნს კიდევ დაწვაო და თავის საქციელს „დამპყრველთა კონი“ უწოდა.



ამერიკელი მხატვრის, ტომას იკინსის ტილომ „გროსის კლინიკა“, რომელიც ფილადელფიის, თომას ჯეფერსონის სახელობის უნივერსიტეტის კუთვნილება იყო და მისივე ინიციატივით, აუქციონზე გასყიდვად გაიტანეს, უჩვეულო მღელვარება გამოიწვია. ქალაქის მოსახლეობამ არ მოისურვა 68 მილიონ დოლარად შეფასებული ტილოს

დათმობა. ქველმოქმედებდნენ მათ 30 მილიონ დოლარს შეკრიბეს, თანაც ამ აქციაში მონაწილეობას ქალაქის მთელი მოსახლეობა იღებდა. დარჩენილი თანხა ბანკებმა კრედიტით გამოყვეს. პრესკონფერენციაზე ქალაქის მერმა ყველას დიდი მადლობა გადაუხადა და განაცხადა, მჯერა, რომ დიდი ქალაქები ასეთი საქმისთვის ფოველთვის იბრძოლებენო. სურათის შესყიდვის ყველაზე რეალური პრეტენდენტი ვაშინგტონის ეროვნული გალერეა იყო, მაგრამ მის ხელმძღვანელობას პროტესტი არ გამოუთქვამს, პირიქით, ფილადელფიელების სიზარულს ჩვენც ვიზიარებთო, განაცხადეს.

დიდი ბრიტანეთი

ლონდონში, საერთაშორისო ბუკერის პრემია ნიგერიელ მწერალ ჩინუა აჩებეს მიანიჭეს. მსოფლიო აღიარება მწერალს 1958 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „რღვევა“ მოუტანა. რომანი 50 ენაზე ითარგმნა და 10 მილიონი ტირაჟით გაიყიდა. წიგნის ასეთი წარმატების შემდეგ აჩებეს აფრიკის უმსხვილეს მწერალს ემასხენენ. სამოციანი წლების დასასრულს აჩებე თვითგამოცხადებული რესპუბლიკა ბიაფრას დიპლომატი იყო. გარდა ამისა, იგი რადიო ჟურნალისტად და სალიტერატურო მთარგმნელადც მუშაობდა. აჩებეს აფრიკის, ევრო-



პისა და ამერიკის მრავალი უნივერსიტეტის ოცდაათამდე საპატიო წოდება აქვს მიღებული. ლაურეატის წოდებასთან ერთად მას 60 ათას ფუნტ სტერლინგსაც გადასცემენ.



ბრიტანეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ელექტრონული წერილების არქივი დააარსა. ამ პროექტის ძირითადი მიზანია მომავალ თაობებს ჩვენი თანამედროვეობის ეპისტოლარული ჩვევები შემოინახოს. არქივი ყოველგვარ მასალას ჩაიბარებს, დაწყებულს სასიყვარულო ბარათებით და დამთავრებულს ყოველდღიური ყოფითი წერილებით. „ჩვენს ციფრულ საუკუნეში ელექტრონული ფოსტა ძალიან პოპულარული გახდა. ეს პირველი მასშტაბური მცდელობა ასეთი არქივის შექმნის და ეს არქივი თანამედროვე ცხოვრების უმდიდრეს პლასტს დაიცავს“ – განაცხადეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და იქვე დაამატეს, მიღებული მასალა 100 წლის მანძილზე საიდუმლოდ იქნება შენახული და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნებაო. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია და პროექტის ავტორებს დიდი იმედი აქვთ, რომ წერილებს რიგითი მოქალაქეების გარდა, მწერალ ჯონ როულინგისაგან, პრემიერ-მინისტრ ალესტერ კემპბელისაგან და ასტროფიზიკოს პროფესორ სტივენ ზოუკინგისგანაც მიიღებენ.



დიდი ბრიტანეთის ელექტრონული საჭონლის უმსხვილესმა მაღაზიამ აუდიოკასეტებით ვაჭრობა შეწყვიტა. მათი განცხადებით აუდიოკასეტები იმდენად შეავიწროვა კომპაქტ-დისკებისა და მპ3 პლეიერების გაჩენამ, რომ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე მისი ბრუნვა 83 მილიონიდან 10000-მდე დაეცა. ეს ელექტრონიკის უკანასკნელი მაღაზიაა, რომელმაც აუდიოკასეტებზე უარი თქვა. სხვა მაღაზიებმა იგი ბრუნვიდან წლინახევრის წინ ამოიღეს. როგორც ჩანს, ფირების ეპოქა სამუდამოდ დასრულდა და მის ადგილს ციფრული ეპოქა იკავებს.

ისპანეთი

სერვანტესის ცნობილ რომანს თურმე გაგრძელება ჰქონია. შექსპირმა რომანიდან ერთი ფრაგმენტი აიღო და საკუთარი პიესა შექმნა, რომელიც „გლორუსის“ სცენაზე ორჯერ იყო წარმოდგენილი. ექსპერტები ამ ჰიპოთეზას კარგა ხანია ამუშაებდნენ, მაგრამ ამჯერად, დამამტკიცებელი საბუთებიც მოიძებნა. ესპანურ ვაზეთ „მუნდოს“-ს ამის შესახებ ბრიტანეთის „შექსპირის სამეფო აკადემიის“ დირექტორმა, გრეგორი ღორანმა აცნობა. მისი განცხადებით პიესას „კარდენიო“ ერქვა ანუ იმ ახალგაზრდა კაცის სახელი, რომელიც სერვანტესის რომანში თავის უიღბლო სიყვარულის ამბავს ღონ-კიზოტს უამბობს,

მაგრამ ვერ დაასრულებს. რადგან ქალბატონებს დაწმდებით რაინდის აღფრთოვებას გამოიწვევს. შექსპირმა, როგორც ჩანს, გაგრძელების დაწერა მოსურვა და ამისთვის დრამატურგ ჯონ ფლეტჩერთან გაერთიანდა. ამ პიესის არსებობა კარგა ხნის მანძილზე ლეგენდის დონეზე იყო, რადგან მისი ორიგინალი თეატრ „გლობუსთან“ ერთად დაიწვა. და აი, ამჯერად ღორანმა, პიესა ვიპოვეთ და ესპანელებთან ერთად მას აუცილებლად დავდგამთო, განაცხადა.

იაპონია

საგამომცემლო საქმის მსოფლიო კრიზისის ფონზე ყურადღებას იქცევს ახალი მოდა, რომელიც იაპონიაში გაჩნდა. ეს არის ელექტრონული წიგნები მობილური ტელეფონებისათვის, რომელსაც „ეკიტაი“ წიგნები ჰქვია და რომლის პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ეკიტაი“ /იაპონურად მობილური ტელეფონი/ უკვე დამოუკიდებელ სალიტერატურო ჟანრად ჩამოყალიბდა და თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი კლასიკოსებიც კი გააჩნია. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ავტორის უკანასკნელ ბესტსელერზე, ყოველდღიურად 160000 მოთხოვნა ფიქსირდება. ექსპერტების აზრით კვიტაის მკითხველთა უმეტესობა ქალაქის გამოცემებს საერთოდ აღარ ყიდულობს. პირველი ექსპერიმენტები 2002



წლიდან დაიწყო და მაშინვე გავრცედა, რომ ქალაქის წიგნბიდან მოსული ცნობილი ავტორები, ამ ფორმის მკითხველს არ აინტერესებდა. ახალი ბაზრის შესწავლას ხუთი წელი დასჭირდა და ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, ყველაზე კარგად ის დეტექტივები იყოფებოდა, რომელიც სიყვარულის ძლიერ ხაზს და ეროტიკის ელემენტებს შეიცავდა. ახალი ფანრის გაჩენამ კიდევ ერთი მოულოდნელობა წარმოაჩინა. თუ ქალაქის წიგნების ცნობილი ავტორები მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, კეიტაის ავტორები პირიქით, ქალაქის ფორმატშიც შესანიშნავად იყიდებოდა. უკანასკნელი ბესტსელერი, მაგალითად, 2,7 მილიონი ტირაჟით გაიყიდა.

იტალია

ხელნაწერების იტალიელმა ექსპერტმა ბოლოს და ბოლოს გამოიფრა ტრაქტატი ჭადრაკის შესახებ, რომელიც დღემდე დანაკარგად ითვლებოდა. ტრაქტატი მეთექვსმეტე საუკუნითაა დათარიღებული. იგი შექმნა ცნობილმა მათემატიკოსმა, ლუკა პაჩოლიმ, რომელიც ევროპული ბუღალტერიის მამამთავრად ითვლება. მანუსკრიპტი პერცოვ ფრანჩესკო გონზაგას მუდღელს, იზაბელ დესტეს ეძღვნება. აქ ჩამოყალიბებულია თამაშის წესები და უმთავრესი სტრატეგიები. ილუსტრაციები წითელი და შავი მელნითაა შეს-

რულებული. ტრაქტატის არსებობის ამბავი ექსპერტებმა ჭადრაკის შესახებ არსებული სხვა წიგნებიდან იცოდნენ, მაგრამ თავად მანუსკრიპტი კარგა ხანს დაკარგულად ითვლებოდა. ბოლოს და ბოლოს იგი ბუკინისტმა კონტინომ აღმოაჩინა, როცა ვარდაცვლილი გრაფ კორინინის საგვარეულო ბიბლიოთეკა გადაარჩინა.



იტალიელმა კინემატოგრაფისტებმა ძალიან მტკივნეულად აღიქვეს ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის, კვენტინ ტარანტინოს განცხადება, იტალიური კინო ისეთ დეპრესიამაა, რომ საოჯახო კრიზისებისა და შლეგიანთა არდადეგების გარდა სხვა თუმაველარ მოუძებნიაო. შედეგაც არ დაყოვნა. „ოქროს პალმის“, ხუთგზის ნომინანტმა და კანის წლევეანდელი კინოფესტივალის თავმჯდომარემ, მარკო ბელოჩიომ მას პირუტყვი უწოდა, სოფი ლორენმა კი განაცხადა, რა უფლება აქვს იტალიური კინო შეაფასოს, როცა ხეირიანად ამერიკულ კინოშიც კი ვერ გარკვეულაო.

საფრანგეთი

„მომაველის მოკლე ისტორია“, ასე დაასათურა ფრანგმა მწერალმა, ეკონომისტმა და პოლიტიკოსმა, ფაკ ატალიმ თავისი ახალი წიგნი, რომელსაც დღესდღეობით მთელი საფრანგეთი კითხულობს. რო-

გორ ხედავს ფაკ ატალი: კაცობრიობის წესგარეშე დღეს?! უპირველესი და უმთავრესი ნიშანი რაც იკვეთება, ეს არის ფულის ტრიუმფალური წინსვლა! უახლესი ისტორიული ძვრები სწორედ ფულის ტრიუმფალური წინსვლითაა განპირობებული, აღნიშნავს ავტორი წიგნის შესავალში. ასეთი პერსპექტივით ბაზარმა შეიძლება სახელმწიფოები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიც გაანადგუროს და შექმნას სუპერნიპერია, სადაც ადამიანი ჯერ მხოლოდ მომხმარებლად გადაიქცევა, შემდეგ კი შეიძლება სულ გაქრეს კიდევ. თუ კაცობრიობა გლობალიზაციის შეჩერებას ძალით შეეცდება, ახალი ბარბაროსული ეპოქა - სუპერკონფლიქტი წარმოიშობა, ხოლო თუ მის გაკონტროლებას შესძლებს, პიპერდემოკრატიის ახალი გზები გაჩნდება, რომელმაც ერთიანი მსოფლიო დემოკრატიული მთავრობა შეიძლება წარმოშვას. აი ასეთი ესკიზის ფარგლებში ატალი კონკრეტული წერილმანების მთელ პანორამას აშენებს. ყველაფერი დემოგრაფიული პრობლემებით დაიწყება. 2050 წლისთვის, თუ რაიმე დიდი კატასტროფა არ მოხდა, დედამიწაზე 9,5 მილიარდი ადამიანი ანუ 3 მილიარდით მეტი იცხოვრებს. ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაშრეტილი ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს მართვას ვეღარ



შესძლებს. მსოფლიო ლიდერის განთავისუფლებული ადგილის დაკავებას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მოახერხებს. პოლიცენტრული მსოფლიოს მართვას ათიოდე რეგიონალური ქვეყანა შეეცდება, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იქნება. შემდგომი სქემა ასე განვითარდება: კომპანიებისა და ქალაქების შემოტევა სახელმწიფოებს დაასუსტებს და აღმოცენდება ჰიპერიმპერია, რომელსაც თან უამრავი კონფლიქტი და ომი მოყვება. ეს ყველაფერი კი, ჰიპერკონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს. და მაინც, გადარჩენის პერსპექტივა არსებობს. დაახლოებით 2060

წლისთვის, მძიმე კრიზისგამოვლილ მსოფლიოში ახალი, ალტრუისტული და უნივერსალური ძალები გაჩნდება, რომელიც ბაზარსა და დემოკრატიას შორის ახალ წონასწორობას დაამყარებს. „ეს იქნება ჰიპერდემოკრატია, — წერს ავტორი, — ადამიანთა ორგანიზების უმაღლესი ფორმა, ისტორიის ძრავის — თავისუფლების — უკანასკნელი გამოვლინება“.

უცხოეთი

ჩრდილოეთ უნგრეთის ნახევრად დანგრეულ ციხესიმაგრეში აღორძინების ხანის ცნობილი იტალიელი მხ-

ატერის, სანდრო ბოტიჩელი ფრესკა აღმოაჩინეს. ცნობისიმაგრე ესტერგონში აღმოჩენილ ფრესკას უკვე კარგა ხანია რესტავრაცია უტარდებოდა, მაგრამ ეჭვი, რომ იგი ბოტიჩელის ფუნჯს ეკუთვნოდა, მხოლოდ ბოლო პერიოდში გაჩნდა. ექსპერტებმა ფრესკა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შეისწავლეს და ეჭვი დაადასტურეს. ფრესკა 4x5 მეტრი ზომისაა და ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. თითო ნაწილში თითო სათნოებაა გამოსახული. ისტორიკოსების აზრით ბოტიჩელი ამ ფორმით ზომიერებას ქადაგებდა.

მასალა მოამზადა
მანანა მიქელაძემ



მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

პასუხისმგებელი მდივანი
დინარა ჩაჭვაცაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
შორენა ფარქოსაძე

ქარნელი ზამოძის ორ თანგი ერთხელ
დავდაბა მხოლოდ რედაქციის მთავრ შავაეთილი მასალაში

გამომცემლობა „სანთელი“

0120/23



ფანი ორი ლარი